მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი
და უსაფრთხო მსოფლიო

შეაფასე და აკონტროლე:

მცირე შეიარაღება და ადამიანური უსაფრთხოება საქართველოში



დევიდ ვუდი
დუნკან ჰისკოკის შესავლით

სექტემბერი 2006

შეაფასე და აკონტროლე:

მსუბუქი შეიარაღება და ადამიანური უსაფრთხოება საქართველოში

დევიდ ვუდი
შესავალი **დუნკან ჰისკოკისა**

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი
და უსაფრთხო მსოფლიო

სექტემბერი 2006

ავტორთა შესახებ

დანკან ჰისკოკი კიევის პოლიტიკის შემსწავლელი საერთაშორისო ცენტრის საერთაშორისო თანადირექტორია. წარსულში კოორდინირებას უწევდა „უსაფრთხო მსოფლიოს“ პროექტებს აღმოსავლეთ ევროპაში. თითქმის ათი წლის განმავლობაში იგი სწავლობდა და მუშაობდა ყოფილ საბჭოთა კავშირში. მის მიერ მომზადებულ გამოცემათა შორის უნდა დავასახელოთ: *„კავკასია: შეიარაღებული და დანაწევრებული“* (2003) ა.მატვეევასთან ერთად, *„სომხეთში უსაფრთხოების სფეროს რეფორმა“* (2005) გ. ევაგიანთან ერთად და „პოსტ-საბჭოთა კერძო დაცვის კომერციალიზაცია: კერძო აქტიორები და უსაფრთხოების მმართველობა“(DCAF 2006).

დევიდ ვუდი არის „უსაფრთხო მსოფლიოს“ ევროპული პროგრამის პროექტების კოორდინატორი. მის მიერ მომზადებულ გამოცემებს შორის აღსანიშნავია: *„კვლევა მოლდოვაში მსუბუქი შეიარაღების შესახებ“ (2006), „მსუბუქი შეიარაღება და პირადი უსაფრთხოების კომპანიები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში: მიზეზი თუ დაუცველობის შედეგი?“ (2005) მ. პეიჯთან, ს. რინთან და ზ. ტეილორთან ერთად. იგი, ასევე, კოორდინაციას უწევდა სარაევოს კერძო დაცვის კომპანიებს ქცევის კოდექსის შემუშავებაში და სარაევოს კერძო დაცვის კომპანიების შეძენის მსურველთ სარაევოს პროცესის ფარგლებში (2006).*

მადლობა

წინამდებარე კვლევის ანგარიშის გამოცემა დააფინანსა გაერთიანებული სამეფოს გლობალური კონფლიქტების პრევენციის ფონდმა. „უსაფრთხო მსოფლიო“ მადლობას უხდის ამ ორგანიზაციას მხარდაჭერისათვის. კვლევის ავტორია დევიდ ვუდი, შესავლისა – დანკან ჰისკოკი, რედაქტორები – დანკან ჰისკოკი და საიმონ რინი. საქართველოში ძირითადი გამოკვლევები ჩაატარეს დანკან ჰისკოკმა, თათა მახათაძემ, ნინო რჩეულიშვილმა, გოშა ვასილევსკამ და დევიდ ვუდმა. ტექსტი ქართულ ენაზე თარგმნა მარინა ჭყონიამ. *უსაფრთხო მსოფლიოსთვის* ინგლისურ ენაზე ტექსტის რედაქტორია რობერტ ლონგი, ქართულენოვანი ტექსტისა – მაკა ელბაქიძე. საქართველოს საზოგადოებრივი აზრის კვლევის საერთაშორისო ბიზნესმა (GORBI) ჩაატარა რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკითხვა და ფოკუს-ჯგუფების ანალიზი. იმ მრავალ პიროვნებას შორის (მათი სრული სია ამ გამოკვლევის ბოლოს არის მოყვანილი), რომელმაც უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია მოგვაწოდა, კვლევის ჯგუფი განსაკუთრებული მადლიერებით იხსენიებს შოთა უტიაშვილს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტიდან, მამუკა კიკალეიშვილს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტიდან, გიორგი გოგიბერიძეს იუსტიციის სამინისტროს ლიცენზირების დეპარტამენტიდან, ზაზა ხაჩიძეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლიცენზირების დეპარტამენტიდან, დავით დარჩიაშვილს OSGF-დან, მერაბ ფაჩულიას GORBI-დან, ბრიტანეთის ელჩს მაკლარენ მაკლარენელს და საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს წარმომადგენელს უილიამ რობინსონს.

© სეიფერვორლდი, სექტემბერი, 2006. ყველა უფლება დაცულია. გამოცემის არც ერთი ნაწილი საავტორო ნებართვის გარეშე არ შეიძლება გამოიცეს ხელახლა, შეინახოს ხელმისაწვდომ სისტემაში ან გადაიცეს ნებისმიერი ფორმით – ელექტრონულად, მექანიკურად, ფოტოკოპირებით, ჩაწერით და სხვ. „უსაფრთხო მსოფლიო“ მიესალმება და ხელს შეუწყობს გამოკვლევაში შესული მასალის შემდგომ გამოყენებასა და გავრცელებას.

სარჩევი

მოკლე შინაარსი i

1 კვლევის წინაისტორია და მეთოდოლოგია 1

2 შესავალი 4

2.1 საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 4

2.2 გადაუჭრელი კონფლიქტების გავლენა 8

2.3 შესაძლებლობები და რეფორმა 10

3 ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობა 13

3.1 კანონმდებლობა და წესდება 14

3.2 კანონიერი სამოქალაქო იარაღი 19

3.3 უკანონო სამოქალაქო იარაღი 23

3.4 უკანონო იარაღის წყაროები 25

3.5 იარაღის გეოგრაფიული გადანაწილება 27

3.6 კანონის აღსრულება 33

4 ცეცხლსასროლი იარაღის ხმარება და მისი არადანუშულებისამებრ გამოყენება 37

4.1 მოთხოვნა იარაღზე 38

4.2 მოთხოვნა უკანონო იარაღზე 41

4.3 დანაშაულის ზეგავლენა 42

4.4 ზემოქმედება ადამიანთა ჯანმრთელობაზე 50

4.5 საზოგადოებაზე ზემოქმედება 54

4.6 კანონის აღსრულება 56

5 მცირე შეირაღების წარმოება და გაყიდვა 61

5.1 კანონმდებლობა და რეგულირება 61

5.2 საწარმოო შესაძლებლობები 63

5.3 შიდა ბაზარი 63

5.4 კანონის აღსრულება 64

5.5 ადმინისტრაციული შესაძლებლობები 64

6 მსუბუქი შეიარაღების სახელმწიფო მართვა 65

6.1 მსუბუქი შეიარაღების სახელმწიფო მფლობელობა 66

6.2 მარაგის უსაფრთხოება 70

6.3 ხელისუფლების მფლობელობაში არსებული იარაღის გამოყენება 72

7 შეგროვება და განადგურება 74
7.1 იარაღის ამოღების წინა კამპანიები 74
7.2 გამოცდილების გაზიარება მომავალში იარაღის ჩაბარების კამპანიის განსახორციელებლად 77
7.3 მსუბუქი შეირაღების განადგურება 79

8 საერთაშორისო გადაზიდვების კონტროლი და საზღვრის მენეჯმენტი 81
8.1 კანონმდებლობა და რეგულირება 83
8.2 ბოლოდროინდელი გადაზიდვები 90
8.3 სასაზღვრო კონტროლი 97
8.4 იარაღის ტრეფიკინგი 102

9 გამჭვირვალობა და კონტროლი 108
9.1 სამოქალაქო საზოგადოების კონტროლი 109
9.2 საპარლამენტო ზედამხედველობა 111

10 კოორდინირება და პოლიტიკის ფორმულირება 113
10.1 კონტროლი იარაღის გადაზიდვებზე 113
10.2 კონტროლი იარაღის სამოქალაქო მფლობელობასა და გამოყენებაზე 114
10.3 ხელისუფლების ამოცანები 115
10.4 რეგიონალური დონის ამოცანები 116

11 რეკომენდაციები 118

დამატება 1: ინტერვიუ ექსპერტებსა და ფოკუს ჯგუფებთან 127
დამატება 2: პარლამენტარები გლობალური ქმედებისათვის – თბილისის სამოქმედო გეგმა, (თბილისი, 10 ივნისი, 2006) 129

საქართველო


რუსეთის ფედერაცია
აფხაზეთი
სოხუმი
კოდორის ხეობა
ინგუშეთი
ჩეჩნეთი
ჩრდილოეთ ოსეთი
გალი
სამეგრელო-ზემო სვანეთი
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი
ამბროლაური
ზუგდიდი
სამხრეთ ოსეთი (ცხინვალის რეგიონი)
ცხინვალი
ქუთაისი
შავი ზღვა
საქართველო
მცხეთა-მთიანეთი
პანკისის ხეობა
დაღესტანი
ფოთი
გურია
იმერეთი
შიდა ქართლი
გორი
თელავი
მცხეთა
ბათუმი
აჭარა
ახალციხე
თბილისი
კახეთი
სამცხე-ჯავახეთი
ქვემო ქართლი
მარნეული
რუსთავი
წითელი ხიდი
ახალქალაქი
თურქეთი
აზერბაიჯანი
სომხეთი
საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები
საქართველოს მთავრობის მიერ არაკონტროლირებადი ტერიტორიები

მოკლე შინაარსი

„შეაფასე და აკონტროლე: მსუბუქი შეიარაღება და ადამიანთა უსაფრთხოება საქართველოში“ წარმოადგენს მსუბუქი შეიარაღებისა და ადამიანთა უსაფრთხოების გამოკვლევის შედეგს, რომელიც ჩაატარეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა უსაფრთხო მსოფლიომ (ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო) და კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტმა (საქართველო).

ეს ანგარიში მოიცავს ბევრ სფეროს: ქვეყანაში მსუბუქ შეირაღებაზე საკუთრებას, მის კანონიერ და უკანონო გამოყენებას, პიროვნებებზე, საზოგადოებასა და მთავრობაზე მის გავლენას, ხალხის დამოკიდებულებას შეიარაღებისა და უსაფრთხოების მიმართ და სახელმწიფო დაწესებულებების შესაძლებლობებს მსუბუქი შეიარაღების გავრცელებისა და მისი უკანონო გამოყენების გასაკონტროლებლად.

ეს გამოკვლევა გრძელდებოდა 7 თვის მანძილზე: 2005 წლის დეკემბრიდან 2006 წლის ივნისამდე, რომლის დროსაც გამოიყენეს მრავალი მეთოდი: რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკითხვა მთელი სახელმწიფოს მასშტაბით (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარდა), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1 300-მა რესპონდენტმა; 14 ფოკუს-ჯგუფის დისკუსია; ინტერვიუ 50-ზე მეტ მნიშვნელოვან ოფიციალურ და გავლენიან პირთან; ოფიციალური მონაცემებისა და მედიის ანგარიშთა განხილვა.

წინამდებარე ანგარიში განკუთვნილია პოლიტიკის შემქმნელთათვის, რათა დაეხმაროს მათ საქართველოში დღეს არსებული მსუბუქი შეიარაღების პრობლემის გადაჭრაში. გამოკვლევის ფარგლებში მოეწყო რამდენიმე საკონსულტაციო შეხვედრა, რამაც საშუალება მისცა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს, გაეკეთებინათ კომენტარი გამოკვლევის შედეგებზე. მათი შეხედულებები გამოკვლევის ბოლო ანგარიშშია გადმოცემული.

გამოკვლევა აანალიზებს შეიარაღების გავრცელებისა და უსაფრთხოების გავლენას საქართველოს იმ რეგიონებზე, რომლებიც ოფიციალური თბილისის კონტროლქვეშ არიან მოქცეულნი

ზოგადი ინფორმაცია

მსუბუქი შეიარაღების გავრცელება და უკანონო გამოყენება მძიმედ და მტკივნეულად აისახა საქართველოზე მას შემდგეგ, რაც 1991 წელს ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ეს პრობლემა ნათლად გამოჩნდა

90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში განვითარებული შიდა კონფლიქტების ფონზე. ეს კონფლიქტები დღემდე ინარჩუნებენ აქტუალობას არა მარტო იმიტომ, რომ მხარეებმა ვერ მიაღწიეს პოლიტიკურ შეთანხმებას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონების საბოლოო სტატუსის შესახებ, არამედ იმიტომაც, რომ ამ კონფლიქტებს მოჰყვა ქვეყნის ეკონომიკის დაცემა, ადამიანთა უსაფრთხოების დონის შემცირება, საზოგადოებაში დაპირისპირების ზრდა და იძულებით გადაადგილებულ პირთა გაჩენა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსუბუქი შეიარაღების მფლობელობისა და მისი ზეგავლენის თემა დღესდღეობითაც ძალიან პოლიტიზირებულია საქართველოში, რაც აძნელებს ღია დებატებსა და საკითხის გარშემო მწყობრი პოლიტიკის შემუშავებას.

მსუბუქი შეიარაღების კონტროლი ქვეყანაში კიდევ უფრო გართულებულია საქართველოს რეგიონებში ეთნიკური, სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობის არსებობის გამო, რაც ნიშნავს, რომ ზოგიერთი რეგიონი ხასიათდება მსუბუქი შეიარაღების სპეციფიკური დინამიკით.

ეს ეხება, ძირითადად, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებს და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსაზღვრე რეგიონებს.

მიუხედავად ამ რთული ვითარებისა, მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული მსუბუქი შეიარაღების გავრცელებაზე და უკანონო გამოყენებაზე კონტროლის გასაუმჯობესებლად, თუმცა ეს პროცესი ხასიათდება არაკოორდინირებული მოქმედებით: მთავრობამ შეძლო ერთ დროს დაცალკევებული სამხედრო ძალა თავდაცვის სამონისტროს ცენტრალიზებული კონტროლის ქვეშ გაეერთიანებინა; შეიქმნა საერთაშორისო იარაღის გადაზიდვების კონტროლის სისტემა და უფრო დიდი ინვესტიციები ჩაიდო საქართველოს საზღვრის მართვაში; რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პოლიციასა და სასამართლო სისტემაში დაიწყო და ახლაც მიმდინარეობს მნიშვნელოვანი რეფორმები, რათა ადამიანთა უსაფრთხოება უკეთ იყოს დაცული. თუმცა კიდევ ბევრი რჩება გასაკეთებელი უკანონო შეიარაღების გავრცელებისა და არამიზნობრივი გამოყენების საბოლოოდ აღსაკვეთად.

წარმოდგენილი კვლევის მოკლე მიმოხილვა განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული მსუბუქი შეიარაღების კონტროლის სისტემის ძირითად პრიორიტეტებს. თავად კვლევის ანგარიში უფრო დეტალურად აანალიზებს კვლევის დროს მიღებულ შედეგებს იმ ძირითად მიღწევებთან ერთად, რომლებიც შეინიშნება საქართველოს მთავრობის მიერ მსუბუქი შეიარაღების კონტროლისა და ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში. მომავალი ქმედებების შესახებ რეკომენდაციები მოყვანილია ანგარიშის ბოლოს.

ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობა

- კანონიერი ცეცხლსასროლი იარაღის ლიცენზირებისა და რეგისტრაციის პროცესი საგრძნობლად გაუმჯობესდა 2004-2006 წლებში ცეცხლსასროლ იარაღზე ლიცენზიის აღრიცხვიანობის გამკაცრებით და ლიცენზირების სისტემაში კორუფციის შემცირებით.
- საქართველოში მიიღეს მკაცრი კანონები სამოქალაქო მსუბუქი შეიარაღების მფლობელობისა და გამოყენების დასარეგულირებლად. თუმცა ლიცენზირების მოთხოვნები ზედმეტად ლიბერალურია შემდეგ შემთხვევებში:
  - ვისაც სურს თავდაცვითი ცეცხლსასროლ იარაღზე (როგორიც, მაგალითად, რევოლვერი ან პისტოლეტია) ლიცენზიის მიღება, არ სჭირდება იმის მტკიცება, რომ თავად მას ან მის ქონებას საფრთხე ემუქრება.
  - წარმატებულ აპლიკანტებს არ მოეთხოვებათ გაიარონ ცეცხლსასროლი იარაღის ინტენსიური ტრენინგი.
  - კანონი არ ავალდებულებს პოლიციელებს, შეამოწმონ იარაღის სახლში შენახვის პირობები ან ლიცენზიები. ასევე, არ არსებობს პიროვნებისთვის იარაღის ჩამორთმევის ან ლიცენზიის განახლების მოთხოვნის ეფექტური სისტემა იმ შემთხვევაში, თუ ამ ლიცენზიას ვადა გაუვიდა.
- არ არსებობს ცეცხლსასროლი იარაღის კატეგორიზაცია, რომელიც განასხვავებდა კანონიერ და უკანონო სამოქალაქო იარაღს. სახელმწიფო იარაღის რეგისტრაციის სამსახური ჯერ არ შექმნილა, თუმცა მისი შექმნა კანონით არის გათვალისწინებული.
- არ არსებობს მოსახლეობაში ლიცენზირების შესახებ ინფორმაციის გავრცელების განსაზღვრული პროცედურები. აქედან გამომდინარე, მოქალაქეების არ ფლობენ ინფორმაციას ცეცხლსასროლი იარაღის ლიცენზირების მოქმედი სისტემის შესახებ. განსაკუთრებით ეს ითქმის არაქართულ მოსახლეობაზე.
- სპეციფიკური კანონი არ არეგულირებს კერძო უსაფრთხოების მომსახურებასა და კერძო დაცვის კომპანიების ლიცენზირებას. აღნიშნული გარემოება ამ სფეროში სერიოზულ პრობლემებს იწვევს:
  - შეუძლებელია განისაზღვროს, კერძო უსაფრთხოების რამდენი კომპანია არსებობს დღესდღეობით საქართველოში, ან დადგინდეს მათ მიერ გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღის რაოდენობა და ტიპები;
  - არ არსებობს სტანდარტული ტრენინგი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაში.
  - არ არსებობს ფორმალიზებული, ოფიციალურად დაკანონებული ურთიერთობა კერძო უსაფრთხოების კომპანიებსა და სახელმწიფო უწყებებს, მაგალითად, პოლიციას, შორის.
- დადგენილია, რომ ინდივიდუალური მოქალაქეებისა და სახელმწიფო უწყებების მფლობელობაში, დაახლოებით, 159 000 ერთეული რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღია, ხოლო 250 000-ზე მეტი – უკანონო მფლობელობაშია.
- მოთხოვნილება ცეცხლსასროლ იარაღზე, ძირითადად, გამოწვეულია მოსახლეობის უსაფრთხოების დაბალი დონით, ძალადობისადმი შიშით, იარაღის მიმართ ისტორი-

ული ტრადიციით განპირობებული დამოკიდებულებით. მოთხოვნილება უფრო დიდია კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში.

- იმ სააგენტოს, რომელიც ვალდებულია, მოაგვაროს უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის პრობლემა საქართველოში, ანუ სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტს, არ შეუფასებია უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობის განაწილება საქართველოში. მას, ასევე, არ შეუმუშავებია უკანონო იარაღის გავრცელებით გამოწვეულ საფრთხეებთან ბრძოლის სტრატეგია.
- უკანონო იარაღი ყველაზე მეტად გავრცელებულია თბილისში, შემდეგ იმერეთში, აჭარაში, სამეგრელო-სვანეთში, კახეთსა და შიდა ქართლში. ასევე, დიდია უკანონო იარაღის რიცხვი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ქვემო ქართლში.
- მოთხოვნილება უკანონო იარაღზე განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდა მამაკაცებში 18-დან 29 წლამდე.

ცეცხლსასროლი იარაღი და მისი არადანიშნულებისამებრ გამოყენება

- სისხლის სამართლის სისტემაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლა: პოლიცია აღრიცხავს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილ უფრო მეტ დანაშაულს, რაც განპირობებულია მოსახლეობაში პოლიციისადმი ნდობის გაზრდით და იარაღის აღრიცხვის პროცედურათა გაუმჯობესებით; იხსნება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილი ბევრი დანაშაული; ძლიერდება გენერალური პროკურატურის შესაძლებლობები დანაშაულის აღსარიცხად და გამოსაძიებლად.
- მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფა გაუმჯობესდა, ძალადობის მსხვერპლთა დიდი ნაწილი კვლავ არ აწვდის სათანადო ინფორმაციას პოლიციას, რადგან პოლიციის მიმართ ნდობა კვლავ დაბალია, განსაკუთრებით ეთნიკურად არაქართულ მოსახლეობაში.
- მართალია, სამართალდამცავი სისტემა გაუმჯობესდა, მაგრამ ძალადობის პრევენცია მაინც არ ხერხდება, რადგან არ არსებობს სტრატეგიული გეგმა, რომელიც შეამცირებს ცეცხლსასროლი იარაღით გამოწვეულ დანაშაულს და იარაღის უკანონო გამოყენებას.
- დანაშაულის მიმართ შიში საქართველოში გაცილებით დაბალია, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის დანარჩენ ქვეყნებში. მხოლოდ მოსახლეობის 23%-ს აქვს შიში, რომ მას ან მის ოჯახს საფრთხე ემუქრება და შეიძლება ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ. დადგენილია, რომ ბოლო წლის განმავლობაში დანაშაულმა, საერთო ჯამში, იკლო.
- ისინი, ვინც დიდი ქალაქების გარეუბნებსა და სოფლებში ცხოვრობენ (სადაც სასჯელაღსრულების პოლიცია ნაკლებ აქტიურია), ასევე, თბილისის მოქალაქეები (სადაც დანაშაულის მიმართ შიში მატულობს), ისე უსაფრთხოდ ვერ გრძნობენ თავს, როგორც ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობა.
- რაოდენობრივმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ გამოააშკარავა, რომ მოსახლეობაში არსებობს სერიოზული შიში იარაღით ჩადენილი დანაშაულის და, განსაკუთრებით, დაყაჩაღების მიმართ: რესპონდენტთა 36%-მა განაცხადა, რომ დაყაჩაღება, მკვლელობისა და ქურდობის შემდეგ, დაუცველობის შეგრძნების მთავარი გამომწვევი მიზეზია.
- 2005 წელს იარაღით ჩადენილი დანაშაული შეადგენდა ზოგადად ჩადენილი დანაშაულის 4.5%-ს და ყველაზე ხშირი იყო თბილისში (56%), შემდეგ იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში. ასევე, სოფელში მცხოვრები რესპონდენტები უფრო ხშირად ასახელებდნენ იარაღით ჩადენილ დანაშაულს, როგორც ჩვეულებრივ მოვლენას, ვიდრე ქალაქის მცხოვრებლები.
- რესპონდენტთა უმეტესობისათვის მნიშვნელოვან წუხილს წარმოადგენდა ცეცხლსასროლი იარაღის ხელმისაწვდომობა და მათ საცხოვრებელ ადგილებში მისი გამოყენება. გამოკითხულთა 21% აცხადებდა, რომ „ძალიან ხშირად“ ან „საკმაოდ ხშირად“ მათ საცხოვრებელ უბნებში წარმოქმნილ ყოფით კონფლიქტებში იარაღი მონაწილეობდა. იარაღის ხელმისაწვდომობისა და საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით მისი გამოყენების გამო წუხილები უფრო ხშირი იყო სამცხე-ჯავახეთში, სოფლებში და ეთნიკურად არაქართულ მოსახლეობაში.
- მართალია, არ არსებობს ინფორმაცია ოჯახური ძალადობის შემთხვევებში მსუბუქი იარაღის გამოყენებისა, მაგრამ ფოკუს- ჯგუფები და სოციოლოგიური გამოკითხვა ადასტურებენ, რომ ეს საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა.
- ასევე, არ არსებობს იარაღის გამოყენების შედეგად სიკვდილიანობის ზუსტი სტატისტიკა, თუმცა გამოკვლევის თანახმად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად 2005 წელს საქართველოს საავადმყოფოებში, დაახლოებით, 1 250 დაჭრილი მოხვდა, რომელთაგან 50 გარდაიცვალა.

წარმოება და ვაჭრობა

- მსუბუქი შეიარაღების წარმოებისა და ვაჭრობის მაკონტროლებელი საკანონმდებლო სისტემა, ძირითადად, ადეკვატურია და შეესაბამება არსებულ მოთხოვნებს. დღესდღეობით იარაღის წარმოება ლიმიტირებულია მხოლოდ სპორტული და სანადირო იარაღის ნაწილების წარმოებით.
- იუსტიციის სამინისტროს შეზღუდული შესაძლებლობების გამო ვერ ხერხდება იარაღის მაღაზიებისა და საწარმოების რეგულარული ინსპექცია.

მსუბუქი შეიარაღების სახელმწიფო მარაგების მართვა

- საქართველოს უსაფრთხოების სტრუქტურების რეფორმამ გამოიწვია იმ სამხედრო ძალების რაოდენობის შემცირება, რომელთაც, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, უსაფრთხოების დაცვა ევალებოდათ. ამის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ პირველად, საქართველოს შეიარაღებული ძალები გაერთიანდა და კარგად კონტროლდება.
- მართალია, ოფიციალური მონაცემები ამ საკითხზე კლასიფიცირებულია, მაგრამ საქართველოს გააჩნია, დაახლოებით, 76000-დან 91 000-მდე ერთეული მსუბუქი შეიარაღება, გარდა იმ იარაღისა, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ძალები აკონტროლებენ.
- დღესდღეობით საქართველოს სამხედრო სტრუქტურებში მიმდინარეობს საჭიროებათა დადგენის, საცავების უსაფრთხოების უზრუნველყოფის და ინვენტარიზაციის პროცესი. თუმცა, დღეს საქართველოს იარაღის საცავების უსაფრთხოების ზუსტი შეფასება შეზღუდული ინფორმაციის გამო შეუძლებელია.
- საქართველოს სამხედრო ძალები ჩართულია იარაღის შესყიდვების მნიშვნელოვან პროცესში, რომელიც მას საშუალებას მისცემს, გაზარდოს მსუბუქი შეიარაღების რაოდენობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამხედრო ხარჯები იზრდება უფრო მეტად, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ სხვა ქვეყანაში.
- ამტკიცებენ, რომ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება სახელმწიფო უსაფრთხოების სტრუქტურების, განსაკუთრებით კი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს მიერ გარკვეულ საფრთხეს უქმნის ადამიანთა უფლებების დაცვას და საზოგადოებრივ უფრთხოებას. სახელმწიფო სტრუქტურათა მიერ იარაღის გამოყენება არ შეესაბამება საერთაშორისო სისტემაში დამკვიდრებულ გამოცდილებას, რაც ხაზგასმულია გაეროს დოკუმენტში „ძირითადი პრინციპები სამართალდამცავი სტრუქტურების ოფიციალური პირების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ“.

მსუბუქი შეიარაღების შეგროვება და განადგურება

- მართალია, საქართველოში რამდენჯერმე ჩატარდა იარაღის შეგროვების კამპანიები, მაგრამ არასათანადო აღრიცხვისა და გამჭვირვალობის გამო შეუძლებელია იარაღის ზუსტი რაოდენობის დადგენა. თუმცა, არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2006 წლის მარტის მონაცემების მიხდევით, საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე 13 750-დან 23 350-მდე ერთეული იარაღი შეგროვდა.
- მიმდინარეობს იმ უკანონო იარაღის ჩაბარების პროგრამა, რომელიც არ ყოფილა გამოყენებული დანაშაულის ჩადენის დროს, თუმცა, ჯერჯერობით წარუმატებლად.
- მზადდება გეგმები, რომლებიც ითვალისწინებს 2006-2009 წლებში მსუბუქი შეიარაღების განადგურებას. თავდაცვის სამინისტრომ უკვე ჩაატარა მსუბუქი შეიარაღების საცავების ყოვლისმომცველი აღწერა, რომლის საშუალებითაც დადგინდა არაფუნქციონირებადი და ჭარბი იარაღის რაოდენობა. თუმცა ჯერ არ არსებობს ეროვნული პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც განადგურდება ყველა ის იარაღი, რომლებიც ჩამოერთმევა ხალხს.

იარაღის საერთაშორისო გადაზიდვები კონტროლი და საზღვრის მართვა

- ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველომ ჩამოაყალიბა კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის გადაზიდვებს. ამ სფეროში ეროვნული კანონმდებლობა უკვე არეგულირებს ვაჭრობის უდიდეს ნაწილს, მათ შორის პირდაპირ იმპორტსა და ექსპორტს, ტრანზიტსა და ხელახალ გადაზიდვებს. კანონი, ასევე, მოიცავს მთელ რიგ პროგრესულ მოთხოვნებს, რომელიც

გულისხმობს საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატისა და შერჩეული საქონლის გადაზიდვების შემდგომ შემოწმებას. თუმცა, კანონში მაინც არის გარკვეული სუსტი მხარეები:

- არ არის საჭირო საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატის წარდგენა იმ გადაზიდვებისათვის, რომლებიც ხორციელდება აღიარებული სახელმწიფო სტრუქტურებისათვის. კონტრაქტების უმეტესობა არ აძლევს საშუალებას სახელმწიფო სტრუქტურებს, შეამოწმონ საბოლოო მომხმარებელი.
- საქართველოდან ხელახალი ექსპორტი შეიძლება განხორციელდეს თავდაპირველი საექსპორტო ქვეყნის ოფიციალური სააგენტოს თანხმობის გარეშეც.
- კანონმდებლობა არ არეგულირებს საბროკერო საქმიანობას.

- სახელმწიფო სააგენტოების მიერ განხორციელებული გადაზიდვის ზედამხედველობა დაბალ დონეზეა:
  - თავდაცვის სამინისტრო წარმოადგენს მთავარ მარეგულირებელ სააგენტოს სამხედრო მიზნით იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის გადაზიდვების განხორციელებისას. ის, ასევე, არის მთავარი სახელმწიფო უწყება, რომელიც ჩაბმულია ამგვარი საქონლის გადაზიდვაში;
  - სახელმწიფო სააგენტოებისა და მათზე დაქვემდევებარებული ორგანოების მიერ განხორციელებული გადაზიდვების ლიცენზირებას აღარ ახდენენ იუსტიციისა და ეკონომიკის სამინისტროები, არამედ პირდაპირ სამხედრო-ტექნიკური კომისია.

- პრეზიდენტის გადამწყვეტი როლი საქართველოს გადაზიდვების ლიცენზირების სისტემაში არ შეესაბამება ამ სფეროში ევროპულ და საერთაშორისო ნორმებს და შესაძლოა გამოიწვიოს იარაღის გადაზიდვებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის პოლიტიზირება, რაც ნამდვილად არ განაპირობებს მიუკერძოებელ და ობიექტურ კრიტერიუმებზე დამყარებულ შეფასებებს;
- გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები და პროცედურები, რომლის მიხედვითაც განიხილება იარაღის ლიცენზირების აპლიკაციები, არ არის ჩამოყალიბებული და გამოქვეყნებული;
- 2003-2006 წლებში საქართველოში იმპორტირებული მსუბუქი შეიარაღების რაოდენობამ მნიშვნელოვნად იმატა, რაც საქართველოს სამხედრო ძალების ზრდას შეესაბამება. 2003 წელს ეს რიცხვი 2.8 მილიონი აშშ დოლარი იყო, ხოლო 2004-ში – 22.9 აშშ დოლარი, თუმცა ეს მონაცემები, ასევე, მოიცავს არამსუბუქი შეიარაღების რამდენიმე ერთეულსაც;
- მსუბუქი შეიარაღების ექსპორტი 2000 წლის შემდეგ მინიმალურია, წელიწადში, დაახლოებით, 250 000 აშშ დოლარი, და, ძირითადად, მოიცავს სპორტული და სანადირო იარაღის სათადარიგო ნაწილებს.
- მთავრობის ოფიციალურ პირებს მიაჩნიათ, რომ სერიოზულ პრობლემას არ წარმოადგენს საზღვარზე მსუბუქი შეიარაღების უკანონო გადაზიდვები. თუმცა, ინფორმაციის ნაკლებობა და წარსული გამოცდილება მსუბუქი იარაღის ტრეფიკინგისა და შეიარაღებული ჯგუფების მიერ საზღვრის დარღვევის შესახებ აჩვენებს, რომ ამგვარი ტრეფიკინგი განახლდება, თუ ცეცხლსასროლ იარაღზე მოთხოვნილება გაიზრდება.
- სასაზღვრო პოლიცია დემილიტარიზაციისა და რეფორმის პროცესშია, თუმცა არ ჩატარებულა საფრთხის ანალიზი და სტრატეგიული დაგეგმვა, რომელიც ამ პროცესებს ხელს შეუწყობს. ორგანიზაციაში, ასევე, შეიმჩნევა სტანდარტული ოპერაციული პროცედურებისა და თანამშრომელთათვის სამუშაო ადგილების აღწერის უქონლობა.

გამჭვირვალობა და ზედამხედველობა

- სახელმწიფო სამინისტროებში თანდათან უმჯობესდება გამჭვირვალობა მსუბუქ შეიარაღებასთან დაკავშირებით. წინამდებარე გამოკვლევის დროს თანამშრომლობისა და გამჭვირვალობის თვალსაჩინო მაგალითი გამოავლინა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სასაზღვრო პოლიციამ და საგარეო საქმეთა სამინისტრომ. თუმცა არასაკმარისი გამჭვირვალობა შეინიშნება შემდეგ სფეროებში:
  - ანგარიშები შეიარაღების გადაზიდვაზე დანაწევრებულია და შესაძლებელია მისი გაუმჯობესება. ცნობილია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული იარაღის მაღაზიების მიერ იმპორტირებული მსუბუქი შეიარაღების რაოდენობის ოფიციალური მონაცემები, თუმცა ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის სამოქალაქო მიზნით განხორციელებული იარაღის იმპორტისა და ექსპორტის, ასევე, დაცვის

სამსახურებისათვის განხორციელებული ექსპორტის შესახებ. გარდა ამისა, საქართველო არ გზავნის რეგულარულ ანგარიშებს იარაღის საერთაშორისო გადაზიდვების შესახებ.

- □ შეზღუდულია ინფორმაცია მსუბუქი შეიარაღების მარაგების ან საცავების მოვლის სტანდარტებზე.
- □ ინფორმაცია მსუბუქი შეიარაღების საკითხებზე არ არის ხელმისაწვდომი პარლამენტარებისა და კერძო პირებისათვის. სამოქალაქო და საპარლამენტო ზედამხედველობა, ზოგადად, უსაფრთხოების, კერძოდ კი, მსუბუქი იარაღის კონტროლის მიმართ არ არის სისტემატური. მაგალითად, არ არის აუცილებელი ლიცენზირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პარლამენტისთვის ანგარიშის წარდგენა.

- მართალია, უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით მთავრობასა და მოქალაქეებს შორის შეინიშნება გარკვეული თანამშრომლობა, მაგრამ უსაფრთხოების სექტორის ზოგიერთ ნაწილში მაინც არსებობს ინფორმაციის გასაიდუმლოების პრეცედენტი, რის აღმოფხვრასაც დრო დასჭირდება.

კოორდინირება და პოლიტიკის განსაზღვრა

- სხვადასხვა სამართალდამცავი უწყების თანამშრომლებს აქვთ დიდი სურვილი იმისა, რომ გაუმჯობესდეს მათი კოორდინირება და სხვა დეპარტამენტებთან ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ, მიუხედავად შეზღუდული შესაძლებლობებისა, ეს აუცილებელია.
- ტრადიციულად დაბალ დონეზეა კოორდინირება სხვადასხვა სახელმწიფო სამინისტროებსა და სააგენტოებს შორის, რომლებმაც როგორც პოლიტიკურ, ასევე ოპერაციულ დონეზე უნდა ითანამშრომლონ საქართველოში მსუბუქი შეიარაღების პრობლემის გადასაჭრელად. დღესდღეობით არ არსებობს ყოველისმომცველი სტრუქტურა ან სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს პოლიტიკის განვითარებას, მოახდენს ამ პოლიტიკის განხორციელებაზე ზედამხედველობას და შეძლებს სხვადასხვა სამინისტროებისა და სააგენტოების მუშაობის კოორდინირებას.
- დაბალ დონეზეა ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობა შიდასახელმწიფოებრივ სამოქალაქო ლიცენზირების სისტემაში, რის შედეგადაც ფერხდება ამ სისტემის ფუნქციონირება. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სახელმწიფო იარაღის რეგისტრაციის არარსებობა.
- თავდაცვის სამინისტროზე სამხედრო-ტექნიკური კომისიის დაქვემდებარება და ამ კომისიის დაკომპლექტება თავდაცვის უწყების თანამშრომლებით შეიძლება უკან გადადგმულ ნაბიჯად ჩაითვალოს იარაღის გადაზიდვების ლიცენზირებაზე უწყებათაშორისი თანამშრომლობის თვალსაზრისით.
- დაბალ დონეზეა სასაზღვრო პოლიციის კომუნიკაცია და თანამშრომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და მთავრობის სხვა დეპარტამენტებთან. ეს განსაკუთრებით ვლინდება სასაზღვრო პოლიციისა და საბაჟოს სუსტი ურთიერთთანამშრომლობით, რომელთაც ტრადიციულად არაკოოპერატიული ურთიერთობები აქვთ.
- დღესდღეობით არ არსებობს არანაირი რეგიონალური მექანიზმი და ინიციატივა, რომელიც მთელი კავკასიის რეგიონში დაუპირისპირდება უკანონო იარაღის ტრეფიკინგს, მსუბუქი შეიარაღების გავრცელებასა და არადანიშნულებისამებრ მის გამოყენებას. თანამშრომლობის დაბალი დონე აფერხებს საქართველოს მთავრობის მცდელობებს, კონტროლი დაამყაროს იარაღის გავრცელებასა და არადანიშნულებისამებრ მის გამოყენებაზე.

1

კვლევის წინაისტორია და მეთოდოლოგია

უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე საერთაშორისო საზოგადოება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მცირე შეიარაღების გავრცელებამ შესაძლოა არასასურველი გავლენა მოახდინოს მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვაზე. მცირე შეიარაღება, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია და საექსპლოატაციოდაც საკმაოდ მარტივი, დღესდღეობით მსოფლიო კონფლიქტების უმრავლესობაში გამოიყენება. სწორედ ამ მიზეზის გამოა, რომ მრავალ პოსტკონფლიქტურ რეგიონში განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი შეიარაღებული დანაშაული კვლავაც შემაშფოთებელ ყოველდღიურობად რჩება და საფრთხის უმთავრეს წყაროდ კვლავ მცირე შეიარაღების არსებობა აღიქმება.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში წამოჭრილი შეიარაღებული კონფლიქტების მიმდინარეობისას საქართველოში დიდი რაოდენობის მცირე შეიარაღება შემოვიდა. პირველი ათწლეულის განმავლობაში, როცა ხელი მოეწერა შეთანხმებებს ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, მდგომარეობა უფრო სტაბილური გახდა და იარაღის გავრცელება თანდათანობით ნაკლებ აქტუალურ საკითხად იქცა. თუმცა, იარაღის ამოღებისა და შეიარაღების კონტროლის სფეროში ოფიციალური პირების ძალისხმევის მიუხედავად, კვლავაც არსებობს ფართოდ გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არის იარაღის საკმაოდ დიდი რაოდენობა.

არსებული საფრთხის აღმოფხვრის მიზნით ეფექტური ზომების მისაღებად საჭიროა კოორდინირებული მოქმედება ყველა დონეზე – იგულისხმება როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, ისე ეროვნული მთავრობა თუ საერთაშორისო საზოგადოება. საერთაშორისო დონეზე ყველა სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება მცირე შეიარაღების შესახებ 2001 წლის ივლისში მიღებული გაეროს პროგრამის შესასრულებლად. მცირე შეიარაღების უკანონო გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა ღონისძიებების ფართო სპექტრის განხორციელებას გულისხმობს. 2000 წლის ნოემბერში ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ფარგლებში საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მცირე შეიარაღების შესახებ დოკუმენტზე ხელმოწერით განისაზღვრა მომავალში შესასრულებელი ვალდებულებები. მცირე შეიარაღებაზე კონტროლს ასევე მზარდი მხარდაჭერა აქვს ნატოსა და ევროკავშირის მხრიდან. ამ უკანასკნელმა 2006 წლის თებერვალში მცირე შეიარაღების კონტროლის ღონისძიებების თაობაზე საკუთარი სტრატეგია გამოაქვეყნა.

ეროვნულ დონეზე მცირე შეიარაღების კონტროლის ინიციატივები უნდა მოიცავდეს საკითხთა ფართო დიაპაზონს, როგორიცაა:

- იარაღის ექსპორტის, იმპორტის და საბროკერო კანონმდებლობისა და პროცედურების გაძლიერება იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული იარაღით მოვაჭრეებისა და დამნაშავეების მიერ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების თავიანთ სასიკეთოდ გამოყენება;
- სახელმწიფო მარაგის უსაფრთხოების (მაგ. ჯარისა და პოლიციის იარაღი) გაუმჯობესება იარაღის გადინების თავიდან ასაცილებლად;

- მოქალაქეების ხელთ არსებული უკანონო იარაღის მოძიება, შეგროვება და რეგისტრირება მასზე სახელმწიფო კონტროლის უზრუნველსაყოფად;
- საზოგადოებრიობის ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით საინფორმაციო კამპანიების ჩატარება, რათა მკაფიოდ განისაზღვროს ის რისკი, რომელიც თან სდევს იარაღის უკანონო შენახვას და გამოყენებას;
- იარაღის მაღაზიებისა და მოვაჭრეების ლიცენზირებისა და მონიტორინგის ღონისძიებათა ჩატარება, რათა თავიდან იქნას აცილებული შემთხვევითი პიროვნებების ხელში იარაღის მოხვედრა და მისი ბოროტად გამოყენება.

თუმცა გატარებული ღონისძიებების წარმატება დამოკიდებულია ცალკეული რეგიონის ისტორიულ წარსულზე, თანამედროვე გარემოსა და მცირე შეიარაღებაზე კონტროლის ღონისძიებებათა იდენტიფიცირებაზე. ეს ყოველივე კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია მცირე შეიარაღების გავრცელებით გამოწვეული პრობლემების შესახებ საფუძვლიანი ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. აქედან გამომდინარე, მცირე შეიარაღებაზე კონტროლის ფართომასშტაბიანი ინიციატივების განხორციელებამდე სასურველია, სახელმწიფომ ეროვნული მასშტაბით ჩაატაროს საფუძვლიანი კვლევა ამომწურავი ინფორმაციის მოსაპოვებლად. ამ პრობლემას სათანადოდ აცნობიერებს საქართველოს მთავრობა, რომელმაც უკვე დიდი ხანია აღიარა, რომ საქართველო კვლავაც დგას მთელი რიგი გამოწვევების წინაშე მცირე შეიარაღების კონტროლის სფეროში.

2005 წლის მარტში საერთაშორისო სემინარის მსვლელობისას საქართველოს მთავრობამ დაადასტურა თავისი მზადყოფნა მცირე შეიარაღებაზე კონტროლის გაუმჯობესების მიზნით ახალი ღონისძიებების შემუშავებაზე და სცნო იმ დადებითი შედეგების მნიშვნელობა, რომელსაც მცირე შეიარაღების შესახებ ეროვნული კვლევები იძლევა[1]. წინამდებარე ნაშრომი წარმოაჩენს იმ კვლევის შედეგებს, რომლებიც 2005 წლის დეკემბრიდან 2006 წლის ივნისამდე საქართველოში ჩაატარეს „უსაფრთხო მსოფლიომ“ და კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტმა. ეს არის ამ ტიპის პირველი კვლევა, რომელიც დსთ-ს რეგიონში ჩატარდა. კვლევა, რომელიც დააფინანსა გაერთიანებული სამეფოს გლობალური კონფლიქტების პროფილაქტიკის გუნდმა, შემდეგ მიზნებს ემსახურებოდა:

- მცირე შეიარაღების ფლობის და გამოყენების გეოგრაფიული და დემოგრაფიული მოცულობის შეფასება.
- მცირე შეიარაღების ტრეფიკინგისა და ცირკულაციის ბუნების შეფასება და ხაზგასმა.
- მცირე შეიარაღების გამოყენების სოციალური და ადამიანური ზემოქმედების დადგენა.
- მცირე შეიარაღების პრობლემის მასშტაბების შეფასება სხვა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებაში.
- მცირე შეიარაღების გამოყენების კონტროლირებისათვის საჭირო ზომების დადგენა.

საქართველოში მცირე შეიარაღების გავრცელების საკითხზე კვლევა ჩატარდა იმ მეთოდოლოგის გამოყენებით, რომელიც შეიმუშავა გაეროს განვითარების პროგრამამ და შემდგომში განავითარა „უსაფრთხო მსოფლიომ“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული ანალოგიური კვლევების გამოცდილებაზე დაყრდნობით[2]. ამასთან ერთად, „უსაფრთხო მსოფლიომ“ და მშვიდობის, განვითარებისა და დემოკრატიის კავკასიურმა ინსტიტუტმა შეცვალეს მეთოდოლოგიის ზოგიერთი მიდგომა, რათა კვლევა ადგილობრივი პირობებისათვის მიესადაგებინათ. ღნიშნული მეთოდოლოგია ახსნილია ჩანართი 1-ში:

წინამდებარე ნაშრომის ავტორებმა 2005 წლის დეკემბერში[3] მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს კვლევის მეთოდოლოგია და მიზნები და კვლევის შედეგების ანალიზის პარალელურად ჩაატარეს ჩაღრმავებული ინტერვიუები სახელმწიფო მოხელეებთან კვლევის შედეგებისა და შესაძლო პოლიტიკის შემუშავების მიზნით. წინასწარი შედეგების ამსახველი დოკუმენტი წარედგინა ყველა შესაბამის სამინისტროს. საწყისი პასუხის მიღებისა და შესაბამისი ცვლილებების შეტანისთანავე დოკუმენტი წარედგინა მთავრობას დახურული მრგვალი მაგიდის შეკრებაზე თბილისში, 2006 წლის 11 მაისს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს კვლევა, უპირველეს ყოვლისა, გამიზნული იყო საქართველოს მთავრობისა და სხვა თანამდებობის პირებისადმი, ისევე როგორც საერთა-

1 უწყებათასორისი ჯგუფის ჩამოყალიბება საქართველოში მცირე შეიარაღების საკითხებთნ დაკავშირებით. მრგვლი მაგიდა ორგნიზებული სტკ-ს, საქრთველოს უსაფრთხოების საბჭოს, კვკსიის ინსტიტუტისა და შაფერნორლდ-ის მიერ მიერ, თბილისი 2005 მარტი.

2 სეიფერვორლდმა უკვე წარმართა მცირე შეიარაღების კვლევა ალბანეთში, ბულგარეთში, მოლდოვაში, კენიაში, კოსოვოში, ნამიბიაში, სერბეთში და უგანდაში.

3 საართველოს მცირე შეიარაღების კვლევის დაწყებასთან დაკავშირებული შეხვედრა, მასპინძელი ბრიტანეთის სელჩო საქართველოში, კავკასიის ინსტიტუტი და სეიფერვორლდი, თბილისი 2005 წლის დეკემბერი. გვ. 13

შორისო დონორებისა და მცირე შეიარაღების ექსპერტებისადმი (რომლებიც ითხოვენ არსებული მდგომარეობის სრულ მიმოხილვას ქვეყანაში მცირე შეიარაღების გავრცელების თაობაზე), არსებობს იმედი, რომ კვლევის შედეგები დააინტერესებს სამოქალაქო საზოგადოების ფართო წრეებს, ჟურნალისტებს, აკადემიურ წრეებსა და საზოგადოების სხვა დაინტერესებულ წევრებს. აღნიშნული კვლევის მიზანი ისიც არის, რომ დაიწყოს უფრო ფართო საკონსულტაციო პროცესი საქართველოს მთავრობას, საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, რასაც შედეგად მოჰყვება მთავრობის კოორდინირებული პასუხი მცირე შეიარაღების გამოწვევათა მიმართ.

ჩანართი 1: კვლევის მეთოდოლოგია

- ეროვნული ოჯახების კვლევა ჩატარებული ქართულ და რუსულ ენებზე თბილისში არსებული სოციალური კვლევის კომპანია „გორბის“ მიერ. კვლევა ჩატარდა თბილისის მთავრობის მიერ კონტროლირებად რეგიონებში 2005 წლის 5-20 დეკემბერს და გამოკითხული იქნა 1,300 რესპონდენტი (47% მამაკაცი, 53% ქალი). კვლევა ჩატარდა ხუთფაზიანი რანდომული შერჩევით 95%-იანი დარწმუნებით, რომ შერჩევის მაქსიმალური ცდომილება არის ±2,7.
- 50 ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპერტ-სპეციალისტებთან ინფორმაციის მოსაპოვებლად, სახელმწიფო ინსტიტუტების შესაძლებლობების, რესურსების, ოფიციალური მონაცემების, პოლიტიკის, მოქმედების, დადგენილი პრობლემების, წარსულში მიღებული გამოცდილების, მცირე შეიარაღებაზე კონტროლის მიზნით გასატარებელი შესაბამისი ზომების და ინიციატივების შესაფასებლად. ექსპერტ-სპეციალისტების ჯგუფი აერთიანებს სამთავრობო, პოლიციის, საბაჟოს თანამშრომლებს, სამხედრო ექსპერტებს, ჟურნალისტებს, პარლამენტარებს, სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საელჩოების წარმომადგენლებს.
- 14 ფოკუს-ჯგუფი თბილისში, ქუთაისში, ახალქალაქში, ზუგდიდსა და მარნეულში მცირე შეიარაღების საკითხებისა და დინამიკის მიმართ განსაკუთრებული ინტერესების მქონე სოციალური და გეოგრაფიული ჯგუფების (იძულებით გადაადგილებულ პირთა, კონფლიქტის ზონაში მცხოვრებთა, ეროვნული უმცირესობების, სამართალდამცავი ორგანოების ყოფილი თანამშრომლებისა და ქალების) დამოკიდებულების გამოსაკვლევად. ფოკუს- ჯგუფების მუშაობას წარმართავდნენ „გორბის“ წარმომადგენლები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ „უსაფრთხო მსოფლიოსა“ და კავკასიის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით.
- ამ სფეროში არსებული კვლევების (როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო), მცირე შეიარაღებასა და მასთან დაკავშირებული აქამდე გამოქვეყნებული საკითხების გადახედვა და მიმოხილვა, რომლებიც, მაგალითისათვის, მოიცავენ უკვე ჩატარებულ კვლევებს მცირე შეიარაღების, სამხედრო რეფორმის, უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა საკითხების გარშემო.
- მცირე შეიარაღებაზე კონტროლის, დანაშაულისა და სამედიცინო სტატისტიკის შესახებ არსებული ოფიციალური წყაროების (იგულისხმება სამთავრობო ინტერვიუების დროს მოწოდებული ინფორმაცია) მოძიება და განხილვა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს კვლევა, გარკვეულწილად, განიხილავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ფაქტორების ზემოქმედებას იარაღის გავრცელებასა და უსაფრთხოებაზე (ეს რეგიონები მსოფლიო საზოგადოების მიერ აღიარებულია, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი, მაგრამ არ ექვემდებარება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს), კვლევა, ძირითადად, მაინც იმ რეგიონებს ეხება, რომლებიც ოფიციალური თბილისის მიერ კონტროლდება.

ამის მიზეზია არსებული ლოგისტიკური და მეთოდოლოგიური სირთულეები, რომლებიც უკავშირდებოდა 2005-2006 წლებში ამ რეგიონებში მსგავსი კვლევების ჩატარებას. „უსაფრთხო მსოფლიოს“ გაცნობიერებული აქვს, რომ საბოლოო ჯამში საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში მსუბუქი შეიარაღების კონტროლის გაუმჯობესება მოითხოვს საფუძვლიან კვლევას მთელ რეგიონში და, ასევე, ამ საკითხში სათანადო რეგიონალურ თანამშრომლობას[4]. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ ნაშრომში გამოყენებული ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ აღნიშნავს საქართველოს ტერიტორიას, რომელსაც საქართველოს მთავრობა უწოდებს „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს“ ან „ცხინვალის რეგიონს“.

4 მატვეევას ა. და ჰისკოკის დ. მიდგომა ნაშრომში: კავკასია შეიარაღებული და დაყოფილი- მცირე შეიარაღების გვრცელება დ ჰუმნიტარული შედეგები კავკასიაში (Saferworld 2003) რომელიც მოიცავს თავებს სამხრეთ კავკასიის ყველა რეგიონზე.

2

შესავალი

შეუძლებელია საქართველოში მცირე შეიარაღების დინამიკის სრულად აღწერა, თუკი მას განვიხილავთ პოლიტიკური და სოციალური კონტექსტიდან მოწყვეტით. ეს საკმაოდ რთული ამოცანაა, თუ გავითვალისწინებთ საქართველოში უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებს, ქვეყნის რთულ პოლიტიკურ ვითარებასა და იმ გამოწვევათა სიმრავლეს, რომელთა წინაშეც კვლავ დგას საქართველოს ხელისუფლება. ნაშრომის შესავალ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია იმ ძირითად ფაქტორებზე, რომლებმაც გავლენა იქონია მცირე შეიარაღების გავრცელებაზე და გამოკვეთილია სახელმწიფოს მიერ მცირე შეიარაღების გაკონტროლების უნარი და შესაძლებლობები საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად სრული დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ. ამ ფაქტორთა უმრავლესობა მჭიდროდაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან, ამიტომ მათი იზოლირებულად განხილვა არავითარ შედეგს არ მოიტანს. შესაბამისად, ნაშრომის შესავალი სამ ქვეთავადაა დაყოფილი.

პირველი ქვეთავი მოიცავს საქართველოს ისტორიის მოკლე ქრონოლოგიას ბოლო 15-20-წლიანი მონაკვეთის მანძილზე, მიმოიხილავს იმ უმთავრეს მოვლენებს, რომლებმაც გავლენა იქონია მცირე შეიარაღების გავრცელებასა და მის კონტროლზე. ქვეთავში მოკლედაა აღწერილი 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში განვითარებული კონფლიქტები, რუსეთთან დაძაბული ურთიერთობების ისტორია, ხელისუფლების შესაძლებლობებისა და უნარების განვითარების დინამიკა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე. მეორე ქვეთავი მიმოიხილავს მოუგვარებელი კონფლიქტების ზემოქმედებას მცირე შეიარაღების საკითხებზე, როგორც ყოველდღიური კონტროლის ღონისძიებების, ასევე, საზოგადოების დამოკიდებულებისა და პოლიტიკური დებატებზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით. მესამე კი იკვლევს საქართველოს უსაფრთხოების სექტორში მიმდინარე რეფორმების მიმდინარეობას, სახელმწიფოს უნარებს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და რეფორმების განხორციელების მიზნით და კვლავაც არსებულ პრაქტიკას უსაფრთხოების სექტორში ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ.

2.1 საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ

ადრეული 90-იანი წლები: სეპარატისტული კონფლიქტები და სამოქალაქო ომი

საბჭოთა კავშირის სხვა დანარჩენ რესპუბლიკებთან შედარებით საქართველომ ყველაზე კარგად მოახერხა საკუთარი იდენტურობისა და კულტურის შენარჩუნება და როდესაც 80-იან წლებში გორბაჩოვმა იმ ტიპის რეფორმების გატარება დაიწყო, რომლებიც პოლიტიკურ სფეროში მეტი თავისუფლების გარანტიას იძლეოდა, დამოუკიდებლობის მოთხოვნამ ამ ქვეყანაში მეტი აქტუალობა შეიძინა. 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ ერთპიროვნული დამოუკიდელობა გამოაცხადა, ერთი თვის შემდგომ კი ზვიად გამსახურდია, ცნობილი დისიდენტი და მწერალი, ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს. თუმცა გამსახურდიას მმართველობის ავტორიტარულმა და მცდარმა სტილმა არაერთი ძლიერი მტერი გამოააშკარავა და მისი პრეზიდენტად არჩევიდან რამდენიმე თვესაც არ გაევლო, რომ საქართველოში სხვადასხვა შეიარაღებული ფრაქცია ამოქმედდა. 1991 წლის დეკემბრისათვის გამსახურდია ჩამოაგდეს სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, რომელსაც სათავეში ედგა „მხედრიონად“ წოდებული შეიარაღებული შენაერთი. Gსახელმწიფო გადატრიალების მოთავეებმა შექმნეს სამხედ-

რო საბჭო, შემდგომში სახელმწიფო საბჭოდ სახელდებული, რომელმაც ქვეყნის მმართველობის სადავეები აიღო ხელში. სახელმწიფო საბჭოს ლიდერი გახდა ედუარდ შევარდნაძე, რომელიც საბჭოთა კავშირის ფორმალური დაშლის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. პრეზიდენტის ინსტიტუტი ოფიციალურად აღდგა 1995 წელს, რასაც პრეზიდენტის პოსტზე შევარდნაძის არჩევა მოჰყვა.

გამსახურდია და მისი მხარდამჭერები რამდენჯერმე შეეცადნენ ქვეყანაში თავიანთი ძალაუფლების აღდგენას. ამ მცდელობათა შორის ყველაზე სერიოზული 1993 წლის სექტემბრის მოვლენები იყო, როდესაც აფხაზეთში შექმნილი ქაოსის ფონზე გამსახურდია საქართველოში დაბრუნდა, რასაც შედეგად მოჰყვა სამოქალაქო დაპირისპირება. დევნილობაში მყოფმა ყოფილმა პრეზიდენტმა ქალაქ ზუგდიდში სწრაფად აღადგინა თავისი ხელისუფლება, თუმცა მისი ყოველგვარი მცდელობა, დაებრუნებინა დაკარგული ძალაუფლება, რუსეთის მხარდაჭერით დამარცხდა, ხოლო თავად გამსახურდია რამდენიმე ხნის შემდეგ გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.

იმ პერიოდში, როდესაც საქართველო დამოუკიდებლობისკენ ისწრაფვოდა, დაიწყო ძალისმიერი დაპირისპირება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის გამო. ეს ოლქი იყო ერთ-ერთი საბჭოთა კავშირის ფარგლებში შემავალი ოსეთის ორი ოლქიდან, მეორე კი – კავკასიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ჩრდილოეთ ოსეთი – რუსეთის ფედერაციის ნაწილს წარმოადგენდა. გასული საუკუნის 80-იან წლებში, გამსახურდიას პოლიტიკური აღმასვლის პერიოდში, სამხრეთ ოსეთი დააფრთხო ამ ლიდერის ნაციონალისტურმა რიტორიკამ და წამოიჭრა დავა ჯერ ენის, ხოლო შემდგომ სამხრეთ ოსეთის უზენაეს საბჭოში (პარლამენტში) არჩევნების თაობაზე. 1991 წლისათვის სიტყვიერი დავა ძალადობაში გადაიზარდა და გაგრძელდა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების დადებამდე, რომელსაც 1992 წლის ივლისში რუსეთის ქალაქ სოჭში ედუარდ შევარდნაძემ მოაწერა ხელი (დაგომისის ხელშეკრულება). ამ დროისათვის, კონფლიქტის შედეგად 2000 ადამიანი დაიღუპა, 50 000-მა კი იძულებით გადაადგილებულის სტატუსი მიიღო.

დამოუკიდებლობის მიღწევისთანავე თბილისმა მსგავსი გამოწვევა ქვეყნის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში, აფხაზეთისგანაც მიიღო. საბჭოთა კავშირის არსებობის ადრეულ წლებში აფხაზეთი საქართველოსთან ურთიერთობისას უფრო თანასწორი უფლებებით სარგებლობდა, ვიდრე 1930 წლის ტერიტორიული გადანაცვლების დროს არ მოხდა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით მისი საქართველოს შემადგენლობაში ინტეგრირება. როდესაც 1992 წელს აფხაზეთმა უფრო ფართო ავტონომიის მოთხოვნა წამოაყენა, თბილისმა, იმის შიშით, რომ ამას შემდგომში დამოუკიდებლობის მოთხოვნაც მოჰყვებოდა, რეგიონში ჯარი გაგზავნა. ჩრდილო კავკასიელი მოხალისეების მხარდაჭერით აფხაზურმა ძალებმა წარმატებული საპასუხო შეტევა წამოიწყეს სამთავრობო ძალების წინააღმდეგ და 1993 წლის სექტემბერში მოახერხეს მათი აფხაზეთიდან გამოდევნა. სტატისტიკური მონაცემებით ცნობილი გახდა, რომ ცეცხლის შეწყვეტის მომენტისათვის რამდენიმე ათასი ადამიანი დაიღუპა, 300 000 კი, ანუ აფხაზეთის თითქმის მთელი ქართული მოსახლეობა, იძულებით გადაადგილებულად იქცა.

იმავდროულად, ასლან აბაშიძემ, საქართველოს კიდევ ერთი ავტონომიური რეგიონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველმა, ისარგებლა არსებული ქაოსით და ცენტრალური ხელისუფლებისგან საკმაოდ სერიოზულ დამოუკიდებლობას მიაღწია. საქართველოს სახელმწიფო სამინისტროების ადგილობრივი ფილიალები უარს ამბობდნენ, თბილისს დაქვემდებარებოდნენ და მხოლოდ ასლან აბაშიძის ადმინიტრაციის სუბორდინაციის ქვეშ ფუნქციონირებდნენ. შესაბამისად, 1990-იანი წლების შუახანებში თბილისი ვეღარ ახორციელებდა სრულ კონტროლს აჭარაზე, ხოლო აჭარის საზღვრებიც თითქმის დახურული იყო საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჩამოსულთათვის.

სწორედ ამ უიმედო სიტუაციაში საქართველოში დაიწყო დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება. შეიარაღებული თუ პოლიციური ძალების შექმნა მთელ რიგ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. ჯერ ერთი, დიდი დავიდარაბა მოჰყვა საბჭოთა მძიმე თუ მსუბუქი შეიარაღების უდიდესი მარაგის საკუთრების საკითხს, რომელიც ჯერ კიდევ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში იყო განლაგებული. შეიარაღების გარკვეული ნაწილი რუსეთში გაიტანეს, ნაწილი კი საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ოთხი რუსული სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე ინახებოდა. დანარჩენი შეიარაღება მთელი რიგი მოლაპარაკებების შედეგად საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე სახელმწიფოებზე გადანაწილდა. მიუხედავად ამისა, შეიარაღების გარკვეული ოდენობა სახელმწიფო საცავებიდან მაინც დაიკარგა – ხშირ შემთხვევაში ძარცვის იმიტირების გზით – და რეგიონში აქტიურად მოქმედი გასამხედროებული ჯგუფების ხელში აღმოჩნდა. მეორეც, ოფიციალურ პირებს უნდა გარკვეული ურთიერთობები დაემყარებინათ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ არაოფიციალურ გასამხედროებულ ჯგუფებთან, კერძოდ, უნდა გადაეწყვიტათ, მომხდარიყო მათი ინტეგრირება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში (და პოლიციაში), თუ უნდა დაწყებულიყო მათი განიარაღების პროცესი. მესამეც, საქართველოსგან მოითხოვდნენ ძველი საბჭოთა სამინისტროების ადგილობრივი ფილიალების საფუძველზე ახალი სამინისტრო-

ების შექმნას. როგორც წესი, ამ ადგილობრივ ფილიალებს აკლდათ როგორც გამოცდილება, ისე რესურსები იმისათვის, რათა დამოუკიდებლად ემოქმედათ, რადგან ისინი თავდაპირველად, საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში, ფუნქციონირებდნენ, როგორც მოსკოვის პოლიტიკის გამტარებელი აღმასრულებელი სააგენტოები. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ საქართველოში არსებული სამთავრობო ფილიალების უდიდესი ნაწილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მხოლოდ ნომინალურად, ან საერთოდ არ ექვემდებარებოდა სახელმწიფო კონტროლს.

1995 წლიდან 2003 წლამდე: სტაბილურობა და სტაგნაცია

1995 წლისათვის საქართველოს თანდათანობით დაუბრუნდა სტაბილურობის მყიფე შეგრძნება. გადაუჭრელი კონფლიქტების მიუხედავად, ცეცხლის შეწყვეტის გადაწყვეტილება შენარჩუნდა როგორც აფხაზეთში, ასევე, სამხრეთ ოსეთში. შევარდნაძის მთავრობამ გაილაშქრა არაფორმალური გასამხედროებული დაჯგუფებების (მათ შორის მხედრიონის) წინააღმდეგ და შეძლო ქვეყნის უმეტეს ნაწილში გარკვეულწილად აღედგინა უსაფრთხოების შეგრძნება. საპრეზიდენტო არჩევნებით ქვეყანაში დემოკრატიული განვითარების საფუძვლები გაჩნდა, რომლის შემდგომი განვითარებისათვის ორიენტირად დასავლური კურსი შეირჩა.

მიუხედავად ამისა, მთელი რიგი ფაქტორების გამო მოსახლეობის დიდი ნაწილი არასტაბილურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქართველოს ეკონომიკა 1991 წლის შემდეგ საგრძნობლად დაეცა, ქვეყნის მასშტაბით სულ მცირე 350 000 იძულებით გადაადგილებული პირი იყო მიმოფანტული, მსოფლიოს მიერ ოფიციალურად აღიარებული ტერიტორიის გარკვეული რეგიონები კი კვლავაც ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის მიღმა ფუნქციონირებდნენ. ამასთან ერთად, საქართველოს უშიშროება და სამართალდამცავი აპარატი კვლავ განიცდიდნენ რესურსების მძაფრ ნაკლებობას, რეფორმების საჭიროებას და კორუფციის ზეწოლას, რის შედეგადაც საქართველოს მოსახლეობისთვის მიუწვდომელი იყო უსაფრთხოების ელემენტარული გარანტიები. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლება ვერ ახერხებდა ძალაუფლების გავრცელებას მის დაქვემდებარებაში მყოფ მთელ ტერიტორიაზე. ეს გარემოება განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სიახლოვეს მდებარე რეგიონებში და ქვეყნის მაღალმთიან რაიონებში, განსაკუთრებით – მის ჩრდილოეთ ნაწილში.

ეკონომიკური და ფიზიკური დაუცველობის შედეგად საქართველოს მოსახლეობამ შეთხელება იწყო. უამრავმა ახალგაზრდა და ნიჭიერმა ადამიანმა სამუშაოს საძებნელად საზღვარგარეთის ან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს მიაშურა.

დასავლეთმა, თავის მხრივ (განსაკუთრებით კი აშშ-მ), საქართველოს საკმაოდ დიდი რაოდენობის დახმარება გამოუყო, რაც განპირობებული იყო ქვეყნის პროდასავლური კურსითა და შევარდნაძის მიმართ კეთილგანწყობით, რომელსაც გორბაჩოვის მმართველობის პერიოდში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეჭირა. ამ პერიოდში განსაკუთრებული აქცენტი დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაზე, მათ შორის ახლად ამოქმედებულ სამოქალაქო საზოგადოებაზე, კეთდებოდა. 1994 წელს ხელმოწერილი შეთანხმება, რომელიც ბაქოდან (აზერბაიჯანი), ანუ კასპიის ზღვიდან, საქართველოს გავლით თურქეთის შავიზღვისპირა ჯეიჰანში ნავთობსადენის გაყვანას ითვალისწინებდა, ასევე, ზრდიდა საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას.

მიუხედავად ზემოთქმულისა, მეორე ათასწლეულის დასაწყისში კორუფციის შედეგად საქართველოში რეფორმა საგრძნობლად შეყოვნდა (რაც ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ჯერ კიდევ მყარად ფესვგამდგარი საბჭოური ფსიქოლოგიის შედეგად უნდა აიხსნას), არსებული კორუფციული სისტემის მთავარ ხელშემწყობებად კი შევარდნაძე და მისი ამალა მიიჩნეოდნენ. ეს ენდემური კორუფცია იმაზე მიუთითებდა, რომ სახელმწიფოს გასაძლიერებლად ძალზე მცირე ძალისხმევას მიმართავდნენ და რეფორმები ან მთლიანად ფერხდებოდა, ან საგრძნობ ცვლილებებს განიცდიდა საკვანძო თანამდებობებზე მყოფ ოფიციალურ პირებზე „მოსარგებად“.

რუსეთთან ურთიერთობები, რომლებიც დიდი გულითადობით არასოდეს გამოირჩეოდა, კიდევ უფრო გაუარესდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ბრალი დასდეს პანკისის ხეობაში ჩეჩენი სეპარატიტების, ტერორისტებისა და კონფლიქტის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული პირების შეფარებაში. პანკისის ხეობა ჩრდილოეთ კავკასიის ერთი მცირე რეგიონია ჩეჩნეთის საზღვართან, რომელიც, ძირითადად, ჩეჩნების მონათესავე ქისტებით არის დასახლებული. საქართველოს ხელისუფლება სათანადოდ არ პასუხობდა ამ ბრალდებებზე, მას შემდეგ, რაც 2002 წელს რუსეთმა საჰაერო დარტყმები წამოიწყო და ხეობაში ერთპიროვნული სამხედრო მოქმედებების დაწყების შესაძლებლობაზე ალაპარაკდა. მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსული სამხედრო ბაზების გარშემო წამოჭრილი დავის დაწყებისთანავე. 1999 წლის ეუთოს სტამბულის სამიტზე რუსეთმა

იკისრა ვალდებულება, დაეხურა ვაზიანსა და გუდაუთაში განლაგებული ბაზები, ხოლო კიდევ ორი ბაზის – ბათუმისა და ახალქალაქის – დახურვის თაობაზე შეთანხმებაც კი იქნა მიღწეული. მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების მეტნაკლებად შესრულებით გუდაუთისა და ვაზიანის ბაზები დაიხურა, ბათუმისა და ახალქალაქის ბაზების საკითხი კვლავ გადაუჭრელი რჩებოდა, რის გამოც საქართველო რუსეთს დროის გაჭიანურების ტაქტიკაში ადანაშაულებდა. საქართველო, აგრეთვე, დაჟინებით აცხადებდა, რომ ეს ორი ბაზა ქვეყნის უშიშროებისთვის საკმაო საფრთხეს და რეგიონში იარაღის გავრცელების წყაროს წარმოადგენდა.

როგორც ევროპის კავშირი, ასევე აშშ სკეპტიკურად უყურებდნენ საქართველოში მიმდინარე რეფორმებს. დასავლეთის მოქალაქეების გატაცების არაერთი შემთხვევის საპასუხოდ ევროკავშირსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის ურთიერთობა გაუარესდა, რასაც შედეგად მოჰყვა ევროკავშირის მიერ საქართველოს დახმარების რესტრუქტურიზაცია. შესაბამისად, შეიცვალა ქვეყნის სტრატეგიის 2002-2006 წლების გეგმა, ანუ საქართველოს დახმარების სტრატეგიული ჩარჩო. ევროკავშირის მსგავსად, აშშ-საც გაუცრუვდა იმედები საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობის საქმეში, ამიტომ გამოყოფილი დახმარების დიდი ნაწილი სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშესაწყობად გადაიტანა.

2003 წლიდან დღემდე: ვარდების რევოლუცია და სააკაშვილის ხელისუფლება

უნდა ითქვას, რომ სწორედ სტაგნაციისა და უიმედობის მდგომარეობა იქცა იმ მოვლენების კატალიზატორად, რომლებიც მსოფლიოში ვარდების რევოლუციის სახელით გახდა ცნობილი. იმ მოტივით, რომ 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნები ხელისუფლებამ გააყალბა შევარდნაძის პარტიის – მოქალაქეთა კავშირისათვის – ხმების უმრავლესობის მოსაპოვებლად, ოპოზიციური დაჯგუფებები პროტესტის ნიშნად თბილისის ქუჩებში გამოვიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა პროტესტის შესარბილებლად შევარდნაძის მხრიდან ძალის გამოყენების საშიშროება, ოპოზიციური მოძრაობა არ შენელებულა. როდესაც შევარდნაძემ 22 ნოემბერს ახალი პარლამენტის შეკრება სცადა, ხალხის მასა, მიხეილ სააკაშვილის წინამძღოლობით, რომელსაც ხელთ წითელი ვარდი ეპყრა, პარლამენტის შენობაში შეიჭრა. მეორე დღეს შევარდნაძის რეჟიმი ერთი გასროლის გარეშე დასრულდა. სააკაშვილი ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით (95 %) 2004 წლის იანვარში საქართველოს პრეზიდენტად აირჩიეს, ხოლო 2004 წლის 28 მარტს მისმა ნაციონალურმა მოძრაობამ – დემოკრატიულმა პარტიამ – განმეორებით საპარლამენტო არჩევნებზე ადგილების უმრავლესობა მოიპოვა.

სააკაშვილის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ქვეყნის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი იყო ევროატლანტიკური ინტეგრაცია და რომ მის უპირველეს მიზნებს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება წარმოადგენდა. ამ მიზნის მისაღწევად ახალმა ხელისუფლებამ მთელი რიგი სწრაფად მიმდინარე რეფორმები წამოიწყო სამოქალაქო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში: ეკონომიკითა და განათლების სისტემით დაწყებული და სამხედრო რეფორმით დამთავრებული (ამ რეფორმების მიმდინარეობა დეტალურად იქნება განხილული წინამდებარე ნაშრომის შემდგომ ნაწილში).

მეორე ძირითად პრიორიტეტად ახალმა მთავრობამ ქვეყნის ხელახალი გაერთიანება დასახა. ამ თვალსაზრისით პირველ „სამიზნედ“ აჭარა იქცა, რომელსაც ასლან აბაშიძე კვლავ ერთპიროვნულად მართავდა. იმავე ტაქტიკის გამოყენებით, რომელმაც ვარდების რევოლუცია წარმატებით დააგვირგვინა, სააკაშვილის ხელისუფლებამ აჭარის დედაქალაქ ბათუმში სახალხო პროტესტის ტალღა ააგორა. ამის საპასუხოდ აბაშიძემ აჭარის საზღვრები დახურა და თავის მომხრეებს იარაღი დაურიგა, რითაც კიდევ ერთხელ შეიქმნა შეიარაღებული დაპირისპირების საფრთხე, რომელიც კიდევ უფრო გაიზარდა აჭარის რეგიონსა და ქვეყნის დანარჩენ ნაწილს შორის არსებული უმთავრესი ხიდის აფეთქების შემდეგ. თუმცა ამ ქმედებამ მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია და მაისის შუა რიცხვებისათვის აბაშიძემ ქვეყანა დატოვა, რასაც მოჰყვა ცენტრალური კონტროლის დაქვემდებარებაში აჭარის რეგიონის დაბრუნება.

2004 წლის ზაფხულში ოფიციალური თბილისი შეეცადა იგივე ტაქტიკა სამხრეთ ოსეთშიც გამოეყენებინა. მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული დახმარებისა და ძლიერი პოლიტიკური ზემოქმედების შედეგად, რომელიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი ლიდერების არაპოპულარული რაკურსით წარმოჩენას, თბილისი შეეცადა ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ მოსახლეობის პროტესტი გამოეწვია. ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა იმ საერთო უნდობლობის ფონზე, რომელიც, საზოგადოდ, გადაუჭრელ კონფლიქტებს სდევს ხოლმე თან და ძალიან მალე ქართული ხელისუფლების საწინააღმდეგოდ შემოტრიალდა. რეგიონში ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების პოლიციური ძალების, კერძოდ კი, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი კონტინგენტის ზრდამ ბიძგი მისცა ახალ დაძაბულობას, რომელსაც ღამღამობით კონფლიქტის ზონაში ქართულ და ოსურ სოფლებს შორის ცეცხლსასროლი იარაღით

დაპირისპირება მოჰყვა. ეს დაძაბულობა 2004 წლის აგვისტოს ბოლოსთვის თანდათან ჩაცხრა, თუმცა მას რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

აღნიშნული მოვლენების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ და პარლამენტმა კიდევ რამდენჯერმე სცადეს თავიანთი მიზნისთვის აგრესიული დიპლომატიის მეშვეობით მიეღწიათ. ამ მცდელობამ შედეგი 2005 წლის მაისისათვის გამოიღო, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მთელ რიგ ღონისძიებებს მიმართა რუსეთზე ზემოქმედების მისაღწევად, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი რუსული ბაზების საბოლოოდ დასახურად. რუსეთი არსებული ბაზების დახურვაზე 2008 წლისათვის დათანხმდა.

2006 წლის თებერვალში პარლამენტმა მსგავს ტაქტიკას სამხრეთ ოსეთში დისლოცირებულ სამშვიდობო ჯარებთან დაკავშირებითაც მიმართა და მიიღო რეზოლუცია, რომელმაც შეაფერხა მშვიდობისმყოფელთა ჩვეული ოპერაციების გაგრძელება. საქართველოს ხელისუფლებამ მკაფიოდ განაცხადა, რომ არსებული სიტუაცია, როცა კონფლიქტის ზონის რეგულირება მიმდინარეობს ოთხმხრივი გაერთიანებული სამშვიდობო ძალების მიერ (კერძოდ, სამხრეთ ოსეთის, ჩრდილო ოსეთის, რუსეთისა და საქართველოს სამხედროების მეშვეობით), სრულიად არაეფექტურია. ქართულმა მხარემ სამშვიდობო მოლაპარაკებების ფორმატს არაობიექტური უწოდა და დაბეჯითებით მოითხოვა სამშვიდობო მოლაპარაკებებში ევროკავშირისა და აშშ-ს მონაწილეობის გააქტიურება (როგორც ეს 2005 წელს მოლდოვასა და დნესტრისპირეთის კონფლიქტის დარეგულირების შემთხვევაში მოხდა). სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის ოფიციალურმა პირებმა კატეგორიულად უარყვეს ეს მოთხოვნები და განაცხადეს, რომ სამშვიდობო ფორმატის ნებისმიერი ცვლილება რეგიონში დესტაბილიზაციას გამოიწვევდა.

სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დაწყებულმა პროცესმა აიძულა ევროკავშირი, გადაეფასებინა თავისი პოლიტიკა, კერძოდ კი, მონაწილეობა მიეღო სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესებში. ევროკავშირმა შეცვალა თავისი გადაწყვეტილება საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ევროპული სამეზობლოს პოლიტიკის მიღმა დატოვების შესახებ და 2004 წლის 14 ივნისს მიიწვია ეს ქვეყნები სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილეობისათვის. ევროკავშირი და საქართველო ამჟამად ჩართულნი არიან ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. სამეზობლო პოლიტიკა თავისდათავად არ წარმოადგენს საფეხურს ევროკავშირის წევრობისაკენ, თუმცა ითვალისწინებს გარკვეულ საკვანძო სფეროებში (მათ შორის უსაფრთხოების საკითხებშიც) ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობას. დღესდღეობით ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთთანამშრომლობა კვლავაც ეფუძნება სტრატეგიული დოკუმენტის[5] ფარგლებში ქვეყნისთვის დახმარების გაწევას და სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენლის, პიტერ სემნების მოღვაწეობას[6]. აშშ-მ, ასევე, გააძლიერა თანამშრომლობა საქართველოსთან, განსაკუთრებით ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ფარგლებში. პროგრამა მიმართულია უმთავრესი ინფრასტრუქტურების პროექტების განხორციელებისა და კერძო სექტორის მხარდაჭერისკენ. 2005 წლის ზაფხულში საქართველოსთან შეთანხმებული იქნა 295 მილიონი დოლარის ღირებულების ხუთწლიანი პროგრამა.

2.2 გადაუჭრელი კონფლიქტების გავლენა

გავლენა მცირე შეიარაღების კონტროლის პრაქტიკულ ღონისძიებებზე

საქართველოში არსებული გადაუჭრელი კონფლიქტები სხვადასხვა კუთხით ახდენს გავლენას მცირე შეიარაღებაზე კონტროლის ღონისძიებებზე. უპირველეს ყოვლისა, აშკარაა, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ ახორციელებს კონტროლს იმ გეოგრაფიულ არეალზე, რომელიც საერთაშორისოდ აღიარებულია, როგორც საქართველოს ტერიტორიის ნაწილი. რადგანაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არც ერთი ქვეყანა არ ცნობს, ეს რეგიონები, საქართველოსგან განსხვავებით, არავითარი ვალდებულებით არ არიან შებოჭილნი, მხედველობაში გვაქვს რეგიონალური, საერთაშორისო, საკანონმდებლო თუ პოლიტიკური სფერო. საქართველო კი ტექნიკურად პასუხისმგებელია ამ რეგიონებში შეიარაღების კონტროლის განხორციელებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ვალდებულებები, პრაქტიკულად, შეუსრულებელია.

გარდა ამისა, საქრთველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს თავისი ჩრდილოეთის საზღვრების მნიშვნელოვან მონაკვეთებს (რუსეთთან): სამხრეთ ოსეთთან მდებარე საზღვრის მთელ მონაკვეთსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე გამავალი საზღვრის უდიდეს ნაწილს აკონტროლებენ ადგილობრივი ძალები. რადგანაც საქართველოს ხელი-

5 http://europa eu.int/comm/externl-relations/georgia-csp-6.pdf> მიმართეს 2006 წლის მრტში.

6 სემნებიმ შეცვალა ჰეიკი ტალვიტე 2006 წლის თებერვალში. დინიშნა პირველ ე.კ.პირველ წრმომადგენლდ რეგიონში 2003 წლის ივლისში საბჭოს დასახმარებლად ყოვლისმომცველი პოლიტიკის შემუშვებაშისამხრეთ კვკსიაში კონფლიქტის აღმოფხვრისა და მისი მოგვარების დასახმარებლად რეგიონში.

სუფლება არ მიიჩნევს სახელმწიფო საზღვრად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან გამავალ საზღვრებს, არსებობს პერფორირებული საზღვარი, რომელზეც ხელისუფლება სრულ კონტროლს ვერ ახორციელებს. ამ მდგომარეობას სამხრეთ ოსეთისკენ მიმავალ გზაზე ანეიტრალებენ საქართველოს საბაჟოს ოფიციალური პირები.

მესამეც, თბილისის კონტროლი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსაზღვრე რეგიონებზე საკმაოდ შეზღუდულია. ეს განსაკუთრებით ეხება „დემილიტარიზებულ ზონას“, რომელიც აფხაზეთის შიდა საზღვარს მიჰყვება და მოიცავს ზუგდიდის რეგიონს მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან და გალის რეგიონს აფხაზეთის მხრიდან. დემილიტარიზებული ზონა შეიქმნა 1994 წლის „მოსკოვის შეთანხმება“[7], რომლის მონიტორინგსაც ახორციელებენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მშვიდობისმყოფელთა ძალები, ხოლო გაეროს დამკვირვებელთა მისია მონიტორინგს უწევს როგორც „მოსკოვის შეთანხმების“ შესრულებას, ასევე მშვიდობისმყოფელთა აქტივობებს.

და ბოლოს, საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ ტერიტორიაზე მრავალი აქტიორი ახორციელებს პირდაპირ კონტროლს მცირე შეიარაღებაზე. ეს ძალები აერთიანებენ შემდეგ ინსტიტუტებს:

- საქართველოს ხელისუფლება;
- სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის არაღიარებული ხელისუფლებები;
- სამხრეთ ოსეთის ერთობლივი საკონტროლო კომისია;
- სამხრეთ ოსეთის ერთობლივი მშვიდობისმყოფელი ძალები;
- ეუთოს მისია საქართველოში;
- დსთს სამშვიდობო ძალები აფხაზეთში;
- გაეროს დამკვირვებელთა მისია საქართველოში;
- საქართველოში ჯერ კიდევ არსებული რუსული ბაზები (ახალქალაქსა და ბათუმში).

აქტიორების ეს ფართო სპექტრი, რომლის დიდ ნაწილსაც საკუთარი პოლიტიკა და უსაფრთხოების პრიორიტეტები გააჩნია, სერიოზულ სირთულეებს ქმნის თანამშრომლობისა და კოორდინაციის თვალსაზრისით, თუნდაც პოლიციურ საკითხებში, რომელსაც შეზღუდული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

გადაუჭრელი კონფლიქტების ზეგავლენა პოლიტიკასა და მისდამი დამოკიდებულებაზე

გადაუჭრელი კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მძიმე ტვირთად აწევს საქართველოს პოლიტიკას. გასაგებია, რომ ისინი ემოციური თვალსაზრისით მტკივნეულად აისახება ამ ამაყი ერის ფსიქიკაზე და ფრუსტრაციისა და უბედურების ძირითად მიზეზს წარმოადგენს. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში სწორედ ეს პრობლემები მოიაზრება საქართველოს სიღატაკისა და დასუსტების ძირითად მიზეზად და უახლოეს მომავალში მატერიალური კეთილდღეობისა და სტაბილურობის მიღწევის გზაზე აღმოცენებულ ერთ-ერთ მთავარ წინააღობად. ამ პრობლემების გამოა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ათასობით იძულებით გადაადგილებული პირია მიმოაბნეული, რომლებიც იმედოვნებენ, რომ ოდესმე მაინც დაუბრუნდებიან თავიანთ მიტოვებულ სახლ-კარს. ბუნებრივია, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები ქვეყნის არასტაბილურობის მუდმივ მიზეზსაც წარმოადგენს, რადგან ყველასათვის ცხადია, რომ ისინი არ ითვლება გაყინულად და ნებისმიერ დროს ადვილად შეიძლება იფეთქოს; ამავე დროს, ისიც აშკარაა, რომ ამ კონფლიქტთა ძალისმიერი გზით მოგვარების ნებისმიერი მცდელობა რეფორმების პროცესს თავდაყირა დააყენებს. ქართველები უგელებელყოფენ რუსეთთან ურთიერთობას, რადგანაც ბევრ მათგანს მიაჩნია, რომ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი ვერ იარსებებდნენ რუსეთის ეკონომიკური და სამხედრო მხარდაჭერის გარეშე. შორიდან მაყურებელ ადამიანს ექმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველო კონფლიქტებით დამძიმებული და ათასგვარი საფრთხით აღსავსე ქვეყანაა, შესაბამისად, შეუფერებელი ინვესტიციებისა და ტურიზმის განვითარებისათვის. კონფლიქტები, ასევე, უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს ქვეყნის ნატოში და/ან ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე. ამ საკითხების გადაწყვეტის მუდმივი საჭიროება ხელისუფლებისგან დიდ დროსა და რესურსებს მოითხოვს, რომლებიც სხვა ვითარებაში ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარებას დაეთმობოდა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით აშკარაა, რომ ყველაფერი, რაც კონფლიქტებს შეეხება, უაღრესად პოლიტიზირებულ და ემოციურ სახეს იღებს და ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არც მცირე შეიარაღების გავრცელება წარმოადგენს.

7 დეკლარაცია საქართველო-აფხზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების ღონისძიებებზე (1994 4 აპრილი); ოთხმხრივი შეთანხმება ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა ნებაყოფილობით დაბრუნებაზე(1994, 4 ააპრილი) შეთხმება ცეცხლის შეწყვეტასა და შეიარღებულ ძალათა დაშორებაზე (1994, 4 აპრილი).

ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან აღნიშნული კონფლიქტების მიმდინარეობისას დაპირისპირებულ მხარეებს შორის ბრძოლა სწორედ მცირე შეიარაღების გამოყენებით მიმდინარეობდა. ამის გამო, ალბათ ყოველთვის იარსებებს ცდუნება, საქართველოში მცირე შეიარაღების გავრცელების საკითხი გადაუჭრელ კონფლიქტებს დაუკავშირდეს და ამ დიდი პრობლემის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად იქნას მოაზრებული. შესაბამისად, განმტკიცდება აზრი, რომ მშვიდობის დამყარებამდე მცირე შეიარაღების კონტროლის საქმეში ბევრი ვერაფერი შეიცვლება.

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა არ იძლევა მცირე შეიარაღებაზე კონტროლის გაუმჯობესების შესაძლებლობას არც ცალმხრივად და არც საქართველოსა და სეპარატისტულ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის გზით. თანამშრომლობის მცდელობამ შეიძლება მიგვიყვანოს მხარეთა შორის ნდობის ამაღლების ღონისძიებებამდე, როგორიცაა, ვთქვათ, კონფლიქტის ზონაში იარაღის შეტანის აკრძალვა. ცალმხრივ ზომებს კი შესაძლოა პირდაპირი კავშირი ჰქონდეს კონფლიქტის დინამიკასთან, როგორიცაა, მაგალითად, იარაღის მარაგთა შენახვის უსაფრთხოების ამაღლება ან იარაღის შესახებ კანონმდებლობის გამკაცრება. თუმცა, ასევე, არსებობს იმის საშიშროებაც, რომ შემოთავაზებული „ტექნიკური“ ან „აპოლიტიკური“ ტიპის ღონისძიებები რეგიონში კონფლიქტის დინამიკისათვის პოტენციური საფრთხის მატარებელნი იქნება. ამიტომ, იმედია, რომ წარმოდგენილი კვლევა თავისთავად წამოჭრის საკითხს (რომელიც მომავალში უთუოდ ფართო განხილვის საგანი გახდება), თუ არსებული ვითარებიდან გამომდინარე, რა ღონისძიებებია უფრო შესაფერისი საქართველოში მცირე შეიარაღებაზე კონტროლის განსახორციელებლად და, ამასთან ერთად, რამდენად აუცილებელია კონფლიქტების ანალიზი მანამ, ვიდრე მცირე შეიარაღების კონკრეტული ინიციატივები არ განხორციელდება.

2.3 შესაძლებლობები და რეფორმა

ინსტიტუციური შესაძლებლობები

დასავლური სტანდარტებთან შედარებით ძალზე დაბალია საქართველოს სახელმწიფო სააგენტოებისა და სამინისტროების შესაძლებლობები როგორც მათი ძირითადი ფუნქციების შესრულების, ისე პოლიტიკის ფორმულირებისა და ცხოვრებაში მისი გატარების თვალსაზრისით, თუმცა სააკაშვილის ხელისუფლებამ, ერთი შეხედვით, გარკვეულ პროგრესს მიაღწია აღნიშნული სისტემის გაუმჯობესების საქმეში. ამგვარი ინსტიტუციური სისუსტის მიზეზთა დიდი ნაწილი ზემოთ უკვე მიმოვიხილეთ, მაგრამ მათი მოკლედ შეხსენება აქაც საჭიროა.

- დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველოს დასჭირდა მთელი რიგი სახელმწიფო ინსტიტუციების ჩამოყალიბება – ზოგიერთის ახლიდან, ზოგიერთის კი – საბჭოთა სამინისტროების ფილიალთა საფუძველზე, რომლებიც მოსკოვიდან მოწოდებული ინსტრუქციების თანახმად მოქმედებას იყვნენ ჩვეულნი. არადა ამ ინსტიტუციების ჩამოსაყალიბებლად ქვეყანას ძალზე მწირი ადამიანური, ფინანსური თუ ტექნიკური რესურსები გააჩნდა.
- ამ პროცესს მეტად ართულებდა ის ფაქტიც, რომ დროის ძალზე მცირე მონაკვეთში საქართველო ორი სეპარატისტული კონფლიქტის, სამოქალაქო ომის, აჭარის დე ფაქტო დაკარგვისა და ქვეყანაში მიმდინარე ზოგადი პოლიტიკური დეზინტეგრაციის წინაშე აღმოჩნდა.
- ყოველივე ზემოთქმული კი ეკონომიკურმა კოლაფსმა „დააგვირგვინა“. საქართველოს ერთიანი ეროვნული პროდუქტი 1990 წლის 5.1 მილიარდიდან 1995 წლისათვის 2.1 მილიარდ აშშ დოლარს გაუტოლდა და 1990 წლის მაჩვენებელს მხოლოდ 2005 წელს მიაღწია. მიუხედავად ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე მშპ სწრაფი ზრდისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემების თანახმად, 2004 წლისთვის 50%-ზე მეტი ადამიანი ჯერ კიდევ სიღარიბეში ცხოვრობდა[8].
- მძიმე ეკონომიური პირობების ქვეშ მოაზრებოდა დაბალი ხელფასები, შეუსაბამო სამუშაო პირობები და მწირი ტრენინგები სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირებისათვის. ყოველივე ზემოთქმულმა ხელი შეუწყო ენდემური კორუფციის აყვავებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.
- შევარდნაძის მმართველობის პერიოდში კორუფციამ და ინერტულობამ დაისადგურა, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ რეფორმები, რომლებსაც ინსტიტუციური შესაძლებლობები უნდა გაეუმჯობესებინა, ან საერთოდ არ იწყებოდა, ან არასწორი გზით ვითარდებოდა კორუმპირებულ თანამდებობების პირებზე „მოსარგებად“ თუ

8 საქართველო: მეორე მიმოხილვა სამწლიანი მოწყობის ქვეშ სიღრიბეში შემცირებ დ ზრდა და მოთხოვნები მოქმედებათ კრიტერიუმების სფსებისათვის და საინიციატივომზნის ქმედებთ კრიტერიუმში გდაყვანა ს.ს.ფ ქვეყნის ნგარიში ნომ 05/314, 2005 აგვისტო.

მოკლევადიანი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

ამგვარი უიმედო სიტუაცია ერგო მემკვიდრეობად ხელისუფლებაში მოსულ სააკაშვილის მთავრობას. ახალმა ხელისუფლებამ გაბედული მოქმედებები დაიწყო. პირველ ეტაპზე სერიზულად შეკვეცა საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო დარჩენილი მოსამსახურეებისათვის მისაღები ხელფასის დანიშვნა და, ამგვარად, კორუფციის წინაპირობების აღმოფხვრა. ახალი ხელისუფლების შემდგომ ნაბიჯს რეფორმების დასახვა და ყველა სექტორში მათი გატარება წარმოადგენდა, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ამ ინსტიტუციების ეფექტური ამოქმედება და დასავლურ სტანდარტებთან მათი დაახლოება. ამ ენერგიული რეფორმისტული მოძრაობის ერთ-ერთ უარყოფით მხარეს საკვანძო თანამდებობებზე კადრების ხშირი ცვლა წარმოადგენდა. მართალია, ეს ცვლილებები ძალზე ეფექტური იყო უნიათო კადრების თანამდებობებიდან გათავისუფლების და მათ ადგილზე ღირსეული პიროვნებების დანიშვნის თვალსაზრისით, მაგრამ, მეორე მხრივ, როტაციის სწრაფმა ტემპმა რეფორმებზე უარყოფითად იმოქმედა, რადგანაც ახლად დანიშნულ მუშაკებს თავიანთ ადგილებზე არ ტოვებდნენ იმ ვადით, რომლის განმავლობაშიც ისინი შეძლებდნენ საქმისთვის ალღოს აღებას და რეფორმების მიმდინარეობის გაგრძელებას. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ნაადრევია გრძელვადიან პერიოდში აღნიშნულ რეფორმათა ეფექტურობაზე საუბარი, მაგრამ მაინც არსებობს სიტუაციის გაუმჯობესების საიმედო ნიშნები.

პრობლემათა ზემოთმოტანილი ჩამონათვალი მეტ-ნაკლებად მოიცავს სახელმწიფო აპარატის ყველა სფეროს. ამრიგად, არც არის გასაკვირი, რომ ეს პრობლემები იმავდროულად ეხება მცირე იარაღის კონტროლის საკითხებსაც, რადგანაც სააგენტოები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, პასუხს აგებენ მცირე შეიარაღებაზე კონტროლის პოლიტიკის გატარებასა და მის დანერგვაზე, იმგვარივე ინსტიტუციური გამოწვევის წინაშე დგანან, როგორც სხვა სფეროში მოღვაწე მათი კოლეგები. ეს ფაქტორი ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც სახელმწიფოს მიერ მცირე შეიარაღების კონტროლის შესაძლებლობებს განვიხილავთ.

უსაფრთხოების სექტორის რეფორმა

შევარდნაძის მმართველობის პერიოდშიც კი საქართველოს მკაფიო დასავლური ორიენტაცია ჰქონდა აღებული სამხედრო სფეროში და, ასევე, ცდილობდა იმავე კურსის საკანონმდებლო სფეროში გატარებას (თუმცა, უნდა ითქვას, რომ ზემოთქმული არ ეხება უსაფრთხოების მთელს სექტორს, მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს). ეს პროცესი საგრძნობლად დაჩქარდა ვარდების რევოლუციის შემდეგ. სააკაშვილის ხელისუფლებამ ნატოსა და ევროკავშირის წევრობა საქართველოს უმთავრეს, გრძელმასშტაბიან პოლიტიკურ მიზნად აქცია, რამაც გამოხატულება ზედმიწევნით დაჩქარებულ სარეფორმო პროცესში ჰპოვა. თუმცა იმის გამო, რომ ახალ ხელისუფლებას მოუხდა რეფორმების თითქმის საწყისი ეტაპიდან დაწყება, უსაფრთხოების სექტორში ევროატლანტიკური სტანდარტების მიღწევა კვლავაც მეტად რთულ ამოცანად რჩება.

შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურისა და მენეჯმენტის რეფორმირება 2003 წლამდე იყო დაწყებული. საქართველოს ხელისუფლებას მრავალი სამხედრო მრჩეველი უწევდა დახმარებასა და მხარდაჭერას, მათ შორის საერთაშორისო უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, მაღალი რანგის ყოფილ სამხედროთა ჯგუფი, რომელებიც უდიდეს გამოცდილებას ფლობდნენ სამხედრო რეფორმების საკითხებში, განსაკუთრებით ბალტიისპირეთის ქვეყნებში. აშშ-მ საწვრთნელ დონეზე განახორციელა საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა. თუმცა წვრთნის ეს პროგრამა, უპირველეს ყოვლისა, მიმართული იყო ქართული საჯარისო ნაწილების თავდაცვისა და სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის ხელშესაწყობად, რათა ამ ნაწილებს შესაძლებლობა ჰქონოდათ საწვრთნელ დონეზე მიეღოთ მონაწილეობა საერთაშორისო ანტიტერორისტულ და სამშვიდობო მისიებში. შედეგად, ამ პროგრამის ფარგლებში მომზადდა პირველი ქაართული ბატალიონები, რომლებიც დასავლური სტანდარტების გათვალისწინებით იწვრთნებოდნენ[9].

ახალი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში რეფორმები კიდევ უფრო დაჩქარდა. მიმდინარეობს სამხედრო ხარჯების სწრაფი ზრდა, მძიმე შეიარაღების იმპორტის ჩათვლით. ამ ნაბიჯებს გარკვეული წრეების მხრიდან კრიტიკა მოჰყვა, მაგრამ თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა აუცილებელია არაეფექტური ჯარის რეფორმირებისა და ნატოში გაწევრიანებისათვის ქვეყნის მოსამზადებლად. საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელმაც ნატოსთან შეათანხმა

9 საქართველოს წვრთნის და აღჭურვის დასრულების შემდეგ, 2004წ შეთანხმდა ახალი პროგრამის დაწყება, რომელიც ცნობილი როგორც საქართველოს უსაფრთხოებისა და სტაბლურობის ოპერაციები(შშOP). 18თვიანი პროგრამა, რომელიც 2005 წ ინვრში დაიწყო მიზნად ისახვს ორი ქვეითი ბტალიონის გაწვრთნას ერაყში სამსხურისათვის; ასევე, ორი ლოჯისტიკის ბატლიონის და სხვა პერსონალის წვრთნს.

ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP). IPAP წარმოადგენს ნატოს ახალ მექანიზმს იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც სურვილი აქვთ ალიანსთან თანამშრომლობის გაღრმავებისა, მაგრამ ჯერ მზად არ არიან (ან არ სურთ), შეუერთდნენ გაწევრიანების სამოქმედო გეგმას (MAP). IPAP ერთობლივად შეიქმნა ნატოსა და საქართველოს ხელისუფლების მიერ და ძალაში შევიდა 2004 წლის 29 ოქტომბერს. დოკუმენტი სამხედრო და პოლიტიკური რეფორმების განხორციელების ამბიციურ გეგმას წარმოადგენს და შეიცავს შეიარაღებაზე კონტროლის საკითხსაც, 2.5.1, სადაც ქმედება 2 ითვალისწინებს შემდეგს:

„შეიმუშავე და განახორციელე გამოუყენებელი სამხედრო აღჭურვილობის უსაფრთხოდ შენახვის გეგმა, და, ასევე, უვნებელყავი ჭარბი და საფრთხის შემცველი აღჭურვილობა და მსუბუქი შეიარაღება.“

საქართველოს ხელისუფლება შეძლებისდაგვარად სწრაფად გეგმავს IPAP-ის დასრულებას, რათა მზად იყოს ალიანსში გაწევრიანების სამოქმედო გეგმისათვის; იმედოვნებენ, რომ MAP-ი შესაძლებელია დასრულდეს იმ დროისათვის, როდესაც საქართველო შეძლებს შეუერთდეს ალიანსს ნატოს მომავალ, 2008 წლის დიდ სამიტზე, თუმცა ეს ვადები შესაძლოა არარეალურიც იყოს.

ალბათ ყველაზე დრამატული ცვლილებები პოლიციის სფეროში მოხდა. უწინ შინაგან საქმეთა სამინისტრო საქვეყნოდ ცნობილი იყო იქ გამეფებული კორუფციით, შესაბამისად, ძალზე ნეგატიური იყო საზოგადოების პოლიციის მიმართ დამოკიდებულებაც. მოქალაქეთა უმრავლესობა პოლიციელს საფრთხედ უფრო აღიქვამდა, ვიდრე უსაფრთხოების უზრუნველმყოფად. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე სააკაშვილმა განაცხადა, რომ მისი ხელისუფლების უმთავრესი პრიორიტეტი პოლიციის რეფორმა იქნებოდა, რათა აღდგენილიყო ნდობა საზოგადოებასა და პოლიციას შორის. რამდენიმე თვის შემდეგ საგზაო პოლიცია, რომელიც თითქმის არაფერს აკეთებდა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისათვის და უმეტესწილად მძღოლებს ქრთამის გამოსართმევად აჩერებდა, ერთ დღეში სრული შემადგენლობით დაითხოვეს, მისი ადგილი კი საპატრულო პოლიციამ დაიკავა. პოლიციის ახალმა სამსახურმა, რომელსაც ახორციელებდნენ წინასწარი სამკვირიანი ტრეინინგის გავლის შედეგად მომზადებული რეკრუტები, ძალზე სწრაფად დაიმსახურა ხალხის მოწონება. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს შედარებით მაღალი ხელფასები აქვთ და კარგად არიან აღჭურვილნი, პატრულირებენ გამორჩეული, თანამედროვე ტიპის, სათანადო რადიომოწყობილობით აღჭურვილი ავტომანქანებით; შესაბამისად, ამ სისტემაში კორუფციის დონე დაეცა და მოქალაქეებიც პოლიციისგან კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ელიან. საპატრულო პოლიციის შემოღება პოლიციის მთლიანი სტრუქტურის შეცვლის უფრო გრძელვადიანი გეგმის ერთ ნაწილს წარმოადგენს. პოლიციის სისტემის რეფორმა, ასევე, გულისხმობს შემდეგ ქმედებებს:

- საუბნო პოლიციის მეთოდების განვითარება და დანერგვა;
- პოლიციის აკადემიისა და ტრენინგის მეთოდების განახლება;
- ახალი კრიმინალური პოლიციის ჩამოყალიბება;
- სამინისტროს გარდაქმნა სამოქალაქო სტრუქტურად;
- პოლიციის სამსახურში საკადრო მენეჯმენტის რესტრუქტურიზაცია.

ეს ცვლილებები ეუთოს პოლიციის დახმარების პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდა სხვა დონორებთან ერთად, კერძოდ, აშშ-ს დახმარებით. მოგვიანებით, 2005 წლის მაისში, ახალი სისხლის სამართლის კოდექსი შეიქმნა, რომელმაც სტატისტიკის აღრიცხვას გაუხსნა გზა.

3

ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობა

ეს თავი განიხილავს საქართველოში იარაღის მფლობელობის საკითხს იმ მექანიზმებთან ერთად, რომლებიც ხელისუფლების მიერ იარაღზე კონტროლის მიზნით ჩამოყალიბდა. საქართველოში სამოქალაქო მცირე შეიარაღების რეგულირების მიზნით ძლიერი კანონმდებლობა შეიქმნა. კვლევის ჯგუფი მიესალმება ამ ფაქტს, რადგან მის მიერ მოძიებული ინფორმაციით 2006 წლის მარტის თვეში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე 409,000 ერთეული იარაღი იყო ბრუნვაში[10], რაც ნიშნავს ქვეყანაში ყოველ 100 კაცზე 9.9 ერთეულ იარაღს[11]. ამ საერთო რაოდენობიდან 159,000 დარეგისტრირებულია ინდივიდუალურ ან იურიდიულ პირებზე. ასე რომ, სამოქალაქო პირების ხელში რჩება, დაახლოებით, 250,000 ერთეული უკანონო იარაღი.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო პირების ხელში არსებულ იარაღზე კონტროლი საკმაოდ მკაცრია, ის შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს სხვადასხვა სფეროში: იარაღის ფლობის მსურველი არაა ვალდებული ცეცხლსასროლი იარაღის მოხმარებაზე ტრენინგი გაიაროს, ან ნებართვის მისაღებად წარმოადგინოს „საფრთხის არსებობის მტკიცებულება“. ჯერ კიდევ არ არსებობს მკაფიო განსაზღვრება, თუ რა არის „სამოქალაქო“ იარაღი და რა შეიძლება კანონიერად იქონიოს მოქალაქემ თავის მფლობელობაში; არ არსებობს კანონის მოთხოვნა იარაღის ლიცენზიისა ან მისი შენახვის ადგილების ინსპექტირების აუცილებლობის საკითხზე. კანონი ასევე არ ითვალისწინებს კერძო დაცვის საწარმოების და შიდა დაცვის გაყოფილობების ფუნქციონირებას, რაც თავის მხრივ ძალიან ასუსტებს ამ სფეროს კონტროლს და მის მის მიერ ძალის გამოყენების შესაძლებლობას.

საბედნიეროდ, ამ კანონმდებლობის აღსრულება, რომელიც სახელისუფლო უწყებების მიერ ტრადიციულად სუსტ წერტილს წარმოადგენდა, საგრძნობლად გაუმჯობესდა 2004-2006 წლებში ცეცხლსასროლი იარაღის ლიცენზირების მიზნით შემოღებული აღრიცხვის პროცედურების წყალობით, რამაც შეამცირა კორუფცია ლიცენზირების სისტემაში. და მინც, შეზღუდული ადმინისტრაციული შესაძლებლობები, სააგენტოებს შორის თანამშრომლობისა და მიზნობრივი პროგრამების არაეფექტუროობა (განსაკუთრებით არაეთნიკური ქართველებისათვის) კვლავაც აფერხებს ადექვატურ კონტროლს ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობაზე. მაგალითად, წარსულში აღრიცხვის პრაქტიკის დაბალი დონე იმაზე მიუთითებს, რომ შეუძლებელია აბსოლუტური სიზუსტით დადგინდეს, თუ რა რაოდენობის ცეცხლსასროლი იარაღია რეგისტრირებული ქვეყანაში. წარსულში ცუდად აღრიცხული რეგისტრირებული იარაღის

10 მეთოდოლოგი ამ შეფსებებისათვის, მისი ცდომილების საზღვრები და სხვა დეტალები საბრძოლო იარაღის გვრცელებასთან დაკავშირებით მოცემულია შემდეგ მონკვეთებში.

11 დაფუძვნებული 4.345.686 მოსხლეობაზე, სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის გარდა. წყარო: ეკონომიკის განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. 2004 წ. უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ეს შეფასება ასევე კითვხვის ნიშნის ქვეშაა. საქართველოს მოსახლეობა დღეს ალბათ 4 მილიონზე დაბლია ემიგრაციის გმო.

გამო პრობლემებს ექმნებათ კანონიერ იარაღის მფლობელებს: არასანდო აღრიცხვიანობის გამო ძნელია მათი მფლობელობის შემოწმება, იარაღის შენახვის პირობების ინსპექტირება, ან ლიცენზიის ვადის გასვლის შემთხვევაში ხელახალი-რეგისტრაციის გავლის გადამოწმება. და მაინც, ეს შეფასებები მკაფიოდ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ არალეგალური იარაღი კვლევა ამ დრომდე საქართველოს ხელისუფლებას არ ჩაუტარებია და არც სამოქმედო გეგმა არ შემუშავებულა ამ საფრთხის აღსაკვეთად. ამ საკითხთან დაკავშირებით უწყებათაშორისი თანამშრომლობა არადამაკმაყოფილებელია და მიღებული ზომების ეფექტურობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

3.1 კანონმდებლობა და წესდება

საქართველოში სამოქლაქო იარაღის მფლობელობის ძირითადი კანონები

- კანონი „იარაღის თაობაზე“ (2003 წლის 8 მისი), რომელიც ეხება კერძო და იურიდიული პირის იარაღის მფლობელობის საკითხს;
- კანონი „კერძო მეწარმეობაზე“, რომლის მიხედვითაც დღესდღეობით მოქმედებს კერძო დაცვის კომპანია.
- სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელს კანონდარღვევაზე მცირე შეიარაღების შესახებ[12].

იარაღის ლიცენზირება

„კანონი იარაღის თაობაზე“ ორეტაპიან სალიცენზიო სისტემას ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, როდესაც ადამიანს სურს კანონიერი გზით იქონიოს იარაღი, მან ჯერ მოთხოვნა უნდა შეიტნოს და მიიღოს ნებართვა იარაღის შესაძენად, ხოლო შემდეგ, იარაღის შესყიდვისთანავე, განაცხადი გააკეთოს ამ იარაღის ფლობის სამწლიან ვადაზე. კანონი, ასევე, ითვალიწინებს ცენტრალიზებული იარაღის სახელმწიფო რეესტრის არსებობას, რომელიც შეიცავს დეტალურ ინფორმაციას საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა სამხედრო (კლასიფიციებული) და სამოქალაქო იარაღის თაობაზე.

ინდივიდუალურ მოქალაქეებსა და საკანონმდებლო ერთეულებზე ნებართვის გაცემის პასუხისმგებლობა ნაწილდება თბილისში მდებარე შსს-ს ნებართვის გაცემის განყოფილებასა (შსს-ს ეხება სასროლი ირაღი და „თავდაცვის“ იარაღი, როგორებიცაა: პისტოლეტი, თოფი და გაზის იარაღი) და ქვეყნის მასშტაბით მოქმედ საპატრულო პოლიციას შორის, რომელსაც ეხება სანადირო იარაღი (გარდა საფანტის სანადირო თოფისა).

„იარაღის შესახებ კანონის“ მიხედვით, ნებართვა ცეცხლსასროლი იარაღის შეძენაზე არ შეიძლება გაიცეს არასრულწლოვან (18 წლამდე), ფსიქიურად არასტაბილურ ან ისეთი ფიზიკური ნაკლის მქონე პირებზე, რომელიც შეუძლებელს ხდის ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობას; ასევე, პირებზე, რომლებიც სისტემატიურად არღვევენ საჯარო წესრიგს, დამნაშავედ იქნენ ცნობილნი სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე ან 116-ე მუხლების მიხედვით[13], ასევე, პირებზე, რომელთა წინააღმდეგაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ან რომლებიც იმყოფებიან შსს-ს მეთვალყურეობის ქვეშ. ნებართვის აღებაზე განაცხადის შემტანი პირები ვალდებულნი არიან, გაიარონ სამედიცინო შემოწმება და მიიღონ ჯანმრთელობის ცნობა ჯანდაცვის სამინისტროში, რომელიც დაადასტურებს მათ „ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობას“. ნებართვათა დეპარტამენტი და საპატრულო პოლიცია შემდგომში ვალდებულნი არიან შეამოწმონ აპლიკანტის მიერ ჯანმრთელობის ცნობის აღების ფაქტი და დარწმუნდნენ იმაში, რომ აპლიკანტი კრიმინალურ აღრიცხვზე არ იმყოფება.

მას შემდეგ, რაც აპლიკანტი მიიღებს ნებართვას, მას ეძლევა სამთვიანი ვადა ცეცხლსასროლი იარაღის შესაძენად. მაღაზია, სადაც მოქალაქე იარაღს შეიძენს, ვალდებულია გასცეს დოკუმენტი სპეციალურ ბლანკზე, რომელზეც მითითებული იქნება იარაღის სერიული ნომერი. ამ დოკუმენტით ცეცხლსასროლი იარაღი უნდა გატარდეს რეგისტრაციაში შესაბმის სახელმწიფო სააგენტოში იარაღის შესყიდვიდან ათდღიან ვადაში. განაცხადს თან უნდა ერთვოდეს საბაჟო დეკლარაცია ირაღის იმპორტირების დეტალური ინფორმაციით[14]. გლუვლულიანი იარაღის რეგისტრაცია ადგილობ-

12 2005 წლის ანგარიში გაეროს განირაღების საქმეთა დეპარტამენტში გეროს სამოქმედო გეგმის დანერგვასთან დაკავშირებით ყველა სახის უკანონო მცირე და მსუბუქი შეიარაღების თავიდან აცილების, აღმოფხვრის და უკნონო ვაჭრობასთან ბრძოლველად.

13 მუხლი 114 ეხება სამოქალაქო ოფიციალურ პირებს, რომლებიც კლავენ ეჭვმიტნილს; მუხლი 116 დამიანების მკვლელობას ეხება.

14 ყოველმა, საბაჟოზე დეკლარირებულმა იარაღმა უნდ გაიაროს ბალისტიკური შემოწმება შსს-ს კრიმინალურ დეპარტმენში სანამ ის გაიყიდება ინდივიდებზე. პროცესს სულ 20 დღე სჭირდება.

რივად არის შესაძლებელი, ხოლო თოფები უნდა დარეგისტრირდეს ნებართვის გაცემის თბილისის ცენტრალურ დეპარტამენტში. რეგისტრაციის გადასახადი და ნებართვის გაცემა 16 ლარი ჯდება (დახლოებით 8.7 აშშ დოლარი).

ზემოთ მოყვანილი შეზღუდვების მიუხედავად, განაცხადების კრიტერიუმები „თავდაცვის“ იარაღისათვის (პისტოლეტები და რევოლვერები) საკმაოდ მარტივია ბევრ ევროპულ ქვეყანასთან შედარებით. უპირველეს ყოვლისა, აპლიკანტებს არ ესაჭიროებათ მათი ან მათი საკუთრების წინაშე არსებული საფრთხის დასაბუთების წარმოდგენა ლიცენზიის მისაღებად. გარდა ამისა, აპლიკანტები არ არიან ვალდებულნი სროლის ტრენინგი გაიარონ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ არ არსებობს არავითარი გარანტია იმისა, რომ აპლიკანტი იარაღის გამოყენებას პასუხისმგებლობით მიუდგება. მართლაც, ოჯახებში ჩატარებულმა კვლევამ დაგვანახა, რომ რესპონდენტების აზრით, კონტროლის გამკაცრება ცეცხლსასროლი იარაღის ფლობაზე კანონიერი ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემისას სასიკეთოდ იმოქმედებს უსაფრთხოების დაცვაზე.

ამასთან ერთად, სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოების ყოფილ პერსონალს (როგორიცაა შსს), რომელიც მაიორის წოდებას ატარებს, შეუძლია პენსიაზე გასვლის შემდეგ ფლობდეს ან ატარებდეს იარაღს. ამგვარ ვითარებაში ბევრმა არ იცის იარაღის სათანადო შენახვა და გამოყენება[15]. დღესდღეობით ამგვარი კაანონის გათვალისწინებით, ასევე, გაუგებარია, თუ რამდენ ადამიანს აქვს უფლება, იქონიოს და ატაროს ცეცხლსასროლი იარაღი.

აღრიცხვა და მონიტორინგი

შსს-ს ნებართვათა გაცემის დეპარტმენტის დღევანდელი უფროსის თქმით, 2004 წლამდე ძალზე ცოტა რამ კეთდებოდა ცეცხლსასროლი იარაღის ლიცენზირების აღრიცხვის სფეროში. ფაქტია, რომ წინა ადმინისტრაციის დროს ნებართვათა დეპარტამენტის ფუნქციას არა იმდენად კონტროლის გაწევა წარმოადგენდა, რამდენადაც ლიცენზირების სისტემისაგან შემოსავლის მიღება[16]. ამის შედეგად, დღეს საქართველოში ლეგალურ მფლობელობში არსებული იარაღის დეტალური სტატისტიკა ხელმიუწვდომელია. დეპარტამენტი დღეს ლიცენზიების აღნუსხვის პროცესში იმყოფება, მაგრამ, მისი შეფასებით, ეფექტური აღრიცხვის და მონიტორინგის სისტემის ჩამოსაყალიბებლად სამიდან ხუთ წლამდე ვადაა საჭირო. ამას თან ერთვის ინფორმაციის გაცვლის დაბალი ხარისხი ცენტრალურ ნებართვათა დეპარტამენტსა და რეგიონლურ საპატრულო პოლიციას შორის სანადირო იარაღის რაოდენობასთან დაკავშირებით, რომლის ლიცენზირება რეგიონალური მასშტაბით მოხდა.

ხელხალი რეგისტრაცია

ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელებისაგან სამ წელიწადში ერთხელ მოითხოვენ იარაღის ხელახალ რეგისტრაციას, მაგრამ ეფექტური სისტემა იმის დასადგენად, დაიცვეს თუ არა მფლობელებმა რეგისტრაციის წესი, ან დაისაჯნენ თუ არა კანონის შეუსრულებლობის გამო, არ არსებობს. ერთადერთი გზა ხელახლი ლიცენზირების ასამოქმედებლად არის საპატრულო პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელთა ლიცენზიების ადგილზე შემოწმება. მაგრამ ვინაიდან არც ნებართვების დეპარტამენტსა და არც საპატრულო პოლიციას არ გააჩნიათ კანონიერ მფლობელობაში არსებული იარაღის სრული რეესტრი, გაუგებარია, როგორ უნდა გამოვლინდეს ვადაგასული ლიცენზიები.

მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ არ არსებობს რეგისტრირების უქონლობის გამო ჯარიმის ეფექტური ზომები. 2006 წლამდე ხელახალი რეგისტრაციის დაგვიანებისათვის ჯარიმა მხოლოდ 1.5 ლარს შეადგენდა (0.8 აშშ დოლარი). ნებართვათა დეპარტამენტი სათანადოდ აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ ეს თანხა უმნიშვნელოა და ადმინისტრაციული კოდექსში ცვლილებების შეტანას გეგმავს, რაც ითვალისწინებს ჯარიმის 50 ლარამდე (27.4 აშშ დოლარი) გაზრდას იმ პირთათვის, რომლებმაც სამწლიანი ვადის გასვლისთანავე თავიანთი ცეცხლსასროლი იარაღი ხელახალ რეგისტრაციაში არ გაატარეს. ჯარიმა ხელახალი რეგისტრაციის დაგვიანებისათვის თანდათან მოიმატებს, ვიდრე არ დადგება იარაღის ჩამორთმევის თაობაზე მფლობელის პასუხისმგებლობის საკითხი. ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელს გაეგზავნება შეტყობინება ლიცენზიის ვადის ამოწურვისა და ხელახალი რეგისტრაციის აუცილებლობის შესახებ.

ამ პრობლემების მიუხედავად, ნებართვათა დეპარტამენტის შეფასების მიხედვით, ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელთა დაახლოებით 80-90 პროცენტი დროულად აახლებს ლიცენზიას.

15 ინტერვიუ, ზაზა ხაჩიძე.

16 ინტერვიუ, ზაზა ხაჩიძე.

იარაღის ტარება

მოკლე და გრძელლულიან თოფებზე ცეცხლსასროლი იარაღის ლიცენზიათა უმრავლესობა გაცემულია მხოლოდ ოჯახის დასაცავად და მფლობელს არ აძლევს უფლებას, ატაროს იარაღი. გამონაკლისს წარმოადგენს ადამიანთა გარკვეული კატეგორია, რომელიც მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნება და უფლება აქვს ატაროს იარაღი, ოღონდ შესაბამისი ლიცენზიის არსებობის შემთხვევაში; ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან მთავრობის წევრები, თანამდებობის პირები, მოსამართლეები, პროკურორები, აქტიურ სამსახურში მყოფი პირები, პოლიციელები და პარლამენტის წევრები[17].

შეზღუდვა არ ეხება გაზის სპორტულ და სანადირო იარაღს (საფანტის თოფების გარდა), რომელთა მფლობელს უფლება აქვს თან საბრძოლო მასალებიც იქონიოს[18]. ტარება აკრძალული იყო 2005 წლის დასაწყისამდე, თუმცა მათი ფლობა და შინ შენახვა დღესაც ნებადართულია. იარაღი უნდა ინახებოდეს სახლში, უსაფრთხო ადგილას რეგისტრაციის დოკუმენტებთან ერთად[19].

დღესდღეობით ბევრ ქვეყანაში ცდილობენ გადახედონ გაზის იარაღის ტარების კანონს, რადგანაც ამ ტიპის იარაღი პრაქტიკულად განურჩეველია „ნამდვილი იარაღისაგან“ და, ასევე, გამოიყენება დამნაშავის დასაშინებლად. გარდა ამისა, მისი გადაკეთება ცოცხლი საბრძოლო მასალის გამოსაყენებლად საკმაოდ ადვილია. საქართველოში კანონიერ მფლობელობაში არსებული გაზის იარაღი შედარებით იაფფასიანი თურქული მოდელებითაა წარმოდგენილი[20] რომლის დამცავი მექანიზმი შეიძლება ჩანაცვლდეს ჩვეულებრივი საბრძოლო მასალით, რის შედეგადაც რამდენიმე გასროლის გაკეთება მაინც შესაძლებელი იქნება. ამის გამო გაზის იარაღი ქუთაისის რეგიონალური პოლიციის უფროსის შეშფოთების მიზეზადაც იქცა. ის აცხადებდა, რომ გაზის იარაღი ადვილად ხელმისაწვდომია და საზოგადოებას მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის[21].

იარაღის კატეგორიზაცია

კანონი იარაღის თაობაზე იარაღის სახელმწიფო რეესტრს აძლევს იმ ცეცლსასროლი იარაღის კლასიფიცირების საშუალებას, რომელიც ნებადართულია ინდივიდუალური პირებისა და საკანონმდებლო ერთეულებისთვის (სამოქალაქო იარაღი, რომელიც განსხვავდება სამხედრო და სატაბელო იარაღისაგან). ამგვარი სია ჯერ არ არის შედგენილი, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ჯერჯერობით არ არსებობს სათანადო ბაზა იმის დასადგენად, თუ ცეცხლსასროლი იარაღის რა ტიპების ფლობა არის კანონით ნებადართული. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ იარაღის სახელმწიფო რეესტრის შექმნა შეუძლებელია სააგენტოებს შორის კონსენსუსის მიღწევამდე, ანუ იმის დადგენამდე, თუ როგორ უნდა მოხდეს იარაღის კატეგორიზაცია[22]. ეს თავისთავად სააგენტოთაშორისი ერთეულის შექმნას ითვლისწინებს.

უფრო დეტალური რეესტრის არარსებობის პირობებში შსს-მ მიიღო ინდივიდუალური გადაწყვეტილებები იარაღის გარკვეულ ტიპებთან დაკავშირებით, რომლებსაც იგი არ მიიჩნევს საზოგდოებრივი მფლობელობისათვის შესაფერისად. მაგალითად, სტეჩკინის საბრძოლო პისტოლეტის დახასიათება იმგვარია, რომ იგი შესაძლოა მიჩნეულ იქნას როგორც საბრძოლო, ასევე სამოქალაქო იარაღად. ვინაიდან ამ იარაღის ფლობა პოტენციურ საფრთხეს შეიცავს, შსს-მ 2005 წლიდან გადაწყვიტა, შეეწყვიტა ლიცენზიების გაცემა 9 მილიმეტრიან სტეჩკინის ავტომატურ პისტოლეტზე. თუმცა, უცნობია, რამდენი სამოქალაქო ლიცენზიაა გაცემული ამ ტიპის იარაღზე გასული წლების მანძილზე და განხორციელდა თუ არა მისი ამოღება. რეესტრის უქონლობის შედეგად არსებულ პრობლემას წარმოდგენს ისიც, რომ გაურკვეველია, რომელი სპეციფიკური „სამოქალაქო“ იარაღი უნდა იქნას რეგისტრირებული თბილისის ნებართვათა დეპარტმენტში და რომელი – საპატრულო პოლიციის მიერ ქვეყნის მასშტაბით.

შემოწმება და ინსპექტირება

„კანონი იარაღის შესახებ“ თანხმად, იარაღი უნდა ინახებოდეს მოქალაქის ბინაში, უსაფრთხო ადგილას, ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაციის დოკუმენტთან ერთად. თუმცა პოლიციას უფლება არა აქვს, შევიდეს იარაღის მფლობელთა სახლებში შენახვის პირობების ან მფლობელის ლიცენზიის შესამოწმებლად. მას ამის გაკეთება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუკი იარსებებს ეჭვის საფუძველი შენახ-

17 ინტერვიუ, შოთა უტიაშვილი.

18 იქვე

19 იქვე

20 იქვე

21 ინტერვიუ, ირაკლი ჩიმაკაძე.

22 ინტერვიუ, შოთა უტიაშვილი.

ვის პირობების არაადექვატურობის თვალსაზრისით; ასეთ შემთხვევაშიც კი შენახვის პირობების შემოწმება შესაძლებელია მხოლოდ პროკურორის ან მოსამართლის წინასწარი ნებართვის მოპოვების შემდეგ. ნებართვათა დეპარტამენტს არც იარაღის მაღაზიების ინვენტარის შემოწმების უფლება აქვს და, შესაბამისად, არ გააჩნია ინფორმაცია, რა რაოდენობის იარაღი აქვს თითოეულ მაღაზიას. აღნიშნული დეპარტამენტი ვერც მარტივ მონიტორინგს აკეთებს იმის დასადგენად, თუ რამდენად შეესაბამება მაღაზიის მიერ გაყიდული იარაღის რაოდენობა მის მიერვე შეძენილ რაოდენობას.

კავშირი სამოქალაქო პირებთან

როგორც ჩანს, ძალზე დაბალია მოსახლეობის გათვითცნობიერებულობა, ზოგადად, ლიცენზირებისა და რეგისტრაციის პროცესის შესახებ. გამოკითხული ოჯახების 43%-ი არც კი იცნობს კანონს ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრირებისა და ლიცენზირების შესახებ და ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ მოსახლეობის „უდიდეს ნაწილს“ წარმოდგენაც კი არა აქვს ამ წესებზე. ინფორმაცია სალიცენზიო სისტემის შესახებ შედარებით დაბალი იყო არაეთნიკურ ქრთველთა ჯგუფებში: არაეთნიკური ქართველების 61% არ იცნობდა სალიცენზიო სისტემას, ეთნიკური ქართველების 41%-თან შეფარდებით. კვლევამ აჩვენა, რომ ეთნიკური აზერბაიჯანელები ვერ ერკვეოდნენ სოჯახო იარაღის კონტროლის კანონმდებლობაში და ამ ფაქტს იმით ხსნიდნენ, რომ ეს კანონმდებლობა არ იყო ნათარგმნი აზერბაიჯანულ ენაზე.

კონტროლი უსაფრთხოების კერძო ინდუსტრიაზე

საქართველოში არ არსებობს სპეციფიკური კანონები უსაფრთხოების კერძო კომპანიებისა და კერძო დეტექტიური სააგენტოების ოპერაციათა სამართავად. თავის მხრივ, უსაფრთხოების კერძო კომპანიებიც არ საჭიროებენ სპეციალურ ლიცენზიებსა და ნებართვებს თავიანთი მომსახურების საწარმოებლად. უსაფრთხოების კერძო კომპანიების მუშაობას, სხვა კომერციული საწარმოების მსგავსად, არეგულირებს კანონი „კერძო მეწარმეობის“ შესახებ. შესაბამისად, ხშირად რთულია იმის გარკვევა, უზრუნველყოფს თუ არა ორგანიზაცია უსაფრთხოების კერძო მომსახურებას. ამასთან ერთად, არ არსებობს ინფორმაცია იმ კომპანიების რაოდენობის თაობაზე (როგორებიცაა, ვთქვათ, ბანკები), რომელთაც გააჩნიათ შეიარაღებული უსაფრთხოების განყოფილებები.

პირადი მცველის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება რეგულირდება „კანონით იარაღის თაობაზე“ იმავე გზით, როგორც ეს სხვა დანარჩენი მოქალაქეებისთვის არის დადგენილი. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ კერძო უსაფრთხოების კომპანიები ღიად და პირდაპირ იარაღს ვერ იქონიებენ. ამის სანაცვლოდ მსგავსი კომპანიები კონკრეტული დამქირავებლებისათვის იღებენ ნებართვას, როდესაც განაცხადი შეაქვთ ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობის ლიცენზიაზე; თუმცა მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი, თუ ვის მიმართავენ ნებართვისათვის კერძო უსაფრთხოების კომპანიები. თანამშრომლები შემდგომში აკეთებენ განაცხადს ცეცხლსასროლი იარღის მფლობელობის ლიცენზიაზე ნებართვის მისაღებად[23]. კერძო უსაფრთხოების მცველებისათვის ცეცხლსასროლი იარაღის მოსაპოვებლად საჭირო მოთხოვნები სხვა მოქალაქეებისათვის გათვალისწინებული პროცედურის იდენტურია. მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ მოქალაქეებს უფლება აქვთ, ატარონ გაზის სპორტული ან სანადირო ცეცხლსასროლი იარაღი, პირად დაცვას მხოლოდ გაზის იარაღის ტარების უფლება ენიჭება. ერთადერთ გამონაკლისს ბანკების (ფულის გადასატანი ტრანსპორტის ჩათვლით) და აეროპორტების შიდა უსაფრთხოების განყოფილებები წარმოადგენს. ამ ჯგუფებს შეუძლით თავიანთ მოსამსახურეებს „სატაბელო იარაღი“ დაურიგონ (გარდა ავტომატური სასროლი იარაღისა). ყოველ ბანკს/აეროპორტს შეუძლია მისი პერსონალის მიერ გამოყენებული იარაღის რეგისტრირება და შსს-სათვის იმ თანამშრომელთა სიის წარდგენა, რომელთაც იარაღის ტარების უფლება აქვთ. ეს იარაღი მუდმივად უნდა იმყოფებოდეს ბანკის/აეროპორტის ტერიტორიაზე.

საგანგებო კანონმდებლობის არარსებობა, რომელიც კერძო უსაფრთხოების მომსახურებათა გაწევის რეგულირებას მოახდენდა, ისევე როგორც ჩამოუყალიბებელი სპეციფიკური სალიცენზიო სისტემა, ზედმიწევნით აფერხებს ამ სექტორზე კონტროლს. უპირველეს ყოვლისა, შეუძლებელია საქართველოში მოქმედი კერძო უსფრთხოების კომპანიათა რაოდენობის დადგენა. მეორე მხრივ, არ არსებობს მცველად მუშაობის მსურველთა შემოწმების სტანდარტული პროცედურა. მიუხედავად იმისა, რომ კერძო უსაფრთხოების ზოგიერთი კომპანია ამტკიცებს, რომ ყოველთვის ამოწმებს პო-

23 ინტერვიუ, მამუკა კიკალეიშვილი.

ტენციურ მუშაკებს წარსულში ჩადენილი დანაშაულის გამოვლენის თვალსაზრისით, მაგრამ შეუძლებელია იმის დადგენა, სრულდება თუ არა ეს პროცედურა. ერთ-ერთი ინფორმირებული გამოკითხულის აზრით, კერძო უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელთა უმეტესობას შესაძლოა დანაშაულებრივი წარსული ჰქონდეს[24]. კერძო უსაფრთხოების დაცვას, ასევე, არ ევლება სპეციალური ტრენინგის გავლა (იარაღის ხმარების ჩათვლით). ერთ-ერთმა გამოკითხულმა აღიარა, რომ საკმაოდ დიდია პოტენციურ მუშაკთა რაოდენობა, თუმცა ბევრი მათგანის პროფესიული დონე საკმაოდ დაბალია.

და მესამე, არ არსებობს ოფიციალური ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმი კერძო უსაფრთხოების კომპანიებსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოებს (პოლიცია) შორის. ეს იმაზე მიუთითებს, რომ თანამშრომლობისა და ურთიერთქმედების დონე კერძო უსაფრთხოების კომპანიებსა და პოლიციას შორის განსხვავდება კომპანიიდან კომპანიამდე. ეს თანამშრომლობა იმაში გამოიხატება, რომ რაიმე ინციდენტის შემთხვევაში (მაგ. გაქურდვისას) შესაძლოა პოლიცია გამოიძახონ და კერძო უსაფრთხოების მცველები და საპატრულო პოლიცია შენობაში ერთად შევიდნენ. მიუხედავად ამისა, კერძო უსაფრთხოების ზოგ კომპანიას, როგორც ჩანს, მაინც აქვს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ოფიციალურ პირებთან. მაგალითად, ზოგ მენეჯერს რეგულარულად იწვევენ შსს-ში ინფორმაციის გაცვლის შეხვედრებზე[25]. კერძო უსაფრთხოების ერთ-ერთმა კომპანიამ განაცხადა, რომ ის ყოველთვიურად აწვდის ინფორმაციას ანტიტერორისტულ ცენტრს[26]. თუმცა ამგვარი მაგალითები არ შეიძლება ნორმად ჩაითვალოს.

და ბოლოს, ადგილებზე შესაბამისი დაცვის გარეშე არსებობს პოტენციური საფრთხე იმისა, რომ შეუსაბამო კავშირები განვითარდეს კერძო უსაფრთხოების კომპანიებს, თანამდებობათა პირებსა და პარლამენტარებს შორის. პირადი დაცვის თანამშრომელთა დიდი ნაწილი ადრე სახელმწიფო უსაფრთხოების სექტორში იყო დასაქმებული. მხედველობაში გვაქვს მაღალჩინოსანი მოსამსახურეები, პოლიციელები, სპეცდანიშნულების ჯარები, შევარდნაძის პირადი დაცვის სამსახური და ის პირები, რომლებიც აფხაზეთის ომში იბრძოდნენ. გამოკითხულთაგან მხოლოდ ერთ მენეჯერს არ უმუშავია სახელმწიფო უსაფრთხოების სექტორში. მიუხედავად იმისა, რომ მჭიდრო კავშირი საზოგადოებრივ და კერძო უსაფრთხოების სექტორებს შორის თავისთავად ნეგატიურ მოვლენს არ წრმოადგენს, შესაძლოა, მან ამგვარი ელფერი შეიძინოს კიდეც, თუკი მომავალში ხელს შეუშლის კერძო საკუთრების დაცვის კანონმდებლობის შემოღებას[27]. ამასთან ერთად, 2003 წლის კვლევის მიხედვით, კერძო უსაფრთხოების ზოგიერთი კომპანია გარკვეულ თანხასაც კი უხდიდა შსს-ს კერძო საკუთრების დეპარტამენტს თავისი თანამშრომლებისთვის პოლიციის ოფიცრის სტატუსის მისაღებად და, ამრიგად, ცეცხლსასროლი ირაღის ტარების უფლებასაც ღებულობდა. რასაკვირველია, მომავალში „ცოტა თუ დაინტერესებულა იმით, თუ რას სჩადიოდნენ ახლად რეგისტრირებული მისი ოფიცრები“[28].

2001 წლის შემდეგ მრავალი მცდელობა არსებობდა კერძო უსაფრთხოების სფეროს მართვის კანონის მისაღებად, მაგრამ დღემდე არცერთ მათგანს შედეგი არ მოჰყოლია. კერძო საუბრისას გამოკითხულთა ერთმა ნაწილმა გამოთქვა აზრი, რომ ეს კანონმდებლობა ფერხდებოდა კერძო უსაფრთხოების კომპანიების პირადი ურთიერთობების, სამართალდმცვი და უსაფრთხოების სამინისტროებისა და პარლამენტრების გამო, რომელთაც მიჩნდათ, რომ მათი ინტერესები ილახებოდა[29]. ამ მტკიცებათა მხარდასაჭერად არანირი მტკიცებულება არ იქნა მოპოვებული. კერძო უსფრთხოების კომპანიების წარმოადგენელები დაინტერესებულნი არიან რეგულირების გაუმჯობესობით და ერთ-ერთმა კომპანიამ კანონპროექტიც კი შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა ლიცენზირებისა და პერსონალის წარსული ბიოგრაფიის შემოწმებას[30].

კანონმდებლობის არარსებობის მიუხედვად, შსს-ს წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ კერძო უსაფრთხოების ინდუსტრიის მართვა გაუმჯობესდა 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ შსს-ს მკაცრი შიდა ინსტრუქციების შემოღებით[31]. და მაინც, კვლევის გუნდს არ მისცეს ამ შიდა ინსტრუქციების გაცნობის საშუალება, აქედან გამომდინარე, ძნელია იმ ზეგავლენაზე მსჯელობა, რომელიც ამ ინსტრუქციებმა კერძო უსაფრთხოების ინდუსტრიის რეგულირების გაუმჯობესებაზე იქონია.

24 ანონიმური ინტერვიუ A, უსაფრთხოების სექტორის საჯარო მოხელე.

25 ინტერვიუ, კერძო უსაფრთხოების კომპანია „ადამინთა და ქონების უსაფრთხოების გარანტი“

26 ინტერვიუ, კერძო უსფრთხოების კომპნია „დარაკა“

27 ანონიმური ინტერვიუ A, უსაფრთხოების სექტორის საჯარო მოხელე.

28 დარჩიშვილი დ. „ირაღის ტყვეობაში კავკსიში: შეიარაღებული და გაყოფილი“ გამომც. ა. მატვეევა და დ. ჰიჰისკოკი

29 ანონიმური ინტერვიუ A, უსაფრთხოების სექტორის საჯარო მოხელე.

30 ანონიმური ინტერვიუ A, უსაფრთხოების სექტორის საჯარო მოხელე.

31 ინტერვიუ, შოთა უტიაშვილი.

3. 2 კანონიერი სამოქალაქო იარაღი

შეუძლებელია მოქალაქეების კანონიერ მფლობელობაში არსებული იარაღის ზუსტი ოდენობის დადგენა. როგორც თავად ქართველი ოფიციალური პირები აღიარებენ, ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია უწინდელი აღრიცხვის სისტემის მოუწესრიგებლობით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სახელმწიფო სტატისტიკა ჯერჯერობით სანდო არ არის. ამგვარი ვითარებიდან ერთადერთ გამოსავალს ხელმისაწვდომი წყაროების მოძიება და მათი მიახლოებული აღრიცხვა წარმოადგენს. ამის საფუძველზე კვლევის გუნდი აცხადებს, რომ საქართველოში 159.000 ერთეულზე მეტი ლეგალური გზით რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი არსებობს. აღნიშნული განცხადება შემდეგ ლოგიკას ეფუძნება:

ცხრილი 1: კანონიერად რეგისტრირებული იარაღის შეფასება

იარაღის ტიპები	რეგისტრაციის ორგანო	შეფასება
პისტოლეტი, თოფი, გაზის იარაღი	შსს ნებართვის დეპარტმენტი	60.000[ა]
გლუვლულიანი სანადირო იარაღი	საპატრულო პოლიცია	99.000[ბ]
სულ		**159,000**

[ა] შსს-ს ნებართვათა დეპარტამენტის შეფასება.
[ბ] აჭარის კვლევა (9.000) ცხრავე რეგიონში

წარმოდგენილი ციფრები ორი სხვადასხვა წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციას აერთიანებს და მიანიშნებს იმ ორ განსხვავებულ სააგენტოზე, რომელსაც საქართველოში მცირე შეიარაღების ლიცენზირებაზე პასუხისმგებლობა აკისრია. შსს-ს ინფორმაციისა და ანალიზის დეპარტამენტმა კვლევის ჯგუფს განუცხადა, რომ, მიუხედავად ზუსტი ციფრების უქონლობისა, მისი ვარაუდით, ნებართვათა დეპარტმენტის მიერ ლიცენზირებული იყო 60.000 ერთეული პისტოლეტი, თოფი და გაზის იარაღი, ყოველთვიურად კი 600-900 ერთეული ახალი ცეცხლსასროლი იარაღის ლიცენზია გაიცემოდა[32].

ძალზე გართულდა ინფორმაციის მოპოვება საპატრულო პოლიციის მიერ რეგისტრირებული სანადირო იარაღის ოდენობაზე, რადგან არ არის შეჯერებული ყოველ რეგიონში ლიცენზირებული იარაღის შესახებ არსებული სტატისტიკა, ხოლო კვლევის ჯგუფს კი არ შეეძლო ინფორმაციის მოპოვება რეგიონალური ოფისიდან. შესაბამისად, რეგისტრირებული სანადირო იარაღის ოდენობის შეფასება მიახლოებულია, ვინაიდან ეყრდნობა მხოლოდ ერთი რეგიონიდან მიღებულ ინფორმაციას. ბათუმის საპატრულო პოლიციის ინფორმაციაზე დაყრდნობით, აჭარაში დაალოებით 9.000 ერთეული რეგისტრირებული გლუვლულიანი სანადირო თოფი იყო[33]. ამ ციფრის გადამრავლებამ საქართველოს ცენტრალურ დაქვემდებრებაში მყოფ თერთმეტ რეგიონზე 99.000 ერთეული შეადგინა. თუმცა მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ამგვარი გამოთვლისას ვერ იქნება გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებს შორის მნიშვნელოვანი კულტურული და დემოგრაფიული სხვაობა და მიღებული ციფრი მხოლოდ მიახლოებულ შეფასებად უნდა მივიჩნიოთ და არა მკაცრად დადგენილ ოდენობად. მართლაც, რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღის რაოდენობის აღმნიშვნელი მთლიანი მაჩვენებელი რეგიონებში შესაძლოა უფრო მაღალი იყოს. მაგალითად, ოჯახებში ჩატარებული კვლევისას რესპონდენტთა უმრავლესობამ აღიარა სანადირო თოფების ფლობის ფაქტი (78%), მაშინ, როდესაც მხოლოდ 20%-მა დაადასტურა პისტოლეტის ან რევოლვერის ქონა. თუ ეს ციფრები სიმართლეს შეესაბამება და მოხსენიებული იარაღი კანონიერ მფლობელობაშია, რეგიონებში შესაძლოა 267.000 ერთეული სანადირო ტიპის იარაღი იყოს რეგისტრირებული.

თუ ეს ორი მიახლოებითი ციფრი მართებულია, მაშინ საქართველოში მოქალაქეების მფლობელობაში კანონიერი გზით დარეგისტრირებული, დაახლოებით, 140.000 ერთეული იარაღი არსებობს, რაც ნიშნავს ქვეყნის მასშტაბით ყოველ 100 ადამიანზე დაახლოებით 3.2 ერთეულ რეგისტრირებულ იარაღს (საუბარია 4,345,686 ადამიანზე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის გამოკლებით)[34]. ეს ნიშნავს, რომ კანონიერი იარაღის მფლობელობა ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში, სადაც 100 მოსახლეზე 11 ერთეული იარაღი მოდის[35].

32 ინტერვიუ შოთა უტიაშვილთან

33 ინტერვიუ ჯონი ბაკურაძესთან

34 მიახლოებული რიცხვი 159,000 ეთანხმება ჩვენი გამოკვლევის შედეგებს. პასუხი კითხვაზე: „ინახავთ თუ არა შინ იარაღს?“ და „თუ ინახავთ, რამდენს?“ A–N მიუთითებს, რომ იარაღს ფლობს 104,000 ადამიანი. ეს მოქალაქეები ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ცხოვრობენ. აქამდე ჩატარებული სხვა მსგავსი გამოკვლევების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გამოკითხვაში მონაწილე პირი დაინტერესებულია, დამალოს იარაღის ფლობის ფაქტი, ამის გამო კანონიერ მფლობელობაში არსებული იარაღის ჩვენ მიერ გამოვლენილი ციფრი – 140,000 – საფუძველს მოკლებული არ არის. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ უცნობი რჩება, რა რაოდენობის უკანონო იარაღია გავრცელებული, რადგან არ არის მოსალოდნელი, რომ რესპონდენტმა გაამჟღავნოს მის მიერ უკანონო იარაღის ფლობის ფაქტი.

35 წყარო: მცირე შეიარაღების გამოკვლევა 2003. რადგანაც საშუალო მაჩვენებელი არ გვაძლევს არსებით განსხვავებას ევროპის ცალკეული ქვეყნების მონაცემებს შორის, მოცემული ციფრი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ გვიჩვენებს საქართველოში კანონიერი იარაღის რაოდენობის მიახლოებით შეფასებას ევროპის ქვეყნებში არსებულ სიტუაციასთან შედარებით.

რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღის ტიპები

აღრიცხვის სისტემაში ზემოთ წარმოჩენილი უზუსტობის არსებობის გამო 2004 წლამდე შსს ვერ ახერხებდა გაევრცელებინა ინფორმაცია ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობაზე იარაღის ტიპების მიხედვით. მიუხედავად ამისა, გარკვეულწილად, შესაძლებელია ლეგალურ მფლობელობაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის ტიპების ოდენობის ზოგადად გამოვლენა როგორც ნებართვათა დეპარტამენტის (ხრახნილლულიანი, გრძელლულიანი სანადირო თოფები, პისტოლეტები, გაზის იარაღი და საფანტის იარაღი) და საპატრულო პოლიციის მიერ (სანადირო იარაღი, საფანტის იარაღის გამოკლებით) რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღის რაოდენობის შედარებით, აგრეთვე იარაღის მაღაზიათა მფლობელების გამოკითხვით და ოჯახებში ჩატარებული კვლევით.

იმ შემთხვევაში, თუ ნაშრომის წინა მონაკვეთში მოცემული შეფასება ზუსტია, კანონიერ მფლობელობაში არსებული იარაღის დაახლოებით 62% სანადირო ტიპის იარაღის წარმოადგენს, რადგან საპატრულო პოლიციის მიერ არის რეგისტრირებული. სანადირო თოფების შეფარდება შესაძლოა უფრო მაღალი იყოს არასანადირო ტიპის იარაღთან. როგორც ზემოთ აღინიშნა, საოჯახო კვლევის რესპონდენტების 78%, რომლებიც ადასტურებდნენ იარაღის ქონის ფაქტს, აღიარებდნენ, რომ ფლობდნენ სანადირო თოფს. ამასთან ერთად, იარაღის მაღაზიის გამყიდვლები აცხადებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა ტიპის იარაღით ვაჭრობენ, მათ მიერ გაყიდული იარაღის უმრავლესობა სანადირო იარაღს წარმოადგენს[36]. შეკითხვაზე, თუ რა ტიპის იარაღს ფლობს, ძირითადად, მოსახლეობა, რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ყველაზე გავრცელებული იარაღი სანადირო თოფია, მას მოსდევს პისტოლეტი და რევოლვერი[37].

სურათი 1: იარაღის მფლობელობის შემთხვევაში, რა ტიპის იარაღია ყველაზე მეტად გავრცელებული ხალხში?
(სამ კითხვამდე, რესპონდენტთა რიცხვი = 1300)



ერთადერთ გამონაკლისს ამ თვალსაზრისით თბილისი წარმოადგენს, სადაც ალბათ ყველაზე დიდი ოდენობითაა თავმოყრილი თავდაცვის იარაღი – პისტოლეტები და რევოლვერები – რომელთა რაოდენობაც სანადირო იარაღს სჭარბობს. და მართლაც, შეკითხვაზე, რა ტიპის იარაღია ყველაზე მეტად გავრცელებული ჩვეულებრივ მოქალაქეებში, საოჯახო კვლევის რესპონდენტთა დიდი ნაწილის პასუხი იყო: პისტოლეტები და რევოლვერები – 58%, სანადირო ირაღი – 48%. თავდცვის ყველაზე პოპულარულ ცეცხლსასროლ იარაღად საქართველოში, როგორც ჩანს, მაკაროვის ტიპის პისტოლეტია მიჩნეული, რომლის ლეგალურად შეძენა შესაძლებელია 550 ლარის ფარგლებში (დაახლოებით 300 აშშ დოლარი)[38]. ადრე, როდესაც ცეცხლსასროლი იარაღის ტარება ლეგალურად იყო ნებადართული, ის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა და დიდი რაოდენობით იყიდებოდა იარაღის მაღაზიებში. მას შემდეგ, რაც მისი ტარება აიკრძალა, ცეცხლსასროლი იარაღის გაყიდვის დონემ იკლო[39].

36 ინტერვიუ, იარაღის მაღაზია (დამატება 1)

37 უნდა აღინიშნოს, რომ ამ კითხვაში არ იყო გათვალისწინებული განსხვავება კანონიერსა და უკანონო იარაღს შორის.

38 ინტერვიუ, შოთა უტიაშვილი.

39 ინტერვიუ, იარაღის მაღაზია (დამატება 1)

კანონიერი იარაღის დემოგრაფიული განაწილება

შსს დღესდღეობით ვერ ავრცელებს საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობის დემოგრაფიულ ინფორმაციას. თუმცა დემოგრაფიული განაწილების შესახებ შესაძლოა შთაბეჭდილება შეგვექმნეს ინტერვიუებისა და საოჯახო კვლევების მეშვეობით. იარაღის მაღაზიების მფლობელები ამტკიცებენ, რომ მათი კლიენტები, ძირითადად, მამაკაცები არიან, ხოლო ქალი-მომხმარებლები თავდაცვის მიზნით მხოლოდ პისტოლეტებს ყიდულობენ[40]. მიუხედავად იმისა, რომ მაღაზიები სხვადასხვა ასაკისა და სოციალური ჯგუფის კლიენტებს ემსახურებიან, მომხმარებელთა დიდი ნაწილი საშუალო ასაკის, 30-60 წლამდე მოქალაქეა. აღნიშნული მონაცემი წინააღმდეგობაში მოდის კვლევის რესპონდენტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან, რომლის მიხედვითაც, იარაღის ფლობის ყველაზე შესაფერისი ასაკი 26-35 წლამდეა, რომელსაც მოსდევს 19-25 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი.

სურათი 2: რომელი ასაკოვანი ჯგუფის წარმომადგენლები ფლობენ ყველაზე ხშირად ცეცხლსასროლ იარაღს?
(რესპონდენტთა რიცხვი = 1.300)



მონაცემთა ცდომილება შესაძლოა დაკავშირებული იყოს შეკითხვის დასმის განსხვავებულ ფორმასთან, ასევე, იმ ფაქტთან, თუ კონკრეტულად რომელი იარაღის მაღაზიის მფლობელთა ექსკლუზიური გამოკითხვა ჩატარდა ლეგალურად გაყიდული იარაღის თაობაზე. საოჯახო გამოკითხვის რესპონდენტებს არ მოეთხოვებოდათ ერთმანეთისგან განესხვავებინათ ლეგალური თუ არალეგალური ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობის სტატისტიკა. ეს, შესაძლოა, იმაზე მიუთითებდეს, რომ თუ 30-60 წლის ასაკის ადამიანები, ძირითადად, კანონიერი გზით იძენენ იარაღს, 19-30 ასაკისანი განსხვავებული წყაროებიდან მოიპოვებენ მას, კერძოდ, მემკვიდრეობით ან არალეგალური გზით. გამოირკვა, რომ თბილისში, შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში 19-25 წლის ასაკის ახალგაზრდები, ძირითადად, ცეცხლსასროლ იარაღს ფლობენ (თბილისსა და შიდა ქართლში სერიოზულ პრობლემად რჩება არალეგალური იარაღის მფლობელობა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულის მაღალი პროცენტი). ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა სამცხე-ჯავახეთში ჩატარებული კვლევისას დაადგინეს, რომ ახალგაზრდებს შორის სულ უფრო მატულობს ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაული, რაც მათი დასაქმების სიმწირით არის გამოწვეული (ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაულის შესახებ ინფორმაციისათვის იხ. ნაწილი 4.3).

საოჯახო კვლევის რესპონდენტებს მიჩნიათ, რომ კრიმინალების, სამხედროებისა და პოლიციის გარდა (რომელთა მიერ იარაღის ფლობა ეჭვს არც იწვევს), საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის უდიდესი ნაწილი კერძო უსაფრთხოების სამსახურების, პოლიტიკოსებისა და ბიზნესმენების ხელშია თავმოყრილი (თანმიმდევრობა დაცულია). მიუხედავად იმისა, რომ, რესპონდენტთა უდიდესი ნაწილის აზრით, საქართველოში ყველაზე უფრო გავრცელებული ცეცხლსასროლი იარაღი სანადირო იარაღია, გამოკითხულთა მხოლოდ ერთ პროცენტს მიაჩნია, რომ ცეცხლსასროლი იარაღის ყველაზე დიდ რაოდენობას მონადირეები ფლობენ. მონაცემთა შორის ეს შეუსაბამობა, შესაძლოა, აიხსნას იმ ფაქტით, რომ მონადირეების გარდა სხვა ჯგუფებიც (კერძო უსაფრთხოების კომპანიები და კრიმინალები) ფლობენ სანადირო ტიპის იარაღს. სავარაუდოა ისიც, რომ რესპონდენტები მონადირეებს არ აღიქვამენ კერძო უსაფრთხოების დაცვის, პოლიტიკოსებისა და ბიზნესმენების მსგავს ჯგუფად.

40 იქვე.

ცეცხლსასროლი იარაღი და კერძო უსაფრთხოების კომპანიები

ვინაიდან კერძო უსაფრთხოების კომპანიებს და კერძო დეტექტიურ სააგენტოებს არ გააჩნიათ საიდენტიფიკაციო საგანგებო ლიცენზიები და არც საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ამგვარი კომპანიების რაოდენობისა თუ მათ მფლობელობაში არსებული იარაღის სტატისტიკა არსებობს, კვლევის ჯგუფმა ვერ შეძლო ამ კომპანიათა თუ სააგენტოთა მფლობელობაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის რაოდენობის აღრიცხვა და შეფასება. ამასთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მოქმედი წესები დაცვის პერსონალს მხოლოდ გაზის იარაღის გამოყენების უფლებას აძლევს, მკაფიოდ არ ჩანს, იყენებენ თუ არ ინდივიდუალური დაცვის თანამშრომლები მათთვის ლიცენზიით გაცემულ იარაღს უძრავად უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ცეცხლსასროლი იარაღი და კერძო უსაფრთხოების კომპანიები

კერძო უსაფრთხოების ინდუსტრიისა და იქ გამოყენებული იარაღის შესახებ არსებული შეზღუდული ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელი გახდა კერძო უსაფრთხოების დაცვის წევრებისგან. გამოკითხული კერძო უსაფრთხოების კომპანიების უდიდესმა ნაწილმა განაცხადა, რომ მათი პერსონალი არ ფლობს იარაღს, თანაც არც ერთ მათგანს არ ჰქონდა წარმოდგენა იმ კომპანიების რაოდენობაზე, რომლებიც იარაღს იყენებენ. თუმცა ზოგმა გამოკითხულმა გამოთქვა ვარაუდი, რომ იუსტიციის და უშიშროების სამინისტროებთან ან პოლიტიკურ პარტიებთან მჭიდრო ურთიერთობაში მყოფი კომპანიები შესაძლოა ფლობდნენ და იყენებდნენ ცეცხლსასროლ იარაღს[41]. ცეცხლსასროლი იარღის ნაცვლად აღნიშნული სამსახურის თანამშრომლები, ჩვეულებრივ, შეიარაღებულნი არიან ელექტროშოკის მოწყობილობით, ხელბორკილებითა და რეზინის ხელკეტებით. კერძო უსაფრთხოების ერთ-ერთ კომპანიაში ისიც განაცხადეს, რომ ისინი ფლობდნენ გლუვლულიან იარაღს, გაზის იარაღს და თოფებს, თუმცა ისინი ამ იარაღს არ ატარებდნენ, არამედ დასაცავ ობიექტზე ინახავდნენ და მომდევნო ცვლას გადააბარებდნენ ხოლმე[42].

ჩანართი 2: კერძო დაცვის სამსახურები საქართველოში

საქართველოში კერძო დაცვის სამსახურებმა ფუნქციონირება 1985 წელს დაიწყეს. ამ კომპანიათა რაოდენობამ 1990-იანი წლების შუახანებისთვის იმატა, რაც განაპირობა მხედრიონის დაშლამ და ეროვნული გვარდიის თავდაცვის სამინისტროსთვის დაქვემდებარებამ. კერძო დაცვის სამსახურის ბაზარი სწრაფად გაიზარდა 2002-2003 წლების შემდეგ, როდესაც შეიქმნა სულ უფრო მეტი ახალი კომპანიები.

ერთ-ერთმა დამკვირვებელმა გამოთვალა, რომ დღესდღეობით კერძო დაცვის სამსახურში ათი ათასობით ქართველია დასაქმებული. თუმცა, როგორც ჩანს, უფრო ზუსტი ციფრი 10.000-ია. შიდა ინტერვიუების თანახმად, დღეს საქართველოში 250-დან 300-მდე დაცვის სამსახური მოქმედებს. სავარაუდოა, რომ ამათგან ბაზარზე სამიდან ექვს კომპანიამდე დომინირებს, ზოგ მათგანს 500-დან 1.000-მდე ადამიანი ჰყავს დასაქმებული. სხვა დანარჩენი კომპანიები კონკურენტუნაროდ მიიჩნევა და შვიდიდან ათ კაცამდე ჰყავთ დასაქმებული. გამოკითხულ კომპანათა შორის ყველაზე მცირეს 25 კაციანი პერსონალი ჰყავს, ხოლო ყველაზე დიდს – 750 კაციანი. დაცვის ინდუსტრიის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ამჟამად, მძლავრი კონკურენციის არსებობის პირობებში, ბაზარი მეტად ქაოტურია, რადგან ლიცენზირების საგანგებო მოთხოვნების არარსებობის გამო ნებისმიერ ინდივიდს შეუძლია კერძო დაცვის სამსხურის დაარსება. მეორე გამოკითხულის აზრით, უსამსახუროდ დარჩენილი ყველა დაცვის თანამშრომელი თავადვე ქმნის საკუთარ კერძო დაცვის სამსახურს. თუმცა, ახლად შექმნილი სამსახურების უმრავლესობა მალევე წყვეტს არსებობას ტექნიკური თუ მატერიალური რესურსებისა თუ კლიენტთა პოტენციური ბაზის ნაკლებობის გამო. არსებობს გარკვეული მინიშნებებიც იმის თაობაზე, რომ მოქმედ კომპანიათა რაოდენობა ხელისუფლების ზეწოლისა და საბაზრო რეალიების მიზეზით კლებულობს. გამოკითხულებს, ზოგადად, მიაჩნიათ, რომ აუცილებელია საქართველოს კერძო დაცვის სამსახურების კონსოლიდაცია და რომ ათითხუთმეტი კომპანიის საქმიანობა სრულიად საკმარისი იქნება დღევანდელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

41 ინტერვიუ ანონიმურ რესპონდენტთან, საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთან.

42 ინტერვიუ, კერძო დაცვის კომპანია „ხალხისა და საკუთრების დაცვის გარანტი“.

3.3 უკანონო სამოქალაქო იარაღი

საქართველოს მთავრობას არ გააჩნია ოფიციალური ანგარიში კანონიერი ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობის შესახებ და იმედია, რომ წინამდებარე კვლევა მნიშვნელოვან მაჩვენებლებს მიაწოდებს მთავრობას ცეცხლსასროლი იარაღის არალეგალური მფლობელობის თვალსაზრისით. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ არალეგალური ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობა საქართველოსთვის ძალზე სერიოზული პრობლემაა. ამას რამდენიმე ფაქტორი ნათელყოფს. I. როგორც მთავრობის ოფიციალური პირების, ასევე, საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ უკანონო შეირაღება ჭარბად არის მიმოფანტული საქართველოს ტერიტორიაზე. შსს-ს ინფორმაციისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის შეფასების მიხედვით, სავარაუდოდ, ოჯახების ათი პროცენტი ფლობს უკანონო ცეცხლსასროლ იარაღს, ბევრ მთგანს კი შესაძლოა ერთზე მეტი იარაღიც ჰქონდეს[43]. ამასთან ერთად, ოჯახების კვლევის რესპონდენტთა 33 %-ს მიაჩნია, რომ საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის უდიდესი ნაწილი არალიცენზირებულია[44]. 2. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო მფლობელობისა ან ტარებისათვის დაპატიმრებათა დიდი მაჩვენებელი იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ ქართულ საზოგადოებში არარეგისტრირებული იარაღის დიდი ოდენობაა გავრცელებული. კვირაში სამიდან ხუთი დაპატიმრება სწორედ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობისა და ტარების გამო ხდება, ამგვარ შემთხვევათა დიდი ნაწილი კი თბილისზე მოდის[45]. 3. ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ კანონიერი ცეცხლსასროლი იარაღის დიდი ნაწილი სამოქალაქო მფლობელობაში 1990-იანი წლების დასაწყისში, ორი სეპარატისტული კონფლიქტისა და სამოქალაქო ომის დროს აღმოჩნდა, მაგრამ დღემდე არ მომხდარა ამ იარაღის აღრიცხვა. მას შემდეგ არ ჩატარებულა იარაღის ამოღების არც ერთი მნიშვნელოვანი კამპანია. ის ღონისძიებებიც კი, რომლებიც 1990-იანი წლების დასაწყისში ჩატარდა, მიმართული იყო უფრო პოლიტიკური ძალაუფლების მქონე პარამილიტარული დაჯგუფებების წინააღმდეგ, ვიდრე, ზოგადად, მოსახლეობის განსაიარაღებლად[46]. ვარაუდობენ, რომ ამ იარაღის დიდი ნაწილი დღემდე უკანონო მფლობელობაში რჩება, თუმცა მას არ იყენებენ.

კვლევის ჯგუფმა სხვადასხვა კითხვაზე რესპონდენტების მიერ გაცემული პასუხების საშუალებით სცადა საქართველოში გავრცელებული უკანონო იარაღის რაოდენობის შეფასება. ეს გამოთვლები შეუდარდა გამოკითხული ინფორმირებული პირების მოსაზრებებს. ამ მეთოდს თავისი სუსტი მხარეც აქვს, ამიტომ მიღებული შეფასებების გამოყენებისას სიფრთხილე გვმართებს. მიუხედავად ამისა, კვლევის ჯგუფს მიჩნია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოკლებით, დღესდღეობით კვლავაც მიმოქცევაშია 250.000-ზე მეტი იარაღი. ინფორმაცია, რომელსაც მოცემული შეფასება ეყრდნობა, ზოგადად, გამომდინარეობს საოჯახო კვლევის რესპონდენტთა თვალსაზრისიდან, რომლის მიხედვითაც, ეს უკანასკნელნი იცნობენ ერთი ოჯახს მაინც, რომლის მფლობელობაშიცაა თუნდაც ერთი მოქმედი ცეცხლსასროლი იარაღი. შედარებისთვის მოვიტანთ მეორე, ალტერნატიულ (მინიმალურ) შეფასებას, რომელიც 100,000 უკანონო იარაღის ოდენობას შეიცავს და ემყარება უწინ სამოქალაქო მფლობელობაში მყოფი უკანონო იარაღის რაოდენობას, რომელიც არც ამოუღიათ და არც ჩამოურთმევიათ (ეს ინფორმაციაც საოჯახო კვლევის შედეგად იქნა მოპოვებული). ცხრილი 2 შეიცავს უკანონო შეირაღების მფლობელობის განსხვავებულ შეფასებებს, მათ ძლიერსა და სუსტ მხარეებს მათგან გამომდინარე შეფასებების ჩათვლით. დეტალებს ქვემოთ განვიხილავთ.

ცხრილი 2: კანონიერი მცირე შეიარაღების შეფასება

მეთოდი	ძირითადი პრობლემა	შეფასება
1. მთავრი ინფორმანტის შეფასება	არ ემყარება სტატისტიკურ მონცემებს	147,000
2. კვლევის შეფასება		
1ა. თუ გქონიათ ოდესმე სახლში იარაღი?	პირდაპირი კითხვა – უმთავრესად მოსალოდნელია, რომ რესპონდენტმა თავი შეიკავოს ზუსტი პასუხისაგან	89.000
1ბ. თქვენი აზრით, თქვენი მეგობრებისა და ახლობლი ოჯახების რამდენი პროცენტი ფლობს თუნდაც ერთ ცეცხლსასროლ იარაღს?	გამოთვლები, რომლებიც ეფუძნება იმ რესპონდენტების რაოდენობას, რომლებმაც აღიარეს იარაღის მფლობელი თუნდაც ერთი მეგობრის ან ახლობელი ოჯახის არსებობა – მოსალოდნელია, რომ რესპონდენტმა თავი შეიკავოს ზუსტი პასუხისაგან	250.000

43 ინტერვიუ, შოთა უტიაშვილი.

44 თუმცა 44 პროცენტის აზრით, იარაღის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია არალიცენზირებული.

45 ინტერვიუ, შოთა უტიაშვილი. მაგალითად, 2005 წლის მანძილზე უკანონო იარაღის ტარების 1,242 შემთხვევა იყო გამოვლენილი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მაჩვენებლის ქვეშ იგულისხმება ის შემთხვევებიც, რომლის დროსაც მოქალაქე უკანონოდ ატარებდა კანონიერ იარაღს. ასეთი იარაღი არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც უკანონო. საკითხის ანალიზისათვის იხ. თავი 3.5.

46 დემეტრიო ს., პოლიტიკა იარაღის ლულიდან: მსუბუქი შეიარაღების გავრცელება და კონფლიქტები საქართველოში, 1989-2001 (მცირე შეიარაღების კვლევა, 2002).

მეთოდი 1: მთავარი ინფორმანტის შეფასება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შსს-ს ინფორმაციისა და ანალიზის დეპარტამენტის შეფასებით (რომელიც არ ეფუძნება სტატისტიკურ ან ოპერატიულ ინფორმაციას), ოჯახების დაახლოებით ათი პროცენტი შესაძლოა ფლობდეს უკანონო ცეცხლსასროლ იარაღს, მათი დიდი ნაწილი კი – ერთზე მეტსაც. ათპროცენტიანი მაჩვენებელი ზუსტი რომ ყოფილიყო, მაშინ სამოქალაქო მფლობელობაში მყოფი ცეცხლსასროლი იარაღი 147.000 ერთეულს შეადგენდა[47]. თუმცა სავარაუდოა, რომ ეს მხოლოდ მიახლოებული შეფასებაა (შესაბამისად, არც ეს მონაცემია ზედმიწევნით ზუსტი), იმისდა მიუხედავად, რომ კარგად ინფორმირებული ინდივიდისაგან მომდინარეობს. მთავრობის წევრებს და სხვა სახელისუფლო ჯგუფების წარმომადგენლებს (მაგ. პოლიციის ოფიცრებს, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამდებობების პირებსა და თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ პირებს), ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტებს, ვთხოვეთ, შეეფასებინათ კანონიერი იარაღის მფლობელობის არსებული მდგომარეობა. გამოკითხულთა დიდი ნაწილი არ მიიჩნევდა თავს ამ თვალსაზრისით საკმაოდ ინფორმირებულად, ხოლო მათ, ვინც ამგვარი შეფასება მაინც მოგვცეს, თვალსაზრითა ფართო სპექტრი წარმოგვიდგინეს.

მეთოდი 1: საოჯახო კვლევის შეფასებები

„გორბის“ მიერ 2005 წლის დასასრულისათვის ჩატარებული საოჯახო კვლევის შედეგები ორმაგ შეფასებას გვიჩვენებს ქართულ ოჯახებში უკანონო სამოქალაქო იარაღის არსებობის შესახებ. საოჯახო კვლევა წარიმართა საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და არ ითვალისწინებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაცემებს. ე.წ. არჩევითი ტექნიკის გამოყენების შედეგად შესაძლებელი გახდა კვლევის შედეგების განზოგადება საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ ოჯახებზე (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოკლებით). სევე, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მეთოდი საქართველოში მოქალაქეთა მფლობელობაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის სრული რაოდენობის საწყის შეფასებას გულისხმობს და შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს.

ცალკეული ოჯახის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობის მაჩვენებლის გამოთვლა შესაძლებელია კითხვაზე – „გქონიათ თუ არა ოდესმე შინ იარაღი?“ – დადებითი პასუხის მიხედვით. კვლევის ამგვარი მეთოდის გამოყენებით ცნობილი გახდა, რომ ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული 210.094 ოჯახი (ანუ საქართველოს ყველა ოჯახის 16.9%-ს) უწინ ერთ იარაღს მაინც ფლობდა და რომ ეს იარაღი მიმოქცევიდან არ იყო ამოღებული[48]. კითხვიდან – „თქვენი აზრით, რამდენი იარაღია ტიპურ ქართულ ოჯახში?“[49] – ასევე შესაძლებელია 1.82 კოეფიციენტის გამოყვანა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დღესდღეობით ქვეყანაში 100.000-მდე უკანონო ცეცხლსასროლი იარაღია. თუმცა ამ შეკითხვაზე პასუხი ზედმიწევნით ზუსტი ვერ იქნება, რადგან როდესაც რესპონდენტებს უსვამენ კითხვას მათ ოჯახებში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ, მათი უმრავლესობა ამ კითხვაზე სწორ პასუხს არ იძლევა.

ცხრილი 3: საოჯახო კვლევის შეფასება 1. „გქონიათ თუ არა ოდესმე შინ იარაღი?“

იარაღის მქონე ოჯახები	210. 094
გამრავლების კოეფიციენტი	x1.182
იარაღის მთლიანი რაოდენობა	248.331
კანონიერ მფლობელობაში არსებული იარაღი	–159.000
უკანონო იარაღის მთლიანი რაოდენობა	**89.000 (89.331)**

47 2004 წელს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გარეშე საქართველოში 1,243,158 ოჯახი აღირიცხებოდა. წყარო: ეკონომიკის განვითარების სამინისტრო, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, 2004. ოჯახების 10% აღნიშნავს 124,316 ოჯახს. თუ ჩვენ ამ რაოდენობას 1,182-ზე გავამრავლებთ (მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ზოგიერთი ოჯახი ერთ იარაღზე მეტს ფლობს), მივიღებთ 147,000-ს (უფრო ზუსტი თუ ვიქნებით, 146,941). გამრავლების კოეფიციენტის დასადგენად იხ. ქვემოთ მოცემული მეთოდი.

48 იმ რესპონდენტებს, რომლებმაც ამ კითხვას დადებითი პასუხი გასცეს, მოგვიანებით სხვა კითხვა დაუსვეს – „რა მოუვიდა ამ იარაღს?“ პასუხები: „მივეცი მეგობარს ან ოჯახის წევრს“ – 27,349 (ოჯახების საერთო რაოდენობის 2.2%), „მომპარეს“ – 24,863 (2%), „გავყიდე“ – 44,754 (3.6%), „ჯერ კიდევ მაქვს“ – 87,021 (7%), სხვა/„პასუხი არ მაქვს“ – 26,106 (2.1%). სულ: 210,094 (16,9%).

49 რესპონდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ამ კითხვაზე პასუხი არა აქვს. ყოველ ოჯახზე იარაღის ფლობის კოეფიციენტი – 1,182 – გამოყვანილია გაცემული პასუხების შედეგად მილებული მონაცემებიდან. ამ რიცხვზე გამრავლებით მივიღებთ იარაღის რაოდენობას მოცემული რაოდენობის ოჯახებში. 1,300 რესპოდენტის გამოკითხვის შედეგად პასუხები ასე განაწილდა: „არ ვიცი“ – 578 (44%), პასუხი არ გასცა – 30-მა (2.3%), „1“ – 543 (41.8%), „2“ – 64 (4.9%); „3“ – 16 (1.2%); „4“ – 3 (0.2%); „5“ – 1 (0.1%); „0“ – 66 (5.1%). დადებითი პასუხების ჯამი გავყავით დადებითი რესპონდენტების რაოდენობაზე და მივიღეთ კოეფიციენტი 1.182.

მეორე შეფასება უკანონო იარაღის ფლობის თაობაზე შესაძლოა გამომდინარეობდეს პასუხიდან კითხვაზე – „თქვენი აზრით, თქვენი მეგობრებისა და ნათესავთა ოჯახების რამდენი პროცენტი ფლობს თუნდაც ერთ მოქმედ იარაღს?“[50] რესპონდენტთა 28 პროცენტმა ამ კითხვაზე პასუხისას დაადასტურა, რომ მათი მეგობრები და ნათესავები ერთი იარაღს მაინც ფლობენ. პასუხი მიუთითებს, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე უკანონო მფლობელობაში სულ ცოტა 270.000 ერთეული იარაღია. მიუხედავად იმისა, რომ ეს მონაცემი წინა მაჩვენებელზე უფრო დამაჯერებელი ჩანს, შესაძლოა, რეალობას ზედმიწევნით არც ის ასახავდეს, რადგან დადებითი პასუხის გამცემმა რესპონდენტებმა აღიარეს, რომ ჰყავთ ნაცნობ-მეგობრები, რომლებიც ერთზე მეტ ცეცხლსასროლ იარაღს ფლობენ. მიუხედავად ამისა, ამ ფაქტის მხედველობაში მიღება არ არის აუცილებელი, რადგან: ა) რესპონდენტების მიერ გაცემული პასუხი მერყეობს 1-5%-ს შორის; ბ) არ არის ცნობილი, რამდენი ნაცნობ-მეგობარი ჰყავს რესპონდენტს.

ცხრილი 4: ოჯახების კვლევის შეფასება 2. „თქვენი აზრით, თქვენი მეგობრებისა და ნათესავების რამდენ პროცენტს აქვს თუნდაც ერთი მოქმედი ცეცხლსასროლი იარაღი?“

დანომრეთ იარაღიანი ოჯახები	348-084
ნამრავლი	x1.182
იარაღის სრული რაოდენობა	411.435
კანონიერი იარაღი	–159.000
უკანონო იარაღის სრული რაოდენობა	**252.000 (252.435)**

3.4 უკანონო იარაღის წყაროები

ფოკუს-ჯგუფების მიერ ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა სხვადასხვა წყარო, სადაც შესაძლებელია ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა. მიჩნეული იყო, რომ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების უმთავრეს წყაროებს წარმოადგენდნენ: საქართველოსა და კავკასიის მთელ ტერიტორიაზე განლაგებული რუსული სამხედრო ბაზები; 1990-იანი წლებში მიმდინარე სხვადასხვა კონფლიქტი; ქურდობა ეროვნული რეზერვებიდან; ტრეფიკინგი სხვადასხვა ქვეყნებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტორები წარსულში მნიშნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოში იარაღის გავრცელების საქმეში, ნამდვილად არ შეიძლება ითქვას, რომ დიდი რაოდენობის იარაღი დღესაც მათი მეშვეობით ვრცელდება. მართლაც, გამოკვლევამ აჩვენა, რომ იარაღის შესაძენად მომხმარებელი ყველაზე ხშირად იარაღის მაღაზიებს აკითხავს. მაგალითად, რესპონდენტების 69% აცხადებს, რომ თუკი ისინი იარაღის შეძენას მოისურვებენ, უთუოდ იარაღის მაღაზიას მიაშურებენ[51]. დღესდღეობით ქვეყანაში მცირე რაოდენობის უკანონო იარაღი შემოდის, რადგანაც მასზე მოთხოვნა შემცირდა. შეიძლება ითქვას, რომ უკანონო იარაღის ბაზარი, ძირითადად, ძველი იარაღის ბრუნვაზეა დამოკიდებული.

რუსული ბაზები

რუსული ბაზები და სამშვიდობო ბატალიონები, დისლოცირებულნი ანაკლიასა და ახალციხეში (საქართველო), ასევე კავკასიის ჩრდილოეთსა და სამხრეთში, როგორც საქართველოს ოფიციალური პირების, ასევე ფოკუს- ჯგუფების მიერ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების წყაროდ არიან მოაზრებულნი. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ადრეულ 1990-იან წლებზე, როდესაც იარაღი შედარებით მარტივი მოსაპოვებელი იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის (ზაკვო) ბაზებიდან იქ გამეფებული კორუფციის შედეგად. ერთ-ერთი გამოკითხულის მტკიცებით, 1992-93 წლებში რუსული ცეცხლსასროლი იარაღის გაცვლა ორ ბოთლ არაყში იყო შესაძლებელი[52]. გამოკითხვის მონაწილეთა გარკვეული ნაწილის აზრით კი, რუსი სამხედროები შეგნებულად არიგებდნენ იარაღს თავიანთი ბაზებიდან:

50 რესპონდენტების 21%-მა განაცხადა, რომ მათი მეგობრებისა და ნაცნობთა ოჯახების 1-5% აქვს თუნდაც 1 მოქმედი ცეცხლსასროლი იარაღი; 3%-მა განაცხადა, რომ 6-10% აქვს ერთი მოქმედი ცეცხლსასროლი იარაღი; 2%-მა – 11-20%, 1%-მა – 21-40% და 1%-მა – 61-80%.

51 მხოლოდ ერთი პროცენტი ადასტურებს რომ შეიძენს იარაღს მეგობრისგან ხოლო სამმა პროცენტმა თქვა რომ იარაღის დილერს მიკითხავს

52 ინტერვიუ, კახა კაციტაძე.

მე ვიცნობ ადამიანებს, რომლებმაც 1990 წელს რუსი სამხედროებისგან იარაღი შეიძინეს. ერთმა ზუგდიდელმა კაცმა რუსებისგან იყიდა იარაღი და ზუგდიდში ჩამოიტანა. ის ანაკლიაში მდებარე რუსულ ბატლიონში ჩადიოდა და იარაღს იქ ყიდულობდა.

ფოკუს ჯგუფი G, ზუგდიდი, საჯარო მოხელე, ქალბატონი, 36 წლის.

ზოგიერთ გამოკითხულსა და ფოკუს-ჯგუფის მონაწილეს მიაჩნია, რომ იარაღის მოპოვება საქართველოში განლაგებული რუსული ბაზებიდან დღესაც საკმაოდ ადვილია. ისინი, ასევე, გამოხატავენ შეშფოთებას, რომ საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა მოსახლეობაში ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების დამატებით შესაძლებლობას შექმნის. მიუხედავად იმისა, რომ ადრე ჩატარებული კვლევების მონაცემთა თანახმად, 1990-იან წლებში[53] რუსული ბაზები უკანონო იარაღის გავრცელების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა, რუსეთის ოფიციალური პირები ამტკიცებენ, რომ დღესდღეობით მათ ბაზებში იარაღზე მკაცრი კონტროლია დაწესებული. კვლევის ჯგუფს არა აქვს არავითარი ინფორმაცია ეროვნული ან დამოუკიდებელი კვლევის შესახებ, რომელიც დაადასტურებდა დღესდღეობით რუსული ბაზებიდან იარაღის გადინებისა თუ ქურდობის შემთხვევებს.

1990 წლის კონფლიქტები

გამოკითხვაში მონაწილე ძირითადი ინფორმანტები და ფოკუს-ჯგუფები ადასტურებენ, რომ აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და სამეგრელოში 1990-იანი წლების კონფლიქტებისას, იარაღის დიდი რაოდენობა გავრცელდა. იარაღი მიეწოდებოდა უკანონო ბატალიონებს, რომლებიც, ძირითადად, ახალგაზრდებისა და თითქმის ავტონომიური გასამხედროებული დაჯგუფებისაგან შედგებოდა (მხედრიონი და ეროვნული გვარდია), რომლებიც იმხანად საკმაო ძალას ფლობდნენ. საფიქრებელია, რომ კონფლიქტის დროიდან შემორჩენილი დიდძალი იარაღი „ყოველი შემთხვევისათვის“[54] ახლაც სადღაც არის დამარხული და არ იყო ჩაბარებული 1995-1996 იარაღის ცაბარების კამპანიის დროს. რამდენიმე მთავარ ინფორმანტს მიაჩნია, რომ არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღის დიდი ნაწილი უკანონო მფლობელობაში სწორედ ამ კონფლიქტების პერიოდში გადავიდა[55].

90-იან წლებში შეიარაღებულ ადამიანებს ყველგან შეეძლოთ თავისუფლად სიარული. ეს იყო დრო, როდესაც ყოველგვარი გამოკითხვის გარეშე თითქმის ყველას ჰქონდა იარაღის ყიდვის საშუალება. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ოფიციალურად არ იყო ნებადართული, მაგრამ ვინ იყო რაიმეს მთქმელი, ან მომკითხავი?

ფოკუს ჯგუფი M, მარნეული, უმუშევარი, მამაკაცი. 25 წლის.

დარბევა და ქურდობა

შსს-ში არსებობს მოქალაქეებისა და სახელმწიფოსთვის მოპარული ცეცხლსასროლი იარაღის სია, თუმცა ის კვლევის გუნდისთვის არ წარუდგენიათ. მიუხედავად ამისა, ხელმისაწვდომი ინფორმაციის გაცნობის შედეგად ცხადი ხდება, რომ ცეცხლსასროლი იარაღის დიდი ოდენობა დაიტაცეს ან მოიპარეს როგორც სახელმწიფო საწყობებიდან, ასევე მოქალაქეებისგან. წინა შეფასება სახელმწიფო რეზერვებიდან მოპარული იარაღის ოფიციალურ მონაცემებს ეფუძნებოდა, რომლის თანახმად, საქართველოში მიმოქცევაშია ამგვარი იარაღის დაახლოებით 40.000 ერთეული[56]. ყველა რესპონდენტი ადასტურებს, რომ საწყობებიდან იარაღის ქურდობის შემთხვევათა უმრავლესობა ადრეულ 1990-იან წლებში ხდებოდა, კერძოდ, საბჭოთა უშიშროების სტრუქტურებიდან უშიშროების ახალ, ეროვნულ სისტემაზე გადასვლისა და მისი ჩამოყალიბების გარდამავალ პერიოდში. კვლევის პროცესში, როდესაც კითხვით მიმართეს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს ზემოთხსენებულ პერიოდში საწყობებიდან მოპარული მცირე შეიარაღების რაოდენობის შესახებ, მათ ვერ შეძლეს ზუსტი ინფორმაციის მოეწოდება. სამაგიეროდ, თავდაცვის სამინისტროს იუსტიციის დეპარტამენტის უფროსის განცხადებით ბოლო ათი წლის მანძილზე სამხედრო ბარაკებში დაახლოებით შვიდი გაქურდვის შემთხვევა აღინიშნა (ათეულობით ერთეული იარაღი და ათამდე ნაღმმტყორცნი)[57]. მართალია, მას შემდეგ საწყობის დაცვა გაუმჯობესდა, მაგრამ ძნელი სათქმელია, კვლავ ემუქრება თუ არა ამ ობიექტებს ძარცვის საშიშროება, რადგა-

53 მით. ს. დემეტრიოსი

54 ინტერვიუ, კობა ლიკლიკაძე.

55 ინტერვიუ, კახა კაციტაძე.

56 დარჩიაშვილი დ. როცა ოფიციალური მონაცემებით 20.000 აღინიშნა, გაჩნდა აზრი, რომ იარაღის ასეთი ინციდენტების აღურიცხავობა მისი რეალური ოდენობის თითქმის ორმაგ რიცხვზე მიუთითებდა.

57 ინტერვიუ, მამუკა კიკალეიშვილი.

ნაც კვლევის ჯგუფი არ ფლობს საკმარის ინფორმაციას თავდაცვის სამინისტროს საწყობებში არსებული მარაგის უსაფრთხოების ამჟამინდელი სტანდარტების თაობაზე (იხ. ნაწილი 6.2.1).

იარაღის მფლობელი მოქლაქეების ძარცვა, რომელიც დღესაც გრძელდება, შესაძლოა, მეტ პრობლემებს ქმნიდეს, ვიდრე სახელმწიფო ობიექტებისა. მაგალითად, რესპონდენტთა ორმა პროცენტმა საოჯახო კვლევისას დაადასტურა, რომ წარსულში მათ ცეცხლსასროლი იარაღი მოპარეს, ეს ციფრი კი 25.000 ერთეულ ცეცხლსასროლ იარაღს გულისხმობს[58], რაც, ინფორმაციის შეზღუდულობიდან გამომდინარე (რესპონდენტი ძნელად თუ გაამჟღავნებს უკანონო იარაღის მოპარვის ფაქტს), მინიმალურ მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ.

ტრეფიკინგი

მიუხედავად იმისა, რომ შსს-ს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი (შემდგომში „სასაზღვრო პოლიცია“) მცირე შეიარაღების ტრეფიკინგს სერიოზულ პრობლემად არ მიიჩნევს, (სეპარატისტემის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების გარდა), წარსულში საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არაერთხელ აღინიშნა მცირე შეიარაღების ტრეფიკინგის შემთხვევები. როგორც ჩანს, ტრეფიკინგის გზით სამხრეთის საზღვრებიდან (კერძოდ, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების გავლით) ქვეყანაში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის მნიშვნელოვანი როდენობა შემოვიდა (იხ. ნაწილი 8.4). მართალია, დღესდღეობით არ არსებობს მსუბუქი შეიარაღების ტრეფიკინგის დამადასტურებელი მასალები, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ ეს პრობლემა ძალზე აქტუალური გახდეს მომავალში, თუკი ქვეყანაში უკანონო იარაღზე მოთხოვნა გაიზრდება.

3.5 იარაღის გეოგრაფიული გადანაწილება

საქართველოს რეგიონებში, სეპარატისტულ რეგიონებში არსებული სიტუაციის გაუთვალისწინებლადაც კი, კანონიერი და უკანონო იარაღის დისტრიბუციის დიდი მრავალფეროვნება არსებობს. ამის მიზეზად, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის მასშტაბით არსებული მდგომარეობის მრავალფეროვნება უნდა მივიჩნიოთ, კერძოდ კი, ცალკეული რეგიონის სიახლოვე კონფლიქტის ზონებთან ან გარკვეულ სასაზღვრო რაიონებთან, მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების ისტორიული მიდრეკილება ცეცხლსასროლი იარაღისადმი, ისტორიული, ინტერეთნიკური დაძაბულობები ზოგიერთ რაიონებში, ასევე, პოლიციის, უშიშროებისა და სხვა სამართალდამცავი სააგენტოების მიმართ ნდობის დაბალი ხარისხი. ვინაიდან სახელმწიფო საგენტოებმა ვერ შეძლეს კანონიერი თუ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის დისტრიბუციის საკითხზე დეტალური ინფორმაციის მოწოდება, ნაშრომის მომდევნო მონაკვეთი მიზნად ისხავს ამ ნაკლოვანების შევსებას და საოჯახო კვლევის პასუხებზე, ჩადენილ დანაშაულთა ოფიციალური სტატისტიკასა თუ ადრინდელ კვლევებსა და ინტერვიუებზე დაყრდნობით შეეცდება წარმოაჩინოს კანონიერი თუ უკანონო იარაღის დისტრიბუციის სრული სურათი.

ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობის ყველაზე მაღალი დონე კვლევის ჯგუფის მიერ საქართველოს დედაქალაქ თბილისში, ასევე, სამეგრელო-ზემო სვანეთის, შიდა ქართლისა და იმერეთის რეგიონებში დადასტურდა. ის ფაქტი, რომ აღნიშნული რეგიონები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ახლოს მდებარეობს, სრულებითაც არ არის უბრალო დამთხვევა. ის კიდევ ერთხელ ადასტურებს უკანონო იარაღის გავრცელების მაღალ მაჩვენებელს კონფლიქტური ზონების მახლობლად მდებარე რეგიონებში (სამეგრელო-ზემო სვანეთსა და შიდა ქართლში). ამასთან ერთად, უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების დონე მაღალია აჭარაში, ასევე, კახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში, რომლებიც ჩეჩნეთსა და დაღესტანს ესაზღვრებიან, ასევე, ქვემო ქართლის მოსაზღვრე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. აღნიშნულ რეგიონებში ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების მაღალი ხარისხის ინდიკატორები ქვემოთ არის მოყვანილი.

58 საოჯახო კვლევის რესპონდენტთა ორმა პროცენტმა დაადასტურა, რომ მათ ირაღი მოპარეს. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში 1.243.158 ოჯახია, იარაღი მოუპარავთ 24.863 ოჯახისთვის.

ჩანართი 3: გავრცელების საკითხების კვლევა – თბილისი

თბილისი, როგორც საზოგადოების, ისევე ხელისუფლების ოფიციალური პირების მიერ გამოცხადდა კანონიერი და უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების უმთავრეს ცენტრად. მართლაც, შსს-ს ინფორმაციის დეპარტამენტის ინფორმაციის თანახმად, თბილისში არსებული იარაღის რაოდენობა ბევრად სჭარბობს ქვეყნის სხვა რეგიონების მაჩვენებელს. ამ ინფორმციას ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებიც დაეთანხმნენ.

პანკისის ხეობაში ბევრად ნაკლები იარაღია გავრცელებული, ვიდრე ქალაქებში, რადგან ოფიცილური პირები ხშირად ჩადიან ამ რეგიონში იარაღის გამოსავლენად. რაც შეეხება თბილისს, ბუნებრივია, რომ იქ არავინ ივლის კარდაკარ იარაღის საძებრად.

ფოკუს ჯგუფი E, თბილისი, დიასახლისი, ქალბატონი. 40 წლის.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს, ასევე, მიაჩნიათ, რომ იარაღის ქალაქელი მფლობელები, ჩვეულებრივ, მოკლელულიან იარაღს ფლობენ, როგორიცა TT და მაკაროვის სისტემის პისტოლეტი, ასევე, კალაშნიკოვის ტიპის საბრძოლო იარაღს, მაშინ როდესაც სოფლის მოსახლეობა, ძირითადად, სანადირო იარაღს ფლობს. მოკლელულიანი იარაღის ქალაქებში გავრცელების ფაქტი უკავშირდება იქ არსებულ კრიმინალურ შემთხვევებს.

სრული გეოგრაფიული გავრცელება

საოჯახო კვლევის რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ცეცხლსასროლი იარაღის ყველაზე დიდი რაოდენობა, სახელმწიფოს კონტროლქვეშ არსებულის გარდა (მაგ. პოლიციისა და არმიისა), თბილისშია გავრცელებული, მნიშვნელოვანი ნაწილი კი სამეგრელო-ზემო სვანეთის, შიდა ქართლისა და აჭარის რეგიონებშია თავმოყრილი[59]. სამეგრელო-ზემო სვანეთი და შიდა ქართლი, ასევე, იმ რეგიონებს განეკუთვნება, რომლის მოსახლეობაც დარწმუნებულია, რომ მათ რეგიონებში არსებული იარაღის რაოდენობა სხვა რეგიონებისას სჭარბობს.

სურათი 3: საქართველოს რეგიონები, რომლებშიც სჭარბობს ცეცხლსასროლი იარაღი
(საფუძველი ნომ = 1.300)



აბსოლუტურად ყველა რესპონდენტს, ასევე, მიაჩნია, რომ ცეცხლსასროლი იარაღის რაოდენობა ქალაქებში უფრო მეტია (65%), ვიდრე სოფლებში (19%). სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობა ამ თვალსაზრისით გამონაკლისს წარმოადგენს, რადგან აქ გამოკითხული რესპონდენტების დიდი ნაწილის აზრით, იარაღის უფრო დიდი რაოდენობა სოფლებშია თავმოყრილი (40%). ამ რეგიონებში მონაცემთა შეუსაბამობა უკანონო იარაღის მფლობელობის მაღალ მაჩვენებელზე მეტყველებს და ისეთი ორგანიზებული შეიარაღებული დაჯგუფებების მოქმედებებს უკავშირდე-

59 უნდა ითქვას, რომ ეს კითხვა არ განარჩევდა კანონიერ და უკანონო იარაღს. კვლევის ჯგუფისთვის, ასევე, ცნობილია, რომ კანონიერი და უკანონო იარაღის მფლობელობის დონეები რეგიონებში შესაძლოა, საგრძნობლად განსხვავდებოდეს. და მაინც რეგიონალური დაყოფა იარაღის მფლობელობის გეოგრაფიული გავრცელების ანალიზისას ყველაზე ზუსტ მეთოდად ითვლება.

ბა, როგორებიცაა თეთრი ლეგიონი და ტყის საძმო (განსაკუთრებით თხილის კრეფის პერიოდში. იხ. ქვემოთ).

ჩანართი 4: იარაღის გავრცელების საკითხის კვლევა სამეგრელო-ზემო სვანეთისა და ზუგდიდის რეგიონში

უკანონო იარაღის მფლობელობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მთელი რიგი მიზეზების გამო ძალზე აქტუალურ პრობლემად ითვლება. ამ რეგიონებში დიდძალი იარაღი შემოვიდა სამოქალაქო ომის შემდეგ ცენტრალურ ხელისუფლებასა და განდევნილი პრეზიდენტის, ზვიად გამსხურდიას მომხრეებს შორის არსებული დაპირისპირების დროს (რომელიც სწორედ სამეგრელოსა და სვანეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა). აღნიშნულ მოვლენათა შემდგომ ამ ტერიტორიებზე არ ჩატარებულა იარაღის ამოღების რაიმე მნიშვნელოვანი კამპანია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ დღემდე ამოუღებელი რჩება დიდძალი რაოდენობის უკანონო იარაღი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სამეგრელო და სვანეთი წარმოადგენს შიდა საზღვარს აფხაზეთის ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებსა და დანარჩენ საქართველოს შორის, სადაც დღესდღეობით 100.000 იძულებით გდაადგილებული პირი ცხოვრობს. ამ რეგიონში უსაფრთხოების დაცვა ძალზე სერიოზული პრობლემაა, განსაკუთრებით ეს ითქმის გალის რაიონზე, რომლის დიდი ნაწილი სრულად არ კონტროლდება არც აფხაზეთისა და არც ქართული მხარის მიერ. Gგარდა ზემოაღნიშნულისა, ამ რეგიონში იარაღის ფლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციაც არსებობს და, შესაბამისად, იარაღის მფლობელობის მაღალი დონე აღინიშნება. Fფოკუს-ჯგუფის რესპონდენტები ადასტურებენ, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთი კვლავაც დგას უკნონო ირაღის მფლობელობის პრობლემის წინაშე:

ზუგდიდსა და სვანეთში 90-იან წლებში გავრცელებული იარაღის 10 პროცენტიც კი არ არის ამოღებული.

ფოკუს ჯგუფი D, თბილისი, თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი. მამაკაცი, 56 წლის.

ჩვენს ხელისუფლებას არ ძალუძს გააკონტროლოს სვანეთი, რადგანაც იქ ბევრი იარაღია, დიდძალი იარაღის არსებობა კი შეუძლებელს ხდის კონტროლის განხორციელებას.

ფოკუს ჯგუფი H, ზუგდიდი, უმუშევარი, ქალბატონი, 42 წლის.

ზუგდიდის რეგიონალური პოლიციის უფროსი ფიქრობს, რომ უკანონო იარაღის მფლობელობის დონე მცირდება, რაზეც ცეცხლსასროლი იარაღით გამოწვეული დანაშაულის მნიშვნელოვან შემცირებასთან ერთად 2005-2006 წლებში საახლწლო ღამეს სროლების შემცირებაც მიუთითებს (იხ.ქვემოთ). მას, ასევე, მიჩნია, რომ დღესდღეობით რეგიონში არ არსებობს იარაღის გავრცელების სერიოზული შავი ბაზარი და, ამრიგად, იარაღის უკანონო გზით მოპოვება ან სხვა უკანონო მფლობელისაგან მისი შესყიდვა თითქმის შეუძლებელია. და მაინც, სავარაუდოა, რომ ზუგდიდის რეგიონში ისევ არსებობს 90-ინი წლების მოვლენათა შედეგად გავრცელებული უკანონო იარაღის დიდი რაოდენობა. უკანონო მცირე შეიარაღების გავრცელების მაღალ დონეზე მიუთითებს 2005 წელს პოლიციის მიერ ამოღებული ამ ტიპის იარაღის სტატისტიკა: 83 ავტომატური იარაღი, 20 პისტოლეტი, 7 თოფი, 9 ყუმბარმტყორცნი, 40 ხელყუმბარა, რამდენიმე ტანკსაწინაღმდეგო და ათობით ნაღმი.

საოჯახო კვლევის შედეგების მიხედვით, ცეცხლსასროლი იარაღის გეოგრაფიული გავრცელების სურათი, ძირითადად, შეესაბამება მთავარი რესპონდენტების ინტერვიუებს და ფოკუს-ჯგუფების მიერ ჩატარებული საუბრების შედეგებს. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ იმ რესპონდენტთა თვალსაზრისი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისშია. მართლაც, შსს-ს ინფორმაციისა და ანალიზის დეპარტამენტის მიხედვით, თბილისში მართლაც არის რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღისა და გაზის იარაღის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, რადგანაც ამ ტიპის იარაღი საკმაოდ ძვირი ღირს და ფუფუნების საგნად არის მიჩნეული. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები, ასევე, მიიჩნევენ, რომ ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობის მაღალი დონე საქართველოს ჩრდილოეთ რეგიონებშიც აღინიშნება (იხ. ჩანართი 5).

ჩანართი 5: იარაღის გავრცელების საკითხის კვლევა. ქუთაისი, ჩრდილოეთის მაღალმთიანი საზღვარი

საოჯახო კვლევის შედეგად რეგიონებში ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობის მაჩვენებელთა შედარების საფუძველზე ფოკუს-ჯგუფები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ თვალსაზრისით თავად რეგიონებში სერიოზული შეუსაბამობა არსებობს. ეს ფაქტი, მართლაც, სინამდვილეს შეესაბამება, როდესაც საუბარია საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის რეგიონებზე – კახეთსა და მცხეთა-მთიანეთზე. ფოკუს-ჯგუფების წევრებს მიაჩნიათ, რომ ქვეყნის სხვა ნებისმიერ რეგიონთან შედარებით ყველაზე მეტი რეგისტრირებული და არარეგისტრირებული იარაღი იყო გავრცელებული სვანეთის მაღალმთიან რეგიონში (სამეგრელო-ზემო სვანეთში), პანკისის ხეობასა (კახეთში) და ხევსურეთში (მცხეთა-მთიანეთში). ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობის ტენდენცია მაღალმთიან რეგიონებში, აფხაზეთსა და ჩეჩნეთში მიმდინარე კონფლიქტების გარდა, ამ კუთხეების ისტორიული ტრადიციებითაც არის განპირობებული.

ზუგდიდსა და სამაჩაბლოში (სამხრეთ ოსეთი), ისევე როგორც სვანეთსა და ხევსურეთის პროვინციებში, ასევე, დიდძალი იარაღია თავმოყრილი. ეს ის რეგიონებია, სადაც ხალხი ტრადიციულად ყოველთვის ფლობდა იარაღს და, ჩემი აზრით, დღემდე ფლობს.

ფოკუს ჯგუფი G, ზუგდიდი, უმუშევარი, მამაკაცი, 55 წლის.

2004-2005 წლებში კახეთში დიდძალი უკანონო იარაღის ამოღების ფაქტები შესაძლოა ნაწილობრივ უკავშირდებოდეს მაღალმთიან რეგიონებში პოლიციის ძალების ნაკლებობას. ამ რეგიონებში უკანონო იარღის რაოდენობის დასადგენად უფრო საფუძვლიანი კვლევაა საჭირო.

უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელება

ზემოთმოყვანილი ანალიზი შესაძლოა შედარებული იქნას 2004 და 2005 წლების დაპატიმრებებთან, ცეცხლსსროლი იარაღის ყიდვის, მფლობელობის, გადატნისა და გაყიდვის გამო (შემდგომ „უკანონო ცეცხლსსროლი იარაღის ინციდენტები“)[60], რომ გავარკვიოთ უკანონო ცეცხლსსროლი იარაღის გავრცელებასთან ბრძოლის დინამიკა საქაღტველოში[61]. თბილისში, ისევე როგორც იმერეთში, აჭარაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, კახეთსა და შიდა ქართლში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად ბევრი ინციდენტი მოხდა.

სურათი 4: უკანონო ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაულის აღრიცხული ინციდენტები (წყარო: შსს)[62]



60 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 236-ე პარაგრაფის მიხედვით.

61 უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მომხდარი ინციდენტები მოიცავს კანონიერად რეგისტრირებულ იარაღსაც. ეს უკანასკნელი არ შეიძლება უკანონოდ ჩაითვალოს. კვლევამ ვერ გამოავლინა ამ ინციდენტების ზუსტი როდენობა ჩადენილ დანაშაულთა უფრო დეტალური დაყოფის გამო.

62 უკანონო ინციდენტების გამოთვლა ყოველ 10.000 ადამიანზე 2005 წელს სხვა სახის უკანონო იარაღის (ორიგინალში ეწერა მხოლოდ სიტყვა „სხვა“, მე კი გავიგე, რომ აქ იარაღის სხვა სახეზე, სხვა ტიპზეა საუბარი) ფლობის ოდნავ განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს. დანაშაულის ეს ტიპი ყველაზე ხშირია თბილისში, თუმცა მცირედ დასახლებული რეგიონები – რაჭა-ლეჩხუმი და გურია ამ მხრივ ყველას ჭარბობს. თბილისი (4.2); გურია (6) აჭარა (3.4); იმერეთი (2.97); შიდა ქართლი (2.5); სამეგრელო-ზემო სვანეთი (2.3) მცხეთა-მთინეთი (2.3); კახეთი (2.2); სამცხე-ჯავახეთი (1.9) ქვემო ქართლი (1.1). წყარო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი.

ეს სურათი ძალზე წააგავს ანალიზის შედეგად წარმოდგენილ იარაღის გავრცელების სრულ სურათს, რომელიც საოჯახო კვლევის პასუხებს ემყრება. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთისა და შიდა ქართლის რეგიონებს აქ ისეთი გამორჩეული პოზიცია არ უჭირავთ, როგორც საოჯახო კვლევის პასუხებში. თუმცა იმ დანაშაულთა სტატისტიკა, რომლებშიც ცეცხლსასროლი იარაღი იყო გამოყენებული („ბანდიტიზმის“ კატეგორიით)[63], იმაზე მიანიშნებს, რომ ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობის შემთხვევები უფრო ხშირია სამეგრელო-ზემო სვანეთსა და შიდა ქართლში, ვიდრე ქვეყნის სხვა რეგიონებში. 2005 წლის მონაცემებით ამ ტიპის დანაშაული ყველაზე მეტად თბილისში იყო გავრცელებული (1.076 აღრიცხული დანაშაული), მას მოსდევდნენ იმერეთი (214), სამეგრელო-ზემო სვანეთი (141), შიდა ქართლი (120) და ქვემო ქართლი (104)[64]. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია არ არსებობს იმის თაობაზე, კანონიერი თუ უკანონო იარღი ფიგურირებდა ამ დანაშაულებში, სხვა ევროპულ ქვეყნებში ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დნაშაულები, ჩვეულებრივ უკნონო იარღით ხდება.

ჩანართი 6: დისტრიბუციის საკითხის კვლევა – ქუთაისი, იმერეთის რეგიონი

იმერეთი ტერიტორიის საკმაოდ ფართო მონაკვეთით ესაზღვრება სამხრეთ ოსეთს, უახლოეს წარსულში (კონფლიქტისა და სამოქალაქო ომის დროს) კი წარმოადგენდა მნიშვნელოვან გზაჯვარედინს როგორც აფხაზეთის, ასევე, სამეგრელო-სვანეთისკენ სავალ გზაზე. იარაღის მფლობელობის საკითხის კვლევა ამ რეგიონში ინტერვიუების მეშვეობით ქუთაისში განხორციელდა, თუმცა ფაქტია, რომ მხოლოდ ამ ქალაქის მონაცემი ვერ განზოგადდება მთელ რეგიონზე.

ქუთაისის მერის ინფორმაციაზე დაყრდნობით, სამოქალაქო ომის დროს ქალაქის სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე (რამაც იარაღი ადვილად ხელმისაწვდომი გახადა), იქ უკანონო იარაღის დიდი რაოდენობა დაგროვდა. მიუხედავად იმისა, რომ არავითარი სტატისტიკა არ არსებობს 1995-1996 წლებში ქუთაისში იარაღის ამოღების კამპანიის შესახებ, მერი მიიჩნევს, რომ უკანონო იარაღის დიდი ნაწილი ან ჩამოართვეს მფლობელებს, ან ნებაყოფლობით იქნა ჩაბარებული, ხოლო ის ნაწილი, რომელიც მოსახლეობაში დღემდე შემორჩა, დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ქალაქში კვლავაც გრძელდება იარაღის დიდი რაოდენობით ამოღება. 2005 წლის აგვისტოსა და 2006 წლის იანვარში ქუთაისის პოლიციამ 18 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო პისტოლეტების, ავტომატური იარაღისა და ასაფეთქებლების ჩათვლით. იმისდა მიუხედავად, რომ ქუთაისის პოლიციის უფროსის აზრით, ეს იარაღი მოქალაქეებს უფრო შენახული ჰქონდათ, ვიდრე დანაშაულებრივი საქმიანობისათვის იყენებდნენ, აქ ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა უტოლდება რაჭა-ლეჩხუმის რაიონში (შედარებით მცირე რაიონი) მთელი 2004 წლის მანძილზე უკანონო იარაღის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულების რაოდენობას. ამ მონაცემებს ოდნავ სჭარბობს იმავე რეგიონში 2005 წლის განმავლობაში მომხდარი ამგვარივე ინციდენტების რაოდენობა (21). გურიაში 2004 წელს (24) და მცხეთა მთიანეთში როგორც 2004 (22) ასევე 2005 (28) წლებში. კანონიერი ირღის ფლობა ასევე ხშირია. მერმა აღნიშნა, რომ ოჯახების 80%-ს შესაძლოა გააჩნდეს რაიმე ტიპის იარაღი (ძირითადად, სანადირო); ამ მონაცემების შედარება საპატრულო პოლიციის მონაცემებთან ვერ მოხერხდა.

2004-2005 წლების განმავლობაში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მომხდარმა დანაშაულებრივმა ქმედებებმა შესამჩნევად იმატა თბილისშიც და აჭარაშიც, არადა ქვეყნის სხვა რეგიონებში, პირიქით, საგრძნობლად იკლო. 2004 წლის მაისში ხელახლა მოხდა აჭარის ინტეგრირება საქართველოში, რის შემდეგაც ადგილობრივმა ოფიციალურმა პირებმა ამ რეგიონში იარაღის ამოღების ვრცელი კამპანია ჩატარეს, რაც მის იძულებით ჩამორთმევასაც ითვალისწინებდა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ იარაღის აღრიცხვა აჭარაში 2004 წლიდან დიწყო, გასაკვირი არაა, რომ ამ რეგიონში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით არაერთი ინციდენტი მოხდა. თუმცა, გაუგებარია, რატომ იზრდება თბილისში უკანონო ცეცხლსასროლი ირაღის გამოყენებით მომხდარი დანაშაულთა რიცხვი. ეს, შესაძლოა, უკანონო იარაღის შენახვის ფაქტებსაც უკავშირდებოდეს, მაგრამ, ასევე, შესაძლებელია, რომ პოლიციის გაზრდილი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, დღესდღეობით უფრო მეტი საშუალებები არსებობს ამგვარ ინციდენტთა დასადგენად და გამოსავლენად.

63 პარაგრაფი 179-ე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

64 იარაღით ჩადენილი დანაშაულისა და მისი გავლენის შესახებ მეტი ინფორმაციისათვის იხ. ნაწილი 4.3.

ჩანართი 7: დისტრიბუციის საკითხების კვლევა – აჭარა

ათ წელზე მეტხანს აჭარას თბილისიდან იზოლირებულად ასლან აბაშიძე მართავდა. აბაშიძის მმართველობის პერიოდში მოსახლეობას დიდი რაოდენობის იარაღი დაურიგდა, როგორც ჩანს, მისი ძალაუფლების ზურგის გასამაგრებლად. განსაკუთრებით ეს ითქმის ე.წ. ზოგადი არასტაბილურობის პერიოდზე, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოჰყვა (1991-1995 წწ) და 2003 წლის ბოლოსა და 2004 წლის დასაწყისზე, როდესაც ერთმანეთს დაუპირისპირდა აბაშიძის რეჟიმი და ვარდების რევოლუციის შედეგად მოსული ახალი ხელისუფლება.

1992-93 წლებში აბაშიძის რეჟიმმა იარაღი გადასცა მოქლაქეების გარკვეულ ჯგუფს და ამგვარი ქმედება მხედრიონისაგან აჭარის დაცვის საჭიროებით ახსნა (მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, აჭარას ამ გასამხედროებული ჯგუფების ზეწოლა არ განუცდია). თუმცა ბევრი მიიჩნევდა, რომ იმხანად იარაღი შერჩევით დაურიგდათ აბაშიძის ნათესავებსა და მეგობრებს, მთავრობის ოფიციალურ პირებს და ამ რეჟიმის მხარდამჭერებს. იმასაც ვარაუდობდნენ, რომ ოფიციალურ პირებს ჰქონდათ რეესტრი იმ ადამიანებისა, რომელთაც იარაღი დაურიგდათ, თუმცა დღემდე არავინ იცის, რამდენად სრული იყო ეს სიები, ან განადგურდა თუ არა აბაშიძის რეჟიმის დამხობის შემდეგ.

მეორე პერიოდი დაიწყო 2003 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, როდესაც თბილისში ვარდების რევოლუციის წინამორბედმა საპროტესტო გამოსვლებმა კულმინციას მიაღწია. აბაშიძემ საფრთხის მოახლოება იგრძნო და კვლავ დაიწყო იარაღის დარიგება. შემოდგომის მოვლენები 2004 წლის თებერვალ-მარტისთვის ბათუმსა და თბილისის ახალ ხელისუფლებს შორის დაპირისპირებაში გადაიზარდა. თვითმხილველთა თქმით, ხალხს, განსაკუთრებით ახალგაზრდა მამაკაცებს, აძლევდნენ 1.000 აშშ დოლარს და იარაღს, თუ ისინი შეიარაღებული ჯგუფის ჩამოყალიბებას შეძლებდნენ.

აბაშიძის რეჟიმის დაცემის შემდეგ, 2004 წლის მაისში, იარაღის ამოღების ათდღიანი კამპანია ჩატარდა. დადგინდა, რომ ამოიღეს ან ნებაყოფლობით ჩააბარეს 70-80 %-მდე მიმოქცევაში მყოფი უკანონო იარაღი (იხ. ნაწილი 7.1), მაგრამ შესაძლოა, რომ უკანონო იარაღის დიდი ნაწილი ჯერაც ინახება აჭარის მთიანეთში. საკუთრივ ბათუმში კი იარაღის მეტად მცირე ნაწილია შემორჩენილი. ადგილობრივი ოფიციალური პირები აღნიშნავენ, რომ უკანონო იარაღის შემცირებაზე, თუნდაც, ის ფაქტიც მეტყველებს, რომ საგრძნობლად იკლო ახალი წლის დღესასწაულებზე იარაღიდან გასროლის ინტენსივობამ.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანონო იარაღის შენახვის ფაქტების დასადგენად კრიმინალური მონაცემებით სარგებლობის მეთოდი ზუსტ ინფორმაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში ასახავს, თუ ყველა რეგიონის პოლიციას ექნება იდენტური საშუალებები ამგვარი იარაღის გამოსააშკარავებლად და ამოსაღებად. თუმცა, ცხადია, რომ საქართველოს მასშტაბით განსხვავებულია როგორც პოლიციის შესაძლებლობები, ისე გარემო, რომელშიც პოლიციას უწევს მოქმედება. მაგალითად, სამეგრელო-ზემო სვანეთში პოლიციის მოქმედებებს იარაღის ამოღებისა და ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაულის აღრიცხვისას აბრკოლებს აფხაზეთის სეპარატისტულ რეგიონთან სიახლოვე და შიდა საზღვრის გასწვრივ დემილიტარიზებული ზონის არსებობა. აღნიშნული რეგიონის გარდა, უკანონო იარაღის ამოღებისას და შეიარაღებული ინციდენტების აღრიცხვისას, შესაძლოა, სირთულეები შეექმნას მცხეთა-მთიანეთის პოლიციას, რაც იარაღის ფლობის საუკუნეებით ფესვგამდგარ ტრადიციასა და რთულ ლანდშაფტს უკავშირდება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ თბილისში მოქმედი პოლიცია მეტ რესურსებს ფლობს, ვიდრე რეგიონალური პოლიციის ძალები.

ჩანართი 8: დისტრიბუციის საკითხის კვლევა – ქვემო ქართლი, არა-ეთნიკური ქართული თემები

ბოლო რეგიონი, სადაც აღინიშნა უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების მაღალი მაჩვენებელი, (რომელიც „ბანდიტიზმად“ იწოდება) ქვემო ქართლია. თბილისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციის, კავკასიის ინსტიტუტის, მიერ 2004 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელება ქვემო ქართლის რეგიონის ეთნიკურ აზერბაიჯანელებში ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემაა. კვლევაზე დაყრდნობით, „დაგროვილი იარაღის რაოდენობა საზღვართან ახლომდებარე სოფლებში (ქვემო ქართლში) იმდენად დიდია, რომ პოლიცია ერიდება სოფლებში შესვლას და იქ ჩადენილ დანაშაულზე შესაბამისი რეაგირების მოხდენას“. კვლევამ, ასევე, დაადგინა, რომ ქვემო ქართლის ზრდასრული მოსახლეობის 70-80 პროცენტი ფლობს ცეცხლსასროლ იარაღს, რომლის უდიდესი ნაწილი სასაზღვრო სოფლებშია კონცენტრირებული. უკანონო იარაღის ამგვარი სიჭარბე, ერთი მხრივ, პოლიციისადმი უნდობლობით უნდა აიხსნას, მეორე მხრივ კი, იარაღის ლიცენზირების შესახებ გაუთვითცნობიერებლობით და საზღვრის მიღმა აზერბაიჯანიდან იარაღის ადვილად ხელმისაწვდომობით. სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს აზერბაიჯანელი მოსახლეობის ინტეგრირების დაბალი დონე ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საქართველოს ხელისუფლებას კი ჯერ არ დაუსახავს და დაუნერგავს მყარი პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის. აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, ეთნიკურ უმცირესობებს უჩნდებათ თავიანთი კულტურის, რელიგიისა და უფლებების ხელყოფის შიში, საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის სურვილმა კი შესაძლოა, უბიძგოს მათ იარაღის შესაძენად, რათა სახელმწიფო სტრუქტურებისადმი მიმართვის ნაცვლად თავად შეეძლოთ საკუთარი თავის დაცვა. მართლაც, შსს-ს წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მცირე შეიარაღების შეძენა ბევრად უფრო ადვილია ქვემო ქართლში, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში, რადგან ეთნიკური აზერბაიჯანელების უმრავლესობა უარს ამბობს, ითანამშრომლოს ადგილობრივ პოლიციასთან.

3.6 კანონის აღსრულება

სასჯელი მცირე შეირაღების შიდა კანონმდებლობის დარღვევისათვის

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, მცირე შეიარაღებაზე კონტროლის კანონმდებლობის დარღვევისათვის გათვალისწინებულია შემდეგი სასჯელი[65]:

ცხრილი 5: სასჯელი მცირე შეიარღების კანონმდებლობის დარღვევისათვის

დანაშაული	სასჯელი	საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალების, ფეთქებადი ნივთიერებების და ასაფეთქებელი მოწყობილობების უკანონო შენახვა ან შეძენა	ჯარიმა ან სამ წლამდე პატიმრობა	მუხლი 236, პარ. 1
ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების, ფეთქებადი ნივთიერებების და ასაფეთქებელი მოწყობილობების მისაკუთრების მიზნით უკანონო დაუფლება ან გამოძალვა	სამიდან შვიდ წლამდე პატიმრობა	მუხლი 237.
ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა) საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერებების და ასაფეთქებელი მოწყობილობების უკანონო ტარება	ჯარიმა ან პატიმრობა ხუთ წლამდე	მუხლი 236, პარ. 2
ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა) საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერებების და ასაფეთქებელი მოწყობილობების უკანონო დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება.	პატიმრობა ხუთიდან ათ წლამდე	მუხლი 236. პარ. 3

65 2005 წლის ანგარიში გაეროს გეროს სამოქმედო გეგმის დანერგვასთან დაკავშირებით

საქართველოს კანონმდებლობა იარაღთან დაკავშირებული სასჯელისათვის ითვალისწინებს პროცესუალურ შეთანხმებს ჯარიმის სახით (10.000 ლარის ოდენობით (5.500 აშშ $), რომელსაც პირობითი სასჯელის შემთხვევაში იხდიან[66]. გამონკლისს წარმოადგენს უკანონო შენახვის შემთხვევები, თუმცა დაუტენელი, დაშლილი იარაღის აღმოჩენის შემთხვევაში მფლობელს ეკისრება ჯარიმა 500 ლარის ოდენობით (27 აშშ $) პატიმრობის სანაცვლოდ. ის, ვინც ნებაყოფილობით ჩააბარებს არარეგისტრირებულ იარაღს და საბრძოლო მასალებს, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით (რომელიც ითვალისწინებს, რომ ეს იარაღი არ იყო გამოყენებული დანაშაულის ჩასადენად) თავისუფლდება სასჯელისაგან[67]. ჩამორთმეული იარაღი შსს-ს საკუთრება ხდება, თუმცა ზოგ შემთხვევაში, სასამართლოს გდაწყვეტილების შესაბამისად, ის შეიძლება დაუბრუნონ კანონიერ მფლობელს. პროცესუალური შეთანხმების გამოყენება ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაულის მიმართ შესაძლოა გართულდეს, თუ სასჯელი შეუსაბამო იქნება. ამ საკითხის დაზუსტება შემდგომ კვლევას საჭიროებს.

კვლევის ჩარჩო

დღესდღეობით არ არსებობს კვლევის მკაფიო ჩარჩო საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო მფლობელობის საწინააღმდეგოდ. საპატრულო პოლიცია აწარმოებს უკანონო იარაღის ამოღებას, მაგრამ იარაღზე კონტროლი და მისი გავრცელების დაუშვებლობის ინიციატივები მათ კომპეტენციას სცილდება. თუმცა საპატრულო პოლიცია ვალდებულია, საგანგებო ოპერატიულ დეპარტამენტს (სოდ-ს) აცნობოს ნებისმიერი ჩამორთმეული იარაღის თაობაზე. სოდ-ი 2005 წელს შეიქმნა, როგორც ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის წამყვანი სააგენტო. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, მას ევალება ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და ამგვარი დანაშაულის გამოძიება, არარეგისტრირებული იარაღის ამოღების ჩათვლით. თუმცა ცხადია, რომ სოდ-ი ამჟამად იარაღის უკანონო შენახვისა და ტრეფიკინგის საკითხებს არ აანალიზებს და ჯერ დაუსახავს უკანონო იარაღით ვაჭრობის საწინააღმდეგო სტრატეგია და პროგრამა. რადგანაც კვლევის ჯგუფმა ვერ მოახერხა სოდ-ის ოფიცრებთან გასაუბრება, ბუნებრივია, რომ მას არ შეუძლია დეპარტამენტის შესაძლებლობების დეტალური ანალიზი. ხელისუფლების პოლიტიკა უკანონო იარაღის შენახვის შემთხვევების შესამცირებლად იარაღის ამოღების პროგრამების მეშვეობით განხილულია ნაშრომის კონკრეტულ ნაწილში (7.1).

ადმინისტრაციული შესაძლებლობები

2004 წლის შემდეგ შესამჩნევად გაუმჯობესდა იმ სააგენტოების შესაძლებლობები, რომლებიც ჩართულნი არიან სალიცენზიო პროცესში. მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება თავდაცვის იარაღის ლიცენზირების პროცედურების რესტრუქტურიზაციისა და დახვეწისათვის, სალიცენზიო სისტემის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად და კორუფციის შესამცირებლად.

2004 წლამდე თავდაცვის იარაღის ლიცენზირება სამ სხვადასხვა ნებართვათა დეპარტამენტს შორის იყო გადანაწილებული, რომელთაგან თითოეული კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალს ემსახურებოდა – აჭარას, აფხაზეთსა და საქართველოს დანარჩენ რეგიონებს. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის დეპარტამენტის გარდა, დანარჩენი ორი თბილისში მდებარეობდა (ბუნებრივია, რომ აფხაზეთზე პასუხისმგებელი „დევნილობაში“ მყოფი დეპარტამენტი დედაქალაქში იყო განთავსებული), მათ შორის, ფაქტიურად, არავითარი თანამშრომლობა არ არსებობდა, რაც ეფექტური ეროვნული კონტროლის სისტემის უქონლობით შეიძლება აიხსნას[68].

ეს სამი დეპარტამენტი 2004 წელს, ასლან აბაშიძის რეჟიმის დასრულებასთან ერთად გაერთიანდა, რის შემდეგაც შესამჩნევად გაუმჯობესდა კონტროლი თავდაცვის იარაღზე. 2005 წელს ათიდან თხუთმეტ მოსამსახურემდე გაიზარდა ნებართვათა დეპარტამენტის მოცულობაც. ამ თხუთმეტი თანამშრომლიდან ხუთი ცენტრალურ არქივში მუშაობს მასალების განხლებაზე და თვეში დაახლოებით 1.100 აშშ დოლარის ოდენობის ხელფასს ღებულობს. ამასთან ერთად, 2007 წლის დასაწყისისათვის ნებართვათა დეპარტამენტში აპირებენ ყველა გაცემული ლიცენზიის კომპიუტერული რეგისტრირების სისტემის შექმნას. ეს გაზრდილი შესაძლებლობები საოჯახო კვლევის პასუხებშიც აისახა. რესპონდენტები, რომლებმაც იცოდნენ სალიცენზიო სისტემის არსებობის შესახებ, ეს ფაქტი დადებითად შეაფასეს.

66 ინტერვიუ, შოთა უტიაშვილი

67 ინტერვიუ, შოთაUუტიაშვილი

68 ინტერვიუ, ზაზა ხაჩიძე

სურათი 5: მიიჩნევთ თუ არა ეფექტურად კანონიერი ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობის რეგისტრაციისა და ლიცენზირების სისტემას?

(წყარო: 2005 წ. საოჯახო კვლევა, რესპოდენტების რიცხვი. = 1.300)



კვლევის ყოველი მონაწილე ადასტურებს, რომ უწინდელი ლიცენზირების სისტემა ზედმიწევნით კორუმპირებული იყო. აპლიკანტს შესაძლებლობა ჰქონდა, არაერთგზის შეხვედროდა პირისპირ კორუმპირებულ პირებს, რომლებიც გაცემული ლიცენზიის სანაცვლოდ ქრთამს ითხოვდნენ. შესაბამისად, ლიცენზიის გაცემის პროცესი ხელოვნურად იყო გაჭიანურებული მათთვის, ვინც ფულს არ იხდიდა[69]. საქმის მოგვარების მეორე გზა იარაღის მაღაზიასთან მორიგება იყო, როცა საჭირო პროცედურების გავლის გარეშე მთელ დოკუმენტაციას მაღაზია აწესრიგებდა. ეს ოფიციალურ გადასახადზე ბევრად უფრო ძვირი ჯდებოდა – 50 ლარი (ანუ 27.4 აშშ დოლარი და არა 8.7) და იმაზე მიუთითებდა, რომ იარაღის მაღაზიაცა და ოფიციალური პირებიც ამ გარიგებით მოგებას ნახულობდნენ, მაგრამ ეს პროცედურა მაინც ძალზე პოპულარული იყო, რადგან აპლიკანტის მხრიდან ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვდა. დღეს ყოველმა კონკრეტულმა მფლობელმა პირადად უნდა შეიტანოს ლიცენზირებისთვის საჭირო დოკუმენტები, თუკი მაღაზიას არა აქვს ნოტარიუსის მიერ დამოწმებული უფლება, კლიენტის სახელით იმოქმედოს. ამ ცვლილებების გატარებიდან მოკლე პერიოდში მხოლოდ ერთ თვეში 800-მდე იარაღი დარეგისტრირდა, რაც უწინდელ მაჩვენებელთან შედარებით არნახულ ზრდაზე მიუთითებს. ნებართვათა დეპარტამენტი ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ დღევანდელმა საზოგადოებამ სათანადოდ გააცნობიერა, რომ იარაღის რეგიტრაციისათვის ქრთამის გადახდა საჭირო აღარ არის.

და მაინც, სისტემას გააჩნია საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები. უპირველეს ყოვლისა, ნებართვათა დეპარტამენტი ვალდებულია, აღრიცხოს აპლიკანტების შესაძლო დანაშაულებრივი წარსული და მოსთხოვოს მათ სამედიცინო ცნობა. არადა, ეს მოთხოვნები, ფაქტიურად, ყოველთვის არ ხორციელდება, რის მიზეზადაც ხშირად მოსამსახურეთა ნაკლებობას ასახელებენ. ამ პრობლემას ისიც ემატება, რომ ჯერჯერობით არ არის ჩამოყალიბებული კრიმინალური აღრიცხვის ადეკვატური სისტემა[70]. მეორე მხრივ, ჯერჯერობით არ არსებობს იარაღის სახელმწიფო რეესტრი, რომელიც ყველა სახის იარაღის კლასიფიკაციას მოახდენდა. ამგვარი რეესტრი სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის დეპარტამენტის მიერ უნდა მომზადდეს, მაგრამ ფონდების სიმცირის გამო მისი ამოქმედება ჯერ ვერ ხერხდება. მესამეც, იუსტიციის სამინისტროს არა ჰყავს იარაღის მაღაზიების ინსპექტირებისთვის კანონით გათვალისწინებული რაოდენობის პერსონალი (იხ. ნაწილი 5.5).

ლიცენზირების სისტემაში ჯერ ისევ არსებობს კორუფცია, რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. მაგალითად, 2003 წლის „კანონი იარაღის შესახებ“ ლიცენზირების პროცესისათვის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსაგან სერტიფიცირების ახალი სისტემის შემქმნას მოითხოვს (მესამე ხარისხის სერტიფიკატი). მიუხედავად ამისა, სამინისტრომ შეწყვიტა მესამე ხარისხის სერტიფიკატების გაცემა, რადგან მიაჩნდა, რომ კორუმპირებულ პერსონალს შეეძლო საჭირო პროცედურების დაცვის გარეშე ამგვარი მოწმობის გაცემა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ნებართვათა დეპარტამენტს ან უნდა მიეღო კორუმპირებული გზით გაცემული სერტიფიკატები, ან საერთოდ ეთქვა უარი ამ მოთხოვნაზე. ამ თვალსაზრისით სერიოზულ პრობლემად გვეჩვენება ის ფაქტიც, რომ საპატრულო პოლიცია სათანადო ყურადრებას არ იჩენს სანადირო იარაღზე ნებართვის გაცემისას.

იმის გამო, რომ თავდაცვის იარაღზე ლიცენზიების გაცემის პროცესი ცენტრალიზებულია, თბილისის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ მოსახლეობას უძნელდება ამგვარი იარაღის ლეგალიზება და რეგისტრირება. ფოკუს- ჯგუფის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ ლიცენზირების პროცესის ნაკლები ცენტრალიზება გააადვილებს საქართველოს შორეულ რეგიონებში (განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში) უკანონო იარაღის ლეგალიზებას. კვლევამ ისიც გამოავლინა, რომ საჭიროა სპორტული

69 დადგენილია, რომ დეპარტამენტის თანამშრომელთა უმრავლესობა კორუფციის გზით თვეში დაახლოებით 2.000 ლარს იღებს ($1.100), ხოლო უფროსი – 10.000 ლარს ($5.500).

70 ინტერვიუ. ზაზა ხაჩიძე.

და სანადირო იარაღის სალიცენზიო პროცესის გაადვილება შორეულ რაიონებში მცხოვრებთათვის.

თუ იარაღის ლეგალიზაცია გვსურს, მაღალმთიანი რეგიონების მცხოვრებთათვის რეგიტრაციის პროცედურა უნდა გაადვილდეს. ამ რაიონების მოსახლეობას უჭირს საჭირო დოკუმენტების მოგროვება, თანაც ეს ის რეგიონებია, სადაც არარეგისტრირებული იარაღის ყველაზე დიდი რაოდენობაა თავმოყრილი. თითოეული ოჯახი ორ ან სამ სანადირო თოფს ფლობს, რადგან ამ რაიონებში მეტია მონადირე ან ამ სპორტის მოყვარული ადამიანი.

ფოკუს ჯგუფი F, ზუგდიდი, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტი, მამაკაცი.

რადგანაც საქრთველოს შორეულ რეგიონებში იარაღის ლიცენზირების გაუმჯობესებული საშუალება შესძლოა მობილური სალიცენზიო ჯგუფები გახდეს, კანონი ადაპტირებას საჭიროებს. (ეს აბდაუბდა მე ასე გავიგე: საქართველოს შორეულ რეგიონებში იარაღის ლიცენზირების პროცედურის გასაადვილებლად საჭიროა საგანგებო სალიცენზიო ჯგუფების შექმნა. ამის განსახორციელებლად კი კანონის შესაბამისობაში მოყვანაა აუცილებელი). ჯერჯერობით კი თავდაცვის იარაღისათვის ყველა ლიცენზია მხოლოდ ნებართვათა დეპარტამენტის უფროსის ან მისი მოადგილის ხელმოწერის საფუძველზე გაიცემა.

4

ცეცხლსასროლი იარაღის ხმარება და მისი არადანუშულებისამებრ გამოყენება

ეს თავი შეისწავლის საქართველოში იარაღის ხმარებისა და მისი არადანიშნულებისამებრ გამოყენების გავლენას საზოგადოებასა და ცალკეულ პიროვნებებზე. კვლევის გუნდის მიერ დადგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საქართველოში იარაღს, ძირითადად, თავდაცვისთვის იძენენ, ტრადიციულ მიზეზს კი ნადირობა ან დანაშულებრივი საქმიანობაA წარმოადგენს. ცეცხლსასროლი იარაღის არამიზნობრივი გამოყენება საქართველოში საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. ამგვარი ინციდენტების სიხშირეს 2005 წელს ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი აღრიცხული დანაშაულის სიმრავლე (1.925), იარაღის უკანონო მფლობელობისა (1.238) თუ დაშავებისა (1.250) და სიკვდილიანობის (50) შემთხვევები ადასტურებს, რომელთა უმეტესი ნაწილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მოხდა[71].

და მინც, ადამიანთა უსაფრთხოება 2003-2005 წლებში საკმაოდ გაუმჯობესდა, საზოგადოდ, დანაშაულის, კერძოდ კი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილი დანაშულის, მაჩვენებლები შემცირდა და მოსახლეობის პირადი უსაფრთხოებისადმი დამოკიდებულებაც შეიცვალა. ყოველივე ეს კი, ცხადია, ხელისუფლების მიერ გატარებული შემდეგი ღონისძიებების შედეგად განხორციელდა:

- ერთიანი იერიში ორგანიზებულ დანაშაულზე მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- პოლიციის რეფორმის ეროვნული პროგრამის ფარგლებში საპატრულო პოლიციის დაარსება, მის შედეგად გაუმჯობესებული კანონაღსრულება და პოლიციისა და საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობა;
- აღრიცხვის პროცედურების გაუმჯობესება სისხლის სამართლის სისტემაში.

ეს ღონისძიებები განხორციელდა აჭარაშიც, სადაც ჩატარდა რეგიონალური იარაღის ამოღების ეფექტური კამპანია.

მიუხედვად იმისა, რომ სიტუაციის გაუმჯობესება აშკარაა, ქვეყანაში მაინც არაერთგვაროვნად აღიქვამენ ადამიანის პირადი უსაფრთხოების დონის ამაღლების საკითხს. თბილისსა და საქართველოს სოფლებში კვლავაც აღინიშნება დანაშაულის სიმრავლე. ეს განსაკუთრებით ეხება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადე-

71 იხ. შემდეგი ანალიზი.

ნილ დანაშაულს. ამასთან ერთად, უსაფრთხოების ძირითადი მახასიათებლების დაცვა სათანადოდ ვერ ხერხდება ისეთი „რუხი სუვერენიტეტის“ რეგიონებში, როგორიცაა ქვემო ქართლი და დემილიტარიზებული ზუგდიდისა და გალის რაიონები. ასევე, არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაული, განსაკუთრებით კი შეიარაღებული ძარცვის შემთხვევები, შესაძლოა უფრო ხშირი იყოს, ვიდრე ამას შსს-ს სტატისტიკა უჩვენებს. საოჯახო კვლევის რესპონდენტთა ყველაზე დიდ საფიქრალსა და საწუხარს მათ საცხოვრებელ სივრცეში ცეცხლსასროლი იარაღის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია სამცხე-ჯავახეთში.

ასევე, აშკარაა, რომ სახელმწიფოს ჯერ კიდევ სრულად არ შესწევს უნარი, აღკვეთოს იარაღის უკანონო გამოყენება. მაგალითად, შსს არ აღრიცხავს ცეცხლსასროლი იარღის გამოყენებით ოჯახური ძალადობის შემთხვევებს. მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაულის რიცხვი დიდია, სასამართლოებში ძალზე მცირეა დანაშაულებრივი ქმედებების განსახილველად შესული საქმეები. მართალია, პოლიციასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა შესამჩნევად გაუმჯობესდა, მაგრამ ცეცხლსასროლი იარაღის მსხვერპლთა დიდი რაოდენობა დაცვისთვის პოლიციას არ მიმართვს. პოლიციისადმი უნდობლობა უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში, ასევე, აღინიშნება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. კანონაღსრულების გაუმჯობესების მიუხედავად, დანაშაულის პრევენცია უგულებელყოფილია ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო გამოყენებასთან ბრძოლის სტრატეგიული დაგეგმვის უქონლობის გამო. მიუხედავად აღნიშნული პრობლემებისა, სახელისუფლო სტრუქტურებს ნამდვილად აქვთ ამ რეგიონებში პოლიციის საქმიანობის გაძლიერების სურვილიცა და უნარიც.

4.1 მოთხოვნა იარაღზე

საოჯახო კვლევის რესპონდენტთა სამი პროცენტი აღნიშნავს, რომ შეეძლო ცეცხლსასროლი იარაღის კანონიერი ფლობა და სიამოვნებით იქონიებდა კიდეც მას (განსხვავებით გამოკითხულთა 65 %-ისგან, რომლებსაც ეს არ სურთ). ამ რესპონდენტთა მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია შევადგინოთ საქართველოში კანონიერ ცეცხლსასროლ იარაღზე მოთხოვნილების საინფორმაციო სქემა. მიუხედავად იმისა, რომ ანალიზის შედეგების თანახმად, იარაღი ყველაზე მეტად სამეგრელო-ზემო სვანეთში, შიდა ქართლში, იმერეთსა და თბილისშია გავრცელებული, მოცემულ კითხვაზე რესპონდენტთა მიერ გაცემული პასუხები ადასტურებს, რომ იარაღის ფლობის ან მისი ლეგალიზების სურვილი გაცილებით მაღალია კახეთში და შემდეგ მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში[72].

სურათი 6: რომ შეგეძლოთ იარაღის კანონიერი ფლობა, იქონიებდით მას?
(ბაზა ნომ.=1.300)



72 რესპონდენტთა რაოდენობა სამი რეგიონიდან ძლიან დაბალი იყო (სმცხე-ჯავახეთი 60, გურია 41 მცხეთა მთიანეთი 34, პასუხები სტატისტიკურდშეუსაბამოა.

კვლევამ დაადასტურა, რომ საქართველოს მოსახლეობა ცეცხლსასროლ იარაღს ორი ძირითადი მიზნისთვის ფლობს: დაუცველობისა და, შესაბამისად, თავდაცვის სურვილის გამო და ნადირობის ტრადიციის დაცვის მიზნით.

დაუცველობა და თავდაცვა

რესპონდენტთა იმ ნაწილს, რომელსაც სურს, ფლობდეს ცეცხლსასროლ იარაღს, მოგვიანებით მოსთხოვეს, დაესახელებინა ამგვარი სურვილის სამი მიზეზი. გამოკითხულთა უმრავლესობამ დაასახელა საკუთარი თავისა და ოჯახის დაცვის საჭიროება, ხოლო ბიზნესისა და საკუთრების დაცვის სურვილი ჩამონათვალში მესამე ადგილზე აღმოჩნდა.

სურათი 7: საკუთარი თავის, ოჯახისა და საკუთრების დაცვის გარდა რომელი სამი მიზეზი შეგიძლიათ დაასახელოთ ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის გასამართლებლად?
(ბაზა ნომ.=434)



ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების აზრით, საკუთარი თავის, ოჯახისა და საკუთრების დაცვა იარაღის მფლობელობისათვის ყველაზე უფრო ხშირი მოტივაციაა.

ვფიქრობ, იარაღი სახლში აუცილებლად უნდა გქონდეს, თუკი გეშინია, რომ ღამით ვინმე ოჯახში შემოგვივარდება.

ფოკუს-ჯგუფი F, ზუგდიდი, უმუშევარი ქალბატონი, 29 წლის.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები იარაღის საჭიროებას ასაბუთებენ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, რაც, ბუნებრივია, უკავშირდება საქართველოს უახლოეს წარსულში არსებულ ძალადობრივ დაპირისპირებებს, ქვეყანაში (განსაკუთრებით კონფლიქტური ზონების მეზობლად მდებარე ტერიტორიებზე) არსებულ არასტაბილურ სიტუაციას და ძალოვანი უწყებების მცირე შესაძლებელობებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ომის გამოცდილება იმაზე მიანიშნებს, რომ კონფლიქტების მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით გადაწყვეტა ჯერ კიდევ არ სარგებლობს მოსახლეობაში მასობრივი მხარდაჭერით და რომ მცირე შეიარაღება კონფლიქტის დროს იმიტომ გამოიყენებოდა, რომ მძიმე შეიარაღება ძნელად ხელმისაწვდომი იყო[73]. ყველა ინტერვიუერმა და რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელება პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობასა და პიროვნების დაუცველობასთან. მართლაც, აღიარებული ფაქტია, რომ სტაბილურობის დონის გაუმჯობესების შედეგად გამოწვეულ პიროვნული უსაფრთხოების ზრდას აუცილებლად მოჰყვება მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება.

მიმაჩნია, რომ იარაღის რაოდენობა თანდათან შემცირდება, თუკი სიტუაცია ასეთი სტაბილური დარჩება.

ფოკუს-ჯგუფი A, ახალციხე, უმუშევარი მამაკაცი, 30 წლის.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში საგრძნობლად გაიზარდა პოლიციისადმი მოსახლეობის ნდობა, ეს მაინც არ არის საკმარისი ფაქტორი იმისათვის, რომ ადამიანებს იარაღის მოძიება აღარ დასჭირდეთ. მაგალითად, რესპონდენტთა 31%-მა უკანონო იარაღის ჩაბარების სურვილის ძირითად მიზეზად პოლიციის ეფექტური ღო-

73 ინტერვიუ, კახა კაციტაძე

ნისძიებები დაასახელა. შეკითხვაზე, დაესახელებინათ უკანონო იარაღის გავრცელების შესამცირებლად აუცილებელი სამი ფაქტორი, რესპონდენტთა 53%-მა პოლიციის მოქმედების ეფექტურობის ზრდა დაასახელა. გამოკითხულთა უმრავლესობამ ეს უფრო მნიშვნელოვან მიზეზად მიიჩნია, ვიდრე ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესება (8%) ან საქართველოში არსებული კონფლიქტების გადაჭრა (5 %). იგივე დაადასტურეს კვლევის ჯგუფისათვის მიცემულ ინტერვიუებში პარლმენტის წევრებმაც, რომელთა აზრით, „მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად იარაღის შეძენისა და ფლობის ტენდენცია იკლებს“[74].

ნადირობა და კავშირი ცეცხლსასროლ იარაღთან

„თოფის ფლობის კულტურა“ ან ცეცხლსასროლი იარაღის ფლობის ტრდიცია ხშირად არის მიჩნეული საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიაში კანონიერი თუ უკანონო იარაღის გავრცელების უმთავრეს მიზეზად. იარაღის ფლობის კულტურას რესპონდენტები შუასაუკუნეებიდან მომდინარე ტრადიციებთან, ზოგჯერ ჯიგიტობასთან აკავშირებდნენ, როცა ადამიანი ვადებული იყო, იარაღი ეტარებინა. ეს ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმაც დაადასტურეს.

საქართველოში ყველა ფლობდა იარაღს და მას არა მარტო შინ ინახავდა, არამედ განუყრელად თან ატარებდა. იმ პერიოდში (შუასაუკუნეები) საუკეთესო იარაღად ხმალი ითვლებოდა. როდესაც საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღი შემოვიდა, მას ყოველი ოჯახი ფლობდა. იარაღის შენახვა ყოველი ქართველისათვის ტრადიციის დაცვას უკავშირდება.

ფოკუს-ჯგუფი A, თბილისი, საჯარო მოსამსახურე, მამაკაცი, 26 წლის.

და მართლაც, თუ უწინ იარაღი მხოლოდ თავდაცვისთვის გამოიყენებოდა, დღეს სანადირო თოფი (და არა თავდაცვის იარაღი) საქართველოში იარაღის ყველაზე უფრო გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ დამატებითი კითხვა დავუსვით რესპონდენტებს, დაესახელებინათ სხვა პრინციპული მიზეზები, რომლებიც განაპირობებდნენ იარაღის შეძენის სურვილს. რესპონდენტებმა დაასახელეს სპორტული სროლა და ნადირობა (66%), ტრადიცია (15%), საოჯახო რელიკვია (12%). თუმცა, კვლევამ ცხადყო, რომ სანადირო თოფები მხოლოდ ნადირობისათვის არ გამოიყენება, არამედ კულტურული, ისტორიული და საოჯახო ტრადიციის ნაწილს შეადგენს, ასევე საკოლექციო ნიმუშებსა და საოჯახო რელიკვიებს წარმოდგენს. ეს გვიჩვენებს, რომ ე.წ. „იარაღის კულტურა“ ის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს საქართველოს მოსახლეობის საკუთრებაში არსებული იარაღის რაოდენობაზე.

მამას ჰქონდა ერთი სანადირო თოფი და მეც ერთი იარაღი მაქვს.

ფოკუს-ჯგუფი A, თბილისი, საჯარო მოხელე, მამაკაცი, 26 წლის.

მე არა მაქვს იარაღი, მაგრამ მაქვს ერთი სანადირო თოფი. Mმსურს თუ არა კიდევ ერთი თოფის ქონა? რა თქმა უნდა, მსურს, იმიტომ რომ მიყვარს თოფი. მე არ მჭირდება ის თავდაცვის ან სხვა რაიმე მიზნისათვის. ის ჩემთვის ძვირფასია და ამიტომაც მინდა, რომ მქონდეს.

ფოკუს-ჯგუფი C, თბილისი, უმუშევარი მამაკაცი, 40 წლის.

კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში როგორც კანონიერ, ასევე უკანონო იარაღზე დიდი მოთხოვნა მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების იარაღთან მჭიდრო კავშირზე მიუთითებს.

სვანეთში დღემდე ინახება სამოქალაქო ომის დროიდან შემორჩენილი იარაღი. ხალხს იმ პერიოდის შემდეგ იარაღი არ ჩაუბარებია, თუმცა მას არ იყენებს. სვანებს იარაღი დიდი ხანია აქვთ, დღეს კი არ შეუძენით. ნახევარ საუკუნეზე მეტია ისინი ამ იარაღს სახლებში ინახავენ. შესაძლოა, არც არასოდეს გამოიყენონ, მაგრამ რელიკვიასავით უფრთხილდებიან.

ფოკუს-ჯგუფი B, თბილისი, უმუშევარი ინჟინერი, მამაკაცი, 39 წლის.

რესპონდენტები ხშირად აღნიშნავენ, რომ არაეთნიკურ ქართველებს თოფის ფლობის უფრო მდიდარი კულტურა აქვთ, თუმცა ცეცხლსასროლი იარაღისა და მისი მფლობელობისადმი ფოკუს-ჯგუფის ყველა მონაწილის დამოკიდებულება ერთნაირია, მათი ეთნიკური წარმომავლობისდა მიუხედავად. როდესაც რესპონდენტებს პირდაპირ უსვამენ შეკითხვას მათ ეთნიკურ ჯგუფში იარაღის კულტურის დონეზე, გამოკითხვის არაქართველი მონაწილეები ამტკიცებენ, რომ ყველა კავკასიელს იარაღისადმი ერთნაირი დამოკიდებულება აქვს.

74 ინტერვიუ, მურმან დუმბაძე

4.2 მოთხოვნა უკანონო იარაღზე

ქართველებს, ზოგადად, სამი მიზეზი აქვთ უკანონო იარღის ფლობისა: დანაშაულის ჩადენა, პოლიციისადმი ნდობის დაბალი დონე და, აქედან გამომდინარე, სურვილი, არ იყვნენ აღრიცხულნი, როგორც იარაღის მფლობელნი. Fფოკუს-ჯგუფის მიერ უკანონო იარაღის ფლობის ერთ-ერთ ფაქტორად, ასევე, სახელდება პიროვნების არჩევანი და შავ ბაზარზე არსებული ფასები.

იარაღის დანაშაულებრივი გამოყენება

რესპონდენტების 42%-ს მიაჩნია, რომ საკუთარი თავის, ოჯახისა და საკუთრების დაცვის გარდა, დანაშაულის ჩადენის სურვილი ერთ-ერთია იმ სამ მიზეზთაგან, რის გამოც პიროვნება ცეცხლსასროლ იარაღს ინახავს. რესპონდენტები, ასევე, მიიჩნევენ, რომ არმიისა და პოლიციის გარდა, ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობის ყველაზე მაღალი დონე კრიმინალურ დაჯგუფებებშია.

პოლიციისადმი ნდობის დაბალი დონე

რესპონდენტთა 36% ამტკიცებს, რომ იარაღის უკანონო მფლობელობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ადამიანები თავს არიდებენ, აღირიცხონ ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელად. ალბათ ამგვარი თავშეკავებისთვის მრავალი მიზეზი არსებობს, მაგრამ მათ შორის უმთავრესს პოლიციის მიმართ უნდობლობა წარმოადგენს. Aამ ფაქტს ფოკუს-ჯგუფის რესპონდენტებიც ადასტურებენ, რომელთა აზრით, პოლიციისადმი უნდობლობა ხელს უშლის საქართველოში იარაღის ლეგალიზებას.

ფასისა და არჩევანის საკითხი შავ ბაზარზე

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ამტკიცებენ, რომ კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ხალხი იარაღის შესაძენად შავ ბაზარს მიმართავს, იქ არსებული დაბალი ფასებითაც უნდა აიხსნას. მაგალითად, დადგენილია, რომ თთ-სა და მაკაროვის სისტემის პისტოლეტები შავ ბაზარზე 150-დან 250 დოლარამდე ღირს (თუმცა მთავარმა ინფორმანტმა აღნიშნა, რომ ფასები შავ ბაზარზე თითქმის იგივეა, რაც იარაღის მაღაზიაში)[75]. ზოგიერთ მყიდველს სურს, იქონიოს იარაღი, რომლის რეგისტრირებაც კანონიერი გზით შეუძლებელია, მაგალითად, საბრძოლო თოფები, რომელთა შეძენაც შესაძლებელია მხოლოდ როგორც საკოლექციო ნიმუშებისა, ისიც მას შემდეგ, რაც მათ ოფიციალურად ჩამოწერენ.

ცეცხლსასროლი იარაღის მოთხოვნილება ახალგაზრდებში

საოჯახო კვლევისა და ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ ბევრი ახალგაზრდა ფლობს ცეცხლსასროლ იარაღს. შესაძლებელია, რომ ამ იარაღის დიდი ნაწილი რეგისტრირებული არ არის, ან უკანონო გზით არის შეძენილი, ან მემკვიდრეობით მიღებული. არსებობს რამდენიმე მიზეზი იმისა, რომ ახალგაზრდებს არ სურთ იარაღის დარეგისტრირება. შესაძლოა, ეს ფაქტი იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ამგვარი იარაღი დანაშაულებრივი მიზნებისათვის არის განკუთვნილი. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ „დანაშაულის სახე“ იცვლება, რადგანაც ახალგაზრდების დიდი ნაწილი დანაშაულებრივ გზას ადგას, ამისთვის კი იარაღი სჭირდება. დანაშაულის მატება, ერთი მხრივ, ახალგაზრდობის უმუშევრობასთანაც არის დაკავშირებული, მეორე მხრივ, იმ ფაქტთან, რომ ამ თაობის გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ქვეყანაში ვერ ხერხდება.

ქართული საზოგადოება მეტად პოლარიზებულია. ძალიან ძნელია, აუხსნა ახალგაზრდას, თუ რატომ შეუძლია ერთ ადამიანს იქონიოს 400 დოლარიანი მობილური ტელეფონი, მეორემ კი იმავე მიზნისთვის 100 დოლარის გადახდაც ვერ შეძლოს. რა თქმა უნდა, 13-14 წლის მოზარდისთვის ძნელია ამგვარი რეალობის აღქმა. მას მიაჩნია, რომ ამგვარ უთანასწორობას უნდა შეებრძოლოს, რადგან ამგვარ ყოფაში უსამართლოდ არის ჩავარდნილი. უფრო მეტიც. ზოგიერთი მოზარდი მიიჩნევს, რომ სასურველი მობილური ტელეფონის ხელში ჩაგდების ერთდერთი გზაა იარაღის გამოყენებით სხვა ადამიანისთვის მისი წართმევა. ვინაიდან ძვირადღირებული მობილური ტელეფონის მფლობელს (თანაც მის თანატოლს) თავისი შრომით არ მოუპოვებია ეს ნივთი, ტელეფონის ხელში ჩაგდების მსურველიც ვერავითარ უსამართლობას ვერ ხედავს იმაში, რომ სხვას წაართვას იგი.

ფოკუს-ჯგუფი E, თბილისი, ლაბორატორიის გამგე ქალბატონი, 44 წლის.

75 ინტერვიუ, შოთა უტიაშვილი.

თუმცა, ახალგაზრდებში უკანონო იარაღის ფლობის შესამჩნევად მაღალი დონე იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ ამ ასაკის ადამიანი საჭიროების შემთხვევაში ლეგალური გზით მის მოპოვებას ვერ შეძლებს.

4.3 დანაშაულის ზეგავლენა

შსს-მ შეძლო, წარმოედგინა 2004-2005 წლებში აღრიცხული დანაშაულის სტატისტიკა, რომელშიც ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო გამოყენების შემთხვევებიც შედის. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში საქართველოში 74.1 პროცენტით იმატა რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვმა (2004 წელს აღრიცხული იყო 24.856 ასეთი დანაშაული, 2005 წელს კი – 43.266), უნდა ითქვას, რომ ეს მატება მაინც დანაშაულის უფრო ეფექტური აღრიცხვითა და 2005 წელს სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შემოღებით უნდა აიხსნას[76]. შსს-ს ინფორმაციისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის თქმით, ახალმა კოდექსმა ხელი შეუწყო მნიშვნელოვან ცვლილებებს სტატისტიკის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამის შედეგად კი სტატისტიკამ პირველად შეიძინა გარკვეული მნიშვნელობა სტრატეგიული დაგეგმვისა და დანაშაულის პრევენციისათვის. ადრე ის ბუნდოვანი იყო, რადგანაც გამოიყენებოდა მხოლოდ ოპერატიული მიზნებისთვის[77]. ისიც უნდა ითქვას, რომ დანაშულის დიდი ნაწილის შესახებ ინფორმაცია მიდის შსს-ში, რაც პოლიციის მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდით უნდა აიხსნას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ორ კატეგორიად ჰყოფს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილ დანაშაულს: პარაგრაფი 236 – იარაღის უკანონო დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება- შეძენა (შემდგომში „უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის ინციდენტები“) და პარაგრაფი 179 – ბანდიტიზმი, რომელშიც მოიაზრება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილი დანაშაული (შემდგომში დანაშაულის ტიპებად დაყოფის გარეშე). ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში 2005 წელს აღირიცხა ბანდიტიზმის 1.925 შემთხვევა, რაც ყველა დანაშაულის 4.5 პროცენტს შეადგენს (რაც 1.11%-ით აღემატება 2004 წლის მონაცემებს) და უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით გამოწვეული 1.242 ინციდენტი – ყველა დანაშაულის 2.9% (2004 წელთან შედარებით 0.3%-ით მეტი). 2005 წელს სრულდ 3.167 ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაული იყო აღრიცხული, რაც შეადგენს 7.3 % დანაშაულის სრული რიცხვიდან.

ცხრილი 6: 2004-2005 წლებში საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულები (წყარო: შსს-ს ინფორმაციის დეპარტამენტი)

დანაშაულის ტიპი	2004	2005	ზრდა	პროცენტული ზრდა
ბანდიტიზმი	1.733	1.925	+192	111.1
რომლის შედეგად სერიოზული დანაშაული მოხდა	1.609	1.708	+99	6.2
რომელიც მანქანებს შეეხებოდა	242	251	+9	3.7
უკანონო მფლობელობა და ა.შ.	1.238	1.242	+4	0.3

გენერალური პროკურორის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2005 წლისთვის ათი ყველაზე ხშირი დანაშაულის 17%-ს მხოლოდ შეიარაღებული ძარცვა შეადგენდა[78].

თუ შევადარებთ 2004 და 2005 წლებში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილ დანაშაულებს, საქართველოს საზოგადოებაში ცეცხლსასროლი იარაღის დანაშაულის კლებაზე მიუთითებს. 2005 წელს ბანდიტიზმის უფრო ნაკლები შემთხვევა აღირიცხა, ვიდრე ძარცვისა (2.087), ხოლო 2004 წელს კი, პირიქით, ბანდიტიზმის მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, ვიდრე ძარცვას (1.316). ბანდიტიზმის აღრიცხული შემთხვევები ოდნავ ნაკლებია ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის ფაქტებთან (2.074) და საგზაო დარღვევებთან (2.625) შედარებით. რაც შეეხება 2005 წლის მონაცემებს, ბანდიტიზმის შემთხვევები იმ პერიოდში გაცილებით ხშირი იყო, ვიდრე რომელიმე სხვა დანაშაული, მათ შორის სხეულის მძიმე დაზიანება (368), ყალთაბანდობა (427), ხულიგნობა (1.314) და მანქანების გატაცება (283). ამის მიზეზად ის ფაქტი შეიძლება ჩაითვალოს, რომ ქართველები პოლიციას უფრო სერიოზული და-

76 ინფორმაცია მოწოდებულია შსს-ს ინფორმაციისა და ანალიზის დეპარტამენტიდან.

77 ინტერვიუ, შოთა უტიაშვილი

78 ინტერვიუ, გიორგი ჯოხაძე

ნაშაულისთვის მიმართავენ, როგორიც, ვთქვათ, ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაულია, და არ აცნობებენ ნაკლებად სერიოზული დანაშაულის, ვთქვათ, ხულიგნობის შესახებ.

ჩანართი 9: ბანდიტიზმის შემთხვევები თანამედროვე საქართველოში

მანქანების ან მიკროავტობუსების (ე.წ. მარშრუტკების) გატაცება ერთ-ერთი პრობლემური დანაშაულია, რომელიც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ხორციელდება და, ამავე დროს, წარმოადგენს ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებულ ერთადერთ კატეგორიზებულ დანაშაულს, რომელიც დანაშაულთა სტატისტიკაში ცალკეა გამოყოფილი. 2004 წელს მანქანის გატაცების 242 შემთხვევა აღირიცხა, ხოლო 2005 წელს – 251. მანქანების გატაცება უფრო ხშირად ამ პერიოდში შიდა ქართლსა და იმერეთში ხდებოდა, სადაც 41 და 37 შემთხვევა აღირიცხა. Fფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ცეცხლსასროლი იარაღით მანქანებისა და მიკროავტობუსების გატაცებას პრობლემატურ დანაშაულად მიიჩნევენ, რომელიც ხშირად ტრაგიკულად ბოლოვდება.

ოთხი თვის წინ ავტომატიანმა ადამიანებმა ავტობუსის გაჩერება სცადეს. მძღოლი მათ მოთხოვნას არ დაემორჩილა, ამიტომ თავდამსხმელებმა სროლა ატეხეს. მძღოლი დაიჭრა, ერთი ახალგაზრდა თავში მიყენებული ჭრილობით ადგილზევე გარდაიცვალა. ბანდიტები ავტობუსში ავიდნენ და ხალხი გაძარცვეს, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

ფოკუს-ჯგუფი N, მარნეული, ოფიციალური პირი, მამაკაცი, 45 წლის.

ქუთაისში (იმერეთი) ჩამორთმეული ინტერვიუებით დადასტურდა მანქანების გატაცების ხშირი შემთხვევები. მაგალითად, 2005 წლის განმავლობაში ქუთაისში მძარცველთა ორი ჯგუფი კვირაში 2-3 მიკროავტობუსს იპარავდა. ავტომანქანების მფლობელები იძულებულნი იყვნენ, ამ ჯგუფებისთვის მანქანის დასაბრუნებლად ფული გადაეხდათ და შემდგომი თავდასხმები თავიდან აეცილებინათ. ერთ-ერთი ჯგუფი ორ იარაღს ფლობდა, მეორე კი – ერთს.

შსს-ს სტატისტიკა ნათელყოფს ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების გეოგრაფიულ დაყოფას[79]. ეს ციფრები გვიჩვენებს, რომ ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული შემთხვევების დიდი ნაწილი თბილისში ხდება. 2004 წელს საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხული ბანდიტიზმის 1.733 შემთხვევიდან 846 (48%) თბილისში მოხდა, ისევე როგორც 1.076 ინციდენტიდან – 1.925, ანუ 56%. სამი რეგიონი, რომელშიც, ასევე, მაღალია ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული დანაშაულის შემთხვევები, არის სამეგრელო, სვანეთი და შიდა ქართლი. მიაჩნიათ, რომ ყოველ მათგანში ძალზე მაღალია კანონიერი თუ უკანონო იარაღის მფლობელობის დონე. (იხ. ნაწილი 3.5).

სურათი 8: 2004-2005 წწ-ში ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული დანაშაული (უკანონო მფლობელობის ჩათვლით და ა.შ.) თბილისის გამოკლებით[80]
(წყარო: შსს-ს ინფორმაციის დეპარტამენტი)



79 ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მომხდარი ინციდენტების რეგიონებად დასაყოფად იხ. სურათი 4

80 2005 წელს ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილ დანაშაულთა გამოთვლა ყოველ 10.000 ადამიანზე გამოკვეთს დანაშაულის სქემას იმ გამონაკლისით, რომ ასეთი დანაშაული უფრო ხშირია მცხეთა-მთიანეთსა და გურიაში. თბილისი (7.8) მცხეთა-მთიანეთი (6.7) შიდა ქართლი (3.9), სამეგრელო-ზემო სვანეთი (3.1), გურია (2.2), აჭარა (2.1), ქვემო ქართლი (2.1) ,კახეთი (1.5), რაჭა-ლეჩხუმი (0.8), სამცხე-ჯავახეთი (0.8). წყარო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი.

ოჯახური ძალადობა

ინფორმაცია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ოჯახური ძალადობის შემთხვევების შესახებ არ მოიპოვება, რადგანაც ამგვარი ინციდენტების რეგისტრაცია მხოლოდ 2006 წლის თებერვალში დაიწყო[81].

დღესაც კი ოჯახური ძალადობის შემთხვევები არ აღირიცხება ცალკე კრიმინალურ კატეგორიად, არამედ მხოლოდ დანაშაულის მოტივად მოიაზრება. მიუხედავად ამისა, სოციოლოგიური კვლევის შედეგები და ფოკუს-ჯგუფებში ჩატარებული შეხვედრები მიგვანიშნებენ, რომ ოჯახური ძალადობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს საქართველოში. რესპოდენტების 47% აცხადებს, რომ, მათი აზრით, ცეცხლსასროლ იარაღს აქვს „ოდნავ უარყოფითი“ ან „უარყოფითი“ ზეგავლენა ოჯახურ ურთიერთობებზე, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა გარკვეული ნაწილი კი აღნიშნავს, რომ იცნობს ოჯახებს, რომლებშიც იარაღს ოჯახური კონფლიქტებისას იყენებენ.

ჩვენი მეზობლის შვილს აქვს იარაღი, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტიდან ჩამოიტანა და ოფიციალურად დაარეგისტრირა. ახლა კი, საკმარისია, ის დათვრეს, რომ ცემს და იარაღით აშინებს მეუღლეს.

ფოკუს-ჯგუფი ჟ, ქუთაისი, უმუშევარი ქალბატონი, 38 წლის.

საქართველოს შსს-ს მიერ გავრცელებული ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული დანაშაულის სტატისტიკა შესაძლებელია შევადაროთ საოჯახო კვლევის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციასა და ფოკუს-ჯგუფის განმარტებებს, ისევე როგორც წინა, ეროვნულ და საერთაშორისო დანაშაულის შესწავლას

კვლევაში გაანალიზდა პირადი უსაფრთხოების შეგრძნება, დნაშულის შიში, დანაშაულის დონეები და ორგნიზეული დანაშაული და უკანონო ტრებისა და გამოყენების შესახებ ინფორმირებულობა

პირადი უსაფრთხოების შეფასება

როგორც საოჯახო კვლევამ, ასევე ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ 2005-2006 წლებში გაიზარდა ადამიანთა პირადი უსაფრთხოება. კვლევის რესპონდენტთა 73%-ს მიაჩნდა, რომ საკმაოდ უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს და საკმაოდ უსაფრთხო პირობებში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. გამოკითხულთა მხოლოდ 26%-ს ჰქონდა საფრთხის შეგრძნება, რესპონდენტთა 29% კი ფიქრობდა, რომ მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა.

სურათი 9: მიგაჩნიათ თუ არა, რომ წინა წლებთან შედარებით თქვენი პირადი უსაფრთხოების მდგომარეობა შეიცვლა?
(გამოკითხულთა რაოდენობა – 1.300)



ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესებას საპატრულო პოლიციის ამოქმედებას უკავშირებენ. თუმცა, სოფლებსა და დიდი ქალაქების გარეუბნებში, სადაც საპატრულო პოლიცია ჯერ სრულად არ ამოქმედებულა, არ ადასტურებენ პირადი უსაფრთხოების დონის ამაღლებას.

ადრე შეუძლებელი იყო საზოგადოებაში ძვირფასი სამკაულით გამოჩენა. მდგომარეობა ამ თვალსაზრისით ნამდვილად გაუმჯობესდა. მართალია, ჯერ კიდევ არსებობს

81 ინტერვიუ, გიორგი ჯოხაძე

ავტომანქანების გატაცებისა და ქურდობის ძარცვის შემთხვევები, მგრამ გაცილებით ნაკლები, ვიდრე უწინ.

ფოკუს-ჯგუფი I, ზუგდიდი, მასწავლებელი ქალბატონი, 59 წლის.

სოფლის მაცხოვრებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი (38%), განსხვავებით ქალაქის მოსახლეობისგან (14%), თავის უბანში „სრულიად დაუცველად“ გრძნობს თავს.

სურათი 10: გრძნობთ თუ არა თავს დაცულად თქვენს უბანში – სახლში თუ სამსახურში?
(გამოკითხულთა რაოდენობა – 1.300/გაუერთიანებელი)



თბილისი ამ თვალსაზრისით გამონაკლისს წარმოადგენს, ვინაიდან ის საქართველოს ერთადერთი ქალაქია, სადაც რესპონდენტთა დიდ ნაწილს თავი დაუცველად ან სრულიად დუცველად მიაჩნია (57%), საპირისპიროდ იმ 42%-ისა, რომელიც თავს დაცულად ან სრულიად დაცულად მიიჩნევს. თბილისელი რესპონდენტები საუბრობენ პირადი უსაფრთხოების დაბალ დონეზე და გამოხატავენ შიშს სხვა დანარჩენ დანაშაულთა მიმართ. მართლაც, პირადი უსაფრთხოების შეგრძნება 2000-2005 წლების მანძილზე დედაქალაქში, როგორც ჩანს, თითქმის გაქრა. 2000 წელს დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა საერთაშორისო კვლევის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, 1.000 თბილისელი მოქალაქიდან 61% თავს უსაფრთხოდ გრძნობდა იმ 39%-ის საპირისპიროდ რომელიც თავს დაუცველად მიიჩნევდა[82]. შესაბამისად, 2000-2005 წლებში თბილისის მოსახლეობის 19%-ით ნაკლები თავს უფრო დაცულად გრძნობს, 18%-ზე მეტი კი დაუცველად მიიჩნევს.

ამასთან ერთად, მაშინ, როდესაც კრიმინალური მდგომარეობა, ზოგადად, თითქოს გაუმჯობესდა, კვლავაც არსებობს „რუხი სუვერენიტეტის“ რეგიონები, რომლებშიც სახელმწიფო სააგენტოებს არ ძალუძთ სრული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ეს, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსაზღვრე რეგიონებს ეხება, სადაც დანაშაული და დაუცველობა, ისევე როგორც ცეცხლსასროლი იარაღის საფრთხე და მისი გამოყენება ადგილობრივი მოსახლეობისათვის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. კონფლიქტის ზონებში უსაფრთხოების პრობლემები და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო გამოყენება ქვემოთ არის განხილული (ჩანართი 11).

დანაშაულის შიში

საოჯახო კვლევის რესპონდენტთა მხოლოდ 23 %-ს მიჩნია, რომ შესაძლოა, ისინი ან მათი ოჯახები დანაშაულის მსხვერპლნი გახდნენ. ეს მაჩვენებელი საქართველოში ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე დანარჩენ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში (მაგ. მოლდოვაში ამას წინათ ჩატარებული გამოკითხვისას იმავე კითხვას დადებითად უპასუხა 58%-მა). რესპონდენტებს უფრო დეტალური კითხვები დაუსვეს დანაშაულის ტიპების, ანუ იმ სახის დანაშაულთა შესახებ, რომლებიც დაუცველობის გრძნობას იწვევდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები მცირე შეიარაღების გავრცელებას უსაფრთხოების უმთავრეს წყაროდ არ თვლიან და არც იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს მათთვის პრიორიტეტს, საოჯახო კვლევამ გამოავლინა მოსახლეობის შიში იარაღის მეშვეობით ჩადენილი დანაშაულის მიმართ. მკვლელობისა და ქურდობის შემდეგ შეიარაღებულ ძარცვას მესამე ადგილი უჭირავს დაუცველობის გრძნობის გამომწვევ მიზეზთა შორის.

82 წყარო: Alvazzi del Frate *et. al. Criminal Victimisation in Urban Europe. Key findings of the 2000 International Crime Victims Survey* (UNICRI, 2004), <http://www.unicri.it/wwd/analysis/icvs/pdf_files/CriminalVictimisationUrbanEurope.pdf>, accessed 28 April 2006.

სურათი 11: რა ტიპის დანაშაული მიგაჩნიათ ყველაზე დიდ საფრთხედ თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის?
(გამოკითხულთა რაოდენობა – 1.300)



შეიარაღებული ძარცვისადმი შიში განსაკუთრებით დიდია აჭარაში (54%) და იმერეთში (48%). აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 34%-მა, ასევე, დაადასტურა, რომ ძალიან ეშინია ცეცხლსასროლი იარაღით თავისი ახლობლების დაჭრის ან მოკვლისა. და ბოლოს, შიში კვლავ თბილისში (71%) სოფლადაა ყველაზე აქტუალური (50%)

დამნაშავეობის აღქმა

უსაფრთხოების ზრდის შეგრძნებასთან ერთად რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ 2005-2006 წლებში კრიმინალური სიტუაცია შესამჩნევად გაუმჯობესდა. რესპონდენტთა საერთო რაოდენობის 46%-მა აღნიშნა, რომ დანაშაულის დონემ მათ რეგიონში ბოლო წლის მანძილზე იკლო, საპირისპიროდ რეპონდენტების იმ 15%-ისა, რომელსაც მიაჩნია, რომ დანაშაულის დონე, პირიქით, ამაღლდა[83]. იმ დროს, როცა ფოკუს-ჯგუფის წევრები და რეგიონალური პოლიციის ოფიციალური პირები ინტერვიუებისას დანაშაულის დონის შემცირებაზე საუბრობდნენ, მერები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ფოკუს-ჯგუფების მთელ რიგ მონაწილეებთან ერთად, ეჭვს გამოთქვამდნენ, იკლო თუ არა დანაშაულმა იმდენად, რამდენადაც ამას ტელევიზიის მეშვეობით აცხადებდნენ. გამოკითხულთა დიდი ნაწილის აზრით, მედია „რეკლამას უკეთებდა“ პოლიციის წარმატებებს და ამით უსაფრთხოების ილუზიას ქმნიდა.

ტელევიზიით აცხადებენ, რომ ქურდობის შემთხვევებმა იკლო, მაგრამ მე არ მიმაჩნია, რომ სიტუცია გაუმჯობესდა.

ფოკუს-ჯგუფი L, ახალციხე, მამაკაცი, 38 წლის.

საოჯახო კვლევის რესპონდენტები და ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ცეცხლსასროლი იარაღით ჩაადენილ დანაშაულს მთლიანობაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. რესპონდენტთა 19%-მა ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაული ქვეყნაში სამ ყველაზე უფრო გავრცელებულ დანაშაულთა შორის დაასახელა.

83 როგორ შეიცვალა დანაშაულის რაოდენობა თქვენს ქალაქში/სოფელში/უბანში ბოლო წლის მანძილზე? (გამოკითხულთა რაოდენობა – 1.300)

სურათი 12: დღესდღეობით რა სახის დანაშაული ხდება ყველაზე ხშირად თქვენს ქალაქში/სოფელში/რაიონში?
(საფუძველი ნომ. 1.300)



მიუხედავად იმისა, რომ, რესპონდენტთა აზრით, შეიარაღებული ძარცვა ხშირად ხდება, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2005 წელს მომხდარ დანაშაულთა შორის მხოლოდ 4.5% მოდიოდა ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებულ დანაშაულებზე (ბანდიტიზმის კლასიფიკაციით). ეს შეუსაბამობა, შესაძლოა, იმის შედეგი იყოს, რომ ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაულის შესახებ არ შეატყობინეს პოლიციას, რის გამოც ის პოლიციის მონაცემებში არ მოხვდა. ან შესაძლოა, ქართველებს ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაული ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულად მიაჩნიათ, რის გამოც ფიქრობენ, რომ ის უფრო ხშირად ხდება. უნდა ითქვას, რომ რესპონდენტთა პასუხების ზოგიერთი კატეგორია „შეიარაღებული ძარცვის“ გარდა ალბათ ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილ დანაშაულსაც მოიცავს (მაგ. მკვლელობა, ავტომანქანის გატაცება/გაქურდვა)[84]. ამგვარ დამოკიდებულებას ის ფაქტიც გამოკიდებულებას, რომ იმავე წელს ჩადენილი ყველა დანაშაულიდან ძარცვა ათი ყველაზე გავრცელებული დანაშაულის 17%-ს შეადგენს.

თბილისში (29%), სამეგრელოსა 28%) და იმერეთის რეგიონებში (26%) გამოკითხული რესპონდენტები ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილ დანაშაულს თავიანთ რაიონში ჩვეულებრივ კრიმინალურ მოვლენად აღიქვამენ. ეს მონაცემები ემყარება აღრიცხულ დანაშაულს და მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ამგვარი დანაშაული ყველაზე ხშირია ამ სამ რეგიონში. თვალშისაცემია სოფლებსა (28%) და ქალაქებს შორის (9%) შეიარაღებული ძარცვის რაოდენობათა სხვაობა. სოფლებში გამოკითხული რესპონდენტები ადასტურებენ, რომ მათ რეგიონში ყველა სხვა ტიპის დანაშაული ხდებოდა, სიმთვრალით გაწვეული აყალმაყალისა და ფრინველისა და შინაური ცხოველების მოპარვის გარდა. ამასთან ერთად, სოფლის რესპონდენტთა მხოლოდ 14% ფიქრობდა, რომ მათ რაიონში არავითარი დანაშაული არ ხდებოდა, საპირისპიროდ ქალაქების მოსახლეობის 32%-სა. რესპონდენტთა პასუხები ხაზს უსვამს პოლიციის საქმიანობის ეფექტურობასა და საპატრულო პოლიციის ამოქმედებას. ყოველივე ამან კი, ჩანს, ნაკლები გავლენა იქონია სოფლის რეგიონებზე, ვიდრე ქალაქებზე.

84 36 რესპონდენტიდან, რომლებიც დანაშაულის მსხვერპლნი გახდნენ, მხოლოდ ორმა დაადასტურა, რომ ინციდენტი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მოხდა (5.5%). საუბედუროდ, რესპოდენტთა ეს რიცხვი უმნიშვნელოა სტატისტიკური თვალსაზრისით განხილვისათვის.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა დაასახელეს კრიმინალური ინციდენტების მთელი სპექტრი, რომელშიც ცეცხლსასროლი იარაღი იყო გამოყენებული. ამ შემთხვევათა უმრავლესობას სხეულის მძიმე დაზიანება და სიკვდილი მოჰყვა.

რამდენიმე დღის წინ ნარკომანები მისსავე სახლში თავს დაესხნენ ახალგაზრდა ქალს. მათ ავტომატები ჰქონდათ და ქალი მოკლეს, შემდეგ კი აზერბაიჯანში გაიქცნენ. ახლა მათ ვინღა დაიჭერს?

ფოკუს-ჯგუფი N, მარნეული, ბანკის მოლარე, მამაკაცი, 48 წლის.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ ჩემთან შეშინებული სტუდენტები მოვიდნენ, რადგანაც მათ ბინაში ძარცვა მოხდა. ნიღბიანი ადამიანები იარაღით შეიჭრნენ მათ სახლში და მობილური ტელეფონები წაართვეს. გოგონები მეტად დაშინებულნი იყვნენ. ეს ფაქტი, დაახლოებით, ორი თვის წინ მოხდა.

ფოკუს-ჯგუფი B, თბილისი, უნივერსიტეტის მასწავლებელი, ქალბატონი, 39 წლის.

მიუხედავად გავრცელებული შეხედულებისა, რომ კრიმინალური შემთხვევების მაჩვენებელი კლებულობს, კითხვაზე იკლო თუ იმატა 2002-2005 წლებში ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაულების რიცხვმა, კვლევის რესპონდენტების პასუხი არაერთგვაროვანი იყო. გამოკითხულთა 35%-ის აზრით, დანაშაულმა იკლო, ხოლო 5%-ის აზრით კი – ძალიან დაიკლო. 24%-ს მიაჩნდა, რომ ამგვარმა დანაშაულმა იმატა, 5%-ის აზრით კი, შესამჩნევად გაიზარდა[85]. თბილისში გამოკითხულ რესპონდენტთა დიდი ნაწილი (35%) ფიქრობს, რომ ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაული კლებულობს, სამცხე-ჯავახეთში (32%), გურიაში (40%) და მცხეთა-მთიანეთში (39%) გამოკითხულები კი მიიჩნევენ, რომ იზრდება.

დამოკიდებულება ორგანიზებული დანაშაულისადმი

საოჯახო კვლევის რესპონდენტთა 35%-ს მიაჩნია, რომ გასული წლის განმავლობაში ორგანიზებულმა დანაშაულმა იკლო, 24%-ის აზრით, პირიქით, ამაღლდა, 27% კი ამტკიცებდა, რომ ამ მხრივ მდგომარეობა არ შეცვლილა[86]. ამ სფეროში მდგომარეობის გაუმჯობესება უნდა აიხსნას ორგანიზებულ დანაშაულზე ხელისუფლების ოფიციალური პირების მიერ განხორციელებული კოორდინირებული შეტევით, რამაც შელახა ადგილობრივი კრიმინალური ავტორიტეტების იმიჯი და რეპუტაცია. ორგანიზებული დანაშაულის დონის კლება საქართველოში აისახა სხვადასხვა რეგიონების პოლიციის ოფიცერთა ინტერვიუებში.

ჩანართი 10: ორგანიზებული დანაშაული იმერეთში

ქუთაისი, რომელიც ადრე კრიმინალური ავტორიტეტების სათარეშო ასპარეზად იყო მიჩნეული, თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულის დონის დაქვეითების წარმოსაჩენად. ქუთაისის მერს მიაჩნია, რომ წარსულში ამ ქალაქის შებღალულმა რეპუტაციამ მრავალ ბიზნესმენს დაუკარგა სურვილი რეგიონში ინვესტიციების ჩადებისა. რეგიონალური პოლიციის უფროსის თქმით, 2003 წლის ვარდების რევოლუციამდე ქუთაისმა ბევრი უბედურება იწვნია ე.წ. კანონიერი ქურდების მხრიდან, რომლებიც საბჭოთა პერიოდში შსს მეშვეობით ციხეებში ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფებს ქმნიდნენ. წინა მთავრობის დროს ქუთაისში, დაახლოებით, 70 კანონიერი ქურდი იყო, რომელთაც რეგიონი საკუთარი გავლენის ქვეშ ჰქონდათ მოქცეული. ისინი კრიმინალურ და ფინანსურ საქმიანობას ეწეოდნენ, ძლიერი მხარდამჭერთა ჯგუფი ჰყავდათ ქუთაისის ციხეში და ადვილად შეეძლოთ ციხის აჯანყებების ინსპირირება. მას შემდეგ, რაც კანონიერი ქურდების წინააღმდეგ ეროვნულმა ხელისუფლებამ საგანგებო კამპანია ჩაატარა, ისინი აღარ წარმოადგენენ მისაბაძ მაგალითს ახალგაზრდებისთვის. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქუთაისის მერს მიაჩნია, რომ ქალაქში კრიმინალური მდგომარეობა იმდენად გაუმჯობესდა, რომ შეიქნა ხელსაყრელი კლიმატი ინვესტიციების მოსაზიდად და განსათავსებლად.

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ გარკვეული სხვაობა საოჯახო კვლევის რესპონდენტებსა და ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა თვალსაზრისებს შორის. მაშინ, როდესაც ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ დანაშაულმა, ზოგადად, იკლო, იმავდროულად დაადასტურეს, რომ მოიმატა ორგანიზებული დანაშაულის რიცხვმა, რაც ამ ბოლო წლებში, ძირითადად, ნარკოტიკებით ვაჭრობის გაძლიერებით უნდა აიხსნას.

85 როგორ შეიცვალა ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა ბოლო სამი წლის განმავლობაში? (ს. რ. 1.300)

86 როგორ შეიცვალა საქართველოში ორგანიზებული დანაშაული ბოლო წლის მანძილზე?(ს.რ.1.300)

ინფორმაცია უკანონო იარაღის ტარებისა და გამოყენების შესახებ

გაირკვა, რომ საოჯახო კვლევის რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი არც კი შეხვედრია შეიარაღებულ ადამიანს, გარდა პოლიციის ან სამხედრო ოფიცრებისა. თუმცა რესპონდენტთა 14%-მა განაცხადა, რომ ცეცხლსასროლი იარაღის ნახვა შესაძლებელია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. 10%-ს მიაჩნია, რომ იარაღის ნახვა ზეიმებზეა შესაძლებელი, ხოლო 10% ადასტურებს, რომ მას ღამის კლუბებისა და ბარების სტუმრები ატარებენ. რესპონდენტთა ნაწილი და ფოკუს-ჯგუფის ზოგიერთი მონაწილე პირადად გახდა მოწმე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში იარაღის გამოყენებისა. რესპონდენტთა 14% პირადად შეესწრო მისი გამოყენების ფაქტს შემდეგ სიტუაციებში:

სურათი 13: რა სიტუაციაში გახდით ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მოწმე?
(გამოკითხულთა რაოდენობა = 180)



აღრიცხულ შემთხვევათა უმრავლესობაში იარაღი ლეგალურად იყო გამოყენებული (ნადირობის შემსწრენი – 12 %; სპორტული ღონისძიებისას – 7%). მთელ რიგ შემთხვევებში კი რესპონდენტები ქალაქის ფარგლებში (თანაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში) ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მოწმენი გახდნენ (44%). დღესასწაულებზე იარაღის გამოყენება 34%-მა დაადასტურა, ხოლო ღამის კლუბებსა და ბარებში – 5%-მა. ფოკუს-ჯგუფის საკმაოდ ბევრმა მონაწილემ გაიხსენა ინციდენტები, რომლის დროსაც ცეცხლსასროლი იარაღი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში უკანონო გზით იყო გამოყენებული.

ერთხელ ქორწილში ვიყავი, სადაც სტუმართა შორის პოლიციის თანამშრომელი მამაკაციც იმყოფებოდა, რომელსაც იარაღის ტარების უფლება ჰქონდა. ის ვიღაცას დაენიძლავა და იარაღი შიგ შუბლში დაუმიზნა. მართალია, მას აქვს იარაღის ტარების უფლება, მაგრამ ნუთუ არ უნდა იცოდეს, სად და როგორ გამოიყენოს ის? მას არავინ მოუკლავს, მაგრამ დიდი ხმაური და აურზაური კი გამოიწვია.

ფოკუს-ჯგუფი K, ახალციხე, დროებით უმუშევარი ქალბატონი, 27 წლის.

ჩანართი 11: ცეცხლსასროლი იარაღის კანონიერი და უკანონო გამოყენება – ზუგდიდი

კონფლიქტის მოსაზღვრე ზონებში იარაღის ხელმისაწვდომობა და მისი გამოყენების შემთხვევები მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად რეგიონებში. შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაცია იმაზე მიუთითებს, რომ თბილისის და იმერეთის გარდა, ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაული ყველაზე ხშირად ხდება სამეგრელო-ზემო სვანეთში (141 შემთხვევა 2005 წელს) და შიდა ქართლში (120 ინციდენტი). ეს სამივე რეგიონი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტულ რეგიონებს ესაზღვრება. იმის შესაფასებლად, თუ რამდენად განსხვავდება ამ რეგიონებში იარაღის ზემოქმედება ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების მონაცემებისგან, კვლევის გუნდმა დეტალურად შეისწავლა ზუგდიდის რეგიონი, რომელიც აფხაზეთის საზღვართან დემილიტარიზებული ზონის ნაწილს წარმოადგენს (ნაწილი 2.2).

ზუგდიდის რეგიონი განსაკუთრებით დაზარალდა კონფლიქტის შედეგად, როდესაც ამ რეგიონში იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი ნაწილი იქნა გადმოყვანილი (70-80 000 ადამიანი ლტოლვილთა საერთო რაოდენობის 478.000-დან). ამის შედეგად იმატა დანაშაულმა, მათ შორის ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილმა, გამ-

რავლდნენ ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფები, რამაც მკვეთრად აამაღლა მოსახლეობის დაუცველობის დონე. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამ ზონის მშვიდობიანი მოსახლეობა ადგილობრივი თუ აფხაზური კრიმინალური დაჯგუფებების მუდმივი მუქარის ქვეშ იმყოფება, რომლებიც ძარცვავენ და იტაცებენ ადამიანებს, განსაკუთრებით მოსავლის აღების პერიოდში. ამის შედეგად, დაუცველობის გრძნობა ოჯახებს მუდმივ პრობლემად ექცათ.

ჩვენ კონფლიქტური რეგიონის საზღვარზე ვცხოვრობთ და ალბათ ვერასოდეს ვისაუბრებთ საფრთხის შემცირებაზე.

ფოკუს-ჯგუფი H, ზუგდიდი, დროებით უმუშევარი ქალბატონი, 27 წლის.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ფიქრობენ, რომ აფხაზეთსა და ზუგდიდში იარაღის გავრცელება რეგიონშიAძალადობის საფრთხეს აძლიერებს.

რეგიონებში, სადაც იარაღია დაგროვილი, ყოველთვის არსებობს მისი გამოყენების საფრთხე და ბუნებრივია, რომ ეს იარაღი ძალადობის მოტივაციას ახდენს. იარაღი შეიძლება იყოს როგორც ძალის გამოხატვის, ისე თავდაცვის საშუალება. ახლა აფხაზეთში ამბობენ, რომ იარაღს თავდაცვისთვის ფლობენ, მაგრამ არავინ იცის, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს იარაღის არასათანადო პიროვნების ხელში მოხვედრას, ამიტომაც საჭიროა იარაღის გაკონტროლება.

ფოკუს-ჯგუფი I, ქუთაისი, მენეჯერი მამაკაცი, 55 წლის.

მიუხედავად იმისა, რომ დაუცველობის დონე ზუგდიდში უფრო მაღალია, ვიდრე ქვეყნის სხვა რაიონებში, 2003 წლიდან აქ მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენცია შეინიშნება. ფოკუს-ჯგუფის რესპონდენტებმაც შენიშნეს ეს გაუმჯობესება და აღნიშნეს, რომ ბოლო დროს იკლო შეიარაღებული ძარცვისა და ადამიანთა გატაცების ფაქტებმა. ზუგდიდის რეგიონალური პოლიციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2005 წელს რეგიონში სერიოზული დანაშაულის დონემ 43%-ით იკლო, ისევე როგორც შეიარაღებული ძარცვის შემთხვევებმა (გასულ წელთან შედარებით აქ 100 ინციდენტით ნაკლები აღირიცხა). 2006 წლის პირველ თვეში მომხდარი შემთხვევებიდან მხოლოდ 66 დანაშაული იყო ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით (შეიარაღებული ძარცვის მცდელობა). საოჯახო კვლევის რესპონდენტები სამეგრელოდან ფიქრობენ, რომ დანაშაულისა და ორგანიზებული დანაშაულის მაჩვენებლები (რესპონდენტების 77% მთლიანად ქართული მოსახლეობის 46%-თან შედარებით) ბოლო წლის მანძილზე შემცირდა.

UNPOL-ის ინფორმაციაზე დაყრდნობით, იარაღის არსებობისა და მისი გამოყენებით დანაშაულებრივი ქმედებების რაოდენობა დემილიტარიზებული ზონის აფხაზურ ნაწილში ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ზუგდიდში. მაგალითად, 2005 წლის ნოემბრიდან 2006 წლის იანვრამდე ზუგდიდის რეგიონში მცირე შეიარაღების გამოყენებით მხოლოდ ერთი ინციდენტი მოხდა. ამავე პერიოდში გალის რაიონში რამდენიმე ასეთი შემთხვევა აღირიცხა, მათ შორის, ყოველ კვირაში ავტობუსის გაძარცვის სამი და იარაღის გამოყენებით გატაცების ორი შემთხვევა, რომელსაც ემატება ბოევიკების მხრიდან რამდენიმე ახალგაზრდის მკვლელობა.

4.4 ზემოქმედება ადამიანთა ჯანმრთელობაზე

ძალზე ძნელია ცეცხლსასროლი იარაღის ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასება, რადგანაც არ არსებობს ცეცხლსასროლი იარაღით ადამიანთა დაშავებისა და სიკვდილიანობის მონაცემთა სისტემატური აღრიცხვა. გარკვეულ წყაროებზე დაყრდნობით, როგორიცაა: ხელმისაწვდომი სახელმწიფო სტატისტიკა, ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალურ პირთა ინტერვიუები, საავადმყოფოების არქივები და უწინდელი კვლევები – შესაძლებელია გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნეს ადამიანთა ჯანმრთელობაზე ცეცხლსასროლი იარაღის ზემოქმედების შესახებ. კვლევის გუნდმა შეძლო 2005 წელს საავადმყოფოებში აღრიცხული ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული 1.250 დაზიანების გამოვლენა (1.100 თბილისში; 63 – დიდ რეგიონალურ საავადმყოფოებში, და 90 – მცირე რეგიონალურ საავადმყოფოებში). იმავე წელს ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობებით 50 ქართველი გარდაიცვალა.

ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აწარმოებს ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობების სტატისტიკას მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) დაავადებათა კლასიფიკაციის მიხედვით (ISD-10). ISD-10-ის 2001-2004 წლების მონაცემებზე დაყრდნობით, დაზარალებულთა უდიდესი ნაწილი ქალაქში მცხოვრები, 30 წელს გადაცილებული მამაკაცები არიან.

ცხრილი 7: ცეცხლსასროლი იარაღით დაშავებულთა რიცხვი (წყარო: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – 10 აღრიცხული შემთხვევა)

წელი		2000	2001	2002	2003	2004
სქესი	მამრობ.	72	114	51	38	12
	მდედრ.	10	21	7	4	2
სულ		**82**	**135**	**58**	**42**	**14**

WHO-ს ოფიციალური პირების ინფორმაციაზე დაყრდნობით, ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ეს მონაცემები ზუსტად ასახავდეს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მომხდარი ინციდენტების რაოდენობას. ეს კი არასრულყოფილი აღრიცხვიანობისა და დაშავებულთა მხრიდან ინფორმაციის დაფარვის შედეგია. უმრავლეს შემთხვევაში ცეცხლსასროლი იარაღით დაშავებულები თავს იკავებენ პოლიციის ჩარევისგან (რადგანაც პოლიციას ყოველი ამგვარი ინციდენტის გამოძიება ევალება), და თხოვნით მიმართავენ საავადმყოფოების პერსონალს, არ აღრიცხონ ინციდენტი.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში არსებული მონაცემების სიზუსტის დასადგენად კვლევის ჯგუფმა ინტერვიუები აიღო პერსონალისგან და ხუთი საავადმყოფოს არქივებიდან და ქირურგიული/ტრავმატოლოგიური განყოფილებების სააღრიცხვო ჟურნლებიდან სტატისტიკური მონაცემები შეკრიბა. ამ საავადმყოფოებიდან ორი თბილისში მდებარეობს – რესპუბლიკური და ღუდუშაურის კლინიკები, ხოლო სამი – რეგიონში – შიდა ქართლში (გორი), ქვემო ქართლში (ბოლნისი) და კახეთში (თელავი). მოპოვებული ინფორმაცია წარმოაჩენს, რომ ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული ჭრილობები გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე ამას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემები ადასტურებს და რომ ამგვარი იარაღით მიყენებულ ჭრილობათა რაოდენობა აღემატება სხვა იარაღით ჩადენილ დანაშაულს (მაგ. ბასრი საგნებითა და დანებით).

თბილისის საავადმყოფოები მეტ დაჭრილს უწევენ დახმარებას, ვიდრე ქვეყნის სხვა რეგიონების სტაციონარები. 2005 წელს კვლევის ჯგუფის მიერ მონახულებულ ორ საავადმყოფოში 73.5 დაშავებულს ჩაუტარდა დახმარება. რადგან თბილისში სულ 15 საავდმყოფოა, ეს მონაცემი შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ 2005 წელს საქართველოს დედაქალაქში მოხდა ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული 1.100 ინციდენტი. თბილისის ფარგლებს გარეთ ხუთი დიდი რეგიონალური საავადმყოფოა: ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, თელავსა და გორში. თელავსა და გორში შეკრებილ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ყოველმა დიდმა რეგიონალურმა საავადმყოფომ 2005 წლის მანძილზე საშუალოდ 12.5 ამგვარ დაჭრილს უმკურნალა. ეს კი ერთობლივად შეიძლება ნიშნავდეს 63 შემთხვევას დიდ საავადმყოფოებში. დანარჩენი 45 რეგიონალური საავადმყოფო უფრო მცირე ზომისაა. კვლევის ჯგუფმა მხოლოდ ერთი მათგანი მოინახულა ბოლნისში. თუ ამ რეგიონალური საავადმყოფოს მაგალითით სხვა მცირე საავადმყოფოებში არსებულ მდგომარეობაზე ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ 2005 წელს ამ ტიპის სტაციონარებში 90-მდე ამგვარი ინციდენტი აღირიცხა.

ცხრილი 8: 2001-2005 წლებში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობების აღრიცხული რაოდენობა თელავში, ბოლნისსა და გორში
(წყარო: საავადმყოფოს არქივები)

საავადმყოფო		თბილისი რესპუბლიკური	თბილისი ღუდუშაურის	თელავი	გორი	ბოლნისი	სულ
წელი	2001	–	–	8	11	8	27
	2002	–	30[87]	16	27	4	47
	2003	–	23	11	16	4	31
	2004	85	36	4	59	3	66
	2005	70	39	11	14	2	27
% იარაღით მიყენებული ჭრილობა		30-33%	41.8-69.7	20%	25%	20%	–

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საავადმყოფოებმა განსხვავებული მონაცემები წარმოადგინეს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მომხდარი ინციდენტების სხვა იარაღის შედეგად მომხდარი ინციდენტებზე ფარდობის შესახებ[88], მაინც, ცეცხლსასროლი იარაღით მომხდარი ინციდენტების ზოგადი პროცენტული მაჩვენებელი თბილისში

87 ამ წელს სამი დანაშაული დასრულდა სიკვდილით, ხოლო ხუთი დანაშაულის ტიპი კლასიფიცირებული არ არის.

88 რესპუბლიკური საავადმყოფო – ყველა ტიპის იარაღთან დაკავშირებული ჭრილობის 30-33% (2001-2005 წწ), ღუდუშურის კლინიკა – 41.8-69. 7 % (2002-2005წწ).

ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე სხვა რეგიონალურ საავადმყოფოებში. ეს ნაწილობრივ იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ დაშავებულთა უმეტესობა რეგიონებიდან თბილისში მოჰყავთ უფრო მაღალი ხარისხის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით. როგორც წესი, ეს ხდება მაშინ, როდესაც ჭრილობები ნაკლებად სერიოზულია, ან მას შემდეგ, რაც რეგიონალურ საავადმყოფოში პირველადი დხმარება უკვე აღმოჩენილია. საავადმყოფოების პერსონალს მიაჩნია, რომ, ზოგადად, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობების მააჩვენებლები სხვა სახის იარაღით მიყენებულ ჭრილობებთან შედარებით წლის განმავლობაში თითქმის უცვლელია. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს წარმოადგენდა გორის საავადმყოფო 2004 წელს, რომელშიც ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობების რიცხვმა საგრძნობლად იმატა სამხრეთ ოსეთში მომხდარი აგვისტოს კონფლიქტის შედეგად და 75% შეადგინა[89].

საავადმყოფოს პერსონალის მიერ მოცემულ ინტერვიუებში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული თითქმის ყველა ჭრილობა კრიმინალურ საქმიანობას უკავშირდებოდა და მხოლოდ მცირე ნაწილი თუ იყო წალაპარაკების, უბედური შემთხვევისა ან თვითმკვლელობის შედეგი. საავადმყოფოს პერსონალმა დაადასტურა, რომ როგორც კრიმინალური, ასევე უბედური შემთხვევების მსხვერპლნი თავს იკავებენ პოლიციაში განცხადებისაგან. ეს ფაქტი, ზოგადად, ასახავს მოსახლეობის პოლიციისადმი დამოკიდებულებას. გამოკითხულთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ პოლიციის ჩარევა პრობლემებს შეუქმნის, თუმცა ხშირად პოლიციაში გამოუცხადებლობა ინციდენტის შედეგად მიღებული შოკის შედეგიცაა. საავადმყოფოების პერსონალსაც მიაჩნია, რომ ცეცხლსასროლი იარაღი მუდმივ საფრთხეს უქმნის საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობას. ამისდა მიუხედავად, ისინი თვლიან, რომ დანის გამოყენება გაცილებით დიდი საფრთხის შემცველია, რადგანაც ამგვარი ინციდენტები უფრო ხშირად ხდება და სიმძიმით პირველს არ ჩამოუვარდება.

საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღით გამოწვეული უბედური შემთხვევების სიმრავლეს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ფოკუს-ჯგუფის თითქმის ყველა მონაწილეს ჰქონდა ინფორმაცია ამგვარი ინციდენტების შედეგად დაზარალებული პირების შესახებ. ამგვარი შემთხვევების მსხვერპლად ხშირად ბავშვებიც და ოჯახის სხვა წევრებიც გვევლინებიან.

ერთხელ მეგობართან ვიყავით დაბადების დღეზე და მოულოდნელად მისი თანამშრომელი მოვიდა. სუფრა უკვე გაშლილი იყო, რის გამოც მასპინძელს კოლეგა გაუნაწყენდა და იარაღი ამოიღო. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ მე დავიჭერი. ამ ადამიანს, რა თქმა უნდა, იარაღის ტარების უფლება ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მან მაინც ვერ შეძლო საკუთარი თავის გაკონტროლება.

ფოკუს-ჯგუფი F, თბილისი, მენეჯერი ქალბატონი, 29 წლის.

ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული სიკვდილიანობის შემთხვევები

კვლევის ჯგუფმა ვერ შეძლო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის საერთო შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერც ჯანდაცვის სამინისტროში, რომელიც ამგვარ სტატისტიკას არ აწარმოებს, და ვერც შსს-ში. ამიტომ ზოგადი სურათის წარმოსაჩენად ჯგუფმა გამოიყენა საავადმყოფოს პერსონალისგან აღებული ინტერვიუები. თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმღები განყოფილების უფროსმა აღნიშნა, რომ საავადმყოფოში შემოსული ცეცხლსასროლი იარაღის შემთხვევათა უმრავლესობა ძალზე მძიმეა და მათი 4-5% ლეტალურად მთავრდება[90]. მსგავსი პასუხი მიიღეს გორის საავადმყოფოს ექიმისგანაც, რომელმაც აღნიშნა, რომ საავადმყოფში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად შემოსული პაციენტების 75% მძიმე მდგომარეობაშია და მათი 3-4% იღუპება[91]. თუ ამ საავადმყოფოების მაგალითებს მთელ საქართველოზე განვაზოგადებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული შემთხვევების დაახლოებით 4% სიკვდილით მთავრდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 2005 წელს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად საქართველოში 50 ადამიანი დაიღუპა.

ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული თვითმკვლელობები

ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული თვითმკვლელობების სტატისტიკასაც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აწარმოებს WHO-ს და ISD-10-ის მიხედვით. ეს სტატისტიკა საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილი თვითმკვლელობების მეტად დაბალ მაჩვენებელს ასახელებს, რაც წელიწადში, დაახლოებით, თვითმკვლელობის ორ შემთხვევას უდრის. საქართ-

89 ინტერვიუ, ნუკრი ჯოხაძე.

90 ინტერვიუ, ზურაბ შალამბერიძე.

91 ინტერვიუ, ნუკრი ჯოხაძე.

ველოში თვითმკვლელობათა რიცხვმა პიკს 2003 წელს მიაღწია (12 შემთხვევა). ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილ აღრიცხულ თვითმკვლელობათა დიდი წილი ქალაქელ, 30 წელს გადაცილებულ მამაკაცებზე მოდის.

ცხრილი 9: 2003-2004 წლებში ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი აღრიცხული თვითმკვლელობები (წყარო: შსს ISD-10 ჩანაწერები)

წელი		2000	2001	2002	2003	2004
სქესი	მამრობ.	2	1	2	11	2
	მდედრ.	–	–	–	1	–
სულ		2	1	2	12	2

ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული დაზიანებების მსგავსად, ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური პირები ადასტურებენ, რომ საავადმყოფოების პერსონალი ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილ თვითმკვლელობის შემთხვევებს სათანადოდ არ აღრიცხავს. ამიტომაც გაუგებარია, რამდენად რეალურ სურათს ასახავს ეს სტატისტიკა. საავადმყოფოების პერსონალისაგან აღებული ინტერვიუები ამ თვალსაზრისით არანაირ დამატებით ინფორმაციას არ იძლევა, ამიტომ სწორედ შსს არის ვალდებული არა მარტო აღრიცხოს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევები, არამედ დაადგინოს კიდეც – ყოველი კონკრეტული შემთხვევა თვთმკვლელობაა თუ დანაშაული. მიუხედავად ამისა, საავადმყოფოს პერსონალის ინტერვიუები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი თვითმკვლელობები საგრძნობლად იშვიათია და რომ თვითმკვლელობათა დიდი ნაწილი ბასრი იარაღის, მაგალითად, დანის მეშვეობით ხდება.

ჩანართი 12: ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება და არადანიშნულებისამებრ გამოყენება აჭარაში

2004 წლის გაზაფხულზე, ასლან აბაშიძის რეჟიმის კაპიტულაციის შემდეგ, რეგიონში უსაფრთხოების დონემ საგრძნობლად აიწია. ამჟამად რეგიონისთვის ყველაზე სერიოზულ პრობლემას უმუშევრობა და სოციალური საკითხები წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ასლან აბაშიძის მტკიცე ხელის წყალობით რეგიონი გადაურჩა პოლიტიკურ არასტაბილურობას, ადგილობრივ მოსახლეობას მაინც ჰქონდა გარკვეული საფრთხის შეგრძნება. ეს, ნაწილობრივ, რეგიონში არსებული დანაშაულებრივი ჯგუფების, განსაკუთრებით კანონიერი ქურდების საქმიანობას უკავშირდებოდა. თბილისის მიერ აჭარაზე კონტროლის აღდგენამდე კანონიერი ქურდები ძალზე აზარალებდნენ მოსახლეობას. დაუცველობის გრძნობას, ასევე, აძლიერებდა ცეცხლსასროლი იარაღის ის დიდი რაოდენობა, რომელიც აბაშიძის საიდუმლო პოლიციამ მოსახლეობას დაურიგა.

ბათუმის 2004 წლის რევოლუციის შემდეგ მოსახლეობაში დაცულობის შეგრძნებამ საგრძნობლად იმატა, განსაკუთრებით ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო გამოყენებასთან კავშირში. ვინაიდან უსაფრთხოების დონის ამაღლება ნაწილობრივ ეროვნულ ინიციატივებზეა დამოკიდებული, აჭარაში ამ პროცესზე უდიდესი გავლენა მოახდინა 2004 წელს გატარებულმა იარაღის ამოღების კამპანიამ. (იხ. ნაწილი 7). აჭარაში უსაფრთხოების დონის მატებას სოციოლოგიური კვლევის შედეგებიც ადასტურებს. აჭარელ რესპონდენტთა 70% აღნიშნავს, რომ გასულ წელს კრიმინლური მოვლენების რაოდენობამ საგრძნობლად იკლო. ბათუმის რევოლუციის შემდეგ შემცირდა ორგანიზებული დანაშაულის შემთხვევები, თუმცა გარკვევით არ იკვეთება ჯერ კიდევ არსებული საფრთხის დონის მაჩვენებელი. რესპონდენტთა 64 პროცენტს მიაჩნია, რომ ორგანიზებული დანაშაულის დონე გასულ წელთან შედარებით კვლავაც უცვლელია. ადგილობრივი ჟურნალისტის ინფორმაციის თანახმად, კანონიერი ქურდის ქუჩური იდეოლოგია ჯერ ისევ მყარია, ამიტომ ადამიანები კვლავაც გაურკვევლობის წინაშე დგანან – რომელ კანონს უნდა დაემორჩილონ – კრიმინალურს თუ სახელმწიფოსას?

ჩანს, რომ უსაფრთხოების დონის გაუმჯობესებამ ცეცხლსასროლი იარაღის ფლობის სურვილიც აღმოფხვრა. აჭარელ რესპონდენტთა მხოლოდ 26%-მა დაადასტურა ცეცხლსასროლი იარაღის ფლობის სურვილი, თუკი ეს კანონიერი გზით იქნება შესაძლებელი. ეს მაჩვენებელი ბევრად უფრო დაბალია საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით. უფრო მეტიც. რესპონდენტთა მხოლოდ 6%-მა განაცხადა, რომ ცეცხლსასროლი იარაღის ფლობის სამი ძირითადი მიზეზიდან უმთავრესად კრიმინალური საქმიანობა მიაჩნდა. ეს საშუალო ეროვნული მაჩვენებლის 23%-ია და ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე სამცხე-ჯავახეთში (42%) სამეგრელოსა (51%) და კახეთში (39%). შესაძლოა, პოსტაბაშიძისეულ რეგიონში ცეცხლსასროლი იარაღის უმიზნო გამოყენების ინდიკატორად ახალი წლის სადღესასწულო გასროლათა რიცხვის შემცირებაც მივიჩნიოთ – 2006 წლის ახალი წლის დღესასწაულზე სროლა თითქმის არ ისმოდა.

4.5 საზოგადოებაზე ზემოქმედება

მცირე შეიარაღების ხელმისაწვდომობამ და მისმა არასწორმა გამოყენებამ ძლიერად იმოქმედა საქართველოს საზოგადოებაზე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მიმდინარეობისას, ისევე როგორც სამოქალაქო ომში, მცირე შეიარაღების გამოყენება (სხვა იარაღთან ერთად) მძიმედ აისახა ქვეყანაზე, ვინაიდან მას შედეგად მოჰყვა იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი რაოდენობა, ეკონომიკური დაქვეითება და ეთნიკური დაძაბულობა. სოციოლოგიური კვლევა და ფოკუს-ჯგუფები წარმოაჩენენ, რომ ქართველთა დიდი ნაწილი კვლავაც მიიჩნევს, რომ დაუცველ გარემოში ცხოვრობს. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ არასტაბილურობა და მასთან დაკავშირებული ფაქტორები დაუცველობის შეგრძნების უმთავრეს მიზეზად არის მიჩნეული და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა საკვანძო პრიორიტეტად ითვლება, გამოკითხულთა პასუხების შემდგომი განხილვა ადასტურებს, რომ ქართველებს ძალზე აშფოთებთ ცეცხლსასროლი იარაღის ფლობა და მისი უკანონო გამოყენება, განსაკუთრებით პირადი უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით. ეკონომიკის არამდგრადობისა და დანაშაულის „აბსტრაქტული“ ცნებების თაობაზე ჩატარებულმა ტესტირებამ გამოავლინა, რომ ეკონომიკური დაუცველობა, სახელმწიფოს სისუსტე და ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობა/მისი უკანონო გმოყენება ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია. მართალია, წინამდებარე ანგარიში შეისწავლის ამ კავშირებს, მაგრამ მათი დეტალური ანალიზი ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს.

სოციოლოგიური კვლევის რესპონდენტებმა დაუცველობის შეგრძნების უმთავრეს მიზეზად უმუშევრობა (რესპონდენტთა 58%) და ეკონომიკური არამდგრადობა (რესპონდენტთა 23%) უფრო მიიჩნიეს[92], ვიდრე მცირე შეიარაღების გავრცელება (0%). ამასთან ერთად, რესპონდენტთა მხოლოდ 3%-მა დაასახელა იარაღის ხელმისაწვდომობის პრობლემა რეგიონის მცხოვრებთა პრიორიტეტად სამუშაო ადგილების შექმნის საპირისპიროდ (73%). კვლევის ჯგუფის მიერ გამოკითხული ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები და რეგიონალური ლიდერები, ასევე, ადასტურებენ, რომ უმუშევრობა მათ სამეზობლოში ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს[93]. მართლაც, როგორც სხვა ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, კრიმინალი და იარაღის ხელმისაწვდომობა ხშირად ეკონომიკური და სოციალური არამდგრადობის ზემოქმედების შედეგად უფრო აღიქმება, ვიდრე მიზეზად.

თუ სოციალური მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, კრიმინალური ვითარება უკეთესობისკენ არ შეიცვლება. ამას პოლიციაც ვერ უშველის. პირიქით, დანაშაულის რიცხვი მოიმატებს მანამ, ვიდრე ხალხს სამუშაო არ გაუჩნდება.

ფოკუს-ჯგუფი K, ახალციხე, უმუშევარი იურისტი ქალბატონი.

სურათი 14: თქვენი აზრით, რომელია სამი უმთავრესი პრიორიტეტი თქვენი ქალაქის/რეგიონის/ოლქის/სოფლისათვის? (საფუძველი ნომ. = 1,300)



სოციალური პრიორიტეტების და უსაფრთხოების საკითხების განხილვისას ეკონომიკური საკითხებისადმი გამორჩეული ყურადღება ეთმობა მთელს აღმოსავლეთ ევროპაში. მაგლითად ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა სერბეთი, ბულგარეთი და მოლდოვა. სადაც ჩატარდა მცირე შეიარაღების კვლევა, ყველაზე ხშირად დაუცველობის

92 რა მიგაჩნიათ დაუცველობის ყველაზე მთავარ მიზეზად პირადად თქვენთვის და თქვენი ოჯახისათვის? (ს.რ.1.300)

93 ინტერვიუ, ნატა სურგულაძე.

მიზეზად სახელდებოდა ეკონომიკური არამდგრდობა (სერბია -47%; ბულგარეთი 33.9%; მოლდოვა – 36%), ხოლო იარაღის გავრცელება მნიშვნელოვან საკითხად საერთოდ არ განიხილებოდა (სერბეთი 2.2%; ბულგარეთი 0.7 %; მოლდოვა – 1.1%), იარაღის ხელმისაწვდომლობისა დ მისი ნეგატიური ზემოქმედებისდა მიუხედაად[94].

გამოკითხვის თანახმად, საქართველოს მოქალაქეები დაუცველობის მიზეზად ეკონომიკურ არასტაბილურობას ასახელებს, ასევე აღიარებს იარაღის გავრცელებითა და მისი დახმარებით ჩადენილი დანაშაულის უარყოფით ზემოქმედებას. კვლევის რესპონდენტებმა და ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობისა და მისი უკანონო გამოყენების როლის შესახებ დეტალური გამოკითხვისას წამოჭრეს იარაღის ზემოქმედებასთან დაკავშირებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც, ძირითადად, პირადი უსაფრთხოების დაბალ დონეს შეეხებოდა. მართალია, საქართველოში არსებული ეკონომიკური არამდგრადობა დაუცველობის ძირითად წყაროდ მიიჩნევა, მაგრამ არანაკლებ შეშფოთებას იწვევს ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობა და მასთან დაკავშირებული დანაშაული. მნიშვნელოვანია, რომ კვლევის რესპონდენტთა დიდ ნაწილს (40%) მიაჩნია, რომ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მის თემს დიდ საფრთხეს უქმნის, განსხვავებით იმ 26%-ისა, ვინც ასე არ ფიქრობს.

სურათი 15: რამდენად ეთანხმებით შემდეგ მტკიცებულებას: „ცეცხლსასროლი იარაღის ხელმისაწვდომობა და მისი გამოყენება ჩემს საცხოვრებელ ადგილზე ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს“?
(გამოკითხულთა რაოდენობა=1.300)



კომენტარს მოითხოვს მონაცემთა შორის გარკვეული სხვაობა. ცეცხლსასროლი იარაღის ხელმისაწვდომლობა და გამოყენება უფრო შემაშფოთებელია არაეთნიკური ქართველებისათვის, ვიდრე ეთნიკური ქართველებისათვის, იარაღით გმოწვეული ზემოქმედება კი უფრო მტკივნეულად აღიქმება ქალაქის მცხოვრებლების, ვიდრე სოფლის მოსახლეობის მიერ. სამცხე-ჯავახეთის რესპონდენტთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ სხვა რეგიონებთან შედარებით მათ თემზე უარყოფითად მოქმედებს ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობა და მისი გამოყენება (54%). რადგანაც სამცხე-ჯავახეთში ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაულის დონე უფრო დაბალია, ვიდრე ქვეყნის სხვა რეგიონებში (2005 წელს პოლიციის მიერ მხოლოდ 16 ინციდენტი აღირიცხა), ამგვარი დამოკიდებულება შესაძლოა, ახალქალაქში რუსეთის ბაზების დახურვით გამოწვეული წუხილის შედეგი იყოს. გარდა ამისა, არაეთნიკური ქართველი მოქალაქეები არ ენდობიან პოლიციას და არ აცხადებენ ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებულ ინციდენტების შესახებ. ამასთან ერთად, იარაღის ხელმისაწვდომლობა და მისი გამოყენება.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის რესპონდენტებისთვის არ უთხოვიათ მათ თემზე ცეცხლსასროლი იარაღის ნეგატიური ზემოქმედების დეტალური შეფასება, ცხადია, რომ ცეცხლსასროლი იარაღი ხშირად გამოიყენება თემებს შორის არსებული კონფლიქტების გადასაჭრელდ[95]. რესპონდენტთა სულ 21%-მა განაცხადა, რომ მათ თემში, ზოგადად, საკმაოდ ხშირია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევები.

94 Rynn S et al. Taming the Arsenal – Small Arms and Light Weapons in Bulgaria, (SEESAC, 2005); Taylor Z et al. Living with the Legacy – SALW Survey of the Republic of Serbia, (SEESAC, 2005); Op. Cit, Wood D et al. SALW Survey of Moldova (SEESAC, 2006).

95 რამდენად ხშირად იყენებენ ცეცხლსასროლ იარაღს ოჯახური კონფლიქტის დროს თქვენს სამეზობლოში? (გამოკითულთა რაოდენობა =1.300)

ეს ციფრი კიდევ უფრო მაღალი იყო თბილისში (69%), ხოლო სოფლად 38%-ს უტოლდებოდა. სინამდვილეში რესპონდენტთა 42% მიიჩნევს, რომ იარაღის გამოყენება მძიმედ აისახება კომუნათა შორის არსებულ კონფლიქტურ ურთიერთობებზე, განსხვავებით იმ 24%-გან, რომელიც მიიჩნევს, რომ ცეცხლსასროლმა იარაღმა, გარკვეულწილად, ამ ურთიერთობებზე დადებითი გვლენაც კი შეიძლება იქონიოს. ცეცხლსასროლი იარაღისადმი ნეგატიური დამოკიდებულება (თემთა შორის ურთიერთობებთან კავშირში) უფრო მაღალი სამცხე-ჯავახეთსა (76%) და აჭარაში (66%) იყო, თუმცა უფრო დაბალი – კახეთში, სადაც რესპონდენტთა 49% ფიქრობდა, რომ ცეცხლსასროლ იარაღს შეუძლია დადებითი ზემოქმედება იქონიოს.

საზოგადოების დიდი ნაწილის ფრთხილი დამოკიდებულება ცეცხლსასროლი იარაღისადმი შესაძლოა, ემყარებოდეს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაწყებული შიდა შეიარაღებული კონფლიქტების პირად გამოცდილებას. ამგვარი დამოკიდებულება აჭარის საზოგადოებაშიც გამოჩნდა 2004 წელს, ბათუმსა და თბილისს შორის დაწყებული დაპირისპირებისას. 2004 წლის მაისისათვის ასლან აბაშიძის ადმინისტრაციამ საკმაო რაოდენობის იარაღი დაურიგა თავის მომხრეებს და ააფეთქა ჩოლოქის ხიდი, რომელიც აჭარას საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან აკავშირებდა. ამ ფაქტმა შეასუსტა აბაშიძის რეჟიმის მხარდაჭერა და, პირიქით, პროტესტის გრძნობა გააღვივა მის წინააღმდეგ (იხ. ჩანართი 7). საბოლოოდ, რიგითმა ადამიანებმა უარი თქვეს შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობაზე. მათ, ვისაც კვლევის ჯგუფმა ინტერვიუ ჩამოართვა, განაცხადეს, რომ ეშინოდათ, ისევ არ განმეორებულიყო შეიარაღებული დაპირისპირება, რომელიც საქართველომ 1990-იან წლებში გამოიარა.

არავის სურდა ებრძოლა. ყველას კარგად ახსოვდა ის საშინელი დრო, როდესაც ქართველი ქართველს კლავდა და აღარავის უნდოდა, ეს კოშმარი ისევ განმეორებულიყო.
ნატა სურგულაძე, ბათუმის ვიცე მერი, 2006 წლის 18 იანვარი.

4.6 კანონის აღსრულება

პოლიციის მოქმედების უზრუნველყოფა

უკანონო იარაღით ჩადენილი დანაშაულის გარდა (ფლობა, ვაჭრობა და სხვ), რომელიც 3.6 თავში იყო განხილული, სხვა ტიპის დანაშაული („ბანდიტიზმი“) ისჯება თავისუფლების აღკვეთით 5-დან 20 წლამდე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 224). 2003-2005 წლებში შესამჩნევად გაუმჯობესდა, ზოგადად, პოლიციის ეფექტურობა და საგრძნობლად გაიზარდა მისი უნარი, შეებრძოლოს ცეცხლსასროლი იარღის უკანონო გამოყენებას:

ცხრილი 10: ყველა ტიპის დანაშაულის გახსნის მაჩვენებლები 2004-2005 წლებში
(წყარო: შსს)

წელი	აღრიცხულ დანაშაულთა სრული რაოდენობა	გახსნილი საქმე	გახსნის პროცენტი
2004	24.856	13.016	52.4%
2005	43. 266	15.975	36.9%

იმის გამო, რომ გახსნილი საქმეების პროპორციამ 52.4%-დან 36.9 %-მდე იკლო, ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ 2004-2005 წლებში პოლიციის ეფექტურობა შემცირდა. მაგრამ ის ფაქტიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამავე წლებში მოიმატა გახსნილ საქმეთა რაოდენობამ, კერძოდ, 13.016-დან 15.975-მდე. გახსნილი დანაშაულის მთლიანი პროპორციის დაქვეითება პოლიციის მიერ დანაშაულთა აღრიცხვიანობის გაუმჯობესებას უკავშირდება (რაც პოლიციისადმი ნდობის გაზრდაზე მეტყველებს) და არა პოლიციის ეფექტურობის დონის დაქვეითებას.

გახსნილ საქმეთა მაჩვენებელი (იგულისხმება აღრიცხული ბანდიტიზმის შემთხვევები ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით), 2005 წელს დანაშაულის ყველა ტიპის გათვალისწინებით საშუალოს უახლოვდებოდა (გახსნის მაჩვენებელი – 38.2%), ამავე დროს, ცეცხლსასროლი იარაღით მომხდარი ინციდენტების გახსნილ საქმეთა მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალია – 75.6%, თუმცა საკმაოდ დაბალია წინა წელთან შედარებით. უკანონო ცეცხლსასროლი იარაღით მომხდარი ინციდენტების გახსნის მაჩვენებელი მაღალია, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ დაზარალებულებმა ამ შემთხვევათა შესახებ პოლიციას აცნობეს. ჩვეულებრივ, პოლიცია საზოგადოებისგან არ იღებს შეტყობინებას უკანონო მფლობელობაში არსებული იარაღისა ან მისი ტარების შესახებ, არამედ, როგორც წესი, თვითონ ადგენს ამგვარ ფაქტებს.

ცხრილი 11: 2006 წელს ბანდიტიზმისა და უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მომხდარი ინციდენტების გახსნილი საქმეების მაჩვენებლები (წყარო: შსს)

დანაშაულის ტიპი	სრულად რეგისტრ. დანაშაულები	გახსნ. საქმე	გახსნ.საქმ.პროცენტი
ბანდიტიზმი			
2004	1.733	633	36.5%
2005	1.925	736	38.2%
უკანონო ფლობა			
2004	1.238	1.126	91%
2005	1.242	939	75.6%

მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის მიერ კანონის აღსრულება გაუმჯობესდა, არ არის ნათელი, შეინიშნება თუ არა რაიმე სასიკეთო ძვრები დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით. დღესდღეობით, მართლაც, არ არსებობს სტრატეგიული ანალიზი იმ რისკის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო გამოყენებასთან, ან რაიმე გარკვეული პროგრამა მასთან საბრძოლველად.

ჩანართი 13: პოლიციის საქმიანობის უზრუნველყოფა დემილიტარიზებულ ზონაში

პოლიციის შესაძლებლობების შესაფასებლად დემილიტარიზებულ ზონაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით კვლევის ჯგუფმა არაერთი ინტერვიუ ჩამოართვა ზუგდიდის რეგიონის (სამეგრელო) პოლიციელებსა და სხვა ოფიციალურ პირებს. მიუხედავად იმისა, რომ 1995 წელს, შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ, რეგიონში დანაშაულის დონე ძალიან მაღალი იყო, ვარდების რევოლუციის მომდევნო პერიოდში, 2003 წლიდან, დაძაბული ვითარების შენარჩუნების მიუხედავად, ადამიანთა უსაფრთხოება შესამჩნევად ამაღლდა. თუმცა ამ თვალსაზრისით მდგომარეობის გაუმჯობესება საუბნო პოლიციის საქმიანობასა და ერთობლივი ფაქტების დადგენის მისიების შემოღებას უნდა უკავშირდებოდეს.

დემილიტარიზებულ ზონაში პოლიციის საქმიანობის უზრუნველყოფას გაეროს დამკვირვებელთა მისიაც (UNOMIG) ეხმარებოდა, რომელიც 2003 წლის ნოემბრიდან ქართულ სექტორში (ზუგდიდში) სამოქალაქო პოლიციის მისიას (CIVPOL) უზრუნველყოფდა. სამოქალაქო პოლიციის ფუნქციებში არ შედის მოსახლეობაში იარაღის შენახვის საკითხებზე ზრუნვა, არამედ მას ევალება მონიტორინგისა და ტრენინგების ჩატარება და ქართული პოლიციისთვის სასარგებლო რჩევების მიცემა, განსაკუთრებით ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის და დანაშაულის პრევენციის პროგრამების განხორციელების საკითხებში.

საუბნო პოლიციის საქმიანობა: საუბნო პოლიციის ინიციატივით სამეგრელოში ერთი რეგიონალური და ხუთი უბნის დანაშულის პრევენციის კომიტეტი შეიქმნა. ეს კომიტეტები ნარკოტიკების მოხმარების ფაქტებს ებრძოდნენ სენაკში, გობსა და ზუგდიდში. ურთიერთობა პოლიციასა და საზოგადოებას შორის გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც სოფლებში სათანადო ტრენინგის გავლის შემდეგ უბნის პოლიციელები (ადგილობრივი პოლიციელი) დანიშნეს. ამჯერად ყოველ ორ ან სამ სოფელზე თითო უბნის პოლიციელი მოდის, რომელიც დანაშაულის კომიტეტების რეზიდენციასთან არის მიმაგრებული.

ზუგდიდის პოლიციის უფროსის ინფორმაციით, ამგვარმა ქმედებამ, პროფესიონალიზმის მომატებასა და კორუფციის შემცირებასთან ერთად, უკვე აამაღლა პოლიციის მიმართ ნდობა, რამაც თავისთავად ხელი შეუწყო პოლიციასა და საზოგადოებას შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობას. საუბნო პოლიციამ მხარი დაუჭირა ამგვარ ურთიერთდამოკიდებულებას და დაადასტურა, რომ ნდობა საპატრულო პოლიციის მიმართ მაღალ დონეზეა.

ფაქტების დადგენის ერთობლივი მისიები. პოლიტიკასთან დაკავშირებული ინციდენტების შემთხვევაში გამოძიების ჩასატარებლად დემილიტარიზებული ზონის ორივე მხარეს ფაქტების დადგენის ერთობლივი მისიაა შექმნილი. ყოველი მისიის პერსონალი პერმანენტულად ადგილზე მყოფ 8-10 ადამიანს ითვლის, ამას ემატება ორ-ორი ოფიციალური წარმომადგენელი აფხაზეთისა და საქართველოს მხრიდან, ასევე დსთ-ს სამშვიდობო ძალებისა და სამოქალაქო პოლიციის ორ-ორი თანამშრომელი. სამოქალაქო პოლიციის ინფორმაციის თანახმად, ამგვარი მისიების ჩარჩოში თანამშრომლობა საგრძნობლად უმჯობესდება, იქამდე, რომ აფხაზი პროკურორი სულ უფრო ხშირად სთხოვს დახმარებას მისიას ინციდენტების გამოსაძიებლად.

ნდობისა და თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების ერთ-ერთ პოტენციურ გზად გალი-ზუგდიდის საზღვარზე, კერძოდ კი გალში, გაეროს სამოქალაქო პოლიციის ოფისის შექმნა არის მიჩნეული. ზუგდიდის პოლიციის უფროსის მტკიცებით, პოლიციისადმი ნდობის ამაღლება რეგიონში უსაფრთხოების გაზრდას და ადგილობრივ მოსახლეობაში ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობის შემცირებას გამოიწვევს.

პოლიციისადმი ნდობა

პოლიციის ქმედებათა გაუმჯობესება საზოგადოების მხრიდან პოლიციისადმი ნდობის ამაღლებაზე აისახა. მაგალითად, სოციოლოგიური კვლევის რესპონდენტთა 78%, უპირველეს ყოვლისა, პოლიციას მიმართავს, თუ ის ან მისი ოჯახის წევრები ძალადობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან. შესაძლებელია ამ მონაცემების შედარება აღმოსავლეთ ევროპაში ჩატარებული ანალოგიური კვლევების შედეგებთან, სადაც მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილი მიმართავდა მაშინვე პოლიციას (მაგ. მოლდოვაში – 54.1%; ბულგარეთში – 75.1 %;)[96]. ფოკუს-ჯგუფის განხილვებმა აჩვენა, რომ ეს მზარდი ნდობა უმთავრესად საპატრულო პოლიციისა და ხალხზე ორიენტირებული პოლიციის ქმედებების შედეგია.

ახლა ხალხს უკვე სჯერა, რომ საპატრულო პოლიციის გამოძახება შედეგს გამოიღებს. უწინ პოლიციის გამოძახება დაზარალებულს პრობლემებს შეუქმნიდა, შესაძლოა, ის დაეპატიმრებინათ კიდეც. საპატრულო პოლიციის შემოღებასთან ერთად კი გაჩრა ფორმიანი პოლიციელის წინაშე შიში.

ფოკუს-ჯგუფი H, ზუგდიდი, დროებით უმუშევარი ქალბატონი, 49 წლის.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, პოლიციისადმი ნდობის ამაღლება საქართველოსთვის უნივერსალურ მოვლენას არ წარმოადგენს. საპატრულო პოლიციის ქმედებები უფრო შეზღუდულია რაიონებსა და დიდი ქალაქების გარეუბნებში. გარდა ამისა, იმ რესპონდენტთა პროცენტული რაოდენობა, რომლებიც, პირველ ყოვლისა, დახმარებისათვის პოლიციას მიმართავდნენ, ბევრად უფრო დაბალია შიდა ქართლში (65%-მა განაცხადა, რომ ისინი პოლიციას მიმართავდნენ) და გურიაში (59%). არაეთნიკურ ქართულ თემებში პოლიციისადმი ნდობა, ასევე, საგრძნობლად დაბალია (იხ. ჩანართი 14). ზოგი გამოკითხული პოლიციის ოფიცერი, მაგალითად, ქუთაისის რეგიონალური პოლიციის უფროსი მიიჩნევს, რომ პოლიციისადმი საზოგადოების ნდობის ნაკლებობა და, შესაბამისად, დანაშაულის შეტყობინებისაგან თავის შეკავება კვლავაც დიდ პრობლემას წარმოადგენს[97]. ამგვარი მიდგომა სრულიად გასაგებია, რადგანაც უწინ პოლიციელები ქრთამს იღებდნენ და დანაშაულს ეფექტურად ვერ ებრძოდნენ. აქედან გამომდინარე, უფრო მეტის გაკეთება შეიძლება პოლიციასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. ამის მისაღწევად უნდა გააქტიურდეს საუბნო პოლიციის მუშაობის მეთოდები, რაც ზუგდიდის რეგიონში უკვე განხორციელდა (იხ. ჩანართი 13).

ჩანართი 14: პოლიციისადმი ნდობა უმცირესობათა ჯგუფებში

პოლიციის მიმართ ნდობა, ზოგადად, გაიზარდა, მაგრამ უფრო ეთნიკურ ქართველებში, ვიდრე არაეთნიკურში, რომლებსაც, მათივე თქმით, უფრო ესაჭიროებათ უსაფრთხოების დაცვა, რადგანაც ძალადობის საფრთხის წინაშე დგანან (26% არაეთნიკურ ქართველთა განწყობა 15% ქართველთან შეფარდებით). ზოგი აზერბაიჯანული ფოკუს-ჯგუფის წარმომადგენელი იმასაც ამტკიცებდა, რომ მას თავად კანონის დამცველები ემუქრებოდნენ. პოლიციისადმი ნდობა განსაკუთრებით დაბალია სოფლად მცხოვრებ არაეთნიკურ ქართველებში, კერძოდ, ქვემო ქართლში, სადაც ოფიციალური სახელმწიფო ენა ფართო ხმარებაში არ არის. საპატრულო პოლიციისადმი ნაკლები ნდობა ეთნიკურად არაქართულ მოსახლეობაში შესაძლოა ნაწილობრივ იმითაც იყოს გამოწვეული, რომ საპატრულო პოლიციის ოფიცრებს შორის ცოტაა ეთნიკურად არაქართული მოსახლეობის წარმომადგენელი. პოლიციის ახალი საწვრთნელი პროგრამა მთლიანად ქართულ ენაზეა და საპატრულო პოლიციას სირთულეები ექმნება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა (განსაკუთრებით აზერბაიჯანელთა) რეკრუტირებისას, რომლებიც ენას იმდენად ცუდად ფლობენ, რომ საწვრთნელ პროგრამას ვერ ასრულებენ (ინტერვიუ, შოთა უტიაშვილი).

96 *Op. Cit.* Wood D *et al.*; *Op. Cit.* Rynn S *et al.* 65 percent of respondents in Serbia answered 'police' to the slightly different question, 'Who do you consider most responsible for the security of you and your family'. *Op. Cit.* Taylor Z *et al.*

97 ინტერვიუ, ირაკლი ჩიმაკაძე.

გენერალური პროკურატურა და მოსამართლეები

გენერალურ პროკურატურას ევალება, გაატაროს სახელმწიფო პოლიტიკა სისხლის სამართლის სფეროში და დამნაშავეს წაუყენოს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დარღვევისათვის. ამ უწყების მოვალეობებში შედის, ასევე, ბრალდების წაყენება მცირე შეიარაღებასთან დაკავშირებული დანაშაულის გამო. 2004 წლის შემდეგ შესამჩნევად გაუმჯობესდა გენერალური პროკურატურის შესაძლებლობები დანაშაულის აღრიცხვისა და საგამოძიებო საქმიანობის წარმართვის თვალსაზრისით (მცირე შეიარაღებასთან დაკავშირებული საქმეების ჩათვლით). ეს, ძირითადად, ინფორმაციის შეგროვების პროცედურათა გაუმჯობესების შედეგია, რაც ნაკლებ საშუალებას აძლევს ადგილობრივ პროკურორებს, თვითნებურად შეცვალონ ბრალდების მაჩვენებლები[98]. ამის შედეგად, გენერალურმა პროკურატურამ შეძლო „ბანდიტიზმის“ მუხლით აღძრული საქმეების შესახებ (რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან იყო დაკავშირებული) ინფორმაციის მიწოდება და, ასევე, უკანონო ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილ დანაშაულთა საქმეების აღრიცხვა.

ინფორმაცია, რომელიც გენერალური პროკურატურის საორგანიზაციო-ანალიტიკურმა დეპარტამენტმა მოგვაწოდა, გვიჩვენებს, რომ საქართველოს სამოქალაქო იარაღზე კონტროლის სისტემის დარღვევისათვის ჩატარებული გამოძიების შედეგად ბრალი წაუყენდა, სასამართლოს გადაეცა და სასჯელი შეეფარდა შემდეგი რაოდენობის დამნაშავეებს:

სურათი 16: ცეცხლსასროლი იარაღით მომხდარი ინციდენტების შედეგად აღძრული საქმეები (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი N 236)[99]
(წყარო: გენერალური პროკურატურის საორგნიზციო-ანალიტიკური დეპარტამენტი)



სურათი 17: ბანდიტობის მუხლით აღძრული საქმეები (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი N 179)[100]
(წყარო: გენერალური პროკურატურის საორგანიზაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი)



გენერალური პროკურატურის საორგანიზაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის ინფორმაციით, 2004 წლამდე აღძრულ საქმეთა სტატისტიკა სწორად არ იწარმოებოდა. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია დავეყრდნოთ არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს და ამ მაჩვენებლების მიხედვით ვიმსჯელოთ, თუ რამდენად უნარიანად მიუდგა სასამართლო მცირე შეირაღებასთან დაკავშირებულ დანაშაულს. შესაბამისად, 2004 და 2005 წლებში აღრიცხულ კრიმინალურ საქმეთა გამოძიების მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე სასამართლოების მიერ შეფარდებული სასჯელის რაოდენობა, თუმცა ეს ფაქტი არ უნდა მიუთითებდეს კანონის აღმსრულებელთა უუნაროზზე.

98 ინტერვიუ, გიორგი ჯოხაძე.

99 ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და ვაჭრობა.

100 ცეცხლსასროლი იარაღის გმოყენებით ჩადენილი დანაშაული (ქურდობა, მანქანის გატაცება).

2005 წელს უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულის 50% სასამართლოს გადაეცა (სასამართლოს მიერ განხილული 489 საქმე 952 აღძრული საქმიდან. სურათი 16). სასამართლოში განხილული ინციდენტების მაჩვენებელი კიდევ უფრო დაიწევს, თუ მხედველობაში მივიღებთ აღრიცხულ დანაშაულს. შსს-ს მიერ 2005 წელს 1.242 ამგვრი ინციდენტი აღირიცხა. თუკი ჩავთვლით, რომ ყოველი აღძრული საქმე იმავე წელს განიხილეს, როდესაც ის აღირიცხა (მაგ. საქმე აღირიცხა 2005 წელს და განიხილეს იმავე, 2005 წელს), მაშინ 2005 წელს სასამართლოსთვის გადაუციათ ყველა აღრიცხული დანაშაულის 39% (489 საქმე 1.242-დან). ამასთან ერთად, იმავე წელს ბანდიტიზმის კლასიფიკაციით საქმეთა მხოლოდ 20 პროცენტი იქნა გადაცემული სასამართლოში (სასამართლოში განხილული 477 საქმე 2.535 აღძრული საქმიდან). სოციოლოგიური კვლევის რესპონდენტები და ინფორმაციის მომწოდებელი მთავარი ინტერვიუიერები მეტად სკეპტიკურად უყურებენ სასამართლო სისტემის დამსჯელობით უნარს. ცეცხლსასროლი იარაღის არადანიშნულებისამებრ გამოყენების გამო წაყენებული ბრალდების დაბალი მაჩვენებლები შეშფოთების სერიოზულ მიზეზს წარმოადგენს და შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

5

მცირე შეირაღების წარმოება და გაყიდვა

მიუხედავად იმისა, რომ წარსულში საქართველოში იყო სამხედრო იარაღის წარმოების მცდელობა, დღესდღეობით მცირე შეიარაღების წარმოება, როგორც ჩანს, შეზღუდულია და სპორტული და მხოლოდ სანადირო იარაღის სათადარიგო ნაწილების წარმოებით შემოიფარგლება. შედარებით მცირემასშტაბიანია ქვეყნის შიგნით იარაღით ვაჭრობაც, ამიტომ 2005 წლისათვის ლიცენზირებული იარაღის მაღაზიების რიცხვი 56-დან (2003 წ) 20-მდე შემცირდა. მიუხედავად ამისა, ცეცხლსასროლი იარაღის მაღაზიების მიერ განხორციელებული იმპორტი საქართველოში ყოველწლიურად საგრძნობლად იცვლება, მაგრამ არ არის ნათელი, ქვეყანაში იარაღის ვაჭრობის მოცულობა კლებულობს, თუ სტაბილურად ერთ დონეზე რჩება.

საქართველოს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოები, რომლებიც აკონტროლებენ მცირე შეიარაღების წარმოებასა და ვაჭრობას, დღევანდელ მოთხოვნებს შეესაბამება. თუმცა კანონმდებლობის ერთ-ერთი სუსტი მხარეა იუსტიციის სამინისტროს არაადეკვატური შესაძლებლობები განახორციელოს ლიცენზირებული მცირე შეიარაღებით მოვაჭრე და მწარმოებელი ობიექტების ინსპექტირება ყოველ ექვს თვეში. კანონის ეს მოთხოვნა ვერ სრულდება, რაც შეიძლება უფრო სერიოზულ პრობლემად იქცეს, თუკი საქართველოს ოდესმე მნიშვნელოვანი საწარმოო შესაძლებლობები მიეცემა. ამასთან ერთად, მცირე შეიარაღების მაკონტროლირებელი უწყებები არ ფლობენ ინფორმაციას იარაღით მოვაჭრეების შესახებ. მაგალითად, ნებართვის გამცემ დეპარტამენტს არ შეუძლია შეამოწმოს იარაღის მაღაზიაში არსებული საქონელი. ქვეყნის შიგნით იარაღის ვაჭრობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა ართულებს ამ სფეროში მცირე შეიარაღებაზე კონტროლის შესაძლებლობებს.

5.1 კანონმდებლობა და რეგულირება

საქართველოში მცირე შეიარღების წარმოებისა და ვაჭრობის მარეგულირებელი უმთავრესი კანონებია:

- კანონი იარაღის შესახებ (2003 წლის 8 მაისი), რომელიც არეგულირებს ცეცხლსასროლი და სამხედრო იარაღის წარმოებასა და ცეცხლსასროლი იარაღით ვაჭრობის სერტიფიცირებას.
- კანონი ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ (2005 წლის 24 ივნისი), რომელიც არეგულირებს წარმოების ლიცენზირებას, იარაღით ვაჭრობასა და მის შეკეთებას.
- პრეზიდენტის ბრძანებულება №582 (1997 წ), რომელიც ადგენს სამხედრო საქონლის წარმოების ტექნიკური დოკუმენტაციის პროცედურებს;
- სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სასჯელს საქართველოში მცირე შეიარაღებაზე კონტროლის კანონმდებლობის დარღვევისათვის.

წარმოების ლიცენზირება

2003 წლის კანონი იარაღის შესახებ ადგენს, რომ ცეცხლსასროლი იარაღის, მისი ნაწილებისა და საბრძოლო მასალების წარმოება ლიცენზირებული უნდა იყოს იუსტიციის სამინისტროს მიერ. ამ კანონის თანახმად, მწარმოებელს მოეთხოვება შემდეგი დოკუმენტაცია წარმოების ლიცენზირებისათვის:

- მონაცემები იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მეწარმის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ;
- დამფუძნებელთა ვინაობა;
- პერსონალის სია;
- ტექნიკური უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის სერტიფიკატი;
- სერტიფიკატი იმის დასადასტურებლად, რომ აპლიკანტს არა აქვს კრიმინალური წარსული და არ არის რეგისტრირებული, როგორც ნარკომანი ან სულიერად დაავადებული.

მარკირება

2005 წლის კანონი ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ, ადგენს, რომ საქართველოში დამზადებული ყველა სახის იარაღი სერტიფიცირებული უნდა იყოს. მეწარმე ვალდებულია, შეამოწმოს და ნიშანი დაადოს იარაღს, მის ნაწილებსა და საბრძოლო მასალებს.

იარაღით ვაჭრობის ლიცენზირება

საქართველოში იარაღით შიდა ვაჭრობას, ასევე, არეგულირებს კანონი იარაღის შესახებ (მუხლი №17 და №18), რომელიც ადგენს, რომ კანონიერმა ერთეულებმა, რომელთაც იარაღით ვაჭრობის სურვილი აქვთ, უნდა მიიღონ ლიცენზია იუსტიციის სამინისტროსგან. იარაღით ვაჭრობისათვის საჭირო ლიცენზიები და დოკუმენტები იდენტურია იარაღის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტაციისა (იხ. ზემოთ). სავაჭრო ლიცენზია უვადოა. ამასთან ერთად, საქართველოს მიერ გაეროს განიარაღების საქმეთა დეპარტამენტში (UNDDR) გაგზავნილი ინფორმაციის თანახმად, იარაღით მოვაჭრე ინდივიდები და კომპანიები ვალდებულნი არიან[101]:

- იქონიონ გასაყიდი ცეცხლსასროლი იარაღის ტიპების სერტიფიკატები;
- იქონიონ გაყიდული იარაღის შესაბამისი აღრიცხვის დოკუმენტაცია;
- აწარმოონ ვაჭრობა მხოლოდ უფლებამოსილ პირებთან და კომპანიებთან;
- გაყიდონ იარაღი სარეგისტრაციო ნომრითა და დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს მის შესაბამისობას სახელმწიფო სტანდარტებთან;
- უზრუნველყონ იარაღისა და საბრძოლო მასალების შენახვისათვის შესაფერისი პირობები;
- წარუდგინონ გაყიდული იარაღის ნიმუშები შესაბამის სახელმწიფო უწყებებს;
- ყოველთვიური განაცხადით მიმართონ შესაბამის სააგენტოებს გაყიდული საქონლისა და მყიდველების შესახებ.

შენახვის პირობები

იარაღის შესახებ კანონის თანახმად, იარაღის მეწარმეები და დილერები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ მათ საკუთრებაში არსებული იარაღის შენახვისათვის შესაბამისი პირობები და წარადგინონ იუსტიციის სამინისტროში სერტიფიკატები, რომელიც ადასტურებს, რომ ამ ობიექტების მდგომარეობა შესაბამისობაშია უსაფრთხოების სტანდარტებთან.

ვერიფიკაცია და ინსპექტირება

რეგისტრაციისა და ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსმა განაცხადა, რომ იუსტიციის სამინისტროს უფლება აქვს, ორ წელიწადში ერთხელ შეამოწმოს მცირე შეი-

101 საქართველოს 2005 წლის ანგარიში გაეროს განიარაღების დეპარტამენტში. გაურკვეველია, ითვალისწიანებს თუ არა კანონი ამ დებულებებს

არაღებით მოვაჭრეების/მეწარმეების ობიექტები და დახუროს კიდეც მაღაზია, თუკი ის არ შეესაბამება სათანადო სტანდარტებს[102]. უნდა აღინიშნოს, რომ ნებართვათა დეპარტამენტი არ არის უფლებამოსილი, შეამოწმოს იარაღის მაღაზიის ინვენტარი ან გაყიდვებისა და იმპორტის დოკუმენტაცია, რადგანაც საბაჟოს დეკლარაციები კომერციულ საიდუმლოდ არის მიჩნეული[103].

წარმოების კვლევა

ამჟამად არანაირი რეგულარული მექანიზმი არ არსებობს შიდა იარაღით მოვაჭრეების შესახებ ინფორმაციის გავრცელების ან ლიცენზირების სისტემაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. კვლევის ჯგუფის მიერ გამოკითხული ზოგიერთი იარაღის მაღაზიის მფლობელი ამტკიცებს, რომ მათ არასოდეს მიუღიათ შსს-ს ინსტრუქციები, ზოგი კი აცხადებს, რომ ამგვარი რამ ძალიან იშვიათად ხდება, მაგალითად, საფანტიანი იარაღით და ფრინველებზე ნადირობის აკრძალვისას შსს-ს მხრიდან ინსტრუქციების არარსებობის გამო მაღაზიები საკუთარ წყაროებს ეყრდნობოდნენ, როგორებიცაა: მასმედია, ინტერნეტი, ნაცნობები, სპარლამენტო პუბლიკაციები თუ საკანონმდებლო სიახლეები[104].

5.2 საწარმოო შესაძლებლობები

შსს-ს ინფორმაციის თანახმად, ამჟამად საქართველოში არ იწარმოება იარაღი და მისი სათადარიგო ნაწილები[105]. სამხედრო მცირე შეიარაღების წარმოების მცდელობები პოსტსაბჭოურ საქართველოში წარუმატებლად დასრულდა. 1999 წლამდე თავდაცვის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ მყოფ საწარმო „დელტაში“ 15 სხვადასხვა ერთეულის პროტოტიპული წარმოება მოხდა, ნაღმებისა და ნაღმსატყორცნების, ასევე დეტონატორებისა და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმების ჩათვლით[106]. „დელტას“ იმჟამინდელი დირექტორის თქმით, 1999 წელს საწარმო ქართული ავტომატური იარაღის (გორდას) და პისტოლეტის (არმაზი) დიზაინზე მუშაობდა[107]. ასევე, ადასტურებენ, რომ საწარმომ საქართველოს არმიისათვის 82მმ-იანი ნაღმსატყორცნები გამოუშვა[108]. დღესდღეობით „დელტა“ დარჩენილ მცირე შეიარაღებას ანადგურებს. უწინდელი კვლევის მონაცემების მიხედვით, სამხედრო იარაღის წარმოების მცდელობა არსებობდა საქართველოს კვლევით ცენტრებში „ორბი“ და „სხივი“[109]. საექსპორტო სტატისტიკა მიუთითებს, რომ ქართველ მეწარმეებს შესაძლოა კონტრაქტები მიეღოთ იტალიური სპორტული/სანადირო თოფების მწარმოებლებისგან. მაგალითად, 2004 წელს, 170.763 აშშ დოლარის ღირებულების სპორტული/სანადირო თოფების სათადარიგო ნაწილები და აქსესუარები იქნა ექსპორტირებული იტალიაში და მხოლოდ 46.335 აშშ დოლარის ღირებულებისა – იმპორტირებული (2003 წელს 178.886 აშშ დოლარის ღირებულების იქნა ექსპორტირებული და მხოლოდ 6.048 აშშ დოლარისა – იმპორტირებული)[110].

5.3 შიდა ბაზარი

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოურ ხანაში ნებადართული იყო იარაღის ფლობა, შეზღუდული იყო ხელმისაწვდომი იარაღის ტიპები და არ არსებობდა იარაღის მაღაზიები[111]. ლიცენზირებული იარაღის მაღაზიების რაოდენობამ იმატა პოსტ სბჭოურ პერიოდში და პიკს 2003 წელს მიაღწია, როცა ქვეყანაში 56 ასეთი მაღაზია არსებობდა, თუმცა მას შემდეგ მათი რაოდენობა შემცირდა.

102 ინტერვიუ, გიორგი გოგიბერიძე.

103 ინტერვიუ, ზაზა ხაჩიძე.

104 ინტერვიუ, იარაღის მაღაზიის მენეჯერი.

105 ინტერვიუ, შოთა უტიაშვილი.

106 არმია და საზოგადოება საქართველოში, 1999 წლის აპრილი.

107 იქვე.

108 იქვე.

109 Op. Cit. დარჩიაშვილი დ.

110 წყარო: NISAT იარაღის გადაზიდვების მონაცემთა ბაზა.

111 ინტერვიუ, ზაზა ხაჩიძე.

ცხრილი 12: ლიცენზირებული იარაღის მაღაზიები და იმპორტირებული მცირე შეირაღება
(წყარო: იუსტიციის სამინისტრო)

წელი	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005
სავაჭრო ლიცენზიები	3	3	–	11	40	42	20
იარაღის მაღაზიები[112]	30	3	–	27	56	44	20

იუსტიციის სამინისტროს მონაცემების მიხედვით, 1999 წლის შემდეგ მაღაზიების მიერ იმპორტირებული იყო 95.993 ერთეული იარაღი. თუმცა არ არის ნათელი, ამ იარაღის რა რაოდენობა იყო ხელახლა ექსპორტირებული (იხ. ნაწილი 8.2). აქედან გამომდინარე, არ შეიძლება, დანამდვილებით ითქვას, რა მოცულობის ცეცხლსასროლი იარაღით ვაჭრობენ ქვეყნის შიდა ბაზარზე.

5.4 კანონის აღსრულება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, იარაღისა და საბრძოლო მასალების მართლსაწინააღმდეგო წარმოება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან ათ წლამდე[113]. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი მონაცემები ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შესყიდვის, დაუფლების, გადატანისა და ვაჭრობის შესახებ ხელმისაწვდომია (2004 წელს 1.238 ინციდენტი; 2005 წელს – 1.242. იხ. ნაწილი 3.5), არ არსებობს დანაშაულთა კატეგორიებად დაყოფის შესახებ დეტალური ინფორმაცია. შესაბამისად, გაურკვეველი რჩება, ამ ინციდენტების რა რაოდენობა შეესაბამება იარაღის უკანონო წარმოებასა თუ გაყიდვას.

5.5 ადმინისტრაციული შესაძლებლობები

იუსტიციის სამინისტრო ვალდებულია, გასცეს ლიცენზიები სამეწარმეო საქმიანობაზე, მცირე შეიარაღების წარმოებასა და ვაჭრობაზე. მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ შეამოწმოს, თუ რამდენად შეესაბამება იარაღით მოვაჭრე მაღაზიების ან საწარმოების ობიექტები კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებს, ის ამას ჯერჯერობით არ აკეთებს. ეს ნაწილობრივ იმის შედეგია, რომ არსებული კანონი არ აკონკრეტებს, იუსტიციის სამინისტროს რომელი დეპარტამენტია ვალდებული, შეამოწმოს შენახვის პირობები[114]. მეტიც. იუსტიციის სამინისტრო აცხადებს, რომ არ გააჩნია თანამშრომლების საკმარისი რაოდენობა იარაღის მაღაზიებისა და შენახვის ობიექტების ინსპექტირებისათვის[115]. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ადგენს მაღაზიებისათვის შენახვის შესაბამის სტანდარტებს და იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია, დახუროს ამ სტანდარტების შეუსაბამო მაღაზიები, ამის გაკეთება ვერ ხერხდება იმის გამო, რომ დღესდღეობით სტანდარტების დაცვა შეუძლებელია. იუსტიციის სამინისტრომ განაცხადა, რომ 2006 წელს ის აპირებდა შეექმნა სპეციალური ჯგუფები, რომლებსაც დაევალებოდათ იარაღის მაღაზიებისა და წარმოების ობიექტების შემოწმება. თუმცა ჯერ არ არის ცნობილი, რამდენად მოხერხდა ამის გაკეთება.

112 რამდენიმე იარაღის მაღაზია შეიძლება ფლობდეს ერთ ლიცენზიას.

113 2005 წლის ანგარიში გაეროს განიარაღების დეპარტამენტში გაეროს სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე.

114 ინტერვიუ, ზაზა ხაჩიძე.

115 ინტერვიუ, გიორგი გოგიბერიძე.

6

მსუბუქი შეიარაღების სახელმწიფო მართვა

წინამდებარე კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დღესდღეობით საქართველოში სახელმწიფო მფლობელობში არის 76.000-დან 91.000-მდე ერთეული მსუბუქი შეიარაღება, გარდა საქართველო ტერიტორიაზე განლაგებული რუსული ბაზების კონტროლქვეშ მყოფი შეიარაღებისა. წარსულში სახელმწიფო მარაგის მენეჯმენტი უწესრიგო იყო. მხედველობაში გვაქვს, როგორც საქართველოს ხელისუფლების, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ ბაზებზე დაცული რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მარაგი. ამჟამად შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა გზით ხდებოდა იარაღის დიდი რაოდენობით ძარცვა ამ მარაგიდან, რაც, ნაწილობრივ, დაკარგული იარაღის ოფიციალური სიის მიუწვდომლობის შედეგია, მაგრამ დღესდღეობით ამ სფეროში პოლიტიკა და პრაქტიკა გაუმჯობესდა და მოსალოდნელია, რომ ეს (გაუმჯობესების) პროცესი შენარჩუნდება უახლოეს მომავალშიც. ცვლილებათა განხორციელებას უთუოდ ხელს შეუწყობს 2008 წლის დასაწყისისათვის საქართველოში დარჩენილი რუსული ბაზების გეგმიური დახურვა, ისევე როგორც თავდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული იარაღის საწყობების მიმდინარე საიდენტიფიკაციო ინვენტარიზაცია, რომელიც ნატოსთან ინდივიდუალური თანამშრომლობის სამოქმედო გეგმის შემადგენელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, მსუბუქი შეიარაღების დაგეგმვა ტიპისა და რაოდენობის მიხედვით, თანაც ქართველი სამხედროების საჭიროების გათვალისწინებით, დღესდღეობით სამხედრო მოთხოვნილებებს ემყარება, როგორც ეს საფრთხეთა ანალიზის დოკუმენტშია განსაზღვრული[116]. საქართველოს სამხედრო დაგეგმვა შემუშავებულია ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიისა და ეროვნული სამხედრო სტრატეგიის შესაბამისად.

ამასთან ერთად, თავდაცვის სამინისტრომ და შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს სრული კონტროლის დამყარება სამხედრო მცირე შეიარაღების გამოყენებაზე. სასაზღვრო პოლიცია დემილიტარიზებული იქნა და შსს-ს დაუქვემდებარდა, ხოლო შინაგანი ჯარი თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. თავის მხრივ, ეროვნულ გვარდიას მიენიჭა სამობილიზაციო რესურსის მომზადების ფუნქცია, ხოლო მასზე სრული კონტროლი დაამყარა თავდაცვის სამინისტრომ. ამ ცვლილებების შედეგად შეიარაღებული ძალების რაოდენობა შემცირდა. კონსტიტუციის მიხედვით, მათ დაეკისრათ საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის უზრუნველყოფა. ამიტომაც პირველად პოსტსაბჭოური დამოუკიდებლობის პირობებში საქართველოს შეიარაღებული ძალები გაერთიანებულია და სახელმწიფოს მიერ კარგად კონტროლდება.

მიუხედავად ამისა, თავდაცვის სამინისტრო კვლავაც ამჟღავნებს გარკვეულ შეშფოთებას სახელმწიფოს კუთვნილი მსუბუქი შეიარაღების რაოდენობასთან, აგრეთვე, მარაგის შენახვის დღევანდელ მდგომარეობასა და მის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რადგან ეს საკითხები ჯერ კიდევ მოსაგვარებელია. საერთაშორისო საზოგადოების უწინდელი შეთავაზება მარაგის უსაფრთხოების გაძლიერების თაობაზე არ იქნა გათვალისწინებული, რადგანაც თავდაცვის სამინისტრომ უარი განაცხადა სამხედრო მარაგის ინსპექტირებაზე[117]. ვიდრე ამგვარი ინსპექტირება საერთაშორისო ექსპერტების მიერ არ ჩატარდება, გაურკვეველი დარჩება, რა საჭიროებები არსებობს

116 კორესპონდენცია მამუკა კიკალეიშვილთან, თავდაცვის სამინისტრო, 2006 წლის ივნისი.

117 ინტერვიუ დასავლეთის ერთ-ერთი ქვეყნის საელჩოს წარმომადგენელთან თბილისში.

ამ სფეროში. ამას ისიც ემატება, რომ საქართველო დღესდღეობით საკმაოდ დიდ სამხედრო შესყიდვებს ახორციელებს, რამაც კიდევ უფრო უნდა გაზარდოს მისი მსუბუქი შეიარაღების მარაგი.

საქართველოში არსებული მსუბუქი შეიარაღების მოცულობის თაობაზე სრული ინფორმაციის მოპოვების გარეშე, ისევე როგორც დაგეგმილი საჭიროებების შეფასების გარეშე (NSS-სა და NMS-ის თანახმად) შეუძლებელია, განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების საჭიროებანი და გაირკვეს, რამდენად აუცილებელია მიმდინარე სამხედრო იმპორტი[118]. და ბოლოს, შეშფოთებას იწვევს იუსტიციის სამიისტროსა და შსს-ს მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და ძალის გამოყენების სიჭარბე. იმ მიზნით, რათა საქართველოში საბოლოოდ აღმოფხვრილიყო ეჭვმიტანილთა და პატიმართა მიმართ ცუდი მოპყრობა[119], პოლიციელებს არაერთი ტრენინგი ჩაუტარდათ იარაღისა და ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი პოლიციელთა ჰუმანურობის ასამაღლებლად და ყველა სახელმწიფო სააგენტოს მიერ ძალისა და იარაღის გამოყენების შესამცირებლად.

6.1 მსუბუქი შეიარაღების სახელმწიფო მფლობელობა

სახელმწიფოს მფლობელობში არსებული მსუბუქი შეიარაღების გამჭვირვალობა საქართველოში მეტად დაბალია. სახელმწიფო სააგენტოებმა, რომლებიც მსუბუქ შეიარაღებას ფლობენ, კვლევის ჯგუფს მიაწოდეს ინფორმაცია მათ საკუთრებაში არსებული იარაღის ოდენობასა და ტიპებზე. საერთოდ, ამგვარი ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოდ არის მიჩნეული. მსუბუქი შეიარაღების მფლობელობასთან დაკავშირებით გამჭვირვალობის ნაკლებობა ჩვეულებრივი მოვლენაა ე.წ. გარდამავალ ან პოსტკონფლიქტურ ქვეყნებში. ამ თვალსაზრისით მსგავს სიტუაციას ვაწყდებით ყოფილი საჭოთა კავშირის ბევრ ქვეყანაში. შესაბამისად, მაშინ, როდესაც დიდი ძალისხმევა დასჭირდა შესაბამის სააგენტოებში მსუბუქი შეიარლების მფლობელობის ოფიციალური როდენობის გარკვევას, ინფორმაციის სიმწირემ აუცილებელი გახადა მსუბუქი შეიარაღების სახელმწიფო მფლობელობის შეფასება. არსებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოს სახელმწიფო სააგენტოები დღესდღეობით 76.000-დან 91.000-მდე ერთეულ მსუბუქ შეიარაღებას ფლობენ. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ამგვარი სააგენტოების მფლობელობაში არსებული მსუბუქი შეიარაღების შეფასებას წრმოადგენს.

ცხრილი 13: საქართველოს მსუბუქი შეირაღების სახელმწიფო მფლობელობა

ძალა	პირადი[120] შემადგენლობა	შეფასებული შეიარაღებული პერსონალი	შეფასებული რაოდენობა
შეიარაღებული ძალები			
მოქმედი მოსამსახურე	26.025	25.225	45.405-60.540
ეროვნული გვარდია	6.300[121]	6.300	იგივე
შინ.საქმეთა სამინისტრო			
საიდანაც,			
– პოლიცია	20.959	18.654	18.654
– სასაზღვრო ძალები	5.868	5.223	5.223
იუსტიციის სამინისტრო			
საიდანაც			
– სასამართლოს დაცვა	190	169	169
– ციხის დაცვა	2,788	2,481	2,481
სახ.დაცვის სამსახური	3.420	3.044	3.044
ფინანსური პოლიცია	650	325	325
საბაჟოს დეპარტამენტი	1.172	586	586
სულ	**67,372**	**62,007**	**76,000-91,000 (75,887-91,022)**

118 მონაცემები მცირე შეიარაღების მფლობელობასა და საჭიროებაზე კიდევაც რომ არსებობდეს, შეუძლებელი იქნება შეფასების გაკეთება დღეს სანქციონირებულ სახელმწიფო ომპორტზე ინფორმაციის ნაკლებობის გამო (იხ. ნაწილი 8.2).

119 ემნესტი ინტერნეშენელის მედიის ბრიფინგი, „საქართველო: წამება და ცუდი მოპყრობა ვარდების რევოლუციის შემდეგ კვლავ შეშფოთების საგანია“. <http://web.amnesty.org/library/Index/ENGEUR560012006?open&of=ENG-GEO>, accessed 20 June, 2006.

120 კანონი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, 2006; ეროვნული გვარდიის მონაცემები აშშ თავდაცვისა და თანამშრომლობის ოფისიდან; სასაზღვრო პოლიციის მაჩვენებლები ზაზა ხანდოლიშვილის ინტერვიუდან.

121 მონაცემები შეესაბამება რეზერვისტების რაოდენობას 2006 წელს. ეს რიცხვი გაიზრდება 7,000-მდე (20 ბატალიონი), როდესაც შესაბამისი რესურსები იქნება გამოძებნილი. ეროვნული გვარდიაში, ასევე, არსებობს, დაახლოებით, 40,000-50,000 ყოფილი მოსამსახურეების სია, რომლებიც ქმნიან 'მომზადებულ რეზერვს“.

შეიარაღებული ძალები (ეროვნული გვარდიის ჩათვლით)

საქართველოს შეიარაღებული ძალების კუთვნილი მსუბუქი შეიარაღების ოდენობისა და ტიპების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია ხელმიუწვდომელია. არსებულ წყაროებზე დაყრდნობით, ქართველი სამხედროები თითქმის მთლიანად საბჭოთა ტიპის მსუბუქი შეიარაღებით არიან აღჭურვილნი, რომელიც მათ საბჭოთა არმიისგან ერგოთ მემკვიდრეობით – ეს შეიარაღება ან შესყიდული იყო სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნების საბჭოთა პერიოდის მარაგიდან (მაგ. უზბეკეთი), ან იმპორტირებული მწარმოებელი ქვეყნებიდან (მაგ. რუმინეთი). საქართველოში არასაბჭოური იარაღის მხოლოდ მცირე ნაწილი იყო იმპორტირებული. აღსანიშნავია, რომ ეს მარაგი, ასევე, ითვალისწინებს 2004 წელს ისრაელიდან იმპორტირებულ დაუზუსტებელი როდენობის „ტავორ“ ტიპის საბრძოლო თოფებს. გაურკვეველია, მიიღეს თუ არა ქართველმა სამხედროებმა ნატოს იარაღი აშშ-დან (აშშ-ს სამხედრო დახმარების პროგრამის ფარგლებში ან სამშვიდობო ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობის გამო). ნაცნობი იარაღის ტიპები მოიცავს[122]:

- AT-4 Spigot ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა (საბჭოთა)
- AT-5 Spandrel, ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა (საბჭოთა)
- SPG-9 73 მმ, Recoilless თოფი (საბჭოთა)
- 23/37 მმ მსუბუქი ჰაერსაწინააღმდეგო იარაღი (საბჭოთა)
- 50/60/82 მმ ნაღმები (საბჭოთა)
- სტრელა და იგლა, გადასატანი (საბჭოთა)
- RPG-7/SPG-6/PG-25, ნაღმსატყორცნი (საბჭოთა)
- RPG-18/RPG-22/RPG-26, რაკეტმტყორცნები (საბჭოთა)
- MO-251 სარაკეტო თოფები (საბჭოთა)
- 9მმ CZ-Z პისტოლეტი (ჩეხური)
- 9მმ SIG Sauer, პისტოლეტი (გერმანული)
- 7.62მმ Tokarev, პისტოლეტი (საბჭოთა)
- 9მმ Makarov, პისტოლეტი (საბჭოთა)
- 7.625/5.45 AK-74/AKS-74/AKM/AKMN/AKMS/AKMSN, საბრძოლო თოფი (საბჭოთა, რუსეთის, ჩეხეთის, რუმინეთის, უკრაინის, უზბეკეთის, ლიტვის, პოლონეთის)
- 5.56 Tavor, საბრძოლო თოფი (ისრაელი)
- 7.62მმ სნაიპერის თოფი (საბჭოთა)
- 5.45მმ AKSU-74 ავტომატი (საბჭოთა)
- 5.45მმ RPK//RPK-74N/PKM/SGMB/PKT, მსუბუქი ავტომატი (საბჭოთა)
- 7.62მმ PKS, საშულო ავტომატი (საბჭოთა)
- 12.7 მმ /14.5mm/20mm DshK/NSV/KPVT მძიმე ავტომატი (საბჭოთა)

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, NSS-სა და NMS-ს მიღებით საქართველო, ასევე, მუშაობს დასავლური სტანდარტის საორგანიზაციო და აღჭურვილობის ცხრილის მიხედვით (TOE), რომელიც განსაზღვრავს პერსონალისა და იმ აღჭურვილობის რაოდენობას, რომელიც საჭიროა ყოველი ტიპის ერთეულისათვის. აქედან გამომდინარე, საქართველოს არმიაში მყოფ ყოველ ინდივიდზე იარაღის წილი ნატოს სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს, თუმცა ამის თობაზე ნატოს არავითარი ინსტრუქცია არ არსებობს. ზოგადად, ნატოს სამხედროები თითო ინდივიდზე 1.8-დან 2.4-მდე იარაღს ითვალისწინებენ (ამაში შედის ავტომატები, პერსონალური დაცვის იარაღი და ჯგუფის სამსახურში არსებული იარაღი)[123]. საქართველოს 2005 წლის სამხედრო ბიუჯეტის მიხედვით, შეიარაღებული ძალები დღესდღეობით 26.025-იან პერსონალს ითვლის (800 სამოქალაქო პირის ჩათვლით). ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს სამხედროები ამჟამად დახლოებით 45.00-დან 60.000-მდე ერთეულ მსუბუქ შეიარაღებას ფლობენ. გაუგებარია, გამოყოფილია თუ არა ცალკე იარაღი ეროვნული გვარდიის მოხალისეთა 6.300 კაციანი ჯგუფისთვის (18 ბატალიონი 350 კა-

122 სია შედგა მთავარი რესპონდენტების ინფორმაციის საფუძველზე.

123 კორესპონდენცია ერთობლივი სამხედრო კონტროლის დანერგვის ჯგუფთან (JACIG), ბრიტანეთის სამხედრო ძალები.

ცით), რომელიც 2002 წელს თავდაცვის სამინისტროს შეუერთეს. როდესაც წვრთნისას ყოველ მოხალისეს იარაღს აძლევენ, ის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური მარაგიდან არის აღებული და, შესაძლოა, სამხედროთა საერთო იარაღის ნაწილს წარმოადგენდეს[124].

ასევე, გაუგებარია, უახლოეს მომავალში შესამჩნევად შეიცვლება თუ არა საქართველოს სამხედრო ძალების მფლობელობაში არსებული იარაღი. დღესდღეობით საქართველოს შეირაღებული ძალები სამი მოთხოვნის გათვლისწინებით მოქმედებენ – ტერიტორიული მთლიანობა და სეპარტისტული რეგიონების რეინტეგრაცია, სამშვიდობო ოპერაციების შენარჩუნება და მიმდინარე რეფორმების გატარება, რომლებიც საჭიროა ნატოში გასაწევრიანებლად. ამ მოთხოვნების გამო საქართველოს შეიარაღებული ძალები დამატებითი იარაღის შესყიდვას აწარმოებენ, რის გამოც სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში შესამჩნევად იზრდება სამხედრო ხარჯები (იხ. ნაწილი 8.2). მსუბუქი შეიარაღების გარკვეული რაოდენობით შესყიდვა აუცილებელია სამშვიდობო ვალდებულებების შესასრულებლად და ნატოს სტანდარტებთან შესაბამისობისათვის. ამავე დროს, დაუზუსტებელი რჩება, რა რაოდენობის მსუბუქი შეიარაღება სჭირდებათ სახელმწიფო სააგენტოებს მათი ვალდებულებების შესასრულებლად. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სათანადოდ უპასუხოს ევროკავშირის, აშშ-სა და ნატოს ინიციატივებს შესაბამისი სამხედრო პერსონალის ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად[125].

იმართება დებატები ეროვნული გვარდიის მოცულობასთან დაკავშირებით. ვიდრე ეროვნულ გვარდიას თავისი კუთვნილი ადგილი არა აქვს მიჩენილი, მის ძირითად მისიას სამხედრო რეზერვისა და სტრატეგიული ობიექტების დაცვის უზრუნველყოფა (ინფრასტრუქტურის დაცვა) და ეროვნული მასშტაბის საგანგებო შემთხვევებისას ზოგადი დახმარების აღმოჩენა წარმოადგენს. თუმცა გაურკვეული მიზნების გარეშე და ეროვნული გვარდიის მართვის კანონმდებლობის არარსებობის გამო არ არის ნათელი რეზერვის მოცულობა[126]. ამ საკითხის გარშემო კვლავ კეთდება განცხადებები, რომლებშიც გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეროვნული გვარდიის ძალები უნდა შედგებოდეს 20.000 ან 40.000 რეზერვისტისაგან[127]. საერთაშორისო დამკვირვებლების ინფორმაციის თანახმად, პერსონალის ასეთი დიდი რაოდენობა საჭირო არ არის[128]. დებატები მიმდინარეობს, ასევე, ეროვნული გვარდიის როლის შესახებ. ეროვნული გვარდიის ყოფილი უფროსი (შინაგანი ჯარების ყოფილი უფროსი ცდილობდა, გვარდია მძლავრ თავდამსხმელ ძალად ექცია, რომელიც საკუთრივ პრეზიდენტის დაქვემდებარებში იქნებოდა. საერთაშორისო დამკვირვებელთა და თავდაცვის სამინისტროს დაჟინებული მოთხოვნით (რომელთაც აშფოთებდათ პარალელური სამხედრო ძალის შექმნის მოსალოდნელი ნეგატიური შედეგები), ეროვნული გვარდიის უფროსად 2006 წლის ნოემბრამდე სამოქალაქო პირი დაინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაბიჯით საქართველოს მხარემ აიღო ვალდებულება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეროვნული გვარდიის როლი შეიზღუდებოდა ინფრასტრუქტურის დაცვითა და საგანგებო სიტუაციებში სამოქალაქო ხელისუფლების დახმარებით, მაინც არსებობს გვარდიის მიერ სამხედრო ამოცანების შესრულების შესაძლებლობა მანამ, ვიდრე მის როლსა და მოცულობას კანონმდებლობა არ განსაზღვრავს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო

შსს-ში მიმდინარე უმნიშვნელოვანესმა რეფორმებმა რადიკალურად შეცვალა ხელმისაწვდომი მსუბუქი შეირაღების ტიპები და რაოდენობა. რეფორმებს შედეგად მოჰყვა სასაზღვრო პოლიციის შსს-თან შეერთება, შინგანი ჯარების თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაყვანა, სპეციალური ძალების შემცირებასთან და შსს-ს უშიშროებსი სამინისტროსთან გერთიანების ჩათვლით. ეს ცვლილებები იმაზე მიუთითებს, რომ შსს-ს აღარ გააჩნია მნიშვნელოვანი სამხედრო ფუნქცია.

კვლევის გუნდმა ვერ შეძლო შსს-ს საკუთრებაში არსებული მსუბუქი შეიარაღების რაოდენობისა და ტიპების დადგენა, რადგან ეს ინფორმაცია გასაიდუმლოებულია. თუმცა, ცნობილია, რომ შსს-ს მიერ გამოყენებული იარაღის ტიპებს შორის ფიგურირებს მაკაროვის სისტემის პისტოლეტები, CZ-Z პისტოლეტები, ისრაელის წარმოე-

124 ანონიმური ინტერვიუ დ, საერთშორისო სამხედრო მრჩეველი.

125 მაგალითად, ევროკავშირის სტრატეგია მცირე შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების გავრცელების, დაგროვებისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ აცხადებს, რომ ევროკავშირი მხარს დაუჭერს ყველა ქვეყნის ვალდებულებას, აწარმოოს მსუბუქი შეიარაღების იმპორტი და შექმნას მარაგები ლეგიტიმური უსაფრთხოების საჭიროებისა და თავდაცვისათვის, გაეროს სამშვიდობო ოპერაციებში მონწილეობის ჩათვლით. იხ. <http://register.consilium.eu.int/pdf/en/06/st05/st05319.en06.pdf>

126 თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი განიხილვს ამგვარი კანონმდებლობის მიღებას.

127 ანონიმური ინტერვიუ დ. საერთაშორისო სამხედრო მრჩეველი

128 იქვე

ბის პისტოლეტები, საბრძოლო თოფები და სნაიპერთა თოფები. შსს-ს იარაღის მარაგის დადგენა შესაძლებელია პერსონალის რაოდენობაზე დაყრდნობით. საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, ამჟამად შსს-ს მიერ დასაქმებულია 26.827 ადამიანი. აქედან, 20.959 პოლიციის დეპარტამენტში მუშაობს, ხოლო 5.868 – სასაზღვრო პოლიციაში. შსს-ს საქმიანობის მიმართულების შეცვლა სამხედრო საქმიანობიდან პოლიციური საქმიანობისაკენ იმაზე მიუთითებს, რომ შსს ამჟამად არ ფლობს რაიმე ზედმეტ იარაღს ან იარაღის მარაგს. უხეში შეჯამების შედეგად შესაძლოა დავასკვნათ, რომ სააგენტოს საკუთრებაში არსებული მსუბუქი შეიარაღების რაოდენობა შეესაბამება იმ პერსონალის რიცხვს, რომელსაც იარაღზე ხელი მიუწვდება. სასაზღვრო პოლიციის საერთაშორისო და იურიდიულ საქმეთა უფროსის ინფორმაციით, სასაზღვრო დაცვის პერსონალის 89% საზღვრის დაცვის ფუნქციას ასრულებს და, შესაბამისად, იარაღს უნდა ფლობდეს[129]. ასევე, შესაძლებელია, რომ ეს პროცენტული რაოდენობა მთელ შსს-ს შეესაბამებოდეს. მაგალითისთვის, შსს-ს ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსის ცნობით, თანამშრომელთა უმრავლესობა სარგებლობს იარაღის გამოყენების უფლებით[130]. შესაბამისად, ეს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ შსს, დაახლოებით, მსუბუქი შეიარაღების 23,900 ერთეულს უნდა ფლობდეს.

იუსტიციის სამინისტრო

იუსტიციის სამინისტრო ფლობს ცეცხლსასროლი იარაღის მცირე მარაგს თავისი 190 კაციანი პერსონალისათვის, რომელიც საქართველოს სასამართლოების დაცვას ახორციელებს და, ასევე, 2.788 კაციანი პერსონალისათვის, რომელიც ციხეების დაცვას წარმოადგენს. თუმცა მათ თაობაზე ოფიციალური ინფორმაცია არ მოიპოვება. შსს-ს მსგავსად, იუსტიციის სამინისტრო არ უნდა ფლობდეს ზედმეტ იარაღს ან მარაგს. თუ შსს-ს მსგავსად, პერსონალის 89%-ს იარაღზე ხელი მიუწვდება, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ იუსტიციის სამინისტროს ამჟამად მსუბუქი შეიარაღების დაახლოებით 2,600 ერთეული გააჩნია.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური დამოუკიდებელ სახელმწიფო სააგენტოს წარმოადგენს, რომელიც საკონტრაქტო საფუძველზე უზრუნველყოფს ფიზიკურ დაცვას როგორც სამთავრობო ინფრასტრუქტურისათვის, ასევე, კერძო კომპანიებისათვის. მაგალითად, სახელმწიფო სპეციალური დაცვის სამსახურს კონტრაქტი აქვს დადებული უცხოური მისიების, ისევე როგორც ბაქო-სუფსის ნავთობსადენის დაცვაზე. სამსახური, ასევე, უზრუნველყოფს პრეზიდენტისა და სხვა თანამდებობის პირთა პირად დაცვას. მართალია, ცნობილია, რომ სამსახური ფლობს მსუბუქ შეიარაღებას, მაგრამ უცნობია მის საკუთრებაში არსებული იარაღის ტიპები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველი აქტიური მოსამსახურის მფლობელობაში 1.1 ერთეული იარაღია და რომ თანამშრომელთა რაოდენობა 89%-ს შეადგენს (მათი მთლიანი რაოდენობა 3,420), მაშინ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კონტროლქვეშ, დაახლოებით, 3.050 ერთეული მსუბუქი იარაღი უნდა იყოს.

სხვა სააგენტოები

საბაჟო დეპარტამენტსა და ფინანსურ პოლიციაში, ასევე, არსებობს შეიარაღებული პერსონალის გარკვეული რაოდენობა. სამწუხაროდ, არც მსუბუქი შეიარაღებისა და არც იარაღის მატარებელ თანამშრომელთა რაოდენობაზე სავალდო ინფორმაცია არ მოიპოვება. აქედან გამომდინარე, რთულია ამ სტრუქტურათა საკუთრებაში არსებული მსუბუქი შეიარღების ერთეულთა რაოდენობისა ან მარაგის დადგენა. შესაძლებელია, მიხლოებით ვივარაუდოთ, რომ ამ სააგენტოების თანამშრომელთა 50%-ს ხელი მიუწვდება იარაღზე და იარაღის წილი იარაღის მატარებელ პერსონალზე 1.1-ს შეადგენს. თუ ეს ასეა, საბაჟო დეპარტამენტის მფლობელობაში მსუბუქი შეიარაღების დახლოებით 600 ერთეული უნდა იყოს (მოსამსახურეთა მთლიანი რაოდენობა – 1,172), ხოლო ფინანსური პოლიციის მფლობელობაში – 300 (მოსამსახურეთა მთლიანი რაოდენობა – 650).

129 ინტერვიუ, კახა ხანდოლიშვილი.

130 ინტერვიუ, შოთა უტიაშვილი.

6.2 მარაგის უსაფრთხოება

6.2.1 თავდაცვის სამინისტრო

ადრეულ 1990-იან წლებში ახლადშექმნილ საქართველოს არმიას საკონტროლოდ გადაეცა ყოფილი საბჭოთა ბაზის 30 სასაწყობო ობიექტი. იარაღის შენახვისა და უსაფრთხოების სტანდარტები ამ ბაზებზე ძალზე დაბალი იყო, რაც ქურდობისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა და, შესაბამისად, მოსახლეობის უსაფრთხოებას ემუქრებოდა (იხ ნაწილი 3.4)[131]. თავდაცვის სამინისტრომ დაადასტურა, რომ წარსულში მას ბევრი საწყობი ჰქონდა, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში იყო განთავსებული, რაც, ასევე, უშლიდა ხელს მარაგის უსაფრთხო შენახვას. ამჟამად მიმდინარეობს მსუბუქი შეიარაღებისა და სხვა ტიპის იარაღის მარაგის საწყობების განახლება და მათი რაოდენობის შემცირება, რაც, ასევე, ინვენტარის კონტროლის ცენტრალიზაციას ითვალისწინებს. მარაგის უსაფრთხოების თვალსაზრისით, 2003-2006 წლებში შემდეგი ზომები იქნა მიღებული[132]:

- შეიარაღების/საბრძოლო მასალების ცენტალური საწყობების რაოდენობა შემცირდა. ამ პერიოდში დაიხურა შემდეგი საწყობები:
  - საინჟინრო მასალის სხვილისის საწყობი;
  - კლდის იარაღის, სამხედრო ხელსაწყოებისა და საბრძოლო მასალების საწყობი;
  - კოპიტნარის საარტილერიო და საავიაციო საბრძოლო მასალების საწყობი;
  - დედოფლისწყაროს იარაღის, სამხედრო აღჭურვილობისა და საბრძოლო მასალების საწყობი;
  - აჭარის წყლის საარტილერიო საბრძოლო მასალების საწყობი;
  - თბილისის შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების საწყობი, რომელიც უწინ შინაგან ჯარებს ეკუთვნოდა;
  - საავიაციო შეიარაღებისა და სამხედრო აღჭურვილობის თბილისის მეშვიდე საწყობი;
- დემილიტარიზაციისა და იარაღის განდგურების ქარხნები შეიქმნა დედოფლისწყაროსა და ფონიჭალაში, სადაც შემდგომი გადამუშვებისთვის გროვდება არაფუნქციონალური, მოძველებული და ჭარბი საბრძოლო მასალები.
- მსუბუქი შეიარაღება ცენტრალური სამხედრო ძველი სასაწყობო ობიექტებიდან გადაატანეს ახლად რეკონსტრუირებულ ობიექტებში ვაზიანის სატანკო ქარხნის მახლობლად.
- მოძველებული და არაფუნქციონალური მსუბუქი შეიარაღება ერთიანად იქნა გატანილი სამხედრო ნაწილებიდან და ცენტრალურ სამხედრო საწყობში ინახება.

მწირი ინფორმაცია მოიპოვება საწყობების უსაფრთხოების მდგომარეობაზე. მართლაც, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ აღიარა, რომ საქართველო კვლავაც აწყდება სერიოზულ პრობლემებს მისი მარაგების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ასე რომ, საჭიროა არა მარტო სათვალთვალო მოწყობილობები, არამედ მათი დაცვაც[133].

აღრიცხვა და ინვენტარიზაცია

თავდაცვის სამინისტროს მარაგის პირველი ინვენტარიზაცია 1993 წელს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ომების შემდეგ, მინისტრის ბრძანებით ჩატარდა[134]. თავდაცვის სამინისტრო მსუბუქი შეიარაღების მარაგის ინვენტარიზაციას ორ წელიწდში ერთხელ ატარებს, რომლის დროსაც ყოველ იარაღს ორი სარეგისტრაციო ნომერი ენიჭება[135]. თავდაცვის სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის ინფორმაციით, ამუნიციის მარაგის გაკონტროლება ნაკლებ მკაცრია, რადგან აღირიცხება მხოლოდ მისი რაოდენობა.[136]

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით, TOE-ს შემოღებასთან ერთად დამკვიდრდა დასავლური სტანდარტების შესაბამისი აღწერა, რამაც სისტემის კონტროლი საგრძნობლად გააადვილა. დღესდღეობით ეჭვი არავის ეპარება, რომ ყოველი სამხედრო ნაწილის ან მთლიანად არმიის შეიარაღება და საბრძოლო მასალები აღრიცხულია და უმკაცრესი კონტროლის ქვეშ იმყოფება[137].

131 მაგალითად, ერთერთი სამხედრო საწყობი საქართველოს ბაზაზე 1996წელს აფეთქდა, რასაც ერთ კვირაში ათი ათასობით ადამიანის ევაკუაცია მოჰყვა. წყარო: Baker P, 'A Former Superpower's Hazardous Legacy: Experts Cite Risks of Aging and Unsecured Arms Caches in Ex-Soviet Republics', *Washington Post*, 26 may, 2004.

132 კორესპონდენცია მამუკა კიკალეიშვილთან, თავდაცვის სამინისტრო, 2006 წლის ივნისი.

133 ინტერვიუ, გიორგი მანჯგალაძე.

134 ინტერვიუ, ლეიტენენტ პოლკოვნიკ ხვადაგიანთან.

135 იქვე.

136 იქვე.

137 კორესპონდენცია მამუკა კიკალეიშვილთან, თავდაცვის სამინიტრო, 2006 წლის ივნისი.

და მაინც, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, თავდაცვის სამინისტროს საკუთრებაში არსებული შეიარაღების ტიპები და რაოდენობა არ არის ამომწურავად აღწერილი და ბოლო წლების მანძილზე არაერთი ძარცვის შემთხვევაც მოხდა. როგორც ერთ-ერთმა პირმა მოცემულ ინტერვიუში დაადასტურა, „მარაგის მენეჯმენტი და უსაფრთხოება შეიარაღებულ ძალებში არცთუ ისე ეფექტურია, მაგრამ ცუდსაც ვერ ვუწოდებთ“[138]. მართლაც, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, საქართველოს წინაშე ჯერაც დგას სერიოზული პრობლემა მარაგის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, როგორც აღჭურვილობის, ასევე დაცვის სფეროში. თუმცა, ახლო მომავალში, საქართველოს იარაღისა და ამუნიციის ეროვნული საინვენტარიზაციო სისტემა გაუმჯობესდება ავტომატური კომპიუტერიზირებული სააღრიცხვო სისტემის მეშვეობით[139].

ჭარბი იარაღის დადგენა

დაძველებული და ჭარბი მსუბუქი შეიარაღების ამოსაღებად საქართველოს მარაგის მენეჯმენტის სისტემის ფარგლებში უნდა მოხდეს მარაგის პერიოდული აღწერა. ყოველგვარი ზედმეტი აღჭურვილობა, მსუბუქი შეიარაღების ჩათვლით, რომელიც თOE-ს შესაბამისად საჭირო აღარ არის, უნდა შეიკრიბოს ლოჯისტიკის დეპარტამენტის მიერ და შეინახოს ახლად აგებულ დეპოებში. ეს პროცესი უკვე მიმდინარეობს, რადგანაც თავდაცვის სამინისტრო უკვე აწარმოებს მისი კონტროლის ქვეშ არსებული ყვლა სახის იარაღის ინვენტარიზაციას. ამ პროცესს, რომელიც 2006 წლის ზაფხულისათვის უნდა დასრულდეს, ხელმძღვანელობს საგანგებოდ შექმნილი 25 კაციანი კომისია. ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით, დადგინდება თავდაცვის სამინისტროს მფლობელობაში არსებული მარაგის ტიპები და რაოდენობა, ისევე როგორც ჭარბი რაოდენობა, რომელიც განადგურებას ექვემდებარება. თავდაცვის სამინისტროს მტკიცებით, იარაღისა და ამუნიციის ცენტრალური საწყობების შემცირებამ უკვე შეუწყო ხელი არაფუნქციონალური შეირაღებისა დ ამუნიციის დადგენას დეკომისირებულ იარაღის საწყობებში[140].

6.2.2 შინაგან საქმეთა სამინისტრო

საპატრულო პოლიციის ყველა განყოფილებას იარაღის მარაგი გააჩნია, ავტომატური იარაღის ჩათვლით. შსს-ს მტკიცებით, ყოველწლიურად პოლიციის კუთვნილი იარაღის მხოლოდ მცირე ნაწილი იძარცვება. მაგალითად, 2005 წელს საპატრულო პოლიციის თანამშრომლისთვის იარაღის მოპარვის მხოლოდ ერთი შემთხვევა აღირიცხა, ორიც – დაკარგვისა[141]. დაკარგული იარაღის პასუხისმგებელი პირები სამსახურიდან გაათავისუფლეს და შესაძლოა, ორიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთაც მიესაჯოთ. პირადი იარაღის დაკარგვის ან მოპარვის ცალკეულ ინციდენტთა მიუხედავად, მარაგის ძარცვის შემთხვევები აღრიცხული არ არის[142].

6.2.3 რუსული ბაზები

სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სამშვიდობო ძალების მსგავსად, რუსეთი კვლავაც ინარჩუნებს ორ სამხედრო ბაზას საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე – ბათუმსა და ახალქალაქში. როგორც უკვე მრავალგზის აღინიშნა, რუსული ბაზების მარაგის უსაფრთხოება წარსულში სავალალო იყო და საქართველოს მოსახლეობაში დღესაც შეშფოთებას იწვევს (იხ. ნაწილი. 3.4).

2005 წლის 30 მაისს რუსეთმა აიღო ვალდებულება 2008 წლისთვის საქართველოში დარჩენილი ბაზების დახურვის თობაზე. ახალქალაქში განლაგებული ბაზა 2007 წლის 1 ოქტომბრისათვის უნდა დაიხუროს, ხოლო ბათუმისა – 2007 წლის დასასრულისათვის[143]. კავკასიაში რუსეთის სამხედრო ბაზებზე საწყობების დაცვის სავალალო მდგომარეობის გამო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბაზების მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ აყვანს, რათა გამოირიცხოს იარაღის ქურდობა. ბაზების დახურვის შემთხვევაში შესაძლოა, გარკვეული პრობლემა შეიქმნას პერსონალის მხრიდანაც. ზოგიერთმა არაკეთილსინდისიერმა მუშაკმა ბაზების რეესტრების „წესრიგში მოყვა-

138 ინტერვიუ, კახა კაციტაძე.

139 კორესპონდენცია მამუკა კიკალეიშვილთან, თავდაცვის სამინიტრო, 2006 წლის ივნისი.

140 იქვე.

141 ინტერვიუ, შოთა უტიაშვილი.

142 იქვე.

143 პროცესი მიმდინარეობს საქართველოს კანონში „იარაღის სამხედრო აღჭურვილობისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის ექსპორტ-იმპორტის შესახებ“ 2004 წლის 30 ივნისის ცვლილების შესაბამისად, რომელმაც გააუქმა გადასახადი სახელმწიფო სააგენტოების ან საქართველოში მყოფი რუსეთის ფედერაციის შეირაღებული ძალების მიერ იარაღის და საბრძოლო მასალების იმპორტზე, ექსპორტზე, რე-ექსპორტსა და ტრანზიტზე.

ნის“ საბაბით შეიძლება ხელი შეუწყოს იარაღის გარკვეული ნაწილის დაკარგვას[144], თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი შემთხვევები დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს, რადგან ამ შემთხვევაში მოსალოდნელია საბრძოლო იარაღის მხოლოდ მცირე ნაწილის მოპარვა[145].

მოსალოდნელია, რომ დარჩენილი (ყველაზე მთავარი) იარაღი გატანილი იქნება ან რუსეთში, ან სომხეთში, გიუმრის რუსულ ბაზაზე[146]. და მაინც, ჯერ დაუდგენელია, რა სახის დახმარება იქნება საჭირო დარჩენილი რუსული იარაღის გასატანად. ამაში შესაძლოა იგულისხმებოდეს ობიექტების დატოვების შემდეგ მისი დასუფთავება და გატანილი ქონების საერთაშორისო ვერიფიკაცია, რუსეთშიც დ საქართველოშიც, ტრანსპორტირებისათვის ხარჯის დაფარვით. იმის გამო, რომ დარჩენილი იარაღის გადატანაცა და განადგურებაც საკმაოდ ძვირი დაჯდება, ეუთოს მისიამ საქართველოში რუსული ბაზების გაყვანის ხელშესაწყობად ეუთოს ნებაყოფლობითი ფონდი დააარსა. 2005 წლის ბოლოს ფონდში 805.000 აშშ დოლარი იყო შეტანილი.

6.3 ხელისუფლების მფლობელობაში არსებული იარაღის გამოყენება

შინაგან საქმეთა სამინისტრო

შსს-ს მთელ პერსონალს (სამოქალაქო პერსონალის ჩათვლით) იარაღის ტარების უფლება აქვს. თუმცა, პერსონალისათვის აკრძალულია რეგისტრირებული პირადი იარაღის ტარება. პოლიციელებს, რომლებმაც სრული წვრთნა გაიარეს და ექვსი თვის მუშაობის სტაჟი აქვთ, უფლება აქვთ, ატარონ ავტომატური იარაღი ყოველგვარი განსაკუთრებული ნებართვის გარეშე. ეს უკანასკნელი კი მხოლოდ სპეცოპერაციების დროს გამოიყენება, პატრულირებისას კი პისტოლეტებს ატარებენ. ზუგდიდის საპატრულო პოლიციის უფროსის თქმით, 2005 წელს საპატრულო პოლიციამ მხოლოდ ერთხელ ჩათვალა საჭიროდ ავტომატური იარაღის გამოყენება[147].

პოლიციას უფლება აქვს, ატაროს იარაღი მორიგეობისას, მაგრამ ყოველი ცვლის დასრულების შემდეგ მათ იგი პოლიციის საწყობში უნდა დააბრუნონ. მიუხედავად ამისა, ოფიცრებს უფლება აქვთ, განსაკუთრებულ შემთხვევებში იარაღი შინ წაიღონ. ამასთან ერთად, ზუგდიდის პოლიციის უფროსის თქმით, ზოგ ოფიცერს უფლება აქვს იარაღის 24 საათის განმავლობაში ტარებისა[148].

სამინისტროს ინსტრუქციების თანახმად, არსებობს 14 სცენარი, რომლის დროსაც ოფიცერს იარაღის გამოყენების უფლება აქვს[149]. ამათგან ცხრა შემთხვევაში იგი ვალდებულია, გააკეთოს გამაფრთხილებელი გასროლა, ვიდრე ცოცხალ მიზანს ესროდეს. დანარჩენ ხუთ შემთხვევაში პოლიციის ოფიცერს უფლება აქვს, პირდაპირ გაისროლოს. 2005 წელს პოლიციის აკადემიის მიერ დაარსდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების საწვრთნელი კურსები. ვიდრე იარაღს მიიღებენ, პოლიციის ოფიცრები ვალდებულნი არიან, ეს კურსები გაიარონ. უწინ ყველა ოფიცერს იარაღი სამთვიანი გამოსაცდელი პერიოდის შემდეგ გადაეცემოდა. ამასთან ერთად, ფონდმა ღია საზოგადოება – საქართველომ პოლიციის აკადემიის დასახმარებლად მთელი რიგი საგანმანათლებლო მოდულები შეიმუშავა. 12 მოდული ღია საზოგადოების სამართლის ინიციატივის მიერ შემუშავდა და განიხილავს ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების, ასევე მსხვერპლისა დ საკომუნიკაციო საკითხებს.

შსს-ს საინფორმაციო დეპარტამენტის უფროსის თანახმად, დღევანდელი ინსტრუქციები მთლიანად შეესაბამება გაეროს კანონაღმსრულებელ ოფიცერთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ძირითად პრინციპებს[150]. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთმა საერთაშორისო კომენტატორმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ოფიციალური შეხედულება. მისი თქმით, პოლიციის სტანდარტული ოპერატიული პროცედურები (იგულისხმება ძალის გამოყენება) არ შეიძლება იყოს საუკეთესო, რადგან ისინი საშუალებას აძლევენ პოლიციას, „ადგილზე ესროლოს ეჭვმიტანილს“[151]. მართლაც, ძალოვანმა სამინისტროებმა მხარდაჭერა გამოხატეს პოლიციის ოფიც-

144 ეუთოს მისია საქართველოში.

145 იქვე.

146 იქვე.

147 ინტერვიუ, მერაბ გერგაია.

148 იქვე.

149 ინტერვიუ, შოთა უტიაშვილი.

150 *United Nations Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officers*, New York. Accessible at, <http://www.unhchr.ch/html/menu3/b/h_comp43.htm>

151 EUSR, სასაზღვრო უწყების მრჩეველთა ჯგუფი.

რებისადმი ეჭვმიტანილი დამნაშავეების წინააღმდეგ ცეცხლის გახსნის თაობაზე, რასაც ოპოზიციური პარტიების მხრიდან მძაფრი პროტესტი მოჰყვა[152]. ემნესთი ინთერნეშანალის ბოლო ანგარიშის თანახმად, საქართველოში ეჭვმიტნილთა და პატიმართა დასაშინებლად კვლავ იყენებენ ცეცხლსასროლ იარაღს[153]. ამ ანალიზს მხარი დაუჭირეს ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა, რომელთა დიდი ნაწილი წარსულში კანონაღსრულებით საქმიანობას ეწეოდა. ისინი მიიჩნევენ, რომ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება პოლიციის ოფიცრების მხრიდან დღესდღეობით მეტად ხშირად ხდება. ძალის გამოყენების ამგვარი სიჭარბე, ხშირ შემთხვევაში, შესაბამისი წვრთნის არასათანადო ხარისხით არის გამოწვეული.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ თუ დამნაშავეები დაპატიმრებისას პოლიციას წინააღმდეგობას გაუწევდნენ, პოლიციელს შეეძლო ნებისმიერი ზომების გამოყენება დამნაშავეების ადგილზე სალიკვიდაციოდ. ამას წინათ 22 წლის ბიჭი მოკლეს სწორედ წინააღმდეგობის გაწევის საპასუხოდ. ადრე მსგავსი ქმედებისთვის ციმბირში ამოგაყოფინებდნენ თავს.

ფოკუს-ჯგუფი D, თბილისი, ყოფილი საგზაო პოლიციის თანამშრომელი, მამაკაცი, 36 წლის.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები

საქართველოს საერთაშორისო გამშვებ პუნქტებზე მხოლოდ ცვლის უფროსსა და ოპერატიული დეპარტამენტის წარმომადგენელს აქვს იარაღის ტარების უფლება[154]. ოპერატიული დეპარტამენტის პერსონალი, რომელიც საზღვრის მწვანე ზოლის პატრულირებს აწარმოებს, მუდმივად ატარებს იარაღს. ოპერატიული დეპარტამენტის პერსონალი ყოველ გამშვებ პუნქტზე კვირაში ორჯერ ან სამჯერ მორიგეობს. რადგანაც სასაზღვრო პოლიციის რეკრუტები იმავე საბაზო წვრთნას გადიან, როგორსაც პოლიციის სხვა ოფიცრები, მათთვის წვრთნა ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაში ისეთივე უნდა იყოს, როგორიც საპატრულო ან რეგიონალური პოლიციის პერსონალისათვის.

იუსტიციის სამინისტროს პერსონალი

იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა მიერ იარაღის ტარება კრიტიკის ობიექტად იქცა, განსაკუთრებით 2006 წლის მარტში თბილისის ციხეში მომხდარი ინციდენტის შემდეგ, რომელსაც რამდენიმე პატიმრის სიცოცხლე შეეწირა. საქართველოს ომბუდსმენის, სოზარ სუბარის თქმით, ეს მკვლელობები იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური პირის, ბაჩო ახალაიას გადაწყეტილების საფუძველზე მოხდა. სწორედ ახალაიამ მისცა შეიარაღებულ ძალებს პატიმრების წინააღმდეგ იარაღის გამოყენების უფლება[155]. წინამდებარე კვლევის შედეგების ბეჭდვისას ჯერ კიდევ მიმდინარეობდა ამ ინციდენტის გამოძიება. მოვლენათა ანალიზმა ცხადყო, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ იარაღის გამოყენების საჭიროება გადახედვას საჭიროებს, იმიტომ, რომ იარაღის გამოყენების ყოველი შემთხვევა განპირობებული უნდა იყოს კონკრეტული ინციდენტით და უნდა ეფუძნებოდეს გაეროს ძირითად პრინციპებს კანონაღმსრულებელი ოფიციალური პირების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ.

152 იხ. საპროტესტო აქციები საქრთველოში პოლიციის ძალადობრივი ქმედებების წინაღმდეგ, სამოქალაქო საქართველო, 2005 წლის 13 ნოემბერი <http://www.civil.ge/eng/article.php?id=11138>, accessed 21 June, 2006.. ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა დაადასტურა, რომ 2006 წლის დასაწყისში პოლიციის ოპერაციების დროს 19 ადამიანი იქნა მოკლული. ოპოზიცია გმობს პოლიციის ძალადობას. სამოქალაქო საქართველო, 2006 წლის 2 მარტი <http://www.civil.ge/eng/article.php?id=11966>, accessed 21 June, 2006.

153 Op. Cit, *Georgia: Torture and ill-treatment still a concern after the "Rose Revolution".*

154 ინტერვიუ, კახა ხანდოლიშვილი.

155 საქართველოს ომბუდსმენი ადანაშაულებს მაღალი თანამდებობის პირებს, როიტერი, ნიუსლაინი, ტ.10, №92, ნაწ. 1, 2005 წლის 22 მაისი.

7

შეგროვება და განადგურება

მსუბუქი შეიარაღების ერთეულების განადგურებისა და შეგროვებისადმი მიდგომა ბოლო დროს პოზიტიურია და ამ სფეროში სამომავლო მოქმედებისათვის კარგ საფუძველს ქმნის. ამჟამად მზადდება 2006-2009 წლებში სამხედრო მსუბუქი შეიარაღების განადგურების გეგმა, რისთვისაც თავდაცვის სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტმა უკვე ჩაატარა საწყობებში შენახული მსუბუქი შეირაღების სრული ინვენტრიზაცია არაფუნქციონალური და ჭარბი ერთეულების როდენობის დასადგენად. გარდა ამისა, 2004 წლის მაისში ბათუმში ჩატარებული იარაღის ამოღების კამპანია მეტად წარმატებული აღმოჩნდა და წინა წლებში ჩატარებულ კამპანიებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იარაღის შეკრებისა და განადგურების პოლიტიკისა და პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. ჭარბი რაოდენობის ამუნიციის იდენტიფიცირება და მისი განადგურება თავდაცვის სამინისტროსთვის ჯერჯერობით პრიორიტეტული არ არის, ისევე როგორც ეროვნულ პოლიტიკას არ წარმოადგენს საზოგადოებიდან ამოღებული იარაღის სრული განადგურება. იარაღის შეკრების თვალსაზრისით 2004 წლის აჭარის კამპანია კეთილ ნებას ემყარებოდა, რომელსაც ბიძგი მისცა ასლან აბაშიძის რეჟიმის დამხობამ. სამომავლო კამპანიები უკეთესად უნდა დაიგეგმოს და მოქალაქეთა გაზრდილ თვითშეგნებას უნდა დაეფუძნოს, განსაკუთრებით როცა საქმე არაეთნიკურ ქართველ მოსახლეობას ეხება. იარაღის ამოღების კამპანიასთან შედარებით არაეფექტური გამოდგა მიმდინარე საერთო ამნისტია იარაღის ნებაყოფილობით ჩაბარებაზე. შესაძლოა, დროში შეზღუდულმა იარაღის ჩაბარების კამპანიამ, რომლის წინ და შემდგომ ჩატარდება სამართალდამცველთა ღონისძიებები, უფრო წაახალისოს და ხელი შეუწყოს ნებყოფილობით ჩაბარებას. ამასთან ერთად, იარაღის ამოღების უწინდელი შედეგების აღრიცხვა მეტად არადამაკმაყოფილებელია და კვლავ გაურკვეველია, თუ რა რაოდენობის იარაღი იყო შეკრებილი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

7.1 იარაღის ამოღების წინა კამპანიები

ეს მონაკვეთი მიმოიხილავს იარაღზე გამოცხადებულ ამნისტიას და იარაღის ამოღების პროგრესს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თანაც წარმოაჩენს საზოგადოების დამოკიდებულებას ამ ზომების მიმართ. წინამდებარე ანალიზი შესაძლოა, გამოიყენონ საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილი უკანონო მფლობელობაში არსებული იარაღის ამოღების შემდგომი პროგრამების შემუშავებისას.

საქართველოში დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში უკანონო იარაღის ამოღების სამი ძირითადი წამოწყება უნდა გავიხსენოთ:

- იარაღის ამოღება, რომელიც მოჰყვა შეიარაღებულ დაპირისპირებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში 1995-1996 წლებში;
- იარაღის ამოღება აჭარაში ასლან აბაშიძის რეჟიმის დამხობის შემდეგ, 2004 წლის მაისში.

- 2005 წლის დასაწყისში გამოცხადებული ცეცხლსასროლი იარაღის ნებაყოფილობით ჩაბარების კამპანია საყოველთაო ამნისტიის შემდეგ.

ეუთომ, ასევე, განახორციელა იარაღის ამოღების პროგრამა სამხრეთ ოსეთში, მაგრამ წინამდებარე კვლევა არ განიხილავს ამ ინიციატივას.

არსებული ინფორმაციის საფუძველზე 2006 წლის მარტისათვის საქართველოს ხელისუფლების კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიაზე 13.750-დან 23.350-მდე იარაღი შეიკრიბა.

ცხრილი 14: 1991 წლიდან დღემდე საქართველოს ხელისუფლების კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ამოღებული იარაღი

ამოღების პერიოდი	ამოღების ადგილი	ამოღებული იარაღი
1995-1996	ხელის. მიერ კონტროლირებადი.ტერიტ	9.700
2004 წ. მაისი	აჭარა	3.150
2005წ. იანვრიდან დღემდე	ხელის. მიერ კონტროლირებდი.ტერიტ.	900-10.500
სულ		**13.750-23.350**

1995-1996 წლებში იარაღის ამოღების პროგრამა

1995 წელს, ედურად შევრდნაძის პრეზიდენტად არჩევის მომდევნო პერიოდში, საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავა იარაღის ამოღების სავალდებულო პროგრამა. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ღონისძიებები ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიით იზღუდებოდა და არ მოიცავდა აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთსა და აჭარის ავტონომიას. იარაღის ამოღების კამპანია გადატრიალების შემდგომ პერიოდში (პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას განდევნის შემდეგ) საქართველოში არსებული გავლენიანი გასამხედროებული და კრიმინალური დაჯგუფებების წინააღმდეგ (მათ სათავეში მხედრიონი ედგა) ლაშქრობის ნაწილს წარმოადგენდა. არ არსებობს არავითარი აღრიცხვა ამ პერიოდში ამოღებული იარაღის რაოდენობის შესახებ, მაგრამ 2002 წლის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამოიღეს, დაახლოებით, 9.700 ერთეული იარაღი, თანაც, ძირითადად, მხედრიონისა (იარაღის 60%) და ეროვნული გვარდიის (იარაღის 28%) ყოფილი წევრებისაგან, ხოლო დანარჩენი ნებაყოფილობით იქნა ჩაბარებული სამოქალაქო პირების მიერ[156]. მოკრებილი იარაღი 4.770 თოფს, 2.3444 პისტოლეტსა და რევოლვერს, 2.253 ყუმბარმტყორცნსა და ორ რაკეტმტყორცნს შეიცავდა. 2002 წლის კვლევის შედეგად, ასევე, დადგინდა, რომ 1995-1996 წლებში იარაღის ამოღების შედეგად ვერ მოხერხდა არათუ საზოგადოების, არამედ ყველა გასამხედროებული ჯგუფის სრული განიარაღება.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა საკმაოდ ეფექტურად მიიჩნიეს კონფლიქტებისას გავრცელებული იარაღის ამოღების 1995-1996 წლების პროგრამა და დაასკვნეს, რომ ამ ღონისძიების შედეგად ქვეყანაში სტაბილურობის დონე ამაღლდა. ხშირ შემთხვევაში გასამხედროებული დაჯგუფებების წევრებს არ სურდათ იარაღის ჩაბარება და პოლიციასა და უშიშროების სამსახურს მისი იძულებით ამოღება მოუხდათ. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ცხადი გახდა, რომ შეიარაღებული დაჯგუფებების წევრებისა და მოხალისეებისაგან (განსაკუთრებით ზუგდიდსა და სვანეთში) ვერ მოხერხდა იარაღის სრული ოდენობით ამოღება. უკანონო იარაღის გეოგრაფიული გავრცელების სურათი იმაზე მიუთითებს, რომ 1995-1996 წლებში ჩატარებული კამპანიისგან განსხვავებით, იარაღის ამოღების შემდგომი კამპანია მიმართული უნდა იყოს იმ რეგიონებზე, რომლებშიც განსაკუთრებით მაღალია იარაღის მფლობელობის დონე, თანაც ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს იარაღის უკანონო მფლობელობის ყოველი ცალკეული შემთხვევა და მისი მოტივი.

იარაღის 70% კონფისკაციის შედეგად იყო ამოღებული. მე მიმაჩნია, რომ მხოლოდ 70%. მხოლოდ კოდორის ხეობისა და სვანეთის მცხოვრებთა გათვალისწინებაც კი საკმარისია იმის მისახვედრად, რომ თითოეულ მათგანს სულ ცოტა 7 ავტომატური იარაღი ექნება, ასევე ისიც მხედველობაშია მისაღები, თუ როგორ მარხავდნენ ისინი თავიანთ იარაღს.

ფოკუს-ჯგუფი F, ზუგდიდი, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტი, მამაკაცი.

156 *Op. Cit.* Demetriou S, p 31. The findings were based upon the personal records of Givi Kviraia, who was Minister of Internal Affairs during the collection period.

იარაღის შეკრება აჭარაში[157]

ბათუმის 2004 წლის 6-7 მაისის რევოლუციის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ იარაღის შეკრების კამპანია წამოიწყო, რომელიც ფართოდ გაშუქდა ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით. აღნიშნული ღონისძიება, ასევე, ითვალისწინებდა გამოსყიდვის წინადადებებსაც, ანუ უკანონო იარაღის მფლობელებს თითოეულ ერთეულში 110-165 აშშ დოლარს უხდიდნენ. ამასთან ერთად, ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალურმა პირებმა აქტიური კამპანია წამოიწყეს არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღის ამოსაღებად, რომლისთვისაც იყენებდნენ როგორც აბაშიძის ადმინისტრაციის რეესტრებს (მხარდამჭერთათვის დარიგებული იარაღის ჩამონათვალით), ისე მოქალაქეებისგან მიღებულ ინფორმაციასაც. იარაღის ამოღების კამპანია გააადვილა ხელისუფლების მიმართ ნდობის გაზრდამ, რასაც ხელი ვარდების რევოლუციამ შეუწყო. მართლაც, ერთ-ერთმა კომენტატორმა ისიც აღნიშნა, რომ ხალხს იარაღის ჩაბარება სიამოვნებას გვრიდა[158]. ინტერვიუების შედეგად ცხადი გახდა, რომ მოქალაქეები ერთგვარად „წაახალისეს“ იარაღის ჩასაბარებლად, რადგანაც მათ გაუჩნდათ შიში, რომ ახალი ადმინისტრაცია ბევრად უფრო მკაცრ ზომებს მიიღებდა იარაღის უკანონო მფლობელობისათვის.

იარაღის ამოღების კამპანია მეტად წარმატებულად მიიჩნიეს. მისი მიმდინარეობის ათდღიან პერიოდში 3.000-მდე ავტომატური იარაღი და, დაახლოებით, სამი ნაღმსატყორცნი იყო ამოღებული ან ნებაყოფლობით ჩაბარებული[159]. აჭარის მთიანეთში მძიმე შეიარაღების ერთეულებიც კი ამოიღეს. ფიქრობენ, რომ აჭარაში, იარაღის ამოღების პერიოდში, მოსახლეობიდან ამოღებული იყო იარაღის, დაახლოებით, 70-80%[160]. თუმცა, 2005 წელს ჩატარებული უკანონო შეიარაღების ამოღების ოფიციალური მაჩვენებლები (125 ინციდენტი) იმაზე მიუთითებს, რომ წარმოდგენილი ციფრი დამაჯერებელი არ არის და რომ აჭარაში ჯერ კიდევ უნდა არსებობდეს უკანონო იარაღის საკმაოდ დიდი რაოდენობა. რეგიონის პოლიციელთა ინტერვიუები იმაზე მიუთითებს, რომ ვისაც უნდოდა იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარება, ასეც მოიქცა. შესაბამისად, სამომავლოდ გამოცხადებულმა ამნისტიამ შესაძლოა ვეღარ მოახდინოს შესამჩნევი გავლენა რეგიონში არსებული უკანონო იარაღის რაოდენობაზე.

საერთო ამნისტია 2005 წლიდან დღემდე

2005 წლის დასაწყისში შსს-ს შიდა ინსტრუქციის თანახმად, გამოცხადდა ამნისტია მათთვის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებდა უკანონო მფლობელობაში არსებულ ცეცხლსასროლ იარაღს, ოღონდ ამ იარაღით დანაშაული არ უნდა ყოფილიყო ჩადენილი. საერთო ამნისტია უვადოა. შსს-ს ინფორმაციის მიხედვით, სამინისტრო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ასევე, ახორციელებს იარაღის არარეგულარული ამოღების ყოველთვიურ კამპანიებს, თუმცა კვლევის ჯგუფმა შედეგების თაობაზე ინფორმაცია ვერ მოიპოვა. ერთ-ერთი დამოუკიდებელი სამხედრო ექსპერტის აზრით, ოფიციალური ინფორმაციის ნაკლებობა იმის შედეგია, რომ შსს-ს აღრიცხვის პროცედურები არ არის იმდენად დეტალური, რომ ყოველწლიურად ამოღებული იარაღის რაოდენობისა და ტიპების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას შეიცავდეს. ისიც უნდა ითქვას, რომ არც ერთი აღრიცხული მონაცემი არ არის საჯარო[161]. ნებართვათა დეპარტამენტმა დაადასტურა, რომ ყოველთვიურად, ამნისტიის შედეგად, საშუალოდ იარაღის 60-70%-ის ლეგალიზება ხდება[162]. ამ ფაქტზე დაყრდნობით დადგინდა, რომ 2006 წლის მარტისათვის ამოღებული იქნა 900-დან 10.500-მდე ერთეული იარაღი. ნებართვათა დეპარტამენტის მტკიცებით, ნებაყოფლობით ჩაბარებული იარაღიდან დანაშაულის ჩადენისას გამოყენებული იყო ყოველი 100-დან 1, ამდენივე იყო აღრიცხული დაკარგულ იარაღს შორის[163].

მთლიანობაში რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ საერთო ამნისტია წარუმატებელი აღმოჩნდა და აცხადებენ, რომ ნებაყოფლობით ჩაბარებული იარაღის რაოდენობა მეტად მცირეა და რომ ხალხმა, ძირითადად, მოძველებული იარაღი ჩააბარა. წარუმატებლობის მიზეზად შეიძლება რამდენიმე ფაქტორი დავასახელოთ. უპირველეს ყოვლისა, იარაღის ამოღება, როგორც ჩანს, სტრატეგიულ გეგმას არ ემყარებოდა და არ იყო მიმართული გარკვეულ სამიზნე ჯგუფზე. მეორე მხრივ, ამნისტიის შესახებ არ ჩატარებულა სარეკლამო კამპანია. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი რამ დაგეგმილი იყო, ის აუცილებლად არ ჩათვალეს და გადადეს[164]. ნების-

157 ინტერვიუ, ჯონი ბაკურაძე, გოჩა მეგრელიშვილი, ბატონი ფაღავა, დავით ქასრაძე, ზაზა დავითაძე.

158 ინტერვიუ, ნატა სურგულაძე.

159 ინტერვიუ, ზაზა ხაჩიძე.

160 ინტერვიუ, ჯონი ბაკურაძე.

161 ინტერვიუ, კახა კაციტაძე.

162 ინტერვიუ, ზაზა ხაჩიძე.

163 ინტერვიუ, შოთა უტიაშვილი.

164 იქვე.

მიერ შემთხვევაში, საერთო ამნისტიასთან დაკავშირებული სარეკლამო თუ საინფორმაციო კამპანია დიდხანს ვერ გაგრძელდება. იმ ქვეყნებში მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, რომლებშიც მაღალია უკანონო იარაღის მფლობელობის დონე, ცხადი ხდება, რომ მოკლევადიანი ამნისტიების დროს ირაღის ჩაბრების წასახლისებლად უფრო წარმატებულია ინფორმაციის მიწოდების კამპანია. და მესამე. რადგანაც მიმდინარე ამნისტია დროში შეზღუდული არ არის და პარალელურად უკანონო იარაღის მფლობელობის კრიმინალიზაცია მიმდინარეობს, ეს ართულებს კანონაღსრულების პროცედურებს. ეს იმის გამო ხდება, რომ დღემდე ვერ დადგინდა, რა უნდა იყოს პოლიციის პრიორიტეტი – ხალხის წახალისება იარაღის ჩასაბარებლად, თუ მისი აქტიური ამოღება. და მართლაც, თუ უკანონო იარაღის მფლობელებმა იციან ამნისტიის შესახებ, შესაძლოა, პარალელურად პოლიციის მიერ იარაღის ამოღებამ მათში დაბნეულობა, დაპატიმრების შიში გამოიწვიოს და ამნისტიისადმი მათი ნდობა შელახოს. ამავე დროს, უვადო ამნისტიისას არარეგისტრირებული იარაღის მფლობელებს არ ექნებათ დასჯის რეალური შიში, რაც იარაღის ჩაბარების სურვილს შეუმცირებს. დროთა განმავლობაში ყოველივე ეს შეასუსტებს კანონაღმსრულებელთა ნებას მიმოქცევაში მყოფი იარაღის ამოღებასთან დაკავშირებით. და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ამნისტიები შესაძლოა უკანონო იარაღის მფლობელთა გარკვეული ნაწილისათვის იარაღის ნებყოფილობით ჩაბარებისა ან მისი ლეგალიზებისთვის წამახალისებელ ინიციატივად იქცეს, მაშინ, როდესაც პოლიცია რესურსების ნაკლებობას განიცდის, მიმდინარე ამნისტია კიდევ უფრო მწირს გახდის პოლიციის რესურსებს მტკიცე ზომების მისაღებად.

7.2 გამოცდილების გაზიარება მომავალში იარაღის ჩაბარების კამპანიის განსახორციელებლად

საქართველოში იარაღის ამოღების მიღებულმა გამოცდილებამ ნათელყო, რომ ნებისმიერი შემდგომი კამპანია შემდეგნაირად უნდა წარიმართოს:

იარაღის ამოღების შემდგომი კამპანიების შეზღუდვა ამნისტიებით

იარაღის ამოღების შემდგომი ინიციატივები, ალბათ, უფრო წარმატებული იქნება, თუკი მათ საერთო ამნისტიებით შეზღუდავენ, რომლის მიხედვითაც, იარაღის ჩაბარება სანქციების წაყენების გარეშე მოხდება და არა სხვა მეთოდებით, როგორიცაა, ვთქვათ, სალატარეო მოტივაცია ან გაცვლითი პროგრამები. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს სათემო ინფრასტრუქტურის პროექტების შექმნას ჩაბარებული იარაღის მაღალი მაჩვენებლის საპასუხოდ. კვლევის რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ პოლიციის ეფექტურობის გაზრდის გარდა, მათ თემებში განხორციელებული საერთო ამნისტია იარაღის ჩაბარების უფრო დიდ სურვილს გაუღვივებს იმ ადამიანებს, რომლებსაც სხვა ინიციატივების ეფექტურობისადმი, როგორც წესი, სკეპტიკური დამოკიდებულება ჰქონდათ.

ვადაში შეზღუდული ამნისტიები კანონაღსრულებითი მკაცრი ქმედებებით

ამნისტიის ეფექტურობისათვის, იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარების მოტივაციის უზრუნველსაყოფად, ვადის შეზღუდვა და კანონის მკაცრი აღსრულებაა საჭირო. ნათქვამის სისწორეს სოციოლოგიური კვლევის მონაცემებიც ადასტურებს. თხოვნაზე, დაესახელებინათ უკანონო იარაღის შემცირების სამი ძირითადი ფაქტორი, კვლევის რესპონდენტები, პოლიციის ეფექტური ქმედებების გარდა (53%), ყველაზე ხშირად იარაღის მფლობელობისათვის სასჯელის გამკაცრებას ასახელებდნენ (38%). და მართლაც, აჭარაში იარაღის ამოღების პროგრამის წარმატების წინაპირობა სწორედ მკაცრი კანონის აღსრულების შიში იყო.

ნდობის განმტკიცება იარაღის ამოღების კამპანიისა და შემსრულებლების მიმართ

მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის მიმართ მოქალაქეთა ნდობა უმჯობესდება, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები კვლავაც მიუთითებდნენ უშიშროების სტრუქტურებისადმი ხალხის ნდობის ნაკლებობზე, რაც ნებისმიერი კამპანიის წარმატებისათვის უმთავრეს ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. ბუნებრივია, რომ უკანონო იარაღის მფლობელნი დაპატიმრებისა და პოლიციის მხრიდან უსამართლო მოქცევის მუდმივ შიშში იქნებიან. აქედან გამომდინარე, რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ არარეგისტრირებული იარაღის მფლობელ ქართველთა უმრავლესობა პოლიციისათვის იარაღის ჩაბარებას ამჯობინებს მის დამარხვას, დამალვას ან რაიმე სხვა გზით

განადგურებას. და მართლაც, აჭარის კამპანიის წარმატება მეტწილად კეთილ ნებაზე იყო დამყარებული, რომელიც მოქალაქეებმა ახლად მოსული ხელისუფლების მიმართ გამოიჩინეს. ცხადია, რომ პოლიციისადმი ნდობის გასაძლიერებლად შემდგომი ინიციატივებია საჭირო – იქნება ეს რომელიმე კუთხის თავისებურებებიდან გამომდინარე პოლიციის ქმედებები, ხალხთან დაახლოების კამპანიები თუ პოლიციის საქმიანობის შემდგომი ხელშეწყობა არაეთნიკური ქართველებით დასახლებულ რეგიონებში. პოლიციისამი ნდობის ხელისშემწყობ კიდევ ერთ ფაქტორად შესაძლოა ქცეულიყო იარაღის ამოღების სმეთვალყურეოდ დამოუკიდებელი ომბუდსმენის დანიშვნა, რაც გააქარწყლებდა პოლიციის მხრიდან დაპატიმრებისა და უსამართლო მოპყრობის შიშს.

უსაფრთხოების დონის ამაღლების უზრუნველყოფა

მოკლედ რომ ვთქვათ, ბევრს კვლავაც არ სურს იარაღის ჩაბარება და ეს გამოწვეულია, ერთი მხრივ, დანაშაულის, მეორე მხრივ კი, დაუცველობისადმი ზოგადი შიშის გამო (იხ. მონაკვ. 4). სოციოლოგიური კვლევის რესპონდენტთა უმრავლესობამ (53%) განაცხადა, რომ პოლიციის უფრო ეფექტური ძალისხმევა ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია უკანონო მსუბუქი შეიარაღების გავრცელების წინააღმდეგ, მაგრამ, ამავე დროს, ყველაზე ხშირად ისმოდა ასეთი პასუხი: „კანონი, რომელიც მოქმედებს“ (26%). მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის ქმედებები და უსაფრთხოების დონე ბოლო ხანს გაუმჯობესდა, ამ სფეროში გასაკეთებელი კვლავ ბევრი რჩება, კერძოდ, საჭიროა, კანონაღსრულების დეტალურად დაგეგმვა, პოლიციის მიერ ცალკეული კუთხის თავისებურებათა გათვალისწინება, რაც დაეხმარება ამ კუთხის მცხოვრებლებთან დაახლოებაში და, მეორე მხრივ, პოლიციის საქმიანობისადმი მოსახლეობის მხარდაჭერა.

არავითარი უსაფრთხოება არ არსებობს და ამიტომაც ვფიქრობ, რომ იარაღს არავინ დათმობს.

ფოკუს-ჯგუფი N, მარნეული, მამკაცი, 46 წლის.

ხალხის ინფორმირებულობის კამპანია იარაღის ამოღების პროცესში

იარაღის ამოღების უწინდელ კამპანიებს საქართველოში ხელი შეუშალა ხალხის ინფორმირებულობის დაბალმა მაჩვენებელმა, რაზეც მიუთითებდნენ როგორც კვლევის ჯგუფის, ასევე ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები. მაგალითად, გამოკითხულთა მხოლოდ 60%-მა იცოდა არალიცენზირებული იარაღის ამოღებასთან დაკავშირებით ხელისუფლების მიერ გადაადგმული ნაბიჯების შესახებ[165], თუმცა, შემდგომი გამოკითხვებისას რესპონდენტთა მხოლოდ 46%-მა შეძლო იარაღის ჩაბარების პროცედურის იდენტიფიცირება. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ რეალური ცოდნა უწინდელ ამნისტიასა/იარაღის ამოღებაზე უფრო დაბალია, ვიდრე ამას აღიარებენ. ფოკუს- ჯგუფის მონაწილეებმა თავად გამოთქვეს აზრი, რომ როგორც ამჟამინდელი ამნისტია, ასევე იარაღის ამოღების შემდგომი კამპანიები წარმატებული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუკი მათ პარალელურად ჩატარდება რეგისტრირებისა და იარაღის ჩაბარების პროცედურათა განმარტებითი ღონისძიებები.

სპეციფიკური განმარტებითი კამპანიების ჩატარება ეთნიკური უმცირესობებისთვის

ძალზე დიდია შეუსაბამობა იარაღის ამოღების უწინდელი ინიციატივების შესახებ ინფორმაციის ფლობაში ეთნიკურ ქართველებსა (63 %) და საქართველოს არაეთნიკურ მოსახლეობას შორის (29%). იარაღის ამოღების უწინდელი კამპანიების შესახებ ცოდნა გაცილებით უფრო მწირია ქვემო ქართლში (34%), სადაც ეთნიკური აზერბაიჯანელების დიდი თემი სახლობს, ვიდრე საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე (60%). ამჟამინდელი ამნისტიის შესახებ ინფორმირებულობა, ასევე, დაბალია ქვემო ქართლში. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამ საკითხებთნ დაკავშირებით გაცილებით ნაკლები ურთიერთობა აქვს არაეთნიკურ ქართველებთან, ვიდრე ქართველებთან.

არა, ჩვენ არ გვსმენია ამნისტიის შესახებ და არც არავითარი ინფორმაცია არა გვაქვს იარაღის რეგისტრირებისა თუ ჩაბარების შესახებ. არც იარაღის ამოღებასთან დაკავშირებულ სხვა პროგრამებზე გვსმენია რაიმე.

ფოკუს-ჯგუფი N, მარნეული, მამაკაცი, 46 წლის.

165 ეს რიცხვი მნიშვნელოვნად მაღალია აჭარაში (87%), ალბათ, წარმატებით ჩატარებული იარაღის ჩაბარების კამპანიის შედეგად.

იარაღის ამოღების მიზანმიმართული კამპანიები პრიორიტეტულ რეგიონებში

იარაღის ამოღების ყოველი სამომავლო კამპანია მიმართული უნდა იყოს იმ რეგიონებისაკენ, რომლებშიც უკანონო იარაღის მფლობელობის დონე მაღალია, როგორც, მაგალითად, სამეგრელო-ზემო სვანეთში ან ქვემო ქართლში (იხ. მონაკვ. 3.5), ან უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობის სპეციფიკური დინამიკის რეგიონებისაკენ, როგორსაც აჭარა წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული უნდა იყოს იარაღის უკანონო მფლობელობის ყველა ცალკეული მიზეზი.

ყოვლისმომცველი წინასაკამპანიო დაგეგმვა

საქართველოს ყოველ სამიზნე რეგიონში იარაღის ამოღების კამპანიის მოსამზადებელი ფაზის წინ უნდა მოხდეს იარაღის მფლობელთა დამოკიდებულებების ყოვლისმომცველი შეფასება. ამგვარი კვლევა, წინამდებარე ანგარიშით მოწოდებულ ინფორმაციასთან ერთად, ხელს შეუწყობდა იმ მეთოდების დადგენას, რომლებიც ყველაზე მეტად შეეფერება ყოველი თემის საჭიროებებს და მათ სუსტ მხარეებს.

7.3 მსუბუქი შეირაღების განადგურება

იძულებით ამოღებული სამოქალაქო იარაღის განადგურება

საქართველოს არ გააჩნია საზოგადოებიდან იძულების წესით ამოღებული იარაღის განადგურების თანმიმდევრული პოლიტიკა. მაშინ, როდესაც ეუთოს საგანგებო პროგრამების შედეგად ამოღებული იარაღი განადგურებას ექვემდებარებოდა, ხოლო სხვა კამპანიების მიერ ამოღებული კი – არა, ის გადაჰქონდათ სახელმწიფო სააგენტოებში და სამინისტროებში. მაგალითად, 2004 წელს აჭარაში სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსა და შსს-ს მიერ მოქალაქეებიდან, კრიმინალური დაჯგუფებებიდან და აჭარის თანამდებობის პირთაგან ამოღებული იარაღი თავდაცვის სამინისტროს გადაეცა. დღესდღეობით ეს უწყება თავის არსენალში არსებული იარაღის ხელახალ აღწერას აწარმოებს (იხ. ქვემოთ). კრიმინალური წარსულის მქონე არაფუნქციურ იარაღს ჩამოწერენ და გაანადგურებენ[166]. მოქალაქეებიდან ამოღებულ იარაღს (ისევე როგორც თავდაცვის სამინისტროს სხვა იარაღს) გაანადგურებს სახელმწიფო საწარმო „დელტა“. დღესდღეობით „დელტამ“ უკვე გაანადგურა მოქალაქეებიდან ამოღებული 84 ერთეული მსუბუქი შეირაღება, 17 ავტომატური იარაღის ჩათვლით[167].

სახელმწიფოს ხელში არსებული ზედმეტი იარაღის განადგურება

“დელტას“ დირექტორის ინფორმაციით, საქართველოს არ გააქვს სხვა სახელმწიფოებში თავის არსენალში არსებული ზედმეტი იარაღი და მსუბუქი შეიარაღება, ისევე როგორც არ ყიდის კერძო პირებზე საბრძოლო მასალებსა ან ასაფეთქებელ ნივთიერებებს (გადამუშავებული პროპელანტი, დენთი და TNT შეიძლება გაიყიდოს მხოლოდ სამრეწველო საჭიროებისათვის)[168]. ამასთან ერთად, იარაღის განადგურების პროცესი შემდეგ პრინციპებს უნდა ემყარებოდეს: უსაფრთხოებას, დაცულობას, ეფექტურობას, განადგურების სპეციფიკური პროცედურების დაცვას, კანონის აღსრულებას და ანგარიშვალდებულებას. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საერთაშორისო დახმარების მეშვეობით 2003-2005 წლებში განადგურდა შემდეგი სახის ჭარბი სამხედრო აღჭურვილობა[169]:

ცხრილი 15: თ.ს-ს ჭარბი იარაღის განადგურება 2003-2005 წლებში[170]

იარაღის ტიპი	რაოდენობა	ღირებულება	დონორი სააგენტო
AD რაკეტები	500+	1.250.000 ევრო	PIP სატრასტო ფონდი, NAMSA ზედამხედველი
AAA და Arty	50.000	1.700.000 ევრო	ეუთოს დაფინანსებით

166 კორესპონდენცია მამუკა კიკალეიშვილთან, თავდაცვის სამინისტრო, ივნისი, 2006.

167 იგივე.

168 დავით ნაირაშვილის პრეზენტაცია საპარლამენტო სამუშაო სემინარზე „მცირე შეიარაღება დსთ რეგიონში, თბილისი, საქართველო, 9-10 ივნისი, 2006.

169 იგივე

170 რამდენიმე ერთეული განადგურებული იარაღი შეიძლება არ იყოს მსუბუქი იარაღი. მაგალითად, AD (საჰაერო თავდაცვა) რაკეტის მონაცემები შეიძლება იცვლებოდეს MANPADS-იდან შერეულ სარაკეტო სისტემებამდე.

განადგურების გეგმა 2006-2009 წლებისთვის მოიცავს მსუბუქი იარაღის მარაგის განადგურების პროექტს, SA, A, AS რაკეტების დემილიტარიზაციას, ასევე AAA Arty და ავიაბომბების განადგურებას.

მსუბუქი შეიარაღების განადგურება

თავდაცვის სამინისტრო ამჯერად ახორციელებს მის არსენალში არსებული მთელი მცირე შეიარაღების ინვენტარიზაციას ჭარბი და მოძველებული მსუბუქი შეირაღების განადგურების მიზნით. სავარაუდოა, რომ თავდაცვის სამინისტროს არსენალში არსებული მსუბუქი შეიარლებიდან 30-დან 50 ტონამდე მოძველებული აღმოჩნდება და განადგურებას დაექვემდებარება[171]. განადგურების ხარჯები 10.000 ევროდან 150.000 ევრომდე აღწევს. თავდაცვის სამინისტროს ჯერ არ დაუდგენია განადგურებისთვის საჭირო თანხები, მაგრამ დახმარების ყველაზე შესაძლებელ წყაროდ USAID-სა და NAMSA-ს (ნატო-ს შენარჩუნების სააგენტო) ვარაუდობენ, რომლებმაც უკვე გამოხატეს იარაღის განადგურების მხარდაჭერის სურვილი. ამ პროცესში თავის წვლილს, ასევე, შეიტანს ეუთოს მისია საქართველოში.

„დელტას“ დაევალა ჭარბი და მოძველებული სამხედრო აღჭურვილობის განადგურება, რაც იმას ნიშნავს, რომ სწორედ „დელტა“ იქნება იარაღის განადგურების დაგეგმილი პროგრამის შემსრულებელი „წამყვანი სააგენტო“. ტენდერის შედეგად, შეირჩა კიდევ ორი სააგენტო, რომელიც მსუბუქ შეიარაღებას გადაამუშავებს (გადაადნობს). ესენია მეტალურგიის ინსტიტუტი და 31-ე საავიაციო ქარხანა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ეს საწარმოები მათი მდიდარი გამოცდილებისა და სათანადო ინფრასტრუქტურის გამო იყო შერჩეული.

განადგურების მთელი პროცესი თავდაცვის სამინისტროს მკაცრი კონტროლის ქვეშ წარიმართება. განადგურებას დაქვემდებარებულ მსუბუქ შეიარაღებას ჯერ თავდაცვის სამინისტროს საწყობებში გადაიტანენ, შემდეგ კი – „დელტაში“. „დელტაში“ ნაწილ-ნაწილ დაჭრის შემდეგ იარაღს ისევ თავდაცვის სამინისტროში დააბრუნებენ, საიდანაც მოგვიანებით მეტალურგიის ინსტიტუტსა და 31-ე ქარხანაში წაიღებენ გადასადნობად.

საბრძოლო მასალების განადგურება

თავდაცვის სამინისტრო 23 მმ-იან კალიბრზე მცირე საბრძოლო მასალების განადგურებას პრიორიტეტულად არ თვლის, რადგანაც მის რაოდენობას ჭარბად არ მიიჩნევს[172]. თუმცა თავდაცვის სამინისტრო მაინც აღიარებს საბრძოლო მასალების განადგურების პროგრამათა აუცილებლობას, შესაბამისად, „დელტა“ მუშაობს განადგურების პროცედურების შესამუშავებლად[173]. პარალელურად მიმდინარეობს ჭარბი მსხვილკალიბრიანი საბრძოლო მასალების შეგროვება დედოფლისწყაროსა და ფონიჭალაში არსებულ სადემილიტარიზაციო იარაღის გასანადგურებელ ქარხნებში. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საბრძოლო მასალები ჩამოიწერება მხოლოდ მათი აფეთქების ან ჯართად გადამუშავების შემდეგ ან თუ ის ვარგისია ასაფეთქებლად საწარმოო გამოყენებისათვის, რომელიც იყიდება და გადის სამხედრო ბაზებიდან.

171 ინტერვიუ, ლეიტენანტი პოლკოვნიკი ხვადაგიანი

172 იგივე.

173 იგივე.

8

საერთაშორისო გადაზიდვების კონტროლი და საზღვრის მენეჯმენტი

ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველომ დიდ წარმატებებს მიაღწია გადაზიდვათა კონტროლისა და სასაზღვრო მენეჯმენტის სფეროში. ამ პროცესის საკვანძო ეტაპებია: 1997 წელს სამხედრო ტექნიკური კომისიის უწყებათაშორის ერთეულად დაარსება, რომელსაც ზედმხედველობაა უნდა გაეწია ეროვნული იარაღის გადაზიდვების სისტემისათვის; 1998 წელს ეროვნული კანონმდებლობის მიღება, რომელიც დაარეგულირებდა იარაღის საერთაშორისო გადაზიდვებს და 2003-2006 წლებში სასაზღვრო სამსახურის რეფორმა.

ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა აშშ-ს ხელშეწყობით შეიქმნა. ეს კანონმდებლობა ამჟამად არეგულირებს ვაჭრობის უდიდეს ნაწილს (პირდაპირი იმპორტისა და ექსპორტის ჩათვლით), გადაზიდვებსა და ტრანზიტს. ის, ასევე, შეიცავს მთელ რიგ ვალდებულებებს, როგორიცაა, ვთქვათ, საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატისა თუ მიწოდებული ტვირთის შემდგომი შემოწმება. საკანონმდებლო პროცესის განვითარებასთან ერთად, ასევე, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასაზღვრო სამსახურის რეფორმას, რომლის შედეგადაც საზღვრის დაცვის დეპარტამენტი გაერთიანდა შსს-ში და გარდაიქმნა სამოქალაქო უწყებად – სასაზღვრო პოლიციად. ამ უწყების კადრები გადიან ხელახალ წვრთნას და ტრენინგს. საზღვრის დაცვისა და საბაჟო სამსახურის ოფიციალური პირები მარაგდებიან შესაბამისი აღჭურვილობით და გადიან წვრთნას ამ აღჭურვილობის ექსპლოატაციისათვის სათანადო უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად. გაუმჯობესდა უწყებათაშორისი თანამშრომლობა სასაზღვრო პოლიციასა და საბაჟო დეპარტამენტს შორის. აშკარა პროგრესის მიუხედავად, საერთაშორისო გადაზიდვების სისტემა საკანონმდებლო თვალსაზრისით კვლავ მოითხოვს შემდგომ განვითარებას ევროპულ პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. გაუმჯობესება ესაჭიროება სასაზღვრო მენეჯმენტისა და ლიცენზირების სისტემასაც.

ეროვნული კანონმდებლობის მთელ რიგ პუნქტებში კვლავაც გვხვდება საკმაოდ სუსტი დებულებები: გადაზიდვებისა და ტრანს-გადაზიდვების რეგულირება სათანადოდ ვერ ხორციელდება, არ არსებობს საბროკერო საქმიანობის მარეგულირებელი საგანგებო დებულებები; შეუსაბამობაა საბრძოლო და არასაბრძოლო იარაღისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო კონტროლის საკითხებში; საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატი არ მოითხოვება ისეთი გადაზიდვებისათვის, რომლის დანიშულებასაც წარმოადგენს ოფიციალური სახელმწიფო უწყებები; საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატის შემოწმების წესი არ არის უნივერსალური და საქართველოდან იარაღის ხელახალი ექსპორტისთვის არ არის საჭირო მწარ-

მოებელი ქვეყნის თანხმობა. კანონმდებლობის ამგვარი სუსტი მხარეები აქამდე პრობლემებს არ ქმნიდა, რადგან საქართველო არ არის იარაღის მწარმოებელი ქვეყანა და, შესაბამისად, ცივი ომის დროინდელი ჭარბი სამხედრო მარაგიც 2000 წლის შემდეგ ნაკლებ ყურადღებას იქცევს. მიუხედავად ამისა, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში იარაღისა და საბრძოლო მასალების, ან მათი სათადარიგო ნაწილების წარმოება დაიწყება, ან საქართველო მნიშვნელოვან წარმატებებს მიღწევს სატრანზიტო ვაჭრობაში, კონტროლის სისტემის არსებული სისუსტეები, არასათანადო გამჭვირვალობასა და არასრულფასოვან სალიცენზიო გადაწყვეტილებებთან ერთად, სერიოზულ პრობლემებს შექმნის.

სასაზღვრო პოლიციის მიმდინარე რეფორმა პოზიტიური ნაბიჯია სასაზღვრო მენეჯმენტის გამართული სისტემის ამოქმედების უზრუნველსაყოფად. თუმცა ეს პროცესი შეაფერხა ამ სფეროში მკაფიო მიზნების უქონლობამ და გარდამავალი გეგმის არარსებობამ. ამის მიზეზად სასაზღვრო პოლიციის უუნარობა უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან ამ უწყებამ სწორად ვერ შეაფასა რისკ-ფაქტორი და ვერ შეიმუშავა ეროვნული საზღვრის სტრატეგია. საზღვრის მართვის უნარს, ასევე, აქვეითებს სასაზღვრო პოლიციის გაუმართავი კომუნიკაცია როგორც რეგიონალურ ცენტრებსა და შტაბს, ასევე, სასაზღვრო პოლიციასა და შსს-ს შორის. სუსტია და უფრო აქტიურ თანამშრომლობას საჭიროებს ურთიერთობა სასაზღვრო პოლიციასა და საბაჟო დეპარტამენტს შორის. არადა მათი ურთიერთობის დამარეგულირებელი ურთიერთგაგების მემორანდუმი დღემდე არ არსებობს. და ბოლოს, საზღვრის მენეჯმენტის გაუმჯობესებას, ასევე, ხელს უშლის მწირი სახელმწიფო დაფინანსება და საერთაშორისო დონორებზე ზედმეტად დამოკიდებულება.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ იარაღის გადაზიდვის სალიცენზიო სისტემა მთელ რიგ სფეროებში ჯერ ისევ სუსტია, ხოლო 2005 წელს ის კიდევ უფრო ჩამოშორდა ევროპის და, ზოგადად, საერთაშორისო პრაქტიკას ორი მნიშვნელოვანი ცვლილების შედეგად. პირველი, პრეზიდენტის 847-ე ბრძანებულების (2005 წლის ოქტომბერი) თანახმად, სამხედრო-ტექნიკური კომისია, რომელსაც იარაღის გადაზიდვებზე ლიცენზიის გაცემის შესახებ საბოლოო გადაყვეტილება უნდა მიეღო, თავდაცვის სამინისტროს დეპარტამენტად გარდაიქმნა. მანამდე სამხედრო-ტექნიკური კომისია ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს დაქვემდებარებაში მოქმედ უწყებათაშორის ჯგუფს წარმოადგენდა[174]. აღნიშნული რესტრუქტურიზაციის შედეგად თავდაცვის სამინისტრო იქცა მთავარ სტრუქტურად, რომელიც განაგებს თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს იარაღის კონტროლის ჩათვლით[175].

ამ სფეროში თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებლობა უახლოეს მომავალში ალბათ აღარ შეიცვლება[176]. საჭირო აღარ არის იუსტიციის სამინისტროსა და ეკონომიკის განვითარების სამინისტროს მიერ სახელმწიფო უწყებებისა და მათდამი დაქვემდებარებული ორგანოების მიერ იარაღის გადაზიდვების ლიცენზირება, როგორც ეს უწინ იყო. ამის სანაცვლოდ, ამ უწყებებს შეუძლიათ გადაზიდვების განხორციელება მხოლოდ სამხედრო ტექნიკურ კომისიასთან შეთანხმების სფუძველზე. ამ ცვლილებებმა შეამცირა ზედმეტი კონტროლი სატრანსფერო ლიცენზირების სისტემაზე და შექმნა ისეთი ვითარება, როდესაც სახელმწიფო სამინისტროებსა და, კერძოდ, თავდაცვის სამინისტროს შეუძლიათ იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლისა და ტექნოლოგიების ყოველგავარი კონტროლის გარეშე გადატანა. ეს მეტად მნიშვნელოვანი ვითარებაა, მაგრამ არა ქვეყნის შიდა უსაფრთხოებისათვის, რადგანაც 2005-2006 წლების პერიოდში საქართველოს მთელ მსოფლიოში ყველაზე სწრაფად მზარდი სამხედრო ხარჯები აქვს, შესაბამისად, განხორციელდა მნიშვნელოვანი რაოდენობის მსუბუქი შეიარაღების იმპორტი (იხ. ქვემოთ). როგორც თავდაცვის სამინისტრომ აღნიშნეს, „ქვეყანაში (საქართველო) გადაუჭრელი კონფლიქტების ფონზე საქართველოში ჭარბი იარაღი არ უნდა იყოს“[177]. თუმცა, ამის უზრუნველყოფა შეუძლებელია ლიცენზირების პროცედურების გამჭვირვალობის გაზრდისა და კონტროლის გამკაცრების გარეშე. ამასთან ერთად, თავდაცვის სამინისტროში გადაზიდვის საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცედურის ცენტრალიზება ცუდ პრეცედენტს ქმნის როგორც მსუბუქი შეიარაღების საკითხებთან დაკავშირებით უწყებათაშორის თანამშრომლობაზე, ისე, ზოგადად, უსაფრთხოების სექტორის კონტროლზე.

174 დაარსდა 1997 წელს, პრეზიდენტის, №582-ე ბრძანებულებით

175 ინტერვიუ, მამუკა კიკალეიშვილი.

176 ინტერვიუ, გიორგი დოლიძე.

177 კორესპონდენცია მამუკა კიკალეიშვილთან, თავდაცვის სამინისტრო, 2006 წლის ივნისი.

8.1 კანონმდებლობა და რეგულირება

საქართველოში სამოქალაქო მიზნებით გამოსაყენებელი იარაღის, სამხედრო აღჭურვილობის, შეიარაღებისა და სხვა სახის სამხედრო-ტექნიკური აღჭურვილობის გადაზიდვას, ასევე, საზღვრის მართვის საკითხებს შემდეგი კანონები არეგულირებს:

- „კანონი შეიარაღების, სამხედრო მოწყობილობებისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო (და საიმპორტო) კონტროლის შესახებ“ (1998 წლის 28 აპრილი, შემდგომ „კანონი ექსპორტზე“) და მისი დამატებები (2003 წლის მაისი და 2004 წლის ივნისი, 2005 წლის ნოემბერი, 2006 წლის ივნისი), რომელიც არეგულირებს ყველა ტიპის შეიარლებისა და სამხედრო აღჭურვილობის იმპორტს, ხელახალ ექსპორტს, გადაზიდვებსა და ტრანზიტულ გადაზიდვებს და ავალდებულებს სახელმწიფო ორგანზაციებს, შეაჩერონ საქართველოს საბაჟო სამსახურების კონტრილქვეშ მყოფი საექსპორტო და საიმპორტო პროდუქციის უკანონო გადაზიდვები.
- „კანონი იარაღის შესახებ“ (2003 წლის 8 მაისი). კანონი შეიცავს შეზღუდულ დებულებებს, რომლებიც არეგულირებს ექსპორტს, იმპორტს, ხელახალ ექსპორტს და ცეცხლსასროლი იარაღის ტრანზიტს.
- „კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ (2005 წლის 24 ივნისი), რომელიც აუქმებს სახელმწიფო უწყებების მიერ მსუბუქი შეიარაღების გადაზიდვათა განხორციელებისას ნებართვებისა და ლიცენზიების საჭიროებას.
- „კანონი საზღვრის დაცვის შესახებ“, რომელიც არეგულირებს საზღვრის დაცვის საქმიანობას. უკვე შეიქმნა და პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „სასაზღვრო პოლიციის შესახებ“[178].
- საბაჟო კოდექსი, რომელიც არეგულირებს საბაჟო სამსახურის საქმიანობას.
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელს კანონმდებლობის დარღვევისათვის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო გადაზიდვების კონტროლის დღევანდელი სისტემა ეფუძნება პრეზიდენტის მთელ რიგ ბრძანებულებებს, რომლებმაც მნიშვნელოვნი გავლენა იქონია გადაზიდვების კონტროლის სისტემაზე, მათ სტრუქტურასა და ფუნქციონირებაზე. ესენია:

- პრეზიდენტის №582-ე ბრძანებულება (1997 წლის ოქტომბერი, რომლითაც დადგენილია სამხედრო საქონლის ექსპორტისა და იმპორტისათვის აუცილებელი ტექნიკური დოკუმენტაციის შესადგენად საჭირო პროცედურები. ბრძანებულება, ასევე, ქმნის უწყებათაშორის სამხედრო-ტექნიკურ კომისიას სამხედრო დანიშნულების საქონლის ექსპორტისა და იმპორტის რეგულირებისთვის.
- პრეზიდენტის №103-ე ბრძანებულება (1999 წლის მარტი), რომელიც იუსტიციის სამინისტროს ავალებს იარაღის გადაზიდვაზე ლიცენზიების გაცემას.
- პრეზიდენტის №847-ე ბრძანებულება (2005 წლის ოქტომბერი), რომელიც სამხედრო-ტექნიკურ კომისიას თავდაცვის სამინიტროს უქვემდებარებს.

საერთაშორისო ვალდებულებები და მათი აღიარება

საქართველო გახდა მონაწილე მსუბუქი შეიარაღების საკითხებზე მთელი რიგი საერთაშორისო ინსტრუმენტებისა, რომლებიც შეიცავს გაეროს სამოქმედო პროგრამას და ეუთოს დოკუმენტებს მსუბუქი შეიარაღებისა და ჩვეულებრივი საბძოლო მასალების მარაგთა შესახებ. თუმცა, საქართველოს არა აქვს მოწერილი ხელი გაეროს პროტოკოლზე ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ. შეუსაბამობას ქმნის მრავალმხრივი ფორუმებით კომუნიკაცია. მაგალითად, გაეროს არხებით ანგარიშგება არარეგულარულია (2005 წელს გაეროს განიარაღების საქმეთა დეპარტამენტში შეტნილი იყო ერთადერთი ანგარიში, რომელიც ეხებოდა გაეროს სამოქმედო გეგმის განხორციელებას). არ არსებობს ინფორმაცია საქართველოს მიერ ეუთოს კონფიდენციალურ სისტემაში მსუბუქი შეირაღების გადაზიდვათა ანგარიშგების რეგულარობისა და დეტალურობის შესახებ.

ეროვნული პოლიტიკის განვითარება

ექსპორტზე კანონის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი ვალდებულია განავითაროს სახელმწიფო პოლიტიკა გადაზიდვის კონტროლზე, შესაბამისად, საქართველომ უნდა შექმნას გადაზიდვის კონტროლის სისტემა, შეიმუშავოს იმ სახელმწიფოთა სია,

178 საქართველო, ასევე, არის ანტიტრეფიკინგში თანამშრომლობის მრავალი ორმხრივი და საერთაშორისო შეთანხმების წევრი. ეს შეთანხმებები ჩამოთვლილია 8.3 მონკვეთში

რომლებიც გადაზიდვისას შეზღუდვას ექვემდებარებიან. თავდაცვის სამინისტრო უფლებამოსილია, განახორციელოს ზედმხედველობა შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაზე. თუმცა, უნდა ითქვას, რომ საქართველოს პრეზიდენტი უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს გადაზიდვების კონტროლის სისტემის გნვითარებაში, ვიდრე ქვეყნის პარლამენტი. პრეზიდენტი პასუხისმგებელია გადაზიდვების კონტროლის სისტემასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების შექმნაზე, იგი, ასევე, ამტკიცებს სამხედრო-ტექნიკური კომისიის მიერ შედგენილი პროდუქციის სიას, რომელიც ექვემდებრება გადაზიდვების კონტროლს, ზედმხედველობას ახორციელებს შესაბამის აღმასრულებელ სააგენტოებზე (მაგ. თავდაცვის სამინიტროს, იუსტიციის სამინისტროს, ეკონომიკის განვითარების სამინისტროს და საბაჟო დეპარტამენტს) მათი უფლებამოსილების დადგენის მიზნით; ასევე, ამტკიცებს იმ სახელმწიფოთა სიას, რომლებიც საექსპორტო შეზღუდვებს ექვემდებარებიან. პრეზიდენტის როლის მნიშვნელობა იმ ბრძანებულებათა შინაარსიდანაც ჩანს, რომლებიც გადაზიდვების კონტროლის სისტემის შესახებ არის გამოცემული. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანს 2005 წლის 24 ოქტომბრის N847-ე ბრძანებულება წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც, სამხედრო-ტექნიკური კომისია თავდაცვის სამინისტროს დაექვემდებარა.

გადაზიდვების ლიცენზირება

„კანონი იარაღის ექსპორტზე“ მოითხოვს, რომ მოვაჭრეებმა განცხადებით მიმართონ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ ლიცენზირებისა და რეგისტრაციის დეპარტამენტს მსუბუქი შეიარღების გადაზიდვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ორმაგი დანიშნულების საქონლის გადაზიდვაზე განცხადება უნდა შევიდეს ეკონომიკისა და განვითარების სამინისტროს ექსპორტის შემოწმების დეპარტამენტში. ნებისმიერი სამოქალაქო იურიდიული პირი ან ინდივიდი, რომელსაც იარაღის გადაზიდვის სურვილი გააჩნია, ვალდებულია იუსტიციის/ეკონომიკის განვითარების სამინისტროებში შემდეგი დოკუმენტაცია წარადგინოს[179]:

- განცხადება, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნილი ნებართვის ტიპს;
- ხელმოწერილი კონტრაქტის ასლი და ოფიციალური წერილი;
- მწარმოებელი ქვეყნის სერტიფიკატი;
- ტვირთის სადაზღვევო ინფორმაცია;
- გადაზიდვის ნებართვა, გაცემული იმ ქვეყნის პასუხისმგებელი ორგანოს მიერ, რომელშიც იარაღის ტიპის განსაზღვრის შესახებ წერილის წარმომდგენი ორგანიზაციაა რეგისტრირებული;
- საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატი (სახელმწიფო უწყებების მიერ საბრძოლო იარაღის ექსპორტისა და იმპორტის გარდა).

მას შემდეგ, რაც იუსტიციის ან ეკონომიკის განვითარების სამინისტრო დაასრულებს იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლისა და ტექნოლოგიების აპლიკაციისა და დოკუმენტაციის პირველად შეფასებას, „ექსპორტზე კანონის“ თანახმად, სამინისტრომ უნდა გასცეს ან არ გასცეს ნებართვა სამხედრო-ტექნიკური კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლისა და ტექნოლოგიების გადაზიდვის საბოლოო გადაწყვეტილება სამხედრო-ტექნიკურმა კომისიამ უნდა მიიღოს. სამხედრო-ტექნიკური კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დოკუმენტაციის შესწავლისა და უწყებათაშორისი ექსპერტთა ჯგუფის რჩევის გათვლისწინების შედეგად. ეს უკანასკნელი კი ვალდებულია, კომისიას მიაწოდოს დეტალური შეფასება ყოველ შემოთავაზებულ გადატანასთან დაკავშირებით, ყოველი კონკრეტული შემთხვევის განხილვის საფუძველზე[180]. ექსპორტზე კანონის შესაბამისად, საქართველოს გადაზიდვების სისტემის კონტროლი შემდეგ პრინციპებს ემყრება[181]:

- საქართველოს მიერ ნაკისრი საერთშორისო ვალდებულებები მასობრივი განადგურების იარაღისა და სხვა იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ;
- პოლიტიკური პრიორიტეტები იმპორტისა და ექხპორტის კონტროლის განხორიცელებისას;
- გაუვრცელებლობის რეჟიმით განსაზღვრული და ექხპორტ-იმპორტის კონტროლს დაქვემდებარული მასალებისა და პროდუქციის საბოლოო მომხმარებლის შემოწმება.

თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ის, ასევე, მხედველობაში იღებს გადაზიდვის განხორიცელების შედეგად ადამიანთა უფლებების დარღვევის პოტენციურ შესაძლებლობას[182].

179 კორესპონდენცია მამუკა კიკალეიშვილთან, თავდაცვის სამინისტრო, 2006 წლის ივნისი.

180 იგივე

181 კანონი ექსპორტის შესახებ, მუხლი 2.

182 კორეპოდენცია მამუკა კიკალეიშვილთან, თავდაცვის სამინისტრო, 2006 წლის ივნისი.

მიუხედვად იმისა, რომ ეს ზოგადი პრინციპები დადებითად არის შეფასებული საერთაშორისო ეხპორტიორი ქვეყნების მიერ, გამოთქმულია მოსაზრება, რომ გადაზიდვების ლიცენზირების სტანდარტების გაუმჯობესებას კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს დეტალური კრიტერიუმები. იარაღის ექსპორტის შესახებ ევროკავშირის ქცევის კოდექსი დეტალურად აღიარებს ექსპორტის საკმაოდ განვითარებულ კრიტერიუმებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ჯერჯერობით არ არის ვალდებული, თავის საექსპორტო კანონმდებლობაში ევროკავშირის ექსპორტის ქცევის კოდექსის კრიტერიუმები გაითვალისწინოს, მას ამის გაკეთება დროთა განმავლობაში მაინც მოუწევს, ევროკავშირში გაწევრიანებისათვის აუცილებელი ვალდებულების სახით. ამასთან ერთად, იარაღის ლიცენზირების გაცემისას უფრო დეტალური ინფორმაციის არსებობის გარეშე შეუძლებელია, დადგინდეს, თუ როგორ იღებენ პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს, ან განისაზღვროს ზემოთჩამოთვლილი პრინციპების როლი ამ საქმეში. სამხედრო-ტექნიკურ კომისიას ლიცენზირებზე გადაწყვეტილებების მიღებისას შესამჩნევ დახმარებას გაუწევდა იარაღის ექსპორტზე ყოველწლიური ანგარიშგების პუბლიკაციები.

იუსტიციის სამინისტრო/ეკონომიკის განვითარების სამინისტროს შეუძლია გასცეს გადაზიდვის ნებართვა შეზღუდული რაოდენობის საომარ იარაღსა და ორმაგი დანიშნულების საქონელზე სამხედრო ტექნიკურ კომისიასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. საუბარია შემდეგი სახის იარაღზე: ყველა სახის ორმაგი დანიშნულების საქონელი (როგორც ორმაგი მოხმრების საქონელის ქართულ ჩამონათვალშია მოცემული)და სამხედრო დანიშნულების არმქონე იარაღი; სანადირო თოფები; სპორტული იარაღი; სასაჩუქრო იარაღი; გაზის პისტოლეტები; საფანტის თოფები და ძველი თოფები თავიანთი საბრძოლო მასალებით[183]. იუსტიციის სამინისტრო/ეკონომიკის განვითარების სამინისტრო მხოლოდ ვალდებულია აცნობოს სამხედრო-ტექნიკურ კომისიას ამ საქონლის გადასაზიდად ლიცენზიის გაცემის შესახებ, ისიც მას შემდეგ, რაც ლიცენზია უკვე გაცემულია. ასევე, ხელმიუწვდომელია ინფორმაცია ლიცენზირების იმ ზუსტი კრიტერიუმების შესახებ, რომელსაც იყენებს იუსტიციის/ეკონომიკის განვითარების სამინისტრო.

ლიცენზირების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების დღეს არსებული სიტუაცია მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ საქართველოს ხელისუფლება იარაღისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის გადაზიდვების კონტროლის ორი სისტემით ხელმძღვანელობს: ერთი – ეს არის სამხედრო ტიპის იარაღი და ორმაგი დანიშნულების პროდუქცია, რომელსაც სამხედრო-ტექნიკური კომისია უწევს ზედამხედველობას, მეორე – არასამხედრო ტიპის იარაღი და ორმაგი დანიშნულების პროდუქცია (ძირითადად, გლუვლულიანი სანადირო იარაღი), რომლის პირდაპირ კონტროლსაც იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს. თავად ის ფაქტი, რომ არასამხედრო დანიშნულების იარაღი და ორმაგი დანიშნულების პროდუქცია არ საჭიროებს სამხედრო-ტექნიკური კომისიის მხრიდან დამოწმებას, შესაძლოა, რისკის იმ დაბალ ხარისხზე მიუთითებდეს, რომელიც მათგან მომდინარეობს.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ნებადართულია ინდივიდულური სანადირო თოფების გადმოტანა საქართველოს საერთშორისო საზღვარზე, თუკი შესაბამისი დოკუმენტები მიღებულია როგორც შს-გან, ასევე იმ ქვეყნიდან, საიდანაც ისინი გადმოაქვთ[184].

გამონაკლისები

2005 წლის ივნისში ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ კანონის მიღებამ გაათავისუფლა სახელმწიფო სააგენტოები იარაღისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის გადაზიდვებისათვის იუსტიციის სამინისტრო/ეკონომიკისა და განვითარების სამინისტროებისაგან ნებართვის მოპოვების საჭიროებისგან. სანაცვლოდ გადაზიდვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ თავდაცვის სამინისტროზე დაქვემდებარებული სამხედრო-ტექნიკური კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო-ტექნიკური კომისია გადაწყვეტილების მიღების პროცესში კონსულტაციას გადის სხვადასხვა სამინისტროების ექსპერტთა ჯგუფთან, კანონში არსებული დებულებები აძლიერებს კონტროლის შესუსტების რისკს, რადგანაც ერთსა და იმავე სამინისტროს უწევს როგორც გადაწყვეტილების მიღება, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებისთვის გადაზიდვაზე ნებართვის გაცემა. საქართველოში არსებული სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო შეშფოთებას იწვევს სუსტი შეზღუდვები სახელმწიფო საგენტოებისა და, კერძოდ, თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორიცელებულ მსუბუქი შეიარაღების იმპორტზე. ამგვარი კონტროლის გარეშე შესაძლოა, გადაწყვეტილებები ზედმეტად პოლიტიზირებული აღმოჩნდეს, ან მხედველობაში არ იყოს მიღებული ცალკეული ტრანსფერის ნეგატიური შედეგი.

ასევე, მნიშვნელოვნია იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ კანონის თანახმად, პრეზიდენტს ეკუთვნის საბოლოო სიტყვა სტრატეგიული სამხედრო პროდუქციის ექსპორტის, სამ-

183 კანონი ექსპორტის შესახებ, მუხლი 8, პარაგრაფი 8

184 ინტერვიუ იროდი თორაძესთან.

ხედრო წარმოებასთან დაკავშირებული მომსახურებისა და სპეციალური ტვირთის ტრანზიტის ნებართვასთან დაკავშირებით. ეს სამი კატეგორია მკაფიოდ არ არის დაზუსტებული ამჟამად მოქმედ კანონმდებლობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებათა მიღების დროს არ არის განსაზღვრული პრეზიდენტის ძალაუფლება. პრეზიდენტის გადამწყვეტი როლი გადაზიდვების ლიცენზირების სისტემაში შესაძლოა ორგვარად იქნას ინტერპრეტირებული. ამ სისტემის მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ პრეზიდენტის პირადი ჩარევა განსაკუთრებით მნიშვნელოვან გადაზიდვებთან დაკავშირებული ნებართვის გაცემაზე უმაღლესი დონის დემოკრატიულ კონტროლს უზრუნველყოფს. ეს შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასურველია პრეზიდენტის როლის შემცირება, რათა თავიდან იქნას აცილებული პოლიტიზირებული გადაწყვეტილებების მიღება. ამის სანაცვლოდ, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს კრიტერიუმებზე დაფუძნებულ მსჯელობას, რომელიც ხელს შეუშლის იარაღის გადაზიდვების საკითხში სხვადასხვა ინტერესის გათვალისწინებას.

მსგავსი გამონაკლისები, თანაც არასაკმარისად გამჭვირვალე გარემოში, ხელს უწყობს ლიცენზიის გაცემის თუნდაც ყველაზე მკაცრ კრიტერიუმებზე დაფუძნებული სისტემის გვერდის ავლით იარაღის ტრანსფერების განხორციელებას.

საბროკერო საქმიანობა

მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავს საბროკერო საქმიანობის დამარეგულირებელ კანონებს, იქნება ეს საქართველოს საბაჟოებზე იარაღის გადაზიდვები თუ ე.წ. მესამე პირისათვის საბროკერო საქმიანობა (გადაზიდვა, რომელიც არ ხორციელდება საქართველოს საბაჟოს ტერიტორიაზე ან იარაღისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ფიზიკური გაყიდვა საქართველოს საზღვრებს გარეთ). ამიტომ არ არის ნათელი, თუ რა სახის ლიცენზირებით უნდა წარიმართოს და როგორ უნდა დარეგულირდეს საბროკერო საქმიანობა. იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, საქართველოს არ სჭირდება საბროკერო საქმიანობის უზრუნველმყოფი განსაკუთრებული კანონები, რადგანაც არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, საბროკერო საქმიანობის განმსაზღვრელი სპეციალური კანონების არარსებობის მიუხედავად, ისედაც არეგულირებს ამგვარ საქმიანობას[185]. და მაინც, იმ განსხვავებული ფორმების გამო, რომელიც შესაძლოა ახლდეს საბროკერო საქმიანობას (მაგ. დაზღვევა, დაფინანსება, ფასილიტაცია, გადაზიდვა) და იმ რეგულირებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით, დღეს საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულია სპეციალური ეროვნული კანონმდებლობის შემუშავება საბროკერო საქმიანობისათვის.

ხელახალი (განმეორებითი) ექსპორტი, ტრანზიტი და სატრანზიტო გადაზიდვები

თუ ხელახალი ექსპორტის ლიცენზირება ზემოთ მოყვანილი სისტემის მიხედვით უნდა განხორციელდეს, „კანონი ექსპორტზე“ იძლევა საქართველოდან იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის ხელახალი ექსპორტის შესაძლებლობას საექსპორტო ქვეყნის პასუხისმგებელი სააგენტოს ნებართვის გარეშე. ამჟამად კანონის მე-9 მუხლის მე-3 პარაგრაფის მიხედვით, საქართველოს საბაჟოს ტერიტორიაზე შემოსული ხელახალი ექსპორტი საექსპორტო კონტროლს უნდა დაექვემდებაროს და შეიძლება გატანილი იყოს ქვეყნის გარეთ გამომგზავნი ქვეყნის პასუხისმგებელი სააგენტოს ნებართვის გარეშე.

ამასთან ერთად, იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის ტრანზიტები იმავე შემოწმებას ექვემდებარება, რომელსაც გადაზიდვები, რადგანაც ეს უკანასკნელი არ საჭიროებს იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის შემოწმების გავლას, გარდა ზოგიერთი ორმაგი მოხმარების საქონლისა. უმრავლეს შემთხვევაში იუსტიციის სამინისტრო/ეკონომიკის განვითარების სამინისტროს შეუძლია გასცეს იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის ტრანზიტის ნებართვა სამხედრო-ტექნიკურ კომისიასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. ამის შესახებ კომისიას ეგზავნება ინფორმაცია უკვე განხორციელებული გადაზიდვის თაობაზე[186].

საჭიროა მხოლოდ სამხედრო-ტექნიკური კომისიის დასკვნა გარკვეული იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის გადაზიდვებისათვის. ორმაგი დანიშნულების საქონლის ჩამონათვალი განსაზღვრავს ამგვარ შემოწმებას დაქვემდებარებული საქონლის სპეციფიკას. აღნიშნული წესი გარკვეულ სუსტ მხარეებსაც შეიცავს, რადგან იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის ტრანზიტი ისეთივე შეშფოთების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს მათი შესაძლო არამიზნობრივი (მაგ. უკანონო ხმარება, დივერსია) გამოყენების გამო, როგორსაც სხვა გადაზიდვები. ვინაიდან მოსა-

185 კორესპონდენცია გიორგი გოგიბერიძესთან. იუსტიციის სამინისტრო, 2006 წლის ივნისი

186 კანონი ექსპორტის შესახებ მუხლი 9.

ლოდნელია, რომ იუსტიციის სამინისტრო/ეკონომიკის განვითარების სამინისტროს არა აქვს შესაძლებლობა, დამოუკიდებლად შეაფასოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამგვარ გადაზიდვებთან დაკავშირებული რისკი, არსებული კანონი იძლევა შესაძლებლობას იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის სპეციფიკურ/მგრძნობიარე რეგიონებში ტრანზიტზე.

უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ „კანონი ექსპორტის შესახებ“ ამჟამად არეგულირებს ტრანსგადაზიდვებს[187], ის, როგორც ჩანს, არ ითვალისწინებს ამგვარი გადაზიდვების ინსპექტირების სპეციფიკურ მექანიზმებს საქართველოს საბაჟოს ტერიტორიაზე შესვლისას და გასვლისას. ეს პრობლემატური საკითხია, რადგან არსებობს საშიშროება, ამგვარი ტვირთის ნაწილი არაკანონიერი საბოლოო მომხმარებლის ხელში აღმოჩნდეს.

ეს ფაქტები ზღუდავს კონტროლის სისტემის სრულ ეფექტურობას, რადგან მეტ შესაძლებლობას ტოვებს მიუღებელ ადგილებში ნაკლებად რეგულირებადი გადაზიდვებისთვის.

საკონტროლო სიები

სამხედრო-ტექნიკური კომისია პასუხისმგებელია იმ პროდუქტისა და მომსახურების საკონტროლო სიის შედგენაზე, რომლებიც გადაზიდვის კონტროლს ექვემდებარება და ამ სიების დასამოწმებლად პრეზიდენტისთვის გადაცემაზე. საქართველოს იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის სია შედგენილია ევროკავშირისა დ აშშ-სს დახმარებით. ეკონომიკის განვითარების სამინისტროს წარმომდგენლის მტკიცებით, ის ეფუძნება ევროკავშირის იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის ნუსხას[188] გარკვეული დამატებების ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი პროდუქტის შესაბამისობას[189]. ეკონომიკის განვითარების სამინისტრო ყოველწლიურად აახლებს საკონტროლო სიას შემოთავაზებული ცვლილებებით, რაშიც დახმარებას აშშ-სა და ევროკავშირის შესაბამისი ორგანოები უწევენ. რდგანაც ევროკავშირი და აშშ თავიანთ საკონტროლო სიებს საერთშორისო ფორუმზე ამზადებენ, ეკონომიკის განვითარების სამინისტრო აცხადებს, რომ საქართველო, ასევე, ითვალისწინებს მოცემულ საერთაშორისო სტანდარტებს. საქართველოს იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის სია საჯაროდ ხელმისაწვდომია.

იარაღის გადაზიდვის ემბარგოები

“კანონი ექსპორტის შესახებ“ შეიცავს დებულებას იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის იმ ქვეყნებში გადასაზიდად, რომლებიც გაეროს ემბარგოს ქვეშ იმყოფებიან. თუმცა, არ არსებობს განსაკუთრებული კანონმდებლობა, რომელიც ეუთოს (საქართველო ეუთოს წევრი ქვეყანაა) ან ევროკავშირის (რომლის წევრობაც სურს საქართველოს) მიერ დაწესებული ემბარგოს ქვეყნებში გადაზიდვებს აკრძალავდა. ქვემოთ განხილულია, რომ წარსულში საქართველო გადაზიდვის ლიცენზიას იძლეოდა ევროკავშირის მიერ დააწესებული ემბარგოს ქვეყნებში. იმ ქვეყნების სია, რომლებშიც საქართველოს საექსპორტო შეზღუდვები აქვს დაწესებული, ძირითადად, პარლამენტის მიერ არის შედგენილი და პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული. ამგვარი სიის ფორმულირების პროცესი სამხედრო ტექნიკური კომისიის მართვის სფეროში შედის.

საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატი

“ექსპორტის შესახებ კანონის“ უწინდელი რედაქციით იარაღით მოვაჭრეებს იმ შემთხვევაში უნდა წარმოედგინათ საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატი, თუ აპლიკანტი თავად არ იყო ტვირთის მიმღები. ეს იმაზე მიუთითებს, რომ საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატი ყოველთვის არ იყო საჭირო იარაღის ექსპორტის, ხელახალი ექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის მისაღებად. „ექსპორტის შესახებ კანონის“ 2006 წლის ივნისის შესწორების თანახმად, იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის გადაზიდვის ყველა მსურველისათვის აუცილებელია საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატის ქონა. ეს მოთხოვნა არ ეხება საბრძოლო იარაღის გადაზიდვას, ვინაიდან ექსპორტსა თუ იმპორტზე გაფორმებული კონტრაქტის მეორე მხარეს საქართველოს ან სხვა ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურა წარმოადგენს[190]. ეს

187 შესწორება კანონში ექსპორტის შესახებ (2006 წლის 23 ივნისი), მუხლი 1.

188 Annex 1 of Council Regulation (EC) No. 1334/2000, *Setting up a Community regime for the control of exports of dual-use items and technologies,* 22 June 2000, available at <http://europa.eu.int/eur-lex/pri/en/oj/dat/2000/l_159/l_15920000630en00010215.pdf>, accessed 25 June, 2006.

189 ინტერვიუ ანდრია დვალთან.

190 შესწორება კანონში შეიარაღების შესახებ (2006 წლის 23 ივნისი), მუხლი 1-ლი.

შესწორება მეტად პროგრესულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა, ეუთოსა და ევროკავშირის მიერ შედგენილი ინსტრუქციების მიხედვით, სახელმწიფო სააგენტოების მიერ განხორციელებული გადაზიდვები, ყველა სხვა სახის გადაზიდვების მსგავსად, ასევე, საჭიროებს საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატს.[191]

მიუხედავად ამისა, დღესდღეობით არ არსებობს მოთხოვნა გადაზიდვის კონტრაქტებზე (გარდა ბირთვული ან სპეციალური არაბირთვული მასალებისა და იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლისა), რომელთა მეშვეობითაც შესაბამისი ქართული საგენტოები შეძლებდნენ, შეემოწმებინათ გადაზიდული იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის გამოყენების ფაქტები[192]. საუკეთესო შემთხვევაში საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატის წარდგენა საჭირო უნდა იყოს იარაღისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის გადაზიდვის ყველა კონტრაქტისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფო სამინისტროები ყოველთვის ვერ შეძლებენ, შეამოწმონ ამ გადაზიდვების საბოლოო დანიშნულების ადგილი, ვალდებულებები ყოველთვის უნდა არსებობდეს.

გამჭვირვალობა და ანგარიშგება

იარაღის საერთაშორისო გადაზიდვის კონტროლის სისტემის ხელმისაწვდომობისათვის საქართველოს განვითარებული მექანიზმები აქვს. საქართველოს კანონის თანახმად, ნებისმიერ ლეგალურ ან ფიზიკურ პირს შეუძლია ოფიციალურად მიმართოს იუსტიციის სამინისტროს იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის გადაზიდვების ან სალიცენზიო გადაწყვეტილებების თაობაზე ინფორმაციის მისაღებად. იუსტიციის სამინისტრო არ გასცემს ინფორმაციას იმ იურიდიულ პირთა შესახებ, რომელთაც ლიცენზიის გაცემაზე უარი ეთქვათ[193]. სამინისტრო ვალდებულია, მოთხოვნის საფუძველზე ათი დღის ვადაში გასცეს ინფორმაცია. შემდგომ, საბაჟოს დეპარტამენტის თანახმად, დეპარტამენტს შეუძლია გაავრცელოს ყოველთვიური და ყოველკვარტალური ინფორმაცია გადაზიდული იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის თაობაზე. კვლევის ჯგუფის მოთხოვნის საპასუხოდ, იუსტიციის სამინისტრომ მოგვაწოდა ინფორმაცია არასამხედრო დანიშნულების მსუბუქი იარაღის იმპორტის თაობაზე.

არსებული სიტუაციის მიუხედავად, სასურველია, უფრო გაუმჯობესდეს საქართველოში გადაზიდვის საკითხების გამჭვირვალობის დონე, ხოლო ინფორმაცია იარაღის კონტროლის სისტემებზე უფრო ხელმისაწვდომი გახდეს. მაგალითად, სამხედრო იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის ექსპორტისა და იმპორტის შესახებ არსებული ინფორმაცია, უარყოფილი ლიცენზიების შემთხვევები და იმპორტისა და ექსპორტის მაწარმოებელი ან მიმწოდებელი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია კანონიერი გზით მიუწვდომელია[194]. ამასთან ერთად, დღეს არ არსებობს საგანგებო მოთხოვნა, რომ იარაღის გადაზიდვის შესახებ ინფორმაცია პარლამენტს მოხსენდეს.

გამჭვირვალობის მთავარი ნაკლოვანება იარაღის ამჟამინდელი გადაზიდვების კონტროლის სისტემაში იმაში მდგომარეობს, რომ საქართველო არ აქვეყნებს რეგულარულ ანგარიშებს სამხედრო შესყიდვების, გადაზიდვებისა და იარაღის წარმოების შესახებ. ევროკავშირის წევრი (და არაწევრი) ქვეყნების უმრავლესობა დეტალურ ინფორმაციას აქვეყნებენ მათ მიერ ნებადართულ ყველა სახის ექსპორტსა და იმპორტზე. ანგარიშის მომზადება იარაღის იმპორტის შესახებ ნაკლებ გავრცელებული მოვლენაა საერთშორისო პრაქტიკაში და შესაძლოა, არსებობდეს ოპტიმიზმის საფუძველი იმისათვის, რომ საქართველოს ხელისუფლება მიმდინარე ეტაპზე შემოიღებს ამგვარი ანგარიშის შემუშავების მექანიზმებს. ამგვარი ქმედება უთუოდ შეუწყობს ხელს დაძაბულ რეგიონებში ნდობის ამაღლებას.

ადმინისტრციული შესაძლებლობები

გადაზიდვებზე კონტროლის ამჟამინდელ სისტემაში მთავარი რგოლი სალიცენზიო სააგენტო და თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკური კომისიაა. არ მოიპოვება არანაირი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს სამხედრო-ტექნიკური კომისია. ეს კი ართულებს სამხედრო-ტექნიკური კომისიის მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულების ეფექტურობის შეფასებას გადაზიდვების კონტროლის განხორციელებისას. ადეკვატურად ფუნქციონირებადი გადაწყვეტილების მიმ-

191 საუკეთესო პრაქტიკული ინსტრუქციები მცირე შეირაღებისა და მსუბუქი იარაღის ექსპორტის კონტროლზე, თავი მე-5, საუკეთესო პრაქტიკის მცირე და მსუბუქ შეიარაღებაზე ეუთოს სახელმძღვანელო (ეუთო 2003), ხელმისაწვდომია <http://www.osce.org/fsc/item_11_13550.html>; თავი მე-2, ევროკავშირის კოდექსის ინსტრუქციები იარაღის ექსპორტის წარმოებაზე, ხელმსაწვდომია <http://www.osce.org/fsc/item_11_13550.html>.

192 მუხლი 8, პარაგრაფი 10.

193 კორესპონდენცია გიორგი გოგიბერიძესთან, იუსტიციის სამინისტრო, 2006 წლის ივნისი.

194 ინტერვიუ გიორგი გოგიბერიძესთან, მამუკა კიკალეიშვილთან.

ღები ჯგუფის ჩამოსაყალიბებლად და მისი მუშაობის უზრუნველსაყოფად სერიოზული რესურსებია საჭირო, ვინაოდან ასეთ ჯგუფს უნდა ჰქონდეს საკმარისი მომზადება, ადმინისტრაციული რესურსები, შესაბამისი პროცედურები და ინსტრუქციები და ხელი მიუწვდებოდეს სხვა სააგენტოების საექსპერტო შესაძლებლობებზე. თუმცა, მთავრობის ერთ-ერთი წარმომადგენელის თქმით, იარაღის კონტროლის საკითხი სიახლეა თავდაცვის სამინისტროსათვის, ამიტომ ჯერჯერობით ძნელია თქმა, თუ როგორ გაუმკლავდება თავდაცვის სამინისტრო იარაღის და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის გადაზიდვის კონტროლს[195]. რადგანაც სრული ოპერატიულობის მისაღწევად სამხედრო-ტექნიკური კომისიის წევრებს სათანადო წვრთნა ესაჭიროებათ, შესაძლოა, ამ მიზნით საერთაშორისო დახმარებაც გახდეს გამოსაყნებელი. შესაბამისად, აუცილებელია სამხედრო-ტექნიკური კომისიის საჭიროებათა დეტალური შეფასება. ამავე დროს, საქართველოს, რომელიც დღესდღეობით არ ეწევა სერიოზულ ექსპორტს და არც დიდი რაოდენობის მსუბუქ შეიარაღებას აწარმოებს, სამხედრო-ტექნიკური კომისიის დღევანდელი მდგომარეობა, ალბათ სერიოზულ პრობლემებს არ შეუქმნის (გარდა საბროკერო საქმიანობათა კონტროლისა).

დღეს არსებული ინფორმაციით, რთულია სამხედრო-ტექნიკური კომისიის მიერ ლიცენზიათა მოთხოვნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ამ თვალსაზრისით შესაძლოა, უფრო ნაკლები შესაძლებლობები ჰქონდეთ იუსტიციისა და ეკონომიკის განვითარების სამინისტროს, რომლებიც, დაახლოებით, იმგვარივე ექსპერტიზის სისტემასა და რესურსებს ფლობენ, როგორსაც სამხედრო-ტექნიკური კომისია.

საბაჟო კონტროლი კანონიერი იარაღისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის გადაზიდვებზე

იარაღის და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის გადაზიდვები საქართველოს საერთაშორისო საბაჟოზე მიმდინარეობს, საბაჟოს დეპარტამენტისა და სასაზღვრო პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ. საბაჟოს დეპარტამენტის წარმომადგენლის ინფორმაციით, საბაჟო კონტროლის პროცესი ფიზიკური გადაზიდვებისას შემდეგნაირად ხორციელდება[196]: მსუბუქი იარაღის იმპორტის ან ექსპორტისას მებაჟეები ჯერ იუსტიციის სამინისტრო/ეკონომიკის განვითარების სამინისტროს ან იმპორტ/ექსპორტის სახელმწიფო სააგენტოს მიერ გაცემულ დოკუმენტს ამოწმებენ (სამხედრო-ტექნიკური კომისიის რეკომენდაცია). ისინი ვალდებულნი არიან, შეამოწმონ საქონელი, ლიცენზიის ნომერი, იარაღის ხარისხი და ოდენობა და იმპორტიორ/ექსპორტიორი ორგანიზაციის დასახელება. ეს ყოველივე მოწმდება ლიცენზიაში მითითებული ინფორმაციის საფუძველზე. მხოლოდ ლიცენზიის შემოწმების შემდეგ ტვირთი გადის ჩვეულებრივ საბაჟო პროცედურას. ყოველი თვის მეხუთე დღეს საბაჟო დეპარტამენტი სამხედრო-ტექნიკური კომისიას უგზავნის იმპორტირებული დ ექსპორტირებული იარაღის სიას, ინფორმაციას მისი ოდენობის, იმპორტიორ/ექსპორტიორი ორგანიზაციის შესახებ და სალიცენზიო ნომერს. ამასთან ერთად, სასაზღვრო პოლიცია საქართველოს საზღვრების გადაკვეთისას ვალდებულია, ჩაატაროს მონიტორინგი ჯგანმრთელობისთვის საზიანო მასალებზე, მსუბუქი შეირაღების ჩათვლით, და გადაზიდვების თაობაზე თავისი ანგარიში წარუდგინოს თავდაცვის სამინისტროს[197].

გამოკითხულთა ინფორმაციით, საბაჟოს ყველა მოსამსახურე კარგად არ იცნობს საექსპორტო იარაღის საზღვარზე გატარების სწორ პროცედურას. იარაღის ერთ-ერთმა მფლობელმა, რომელიც რეგულარულ იმპორტს აწარმოებს, უკმაყოფილება გამოთქვა მებაჟეების მისამართით და განაცხადა, რომ ისინი კარგად ვერ ერკვევიან იმპორტის პროცედურებში და ხშირად ითხოვენ თავდაცვის სამინისტროსა და არა იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემულ ნებართვას[198].

ინფორმაციის გაცვლა სალიცენზიო გადაწყვეტილებებზე

არ მოიპოვება ინფორმაცია იარაღის და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის გადაზიდვებისა და აღრიცხვის, სამხედრო-ტექნიკური კომისიის, ეკონომიკის განვითარების სამინისტროს და იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. თავდაცვის სამინისტროს თანახმად, დეტალური ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა იარაღის გადაზიდვებისა და ამ პროცესში მონაწილე იურიდიული თუ ფიზიკური პირების შესახებ, რომელთაც უარი ეთქვათ ნებართვაზე, ხორციელდება სამხედრო-ტექნიკურ კომისიას, ეკონომიკის განვითარებისა და იუსტიციის სამინისტროს, საბაჟო დეპარტამენტსა და სასაზღვრო პოლიციის შორის, თუმცა არ ჩანს, თუ რა გზით ღებულობენ შესაბამისი ოფიციალური პირები ამ ინფორმაციას.

195 ანონიმური რესპონდენტი ბ, საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური პირი.

196 ინტერვიუ ვახტანგ ლაშქარაძესთან.

197 ინტერვიუ დავით ახვლედიანთან.

198 ინტერვიუ იარაღის მაღაზიებში (დანართი 1).

წარმოებასთან ურთიერთქმედება

არავითარი ინფორმაცია არ არსებობს იმ გზების შესახებ, რომლებითაც მთავრობა კონტაქტს ამყარებს საწარმოებთან, რათა უზრუნველყოს ამ სფეროში ეროვნულ კანონმდებლობასთან თავისი შესაბამისობა. მართლაც, ძნელია ამგვარი კონტაქტის ინტენსიურობის დადგენა, განსაკუთრებით ეს ეხება გადასაზიდ და საბროკერო ფირმებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, არც კი არიან რეგისტრირებულნი და ამ სფეროში მათი საქმიანობა სათანადოდ დარეგულირებული არ არის.

სქემა 15: იარაღის გადაზიდვის კონტროლის ორგანოგრმა



8.2 ბოლოდროინდელი გადაზიდვები

შეზღუდულია საქართველოს მთავრობის მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაცია იარაღის და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საქართველოს ტერიტორიასა თუ მის ფარგლებს გარეთ გადაზიდვების თაობაზე და მხოლოდ იარაღის მაღაზიების მიერ წარმოებულ იმპორტს შეეხება. და მაინც, შესაძლებელია მიახლოებული წარმოდგენის შექმნა გადაზიდული მსუბუქი შეიარაღების ოდენობის, მისი ტიპების, წარმომავლობისა და ალტერნატიული წყაროების შესახებ როგორც გაეროს COMTRADE-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე მთავარი ინტერვიუერების საშუალებით. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ჯგუფის მიერ ბოლო სამი წლის გადაზიდ-

ვების შესახებ შეკრებილი ინფორმაცია ამომწურავი არ არის. ეს იმის შედეგია, რომ შესაძლოა, მსუბუქი შეიარაღების გადაზიდვების ყველა ფაქტზე ინფორმაცია არ არსებობდეს. უფრო მეტიც. გაეროს COMTRADE-ის კატეგორიების რაოდენობა მოიცავს როგორც მსუბუქ, ასევე არამსუბუქ შეიარაღებას. აღნიშნული გადაზიდვები ეხება მსუბუქ შეიარაღებას, მაგრამ ამგვარი გადაზიდვების შესახებ ზუსტი ინფორმაციის უქონლობის გამო არ მოიცავს ორმაგი დანიშნულების საქონლის იმპორტსა და ექსპორტს. უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოთ მოყვენილი ანალიზი, ასევე, გამორიცხავს ტრანსგადაზიდვებსა და საბროკერო საქმიანობას. თუმცა ყოვლისმომცველი აუდიტის ჩასატარებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ ასევე ამ ტიპის გადაზიდვებს.

მსუბუქი შეიარაღების იმპორტი

იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 1999 წლიდან იმპორტირებული იქნა 95.993 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი. ყველაზე მნიშვნელოვან წელს იმპორტისათვის 2004 წელი წარმოადგენდა, როდესაც იმპორტირებული იქნა 67.000-ზე მეტი ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი.

ცხრილი 16: იარაღის მაღაზიის იმპორტი. 1999-2005 წწ.
(წყარო: იუსტიციის სამინისტრო).

წელი	იმპორტის	გაცემული ნებართვები	იმპორტირებული ამუნიცია	იმპორტირებული მსუბუქი შეიარ.
1999	1	6.361	1 მილ.რაუნ.	–
2000	9	361	5.720 რაუნ.	2269.2 ტონა
2001	21	4.370	637.900 რაუნ.	731 ტონა
2002	28	11.620	5.460.610 რაუნ.	200 კგ.
2003	30	3.785		
2004	50	67.211		
2005	13	2.2851		

იმპორტის დიდი წილი შიდა სამოქალაქო ბაზარზე მოდიოდა, თუმცა, იარაღის იმპორტის დიდი მოცულობის გამო, შესაძლოა მისი ხელახალი ექსპორტიც განხორციელდა. ისიც შესაძლებელია, რომ ეს იარაღი სახელმწიფოს მიერ იყო იმპორტირებული და არ იყო გამოყენებული სამოქალაქო მიზნით, თუმცა მაინც გაუგებარია, რატომ უნდა დაევალებინათ იარაღის მაღაზიებისთვის, ქცეულიყვნენ სახელმწიფოს იარაღით მომარაგების წყაროდ. თუ, მაგალითად, ამ იარაღის დიდი ნაწილი სამოქალაქო მფლობელობაში დარჩა, მაშინ იმპორტირებული კანონიერი იარაღის რაოდენობას 68 პროცენტი უნდა შეედგინა (141.000 ერთეული). ეს განმარტება არადამაკმაყოფილებელია, რადგან შსს-ს თანახმად, ყოველთვიურად გაიცემა 600-დან 900-მდე ლიცენზია. თუ ეს მაჩვენებელი 1999-დან 2006 წლამდე რეგულარულია, რეგისტრირებული იარაღის მაქსიმალურ რაოდენობას 75.600 ერთეული უნდა შეედგინა (84 თვე X 900). და მაინც, 20.000 ერთეული იმპორტირებული ცეცხლსასროლი იარაღი აღურიცხავი რჩება.

საქართველოს უსაფრთხოებისათვის განკუთვნილი იმპორტირებული მსუბუქი შეიარაღების რაოდენობა, ტიპები და მათი წარმომავლობა საჯარო ინფორმაციას არ განეკუთვნება. უცნობია საქართველოს უშიშროების სტრუქტურების მიერ იმპორტირებული მსუბუქი შეირლებისა და მთელი იარაღის ღირებულებაც. ეს იმის შედეგია, რომ კანონები წლიური ბიუჯეტის შესახებ, რომლებიც მთავრობის ხარჯებს ასახავს, საჯაროობის მიუხედავად, დეტალური არ არის. მაგალითად, 2006 წლის სამხედრო ბიუჯეტი 392 მილ. ლარს შეადგენს (200 აშშ $-ზე მეტს)[199]. თუმცა არ არსებობს არავითარი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ ბიუჯეტის მიერ გათვალისწინებული ოდენობიდან რამდენი იქნება დახარჯული საქართველოს უშიშროების სტრუქტურებისათვის მსუბუქი შეიარაღების შესაძენად. მაგალითისათვის, ძირითად ბიუჯეტთან ერთად, რომელსაც პარლამენტი ამტკიცებს, საქართველოს უშიშროების სამსახურები, ასევე, იღებენ დაფინანსებას ორი „გაუმჭვირვალე“ ორგანიზაციიდან, როგორებიცაა „არმიის განვითარების ფონდი“ და „კანონაღსრულების სააგენტოების განვითარების ფონდი“. ამ ფონდების დონორები უცნობია. ოფიციალურ პირებს მუდმივად აკრიტიკებენ ამ ფონდებთან დაკავშირებით გაუმჭვირვალობის გამო. საქართველოს თავდაცვის მინისტრი იძულებული იყო, რომ ამ კითხვებზე პარლამენტში გაეცა პასუხი. მისი თქმით, 2005 წელს კანონაღსრულების სააგენტოების განვითარების ფონდი 759.000 აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო არმიის განვითრების ფონდი – 1.920.500 აშშ დოლარს. მინისტრის მტკიცებით, ამ ფონდებში არსებული თანხები არ ხმარდებოდა იარაღის ან ამუნიციის შეძენას, არამედ იხარჯებოდა ისეთ საჭი-

199 ინტერვიუ, დავით ნაირაშვილი.

როებებზე, როგორებიცაა ფეხსაცმელი, ფორმა და სარემონტო სამუშაოები[200]. რადგანაც თავდაცვის სამინისტრომ 2005 წლის 1 იანვრისთვის ფონდის დახურვა განიზრახა, მოყვანილი ფაქტების დადგენა შეუძლებელია[201].

ვინაიდან მსუბუქი შეიარაღების სახელმწიფო იმპორტზე არანაირი ოფიციალური ინფორმაცია არ არსებობს, ამგვარი იმპორტების საერთო ღირებულებაზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ გაეროს COMTRADE-ის მონაცემებზე დაყრდნობით. COMTRADE-ის ინფორმაციის თანახმად, რომელიც შეკრიბა ნორვეგიაში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაცია NISAT-მა (ნორვეგიის ინიციატივა მსუბუქი შეიარაღების გადაზიდვებზე), საქართველოს მცირე შეიარაღების იმპორტების ღირებულება 1996-2003 წლებში შედარებით დაბალი იყო და წლიურად 476.000 აშშ დოლარსა და 2.839.314 აშშ დოლარს შორის მერყეობდა, თუმცა 2004 წლიდან იმპორტის ღირებულება შესამჩნევად გაიზარდა და ერთ წელიწადში 22.885.998 აშშ დოლარი შეადგინა.

სურათი 18: 1996-2004 წწ-ში საქართველოში ყველა ქვეყნიდან მსუბუქი შეიარაღების იმპორტის ღირებულება აშშ დოლარებში[202]. (წყარო: www.nisat.org)



2003-2004 წლებში მსუბუქი შეიარაღების იმპორტის ზრდა, რომელიც გაეროს COMTRADE-ის ანგარიშებში აისახა, ასევე, გამოიკვეთება მთავარი რესპონდენტების მიერ მოცემულ ინტერვიუებში. რესპონდენტთა აზრით, საქართველოში მიმდინარეობს სამხედრო მოდერნიზაციის პროცესი და ამიტომაც 2003-2005 წლებში გრძელდებოდა სამხედრო დანიშნულების იარაღის მნიშვნელოვანი რაოდენობის შეძენა. ერთ-ერთი სამხედრო ექსპერტის ცნობით, საქართველოს ხელისუფლებამ 2004 წლის ივლისიდან 2005 წლის ბოლომდე სამხედრო იმპორტზე განსაკუთრებით დიდი თანხა დახარჯა[203]. ამ ანალიზს სტოკჰოლმის საერთაშორისო სამშვიდობო კვლევის ინსტიტუტის მიერ მოპოვებული მონაცემებიც ერთვის, რომლებიც მთლიან სამხედრო დანახარჯებზე მიუთითებენ (მსუბუქი შეიარაღებისა და არამსუბუქი იარაღის ჩათვლით), ეს დანახარჯები კი იზრდება 364 მილიონი აშშ დოლარიდან (2002 წ) 595 მილიონ აშშ დოლარამდე (2004 წ) შემდგომი ზრდის 250 პროცენტით 2005 წელს, ანუ 146 მილიონი აშშ დოლარით.[204] ამრიგად, საქართველოს სამხედრო ხარჯები 2004-2005 წწ. პერიოდში სხვა ქვეყნების ხარჯებზე უფრო სწრაფად იზრდებოდა.[205]

მთვარმა რესპონდენტებმა სხვა მაჩვენებლებიც მოიყვანეს, რომლებიც ეხება საქართველოს უშიშროების სამსახურებისთვის განკუთვნილ იმპორტირებული იარაღის ტიპებს და მათ წარმომავლობას. ფიქრობენ, რომ ჩვეულებრივ შეიარაღებასთან ერთად (ტანკები, საარტილერიო დანადგარები, ქვეითი ჯარის მანქანები) საქართველოს ხელისუფლება გეგმავს ათასობით ერთეული მსუბუქი იარაღისა და დიდი რაოდენობის საბრძოლო მასალების შეძენას.[206] ერთ-ერთი სამხედრო ექსპერტის თქმით, საქართველომ უკვე ჩამოიტანა მსუბუქი შეიარაღება ჩეხეთიდან, უკრაინიდან, პოლონეთიდან და ბულგარეთიდან, ან ახლა ჩამოაქვს (იარაღის შესყიდვა აღარ ხდება რუმინეთიდან დაბალი ხარისხის გამო).[207] ასევე, ფიქრობენ, რომ თავდაცვის სფეროში საქართველო თანამშრომლობს ისრაელთანაც, რაც მდგომარეობს საქართველოს სპეციალური ძალებისათვის მსუბუქი შეიარაღების მოწოდებას სნაიპერული იარაღის სახით.[208] ზოგი რესპონდენტი იმასაც ამტკიცებდა, რომ ხორციელდებოდა არადეკლარირებული იმპორტიც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში დისლოცირებული ჯარებისათვის, ასევე, სასაზღვრო პოლიციისათვის (რომელიც შსს-ს დაქვემდებარებაშია) და ეროვნული გვარ-

200 საქართველოს თავდაცვის მინისტრი პასუხობს პარლამენტარების კითხვებზე არმიის შესახებ და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, რადიო 1, თბილისი, ქართულ ენაზე, 09.00, 27 ოქტომბერი, 2005 წელი (ბი-ბი-სი-ს მედია-მონიტორინგი).

201 ინტერვიუ, კობა ლიკლიკაძე.

202 უცნობია, აღრიცხული იმპორტის რა რაოდენობა იყო შემდგომში ხელახლა ექსპორტირებული.

203 ინტერვიუ, კობა ლიკლიკაძე.

204 SIPRI Military Expenditures database, <http://first.sipri.org/non_first/result_milex.php?send>, accessed 24 June, 2005.

205 იგივე.

206 ინტერვიუ, კობა ლიკლიკაძე.

207 ინტერვიუ, კახა კაციტაძე.

208 ინტერვიუ, კობა ლიკლიკაძე.

დიისათვის (თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია).[209] ამ ფაქტების დასადასტურებლად არავითარი მტკიცებულება არ ყოფილა წარმოდგენილი.

გაეროს **COMTRADE**-ის უფრო დეტალური განხილვა გვიჩვენებს, რომ იმპორტის მოცულობის ზრდა, ძირითადად, განპირობებულია სამხედრო დანიშნულების შეიარაღებით, როგორიცაა „სამხედრო იარაღი", მცირე შეიარაღების საბრძოლო მასალები, ასევე ხელყუმბარები, საბრძოლო მასალები, ნაღმები.

ცხრილი 17: მსუბუქი შეიარლების ღირებულება იმპორტირებული ტიპების მიხედვით 1996-2004წწ-ში, აშშ დოლარებში (წყარო: www/nisat.org)[210]

წელი	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004
სხვა	697,404	17,239	12,315	14,783	13,679	5,079	77,812	22,230	1,124,028
სამხედრო იარაღი	–	–	–	122,484	107,193	323,798	162,138[211]	268,892[212]	2,892,275[213]
– ნაწილები და აქსესუარები	32,245	2,568	3,799	12,761	606	28,087	168,776	19,224	10,006
პისტოლეტები და რევოლვერები	266,947	–	454,062	251,690	206,645	180,086	458,284	807,790	841,929
– ნაწილები დ აქსესუარები	21,582	8,578	23,821	16,105	7,075	1272	7,035	496	11,118
სპორტული/სანადირო/ საბრძოლო თოფები	28,451	94,596	353,148	194,873	68,282	105,136	251,826	198,324	202,826
– ნაწილები და აქსესურები	–	2,589	1,273	888	3,187	2,785	1,100	6,048	46,335
ყუმბარები, ხელყუმბარები, საბრძოლო მასალები და ნაღმები	–	13,563	53,964	7,658	3,325	56,725	466,160	1,292,631	15,240,063
მსუბუქი შეიარლების საბრძოლო მასალები	75,307	137,398	373,920	1,641,936	66,108	51,850	153,545	223,679	2,517,418

მიუხედავად იმისა, რომ 2001 წლის შემდეგ გაიზარდა პისტოლეტებისა და რევოლვერების, სპორტული/სანადირო თოფებისა და საბრძოლო თოფების იმპორტი, ეს ზრდა ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე წმინდა სამხედრო დანიშნულების იარაღის იმპორტი. მეტიც, კატეგორია „პისტოლეტები და რევოლვერები", შესაძლოა, ასევე, მოიცავდეს მთელ რიგ სამხედრო ან საპოლიციო მცირე შეიარაღებას და არა თავდაცვის ცეცხლსასროლ იარაღს სამოქალაქო გამოყენებისათვის.

როგორც მთავარი ინტერვიუერები აცხადებდნენ, მოყვანილ სქემაში ბულგარეთი, ჩეხეთი, კვიპროსი და უკრაინა საქართველოსათვის ყველაზე ღირებულ ექსპორტიორებს წარმოადგენენ:

სურათი 19: 1992-2004 წწ. საქართველოში იმპორტირებული იარაღის წყაროები აშშ დოლარებში (წყარო: www.nist.org)[214].



209 ინტერვიუ, კობა ლიკლიკაძე.

210 ანონიმური ინტერვიუ, გ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი. რადგანაც ეროვნულ გვარდიას შეუძლია ქვეყნის ტერიტორიაზე გაატაროს გაწვრთნილი რეზერვისტების ოცამდე ბატალიონი, ეს, ალბათ, გამოიწვევს ამ სამსახურისთვის ცეცხლსასროლი იარაღის რაოდენობის გაზრდას.

211 საჰაერო თავდაცვის რაკეტმტყორცნებისა და მცირე შეიარაღების ნაწილებისა და აქსესუარების ჩათვლით.

212 კალაშნიკოვის 14.000 საბრძოლო თოფის ჩათვლით ლიტვიდან და შეიარაღებისა და სპეციალურად შექმნილი კომპონენტების, ანუ მცირე შეიარაღების ჩათვლით ჩეხეთიდან.

213 თავორის საბრძოლო თოფების ჩათვლით ისრაელიდან, ყუმბარმტყორცნებისა – მაკედონიიდან და 450 ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნის, 6000 ტანკსაწინააღმდეგო იარაღისა და 120 ტანკსაწინააღმდეგო მართვადი იარაღისა ბულგარეთიდან (ბი-ბი-სი, მედია-მონიტორინგი).

214 ციფრები ამ სქემაზე დამრგვალდა 1000 აშშ დოლარამდე. „სხვა" მოიცავს 100 000 აშშ დოლარზე დაბალი ღირებულების იმპორტს საფრანგეთიდან; (893 000, ასევე, დამრგვალებულია 1000 აშშ დოლარამდე); ბოსნია – 91 000; ლიბანი – 82 000; ავსტრია – 63 000; სერბია და ჩერნიგორია – 42 000; შვეიცარია – 20 000; ბრაზილია – 18 000; დაუკონკრეტებელი – 12 000; ესპანეთი – 12000; დანია – 10 000; გაერთინებული სამეფო – 7 000; კანადა – 5 000; ესტონეთი – 4 000; ყაზახეთი – 4 000; სლოვენია – 2 000 და ინდონეზია – 1000.

მსუბუქი შეიარაღების ექსპორტი

ოფიციალური პირები, რომლებსაც კვლევის ჯგუფმა ინტერვიუები ჩამოართვა, ამტკიცებდნენ, რომ საქართველო მსუბუქი შეირაღების მხოლოდ უმნიშვნელო ექსპორტს აწარმოებს. ექსპორტის უმნიშვნელო წილი ამ ინტერვიუებში ორი ფაქტორით არის ახსნილი. პირველი – საქართველო დღესდღეობით არ აწარმოებს მსუბუქ იარაღს და არც წარსულში უწარმოებია. მეორე – მიჩნეულია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიარაღებული ძალების შემცირებას არ მოჰყოლია იარაღის ჭარბი მარაგის დაგროვება, რომელიც მოგვიანებით საზღვარგარეთ გაიყიდებოდა[215], თუმცა NISAT-ის მიერ მოპოვებული გაეროს COMTRADE-ის ციფრები მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ 1998-2004 წლებში საქართველო ახორციელებდა საკმაო ღირებულების მქონე მცირე შეიარაღების ექსპორტს.

სურათი 20: 1998-2004 წლებში საქართველოდან უცხო ქვეყნებში განხორციელებული მსუბუქი შეიარაღების ექსპორტის ღირებულება აშშ დოლარებში, (წყარო: www.nist.org)



სამხედრო დანიშნულების მსუბუქი შეიარაღების ყველაზე მნიშვნელოვანი ექსპორტი 1999 და 2000 წლებში განხორციელდა და, ძირითადად, სამხედრო შეიარაღებას მოიცავდა: ყუმბარებს, ხელყუმბარებს, საბრძოლო მასალებს, ნაღმებს და მსუბუქი იარაღის საბრძოლო მასალას.

ცხრილი 18: 1998-2004 წლებში საქართველოდან განხორციელებული მსუბუქი შეიარაღების ექსპორტის ღირებულება აშშ დოლარებში წლების მიხედვით (წყარო: www.nist.org)

წელი	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004
სხვა	20	69,007	4,423	144,679	34,000	20,247	–
სამხედრო იარაღი	–	4,893	1,012,787	–	5,537	–	–
– ნაწილები და აქსესუარები[216]	–	258	14,295	–	346	–	–
პისტოლეტები და რევოლვერები	–	1,400	246,593	3,510	1,618	–	3,315
– ნაწილები დ აქსესუარები	–	–	–	–	–	–	–
სპორტული/სანადირო/ საბრძოლო თოფები	11,000	–	164,837	4,250	2,012	25,963	19,810
– ნაწილები და აქსესურები	–	538	–	–	125,132	178,886	170,763
ყუმბარები, ხელყუმბარები, საბრძოლო მასალები და ნაღმები[217]	–	3,553,737	654,386	54,000	28,733	–	32,399
მსუბუქი შეიარლების საბრძოლო მასალები	–	8,855	648,074	–	22,049	40,618	23,654

ცნობილი არ არის, COMTRADE-ის მიერ წარმოდგენილი ციფრების რა წილი მოდის ხელახალ გადაზიდვებზე და რა რაოდენობა შეესაბამება წარმოებულ და ჭარბ მარაგს. 1999 და 2000 წლებში გადაზიდვების უმთავრესი ადრესატები უკრაინა, რუსეთი და კონგოს რესპუბლიკა იყვნენ (სწორედ ამ თანმიმდევრობით. იხ. ქვემოთ). ამ ექსპორტებს, როგორც ჩანს, შეადგენდა საბჭოთა კავშირისგან მემკვიდრეობით მიღებული იარაღის ჭარბი მარაგი. უდავოა, რომ სწორედ ამ ექსპორტების განხორციელების შედეგად საქართველო სავსებით დაიცალა გასაყიდად ვარგისი იარაღის ჭარბი მარაგისგან. ეს ციფრები შესაძლოა რეპატრირებულ რუსულ მსუბუქ შეირაღებაზე მიუთითებდნენ. ეს მოვლენები, ალბათ, 2000 წელს განვითარდა, როდესაც რუსეთში განხორციელდა 1 მილიონი დოლარის ღირებულების სამხედრო იარაღის ექსპორტი. 2000 წლის შემდეგ ექსპორტი, ძირითადად, საბრძოლო

215 ინტერვიუ, კახა კაციტაძე.

216 შეიძლება შეიცავდეს არამცირე (ეს ან არამსუბუქია, ან მძიმე) შეიარაღების გადაზიდვებს.

217 შეიძლება შეიცავდეს არამცირე შეიარაღების გადაზიდვებს.

თოფებსა, მათ სათადარიგო ნაწილებს, აქსესუარებსა და თოფის ტყვიებს მოიცავდა. ის ფაქტი, რომ ამ იარაღის დიდი ნაწილი იტალიაში იყო ექსპორტირებული[218] იმაზე მიუთითებს, რომ ქართული კომპანიები მსუბუქი იარაღის იტალიელი მწარმოებლების სუბ-კონტრაქტორებს წარმოადგენენ.

სურათი 21: საქართველოდან 10.000 აშშ დოლარზე მეტი ღირებულების ექსპორტის მიმღები ქვეყნები[219], 1996-2004 წწ (წყარო: www.nist.org)



დამაფიქრებელი გადაზიდვები

მაშინ, როდესაც რესპონდენტებს არ გააჩნდათ ინფორმაცია იარაღის გადაზიდვების შესახებ პლანეტის მგრძნობიარე წერტილებში (რომლებშიც ემბარგოა დაწესებული), გაეროს COMTRADE-ის ინფორმაცია მკაფიოდ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ საქართველომ ამუნიციის მნიშვნელოვანი ექსპორტი განახორციელა ე.წ. საომარ წერტილებში, ანუ ქვეყნებში, რომლებშიც შეიარაღებული შიდა დაპირისპირება მიმდინარეობს, ან ქვეყნებში, რომლებიც მათ ესაზღვრებიან. ამგვარი ტრანსფერებიდან ცნობილია[220]:

- ანგოლა, 1999წ. – 311.961 აშშ დოლარის ღირებულების ყუმბარები, ხელყუმბარები, საბრძოლო მასალები, ნაღმები და სხვა.
- ეთიოპია, 1999 წ. – 1.860.000 აშშ დოლარის ღირებულების ყუმბარები, ხელყუმბარები, საბრძოლო მასალები, ნაღმები და სხვა.
- კონგოს რესპუბლიკა, 2000 წ. – 636.340 აშშ დოლარის ღირებულების მსუბუქი შეიარაღების საბრძოლო მასალები.
- გვინეა, 2000-2001 წწ. – 12.000 აშშ დოლარის ღირებულების სამხედრო იარაღის ნაწილები და საბრძოლო მასალები; 78.000 აშშ დოლარის ღირებულების ყუმბარები, ხელყუმბარები, საბრძოლო მასალები, ნაღმები და სხვა.
- უგანდა, 2000 და 2002 წწ. – 108.869 აშშ დოლარის ღირებულების ყუმბარები, ხელყუმბარები, საბრძოლო მასალები, ნაღმები და სხვა; 19.954 აშშ დოლარის ღირებულების მსუბუქი შეიარაღების საბრძოლო მასალები.

მსგავს მგრძნობიარე ადგილებში ან არასტაბილურ რეგიონებში გადაზიდვების შემთხვევაში ჩნდება შესაძლებლობა იმისა, რომ ეს იარაღი გამოყენებული იყოს ადამიანთა უფლებების დარღვევისათვის ან შეიარაღებული კონფლიქტების საწარმოებლად. ამის მაგალითს წარმოადგენს 1999 წლის გადაზიდვები ანგოლაში, როდესაც უნიტა (ანგოლის სრული დამოუკიდებლობის ეროვნული კავშირი) გაეროს ემბარგოს ქვეშ იყო. გადაზიდვები საქართველოდან, რომლებიც, ალბათ, კანონიერი სახელმწიფო ძალებისათვის იყო განკუთვნილი და დაწესებულ ემბარგოს არ ეწინააღმდეგებოდა, შესაძლოა, გადაგზავნილი ყოფილიყო ან უნიტასთვის, ან ადამიანთა უფლებების დარღვევის მიზნით გამოეყენებინათ. საბოლოო მომხმარებლის მიერ მოცემული გრანტიებისა და გადაზიდვის შემდგომი მონიტორინგის შესაძლებლობის გარეშე ძალზე ძნელია ყოველი კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკის დად-

218 თოფების, ნაწილებისა და აქსესუარების ექსპორტი იტალიაში; 2002 წელი, აშშ – 125 132; 2003 წელი, აშშ – 178 886; 2004 წელი – 170 763.

219 ციფრები დამრგვალებულია 1000 აშშ დოლრამდე. სხვა ადრესატები, ასევე, დამრგვალებულია აშშ დოლარებში 1000 დოლარამდე; მალაიზია – 8 000; ტრინიდადი და ტობაგო – 4 000; აშშ – 4 000; კვიპროსი – 2 000; ინდოეთი – 2 000; დაუკონკრეტებელი – 1 000; კანადა – 1 000

220 წყარო: www.nist.org

გენა. ამასთან ერთად, 2002 წლის 17 მაისს ერითრიასა დ ეთიოპიაში ძალაში შევიდა გაეროს ემბარგო. საქართველოს მიერ 1999 წელს ეთიოპიაში განხორციელებული ექსპორტი დაემთხვა გაეროს არასავალდებულო ემბარგოს, (1999 წლის 12 თებერვალი – 2000 წლის 17 მაისი), ასევე, ევროკავშირის მიერ დაწესებულ ემბარგოს (1999 წლის 15 მარტი – 2001 წლის 31 მაისი). მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტი არ იყო არალეგალური, ის მაინც მიუთითებდა, რომ ყოფილ ხელისუფლებას არ ჰქონდა არავითარი სურვილი, დარწმუნებულიყო, რომ ეს იარაღი არ დაარღვევდა ადამიანთა უფლებებს ან არ იქცეოდა ძალადობრივი კონფლიქტის საბაბად. წარსულში მიღებული გამოცდილების თანახმად, მგრძნობიარე რეგიონებში იარაღის ექსპორტი, ასევე, ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს. კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა პასუხების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ქართული საზოგადოება უარყოფითად აფასებს საქართველოს მიერ რეპრესიული ხელისუფლებებისთვის, კონფლიქტური და ღარიბი ქვეყნებისთვის იარაღის ექსპორტს.

როგორც ჩანს, დღესდღეობით გაუმჯობესდა მთავრობის პოლიტიკა და ქცევა სპეციფიკურ გადაზიდვებთან დაკავშირებით, რადგანაც უკანასკნელ წლებში არ გავრცელებულა ინფორმაცია საეჭვო გადაზიდვების შესახებ. მართლაც, საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ მზადაა, ხელი შეუშალოს მსგავს გადაზიდვებს. თავდაცვის სამინისტრო, მაგალითად, აცხადებს, რომ ახლახან უარი თქვა უგანდაში იარაღის ექსპორტზე იმის გამო, რომ არსებობდა ეჭვი საბოლოო მომხმარებლის შესახებ[221]. ეს ფაქტი წარმოადგენს დადებით მაგალითს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუმცა რეგულარული ანგარიშის მომზადება უფრო გაზრდის გამჭვირვალობას, დაარწმუნებს საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებს, რომ ამის შემდეგ საეჭვო გადაზიდვები აღარ განხორციელდება.

მიუხედავად ამისა, იმპორტზე, ტრანზიტსა და ტრანსგადაზიდვებზე არსებულმა კონტროლმა შესაძლოა ვერ შეაჩეროს იარაღის ტრანსფერები მგრძნობიარე წერტილებსა თუ ემბარგოს მოქმედების ადგილებში. ერთ-ერთ მკაფიო მაგალითად საქართველოსთვის განკუთვნილი იარაღის მგრძნობიარე ადგილებში გადაგზავნისა უნდა მივიჩნიოთ 2001 წლის აპრილში უკრაინის ტრნსპორტის დაკავების შემთხვევა ბულგარეთში. აღნიშნული ტრანსპორტი დააკავეს ერითრიაში (მაშინ გაეროს ემბარგოს ქვეშ მყოფი) გაგზავნის ნებართვის მოთხოვნისას. გადამზიდი, უკრაინული კომპანია „ვოლრე“, დაიქირავა სამხედრო საქონლის ჩეხურმა კომპანია Thomas GZ-მა სამხედრო დანიშნულების ტვირთის საქართველოში გადასაზიდად. გაურკვეველია, რა სახის იარაღი გადაჰქონდათ ამ ტრანსპორტით, რომელიც, მრავალი წყაროს მტკიცებით, დაახლოებით 444.000 აშშ დოლარის ღირებულების 30 ტონა იარაღსა და საბრძოლო მასალებს შეიცავდა, მათ შორის 300.00 აშშ დოლარის ღირებულების კალაშნიკოვის საბრძოლო თოფებსა და საბრძოლო მასალებს, ასევე, 250.000 აშშ დოლარის ღირებულების ნაწილებს და საბრძოლო მასალებს D-3 ჰაუბიცებისათვის. ამ ინციდენტმა მკაფიოდ წარმოაჩინა იმის შესაძლებლობა, რომ საქართველოში გადმოგზავნილი ტვირთი ან ტრანზიტი შეიძლება აღმოჩნდეს საეჭვო დანიშნულების ადგილებსა და ემბარგოს ქვეშ მყოფ ქვეყნებში.

იმპორტისა და ექსპოტის საბროკერო და გადამზიდავი სააგენტოები

დღესდღეობით იარაღის 20 მაღაზიას აქვს ცეცხლსასროლი იარაღით ვაჭრობის ლიცენზია, რომელთაგან მხოლოდ ოთხიოდე თუ ახორციელებს იარაღის იმპორტს[222]. არ არსებობს ოფიციალური ინფორმაცია სხვა კომპანიებსა თუ ინდივიდებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან იარაღისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციით ვაჭრობისათვის. არც იმ ქართულ კომპანიებსა და კერძო პირებზე არსებობს ინფორმაცია, რომლებიც საბროკერო საქმიანობით ან გადაზიდვებით არიან დაკავებულნი. სპეციფიკური კანონმდებლობის არარსებობის გამო, რომელიც საქართველოსა თუ მის საზღვრებს მიღმა ამგვარი საქმიანობის რეგულირებას შეძლებდა, შესაბამისი ორგანოები არ აწარმოებენ ამგვარი კომპანიების აღრიცხვას. აქედან გამომდინარე, კვლევის ჯგუფმა ვერ შეძლო იმ ქართულ კომპანიათა თუ ინდივიდთა რაოდენობის დადგენა, რომლებიც ჩართულნი არიან მსუბუქი შეიარღების ექსპორტისა და იმპორტის, გადაზიდვისა და საბროკერო საქმიანობაში.

221 ინტერვიუ ლეიტენანტ პოლკოვნიკ ხვადაგიანთან.

222 ინტერვიუ ზაზა ხაჩიძესთან.

8.3 სასაზღვრო კონტროლი

კანონის დაცვა საგუშაგოებზე

სასაზღვრო გამშვები პუნქტებზე კონტროლის პასუხისმგებლობა (საერთაშორისო აეროპორტებისა და პორტების ჩათვლით) ერთობლივად ეხება სასაზღვრო პოლიციასა და ერთიან საბაჟო დეპარტამენტს. ეს უწყებები ერთობლივად ახორციელებენ საგუშაგოებზე იარაღის ამოღებას. მაგრამ მათ შორის გაგების მემორანდუმის არარსებობის გამო მათი ვალდებულებები ამ სფეროში მკაფიოდ არ არის გამიჯნული. (იხ. ნაწილი 10.1) საქართველოს აქვს ერთი ოფიციალური საგუშაგო ჩრდილოეთის საზღვარზე რუსეთის ფედერაციასთან, ორი საგუშაგო – აზერბაიჯანის საზღვართან ქვეყნის აღმოსავლეთით, ორი – თურქეთთან სამხრეთ აღმოსავლეთით და სამი – სომხეთთან. არსებობს, ასევე, მთელი რიგი მოქმედი ადგილობრივი საზღვრები ადგილობრივ მცხოვრებთათვის.

საბაჟო დეპარტამენტზე დაყრდნობით, მთელი ტვირთი, რომელიც კვეთს საქართველოს საერთაშორისო საზღვარს, საგანგებოდ მოწმდება[223]. ეს სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს, რადგანაც მიღებული საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ტვირთის მხოლოდ გარკვეული ნაწილი ექვემდებარება შემოწმებას. თუ ეს მართლაც ასეა, კვლევის ჯგუფისათვის უცნობი რჩება, რა პრინციპით ხდება შესამოწმებელი ტვირთის შერჩევა (შემთხვევითი შერჩევით, დაზვერვის კარნახით, გამოთვლით, საეჭვო შესახედაობის გამო თუ სხვ). პიროვნებები ჩხრეკას არ ექვემდებარებიან, თუ ოფიციალურ პირებს არ გააჩნიათ ინფორმაცია დაზვერვისაგან, რომ ისინი იარაღს ფლობენ.

მიუხედავად იმისა, რომ საბაჟოს წარმომადგენლების აზრით, ყველა ტვირთის შემოწმების შედეგად საზღვარზე უკანონო ტვირთის გადატანა, პრაქტიკულად, შეუძლებელია, მაგრამ იშვიათად მაინც არსებობს შესაძლებლობა იარაღის ერთი ან ორი ერთეულის ჩუმად გადატანისა. ეს ფაქტები თითქმის ყველა საგუშაგოზე რენტგენის დანადგარის უქონლობის გამო ხდება.

კანონის დაცვა ცისფერ და მწვანე საზღვრებთან

სასაზღვრო პოლიციას ევალება საქართველოს მწვანე და ცისფერი საზღვრების დაცვა, რათა აღკვეთოს მსუბუქი შეიარღების და შეიარაღებული დაჯგუფებების უკანონო მოძრაობა. რამდენადაც სამხრეთისა და დასავლეთის მწვანე საზღვრების და აღმოსავლეთის ცისფერი საზღვრის მენეჯმენტი სასაზღვრო პოლიციის მიერ მთელი წლის მანძილზე ჯეროვნად ხორციელდება, რუსეთთან ჩრდილოეთ საზღვრის გაკონტროლება ბევრად უფრო ძნელ ამოცანას წარმოადგენს სიშორისა და წელიწადის დროთა ცვალებადობით გამოწვეული კლიმატური პირობების არაერთგვაროვნების გამო. შესაბამისად, საზღვარს სხვადასხვაგვარად აკონტროლებენ ზამთარსა დ ზაფხულში. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველო ვერ ახერხებს თავისი საზღვრების გაკონტროლებას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონებში.

სასაზღვრო დაცვა უფლებამოსილია დააკავოს ადამიანები, რომლებიც უკანონოდ ცდილობენ საზღვრის გადაკვეთას, ასევე, რომელიმე ტვირთის უნებართვოდ გადაზიდვას ან საგუშაგოზე თავდასხმას. დაკავების მიზეზებიდან გამომდინარე, სასაზღვრო დაცვის თანამშრომლები უკავშირდებიან შესაბამის სამინისტროებს (მაგ. შსს-ს ან იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურას). ინციდენტის შემდგომი გამოძიება ან დამრღვევებისათვის ბრალდების წაყენება ამ სააგენტოების პრეროგატივაა. მიუხედავად იმისა, რომ სასაზღვრო პოლიციის მთავარ იურისდიქციას სასაზღვრო ზონა წარმოადგენს, 2004 წლიდან დეპარტამენტმა მოიპოვა უფლება, „ოპერატიული საგამოძიებო“ ერთეულის მეშვეობით ქვეყნის მასშტაბით წარმართოს გამოძიება და კრიმინალური საქმე. თუმცა, ამჟამად ეს ერთეული მთელი დატვირთვით არ ფუნქციონირებს, რადგანაც განახლებული „სასაზღვრო პოლიციის კანონი“ ჯერ მიღებული არ არის (იხ. ქვემოთ).

გამოძიების ჩარჩო

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, საქართველოს საზღვარზე მსუბუქი შეიარაღების ტრეფიკინგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან თხუთმეტ წლამდე.

223 ინტერვიუ, ვატანგ ლაშქარაძე.

ცხრილი 19: სასჯელი საქართველოს მსუბუქ შეიარაღებაზე კონტროლის კანონმდებლობის დარღვევისათვის

დანაშაული	სასჯელი	ს.ს.კოდექსის მუხლი
ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო წარმოება, გადატანა, გადაზიდვა ან გაყიდვა	ხუთიდან ათ წლამდე	მუხლი 236 პარ. 3
მსუბუქი შეირაღების მართლსაწინააღმდეგო გადატანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გავლით	სასჯელი სამიდან ათ წლამდე	მუხლი 237 პარ. 3
ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებთან ასოცირებული მართლსაწინააღმდეგო გადაზიდვა	სასჯელი შვიდიდან თხუთმეტ წლამდე	მუხლი 237, პარ. 1, 3, 4

კვლევის ჯგუფმა ვერ შეძლო დაედგინა სამხედრო და ორმაგი მოხმარების საქონლის კონტროლზე სამძებრო პოტენციალის დარღვევის საწინააღმდეგო რაიმე სპეციფიკური ღონისძიებები. ასევე, არ არსებობს ინფორმაცია შესაბამისი კანონების დარღვევის აღმკვეთი რაიმე ღონისძიებების შესახებ. თუ კანონაღსრულება ამ სფეროში სუსტია, ეს ნაწილობრივ თავად სასაზღვრო პოლიციაში ამჟამად არსებული სამართალდამცავი უნარების შედეგი უნდა იყოს (იხ.ქვემოთ). იმავდროულად საქართველოს კარგად განვითარებული კანონაღმასრულებელი სისტემა აქვს სერიოზულ დანაშაულთა გამოძიებისა თუ იარაღის ტრეფიკინგის სფეროში, რომლის გამოყენებაც სასაზღვრო პოლიციაში წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. მცირე იარაღის შიდა გავრცელების მსგავსად, სოდ-ს ევალება მცირე შეიარაღების ტრეფიკინგთან ბრძოლა. თუმცა არც სოდი და არც სასაზღვრო სამსახურები არ ეწევიან უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობის და ტრეფიკინგის საკითხების ანალიზს. შესაბამისად, არ არის დასახული ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლის პროგრამა ან ყოვლისმომცველი სტრატეგია.

სტრატეგიული დაგეგმვის სისუტე აისხება მსუბუქი შეიარაღების ტრეფიკინგის შესაძლებლობების შესახებ სოჯახო კვლევის რესპონდენტთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებაში, რომლის მიხედვითაც მათ არ მიაჩნით, რომ ხელისუფლება საკმარის ღონეს ხმარობდა იარაღის ტრეფიკინგთან და გავრცელებასთან საბრძოლველად. რესპონდენტთა მთლიანი როდენობის 73 პროცენტს მიაჩნდა, რომ ხელისუფლება არავითარ ღონეს არ ხმარობდა იარაღის უკანონო გადაზიდვების აღსაკვეთად, ხოლო 20 პროცენტის აზრით, ის არ იშურებდა ძალისხმევას ამ ფაქტის აღსაკვეთად.

ადმინისტრციული შესაძლებლობები

საქართველომ საზღვრების უსაფრთხოების სისტემის რეფორმას მეტი დრო დაუთმო ვარდების რევოლუციის შემდეგ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სასაზღვრო პოლიციის განვითარებაზე. 2003 წლიდან სასაზღვრო უწყება აღარ არის დამოუკიდებელი, არამედ ის შსს-ს შეუერთდა. მიუხედავად ამისა, დეპარტამანეტი მაინც ნაწილობრივ ავტონომიურობას ინარჩუნებს და დამოუკიდებელი ბიუჯეტი აქვს. დეპარტამენტში მიმდინარეობს შსს-თან ინტეგრაციის პროცესი, რომლის საბოლოო მიზანია სამოქალაქო სამართალდამცავი უწყების ჩამოყალიბება. ეს პროცესი გულისხმობს საკანონმდებლო ცვლილებებს, რესტრუქტურიზაციასა და ტრენინგს.

დღეს დეპარტამენტი იმართება 1994 წლის „სასაზღვრო ძალების შესახებ კანონის“ მიხედვით, რომელიც ეფუძნება ძველ საბჭოთა კანონებს და დეპარტამენტს სამხედრო სტატუსს ანიჭებს. შესაბამისად, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები ფლობენ სამხედრო წოდებებს, იარაღს და მათზე ვრცელდება კანონი „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“. ახალი „სასაზღვრო პოლიციის კანონი“ გერმანიის ფედერალური პოლიციისა და EUSR-ს დახმარებით შეიქმნა და საჯარო 2006 წლის 8 მაისს გახდა. პარლამენტის მიერ ამ კანონის მიღების შემდეგ სასაზღვრო პოლიციას პოლიციის ფუნქციებთან ერთად სამოქალაქო სტატუსიც მიენიჭა. ამ ცვლილებათა მიუხედავად, საზღვრის დამცველები საგანგებო ვითარებაში მაინც საქართველოს შეირაღებული ძალების შტაბის უფროსს ექვემდებრებიან.

2004-2005 წლებში მომხდარმა რესტრუქტურიზაციამ პერსონალის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია. 2006 წლის დასაწყისისათვის სასაზღვრო პოლიციაში, დაახლოებით, 6.000 ადამიანი მსახურობდა, რომელთა, დაახლოებით, 89% დაცვის ფუნქციას ასრულებდა, მხოლოდ 11% კი – ადმინისტრაციულ ფუნქციებს. ცენტრალური ოფისის პერსონალი, დაახლოებით, 180 მოსამსახურით თბილისში იმყოფება. მიუხედავად იმისა, რომ სასაზღვრო პოლიცია ჯერ კიდევ დაახლოებით 1.000 გაწვეულ მოსამსახურეს ითვლის, 2007 წლის ბოლოსთვის ის სავსებით პროფესიონალურ სამსახურად უნდა იქცეს.

წარსულში სასაზღვრო დაცვა უფრო სამხედრო ტიპის წვრთნას გადიოდა, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სამართალდამცავების ფუქციებისაგან. დეპარტამენტის სამოქალაქო ორგანიზაციად გარდაქმნის გამო აუცილებელია მოსამსახურეთა მიერ ხელახალი ტრენინგის გავლა[224]. დეპარტამენტს საწვრთნელი დახმარება რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ გაუწია. ევროკავშირმა სამფაზიანი კურიკულუმი შეადგინა საზღვრის დამცველთათვის, რომელიც ეუთოს მიერ კოსოვოს პოლიციის სამსახურისათვის შემუშავებულ სისტემას ეფუძნება. კურიკულუმი 2006 წლის იანვარში წარმოადგინეს. პირველი ფაზა საფუძვლიან პოლიციურ წვრთნას ეხება (მაგ. პოლიციის კანონი, ადამიანთა უფლებები), მეორე – სასაზღვრო პოლიციის საფუძვლება (მაგ. სახმელეთო საზღვართან დაკავშირებული კანონმდებლობა, საზღვაო კანონი), მესამე ოპერატიულ წვრთნას მოიცავს, საგუშაგოების დადგენით. პირველი ორი ფაზა პოლიციის აკადემიაში შეისწავლება. იმედია, რომ ამგვარი წვრთნა მთლიანად შსს-ს ინტეგრირებას შეუწყობს ხელს, რადგანაც საზღვრის დამცველები წვრთნის პირველ ფაზას საპატრულო პოლიციასთან ერთად გადიან.

ვინაიდან ჩატარებული ღონისძიებები რეფორმის ჯერ მხოლოდ საწყისი ეტაპია, ამჟამად ნაადრევია საუბარი სასაზღვრო პოლიციის ოპერაციებში შესამჩნევი ცვლილებების შესახებ. რესტრუქტურიზაციის ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორად იქცა ის, რომ სასაზღვრო პოლიციამ ვერ შეძლო ტრეფიკინგის რისკის შეფასებისას თუ ეროვნული საზღვრის სტრატეგიის დასახვისას შესაბამისი გეგმების შემუშავება[225]. აქედან გამომდინარე, სასაზღვრო პოლიციამაც ვერ მოახერხა გარდამავალი გეგმის ფორმულირება, მესაზღვრეთა სხვადასხვა დონეების სამსახურთან შესაბამისობის ანალიზის ჩატარება ან სტანდარტული ოპერატიული პროცედურების განახლება სასაზღვრო პოლიციის კანონაღსრულებითი როლის ასასახად. ამასთან ერთად, მიუხედავად ხელახალი წვრთნის უცილებლობისა, გაურკვეველია რამდენი ხანი დასჭირდება ამ პროცესს სასაზღვრო პოლიციაში. ეს პროცესი შეაფერხა ადმინისტრაციის ხშირმა ცვლამ და მეტიც, რესტრუქტურიზაციას თავად სასაზღვრო პოლიციის რიგებში ეწინააღმდეგებიან, რაც არასასურველი სამუშაო პირობების შედეგია. მაგალითად, მესაზღვრეთა პერსონალი ღელავს ხელფასის სამომავლო შემცირების თაობაზე, რადგანაც სამხედრო პერსონალის პენსია რიგითი მოქალაქეებისას ბევრად აღემატება.

წარმატებული რესტრუქტურიზაცია, ასევე, ემყარება მოწესრიგებულ კომუნიკაციებს და თანამშრომლობას თვით სასაზღვრო პოლიციის რიგებში, შსს-თან და სხვა სახელმწიფო სააგენტოებთან. ამ ურთიერთობების გასაუმჯობესებლად ბევრად მეტი შეიძლება გაკეთდეს. მიუხედავად იმისა, რომ დეპარტამენტს მიაჩნია, რომ საქართველოში და, შესაძლოა, რეგიონშიც საუკეთესო საკომუნიკაციო საშულებები აქვს, თბილისის ცენტრალურ ოფისს კვლავ აქვს საკომუნიკაციო პრობლემები შორეული ჩრდილოეთის საზღვართან და ზამთრისა თუ ზაფხულში განსხვავებულ პოლიციურ ქმედებებს საჭიროებს. მეტიც, კომუნიკაცია სასაზღვრო პოლიციასა და შსს-ს შორის პოლიციისა და მენეჯმენტის დონეზე საკმაოდ სუსტია. ამის შედეგად მოიკოჭლებს თანამშრომლობა უფრო დაბალ საფეხურებზე. ეს, შესაძლოა, აიხსნას იმით, რომ ამჟამინდელი სტრუქტურა ჯერ კიდევ ახალია, ამიტომ მხარეებს მისაჩვევად მეტი დრო სჭირდებათ. ცვლილებებმა, როგორც ამაზე მიუთითებს ახალი „სასაზღვრო პოლიციის კანონი“ უნდა უზრუნველყოს თანამშრომლობის გაუმჯობესება როგორც პოლიტიკურ ასევე შსს-ს დონეზე,.

ამასთან ერთად, საბაჟო დეპარტამენტის ძალისხმევას, აღმოაჩინოს მსუბუქი შეიარაღების ტრეფიკინგის შემთხვევები საერთაშორისო საზღვრებზე, შესაძლოა ხელი შეუშალოს ამ სფეროში წვრთნის დაბალმა ხარისხმა. საერთაშორისო სამსახურებმა მხარი დაუჭირეს წვრთნას ახალი აღჭურვილობის გამოყენებაში (მაგ. მანქანების აწონვა, კომპიუტერული სისტემები), მაგრამ წვრთნები ჩხრეკისა და კონტროლის პროცედურებში ახალი მეთოდების გამოყენების, ფარული გადაზიდვის (მსუბუქი შეიარაღების ჩათვლით) აღმკვეთი ღონისძიებების შესასწავლად საკმაოდ იშვიათი მოვლენაა, რადგან ისინი ძალზე ძვირადღირებულია, საბაჟო დეპარტამენტს კი მათი ჩატარების მატერიალური შესაძლებლობა არა აქვს[226].

ზემოთჩამოთვლილ პრობლემებს კიდევ მეტ სიმძაფრეს სძენს საზღვრის მაკონტროლებელ სააგენტოთა დაბალი დაფინანსება. 2005 წელს გაეროს განიარაღების საქმეთა დეპარტამენტში საქართველოს მხარემ განაცხადა, რომ ქვეყნის სასაზღვრო დაცვის სამსახურების არასაკმარისი დაფინანსების შედეგად ეს უწყება ვერ შეძლებს იქონიოს იარაღის უკანონო ტრეფიკინგის შემთხვევების აღსაკვეთად საჭირო აღჭურვილობის საკმარისი რაოდენობა[227]. საერთაშორისო და საკანონმდებლო დეპარტამენტის უფროსის თქმით, შსს-ს სხვა დეპარტამენტებთან შედარებით სასაზღვრო პოლიციას დაბალი ანაზღაურება აქვს, რაც სასაზღვრო კონტროლისადმი უწინდელი ადმინისტრაციის გულგრილი დამოკიდებულების შედეგია. დაბა-

224 ინტერვიუ, კახა ხანდოლიშვილი.

225 თუმცა სტრატეგია დღეს დამუშავებისსტადიაშია EUSR-ის დახმარებით. ინტერვიუ, მაიორი ბარანოვსკი.

226 ინტერვიუ, კახა ხანდოლიშვილი.

227 Available at: http://disarmament.un.org/cab/nationalreports/2005/Georgia%20july2005.pdf, accessed 15 April, 2006

ლი დაფინანსება ხელფასების სიმცირეზე და ინფრასტრუქტურის (შენობები და სათვალთვალო საგუშაგოები), წვრთნის შესაძლებლობებისა და ძირითადი აღჭურვილობის სიმწირეზე აისახება.

სასაზღვრო პოლიციის დაბალი დაფინანსება შესაძლოა გამხდარიყო საქართველოს საზღვრების დამცველთა არაეფექტური საქმიანობის ძირითადი მიზეზი. მაგალითად, გასულ წელს ეუთოს საზღვრის მონიტორინგის მისიის დროს საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე 2004 წელს საზღვრის უკანონო გადაკვეთის 800 ფაქტი აღრიცხა. სასაზღვრო პოლიციამ 2005 წელს საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბევრად ნაკლები შემთხვევა დააფიქსირა. ეს ფაქტი შესაძლოა საზღვრის უკანონო გადაკვეთის შემთხვევების შემცირებაზეც მიუთითებდეს, თუმცა ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ სასაზღვრო პოლიციის მცირე შესაძლებლობებმა და შეუსაბამო აღჭურვილობამ თავისი უარყოფითი შედეგი გამოიღო[228].

საზღვრის მართვის შესახებ ინფორმაციის გაცვლა

საბაჟო დეპარტამენტი და სასაზღვრო პოლიციის ოფიციალური პირები აღნიშნავენ, რომ ორმხრივი შეთანხმებებისა და ერთობლივი პროექტების წყალობით გაადვილდა თანამშრომლობა მეზობელ და დასავლეთის მთავრობებთან ორგანიზებული დანაშაულის ყველა ტიპთან ბრძოლის საკითხებში, რაც, ასევე, იარაღის ტრეფიკინგსაც მოიცავს. სასაზღვრო პოლიცია დ საბაჟო დეპარტამენტი ამტკიცებენ, რომ ან უკვე აქვთ, ან აუმჯობესებენ მრავალმხრივ ურთიერთობებს საქართველოს უშუალო მეზობლებთან.

ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან გაუარესდა რუსეთის მხარის მიერ გაკეთებული პოლიტიკური განცხადებების გამო, რომელთა თანახმად, საქართველო არ აკონტროლებს თავის საერთაშორისო საზღვრებს, განსაკუთრებით კი შეიარაღებული ჯგუფების მოძრაობას საქართველოსა და ჩეჩნეთის რესპუბლიკის საზღვარზე. რუსეთის ფედერაცია, ასევე, აპროტესტებდა იმ ფაქტს, რომ საქართველო სათანადოდ არ თანამშრომლობდა მასთან მსუბუქი იარაღის ტრეფიკინგის საკითხთან დაკავშირებით. თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლება ხაზს უსვამდა გადაადგილებათა გაუმჭვირვალობას რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს და რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე[229]. მიუხედავად ამისა, ამ ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა ბოლო პერიოდში გაუმჯობესდა. სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენელთა თქმით, საქართველომ და რუსეთმა 2004 წელს ხელი მოაწერეს შეთანხმებას სასაზღვრო სამსახურებს შორის ინფორმაციის გაცვლაზე. ამ ფაქტს ერთობლივი წვრთნისა და თანამშრომლობის ერთწლიანი გეგმა მოჰყვა, რომელიც წარმატებით შესრულდა. ორ მოსაზღვრე სამსახურს ამჟამად ორწლიანი წვრთნისა და თანამშრომლობის გეგმა აქვს, რომელიც ერთობლივ პატრულირებასაც ითვალისწინებს[230].

სასაზღვრო პოლიციის ოფიციალური პირები ადგილობრივ დონეზე თითქმის ყოველ კვირას ხვდებიან თავიანთ აზერბაიჯანელ კოლეგებს. საველე ოფიცრებმა განაცხადეს, რომ აზერბაიჯანელ კოლეგებთან ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობა დადებითია[231]. სასაზღვრო თანამშრომლობა, ასევე, ხორციელდება გუამის რეგულარული ორმხრივი შეხვედრებისას (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა). სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენელთა თქმით, თანამშრომლობა სომეხ კოლეგებთან შესაძლოა კიდევ უფრო მეტად განვითარდეს. ამჟამად საქართველო მოლაპარაკებებს აწარმოებს სომხეთთან და აზერბაიჯანთან სამგზავრო მატარებლებისათვის ერთობლივი სასაზღვრო რეჟიმის შესამუშავებლად. ამ მოლაპარაკების თანახმად, საბაჟოს მხოლოდ ერთი მხარე ჩაატარებს ყოველი მატარებელის შემოწმებას. საქართველოს საბაჟოს თურქეთთან ინფორმაციის გაცვლის შეთნხმება აქვს დადებული, ასე რომ, შეუსაბამობის ფაქტები ორი ქვეყნის ხელთ არსებული ინფორმაციის მეშვეობით გამოიკვლევა. თურქეთმა და საქართველომ 2001 წლის თებერვალში ხელი მოაწერეს თანამშრომლობის მემორანდუმს, რაც იარაღის ტრეფიკინგთან დაკავშირებით გაუმჯობესებულ თანამშრომლობას ითვალისწინებს[232].

სასაზღვრო პოლიცია და საბაჟო დეპარტამენტი, ასევე, თანამშრომლობენ თავინთ კოლეგებთან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. დეპარტამენტი ყოველთვიური ინფორმაციიის გაცვლას ახორციელებს გარკვეულ ქვეყნებთან, როგორიცაა ფინეთი, სააფრანგეთი, ესტონეთი (ლიტვა უახლოეს მომავლში). სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენელთა მტკიცებით, ორმხრივი ინფორმაციის გაცვლა ამ ქვეყნებთან

228 ინტერვიუ, კახა ხანდოლიშვილი.

229 ინტერვიუ, კახა ხანდოლიშვილი.

230 ინტერვიუ, კახა ხანდოლიშვილი.

231 ინტერვიუ, კახა ხანდოლიშვილი.

232 ინტერვიუ, დავით ახვლედიანი.

დადებითი მოვლენაა. 2005 წლის დასასრულისათვის საქართველომ და უკრაინამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბაჟო ინფორმაციის გაცვლაზე. მალე დამყარდება საბაჟო თანამშრომლობა ჩინეთთან და არაბთა გაერთიანებულ საემიროებთან, რაც დააჩქარა ამ ქვეყნებს შორის მიმოსვლისა და საქონლის ფარულად გადატანის რისკის გაზრდამ.

საქართველო, ასევე, მონაწილეობს სხვადასხვა ფორუმებში. საქართველოს სააბაჟო დეპარტამენტმა დსთ-ს ჩარჩოში ხელი მოაწერა მთელ რიგ შეთანხმებებს რუსეთის ფედერციასთან და აზერბაიჯანთან, თუმცა სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენელთა თანახმად, არ არსებობს დსთ-თან არავითარი სერიოზული თანამშრომლობა საზღვრებზე საქონლისა თუ მსუბუქი იარაღის ფარულ გადაზიდვებთან დაკავშირებით. საქართვეელო, ასევე, თანმშრომლობს სუამის ვირტუალური კანონაღსრულების ცენტრთან, რომელიც სამხრეთევროპული თანამშრომლობის ინიციატივის, ინფორმაციის გაცვლის მოდელის საფუძველზე შეიქმნა. ვირტუალური ცენტრის ძირითადი მიზანია (მოიცავს გუამის წევრი ქვეყნების ძირითად ეროვნულ საკითხებს რეალური ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით) გააადვილოს კანონაღმასრულებელი თანამშრომლობა მთელ რიგ სფეროებში, ტერორიზმიდან მოყოლებული ნარკოტიკების გადაზიდვითა და სხვა სერიოზული დანაშაულით დასრულებული. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრმა მხოლოდ ახლახანს დააარსა ნარკოტიკების ტრეფიკინგის წინაღმდეგ მებრძოლი სტრუქტურა, რომელმაც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპული თანამშრომლობის ინიციტივის ცენტრთან ერთად მონაწილეობა მიიღო ნარკოტიკების ტრეფიკინგის შეზღუდვის ოპერაციაში, პროექტი ადრეულ სტადიაზეა და ალბათ მხოლოდ შემდგომ ეტაპზე თუ შეითავსებს ინფორმაციის გაცვლას მსუბუქი იარაღის ტრეფიკინგზე[233].

საერთაშორისო დახმარება

საერთაშორისო დახმარებამ, როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი პროექტების სახით (როგორებიცაა ეუთოს სასაზღვრო დახმარების მისია და შშღ-ს დახმარება შსს-თვის) დიდად შეუწყო ხელი საქართველოს სასაზღვრო მენეჯმენტის სისტემის განვითარებას. რეგულარული არაფორმალური შეხვედრები მთავარი დონორი სააგენტოების წარმომადგენლებთან ხელს უწყობენ საერთაშორისო დახმარების მეშვეობით სასაზღვრო მენეჯმენტის გაუმჯობესებას, დახმარების მიზნობრივობასა და კოორდინირებას. მაგალითისათვის, ევროკავშირის მიერ გაწეული დახმარება გამიზნულია ოპერატიული და დოქტრინალური დონისათვის (მაგ. სტანდარტული ოპერაციების პროცედურებზე), ხოლო ეუთოსი კი საწვრთნელი პროგრამების დანერგვას უზრუნველყოფს. აშშ-ს დახმარება მიმართულია ინფრასტრუქტურისა დ აღჭურვილობის საკითხების მოსაგვარებლად.

233 კორესპოდენცია გ. გეორგიევთან, ევროატლანტიკურ მრჩევლთა ჯგუფი, გუამი-ვლეკ მრჩეველი, იანვარი 2006

ცხრილი 20: საერთაშორისო დახმარება საქართველოს საზღვრის კონტროლის საკითხებში

პროგრამები	პერიოდი
აშშ საელჩო	
საქართ.წვრთნისა და აღჭურვ.პროგრამა	მაისი 2002 – აპრილი 2004
სასაზღვრო პოლიციის წვრთნა, როგორც ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნა	–
აღჭურვილობის მოწოდება (მსუბუქი შეიარაღება და საბრძოლო მასალები, კომუნიკაციები, ტანსაცმელი)	–
საქართველოს საზღვრების უსაფრთხოება და კანონაღსრულების პროგრამა (სასაზღვრო პოლიცია საბაჟო დეპარტამენტი, საზღვაო დაცვა)	მიმდინარე
სასაზღვრო დაცვის განახლება, ავიაციის შენახვის ობიექტები ალექსეევკის საჰაერო ბაზაზე	აპრილი 2001 – აგვისტო 2005
ერთობლივი საბაჟო/საზღვრის საგუშაგოსი წითელ ხიდთან	მარტი 2002 – მარტი 2003
ყაზბეგის საგუშაგოს განახლება(ჩრდილოეთის საზღვარი), სადახლოს და ვალეა(სამხრეთის საზღვარი)	მიმდინარე
ASYCUD-ს მოწოდება საბაჟოს კომპიუტერიზირებული მენეჯმენტის სისტემა	2002 – 2006წწ.
სხვადასხვა აღჭურვილობა სასაზღვრო პოლიციისა და საბაჟო დეპარტამენტისათვის	მიმდინარე
საზღვაო დაცვის დაფინანსება	მიმდინარე
EUSER სასაზღვრო დახმარების პროგრამა	2005 სექტემბრიდან
სასაზღვრო დაცვის საწვრთნელი პროგრამის განვითარება	–
საზღვრის სრული უსაფრთხოების სტრატეგიის და ოპერატიული პროცედურების განვითარება	–
საველე სასაზღვრო პოლიციის მონიტორინგი	–
საქართველოს სასაზღვრო მდგომარეობის გაგრძელებული შეფასება	–
ახალი „სასაზღვრო პოლიციის კანონის“ შედგენა გერმანიის მთავრობასთან ერთად	–
ახალი საბაჟო კოდექსის განვითარება	–
ეუთოს მისია საქართველოში	
ეუთოს საზღვრის მონიტორინგის მისია	1999 – დეკემბერი 2004
უკანონო გადაკვეთებისა და ტრეფიკინგის დადგენა ჩრდილოეთის საზღვარზე ჩეჩნეთსა და ინგუშეთთან	–
ეუთოს წვრთნის დახმარების პროგრამა[234]	ივნისი 2005 – ივნისი 2006
წვრთნა თბილისში და სამ რეგიონალურ ცენტრში ჩეჩნეთისა და დაღესტნის საზღვართან	–
ემიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია	მიმდინარე
ტრენინგი სასაზღვრო დაცვისათვის, დოკუმენტების ინსპექტირების პროცედურები	–
პერსონალის იდენტიფიცირების უზრუნველყოფა და ანგარიშის წარდგენის სისტემა	–
თურქეთის მთავრობა	მიმდინრე
გდმოცემული სასენსორო აღჭურვილობა, მანქანები, საკომუნიკაციო აღჭურვილობა	–
სასაზღვრო პოლიციის შეზღუდული წვრთნა ლიდერობისა და სამენეჯმენტო უნარის გამოსამუშავებლად	–
გერმაანიის ფედერალური პოლიცია	მიმდინარე
EUSR-თან ერთად სასაზღვრო პოლიციის კანონის შედგენა	–

8.4 იარაღის ტრეფიკინგი

მაშინ, როდესაც 2005 წელს მსუბუქი შეიარაღების ტრეფიკინგის მცირე რაოდენობის შემთხვევები იყო აღრიცხული, 1990-იან და ადრეულ 2000-იან წლებში ტრეფიკინგის ან შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ საქართველოს საზღვრების დარღვე-

234 სასაზღვრო დახმარების პროგრამის მანდატის გაგრძელება 2006 წლის ივნისამდე ჯერ კიდევ შესათანხმებელია, მაგრამ იგეგმება მისი საწვრთნელი პროგრამის გაგრძელება ყველა საზღვრის დაცვის რეგიონალურ ცენტრში.

ვის არაერთი შემთხვევაა ცნობილი. კონტრაბანდის მუდმივი არსებობა და მსუბუქი შეიარაღების ტრეფიკინგის უწინდელი ინციდენტები წარმოაჩენენ, რომ ამგვარი ტრეფიკინგის შემთხვევები შესაძლოა განმეორდეს, რადგანაც შესაძლებელია, მათი საჭიროება კვლავაც გაჩნდეს.

მსუბუქი იარაღის ამოღება

სასაზღვრო პოლიცია და საბაჟოს დეპარტამენტი თანხმდებიან იმის თაობაზე, რომ მსუბუქი შეიარაღების ტრეფიკინგი საქართველოსათვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. იმ მონაცემთა მიხედვით, რომლებიც სასაზღვრო პოლიციამ წარმოადგინა, 2005 წელს სასაზღვრო დაცვამ შემდეგი დასახელების მსუბუქი შეიარაღება ამოიღო[235]:

ცხრილი 21: სასაზღვრო პოლიციის მიერ ამოღებული იარაღი, 2005 წელი

იარაღის დასახელება	რაოდენობა
საბრძოლო თოფი AK-74	4
საბრძოლო თოფი AKM	7
საბრძოლო თოფი AKMC	1
ხელის ყუმბარმტყორცნი RPG-7	1
ხელის ყუმბარმტყორცნი RPG 18	1
ხელის ყუმბარმტყორცნი VP 18 (მუხა)	1
7.62 მმ საბრძოლო მასალები	582
5.45 მმ საბრძოლო მასალები	337
ხელყუმბარა RGD-5	1
ყუმბარა ხელის ყუმბარმტყორცნისათვის RPG-7	3
ყუმბარები ხელის ყუმბარმტყორცნისათვის RPG-7 რეაქტიული პროპელერიანი მტყორცნით	18
ხელისა და სატანკო ყუმბარები RKG-3	6
საწვრთნელი ყუმაბრა RKG-3	2
საწვრთნელი ყუმბარა F-1	27
საწვრთნელი ყუმბარა RGD-5	14
ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი	1
საბრძოლო თოფის სავაზნე კოლოფი	39
საბრძოლო მასალები (სხვადასხვა კალიბრის)	204
საწვრთნელი საბრძოლო მასალები (სხვადასხვა კალიბრის)	2.078
5.45 მმ. საწვრთნელი საბრძოლო მასალები	754
ავტომატის ლენტის ყუთები	15
ავტომატის ლენტი	7
ავტომატის სათადარიგო ლულა 7.62მმ PKT	2

კვლევის გუნდმა ვერ შეძლო, დაედგინა, ეს იარაღი ტრეფიკინგის გზით იყო შემოსული, თუ უბრალოდ საზღვრის სიხლოვეს იყო ამოღებული და მოჰყვა თუ არა ამ ფაქტს რეაგირება.

იარაღის ამოღების მოტანილი ციფრები სხვადასხვა მიზეზების გამო, ალბათ, სრულად არ მიუთითებს მსუბუქი იარაღის ტრეფიკინგის მასშტაბებზე საქართველოს საერთაშორისო საზღვრებზე. ჯერ ერთი, სახელმწიფოს უჭირს, ჩაატაროს საზღვრების შესაბამისი მონიტორინგი განსაკუთრებით ჩრდილოეთის საზღვარზე არსებული რესურსებით. მეორე, ინფორმირებული წყაროები ამტკიცებენ, რომ მესაზღვრეები ყოველთვის როდი აჩერებენ შეიარაღებულ ინდივიდებს ან ჯგუფებს საქართველოს საზღვართან, განსაკუთრებით თუკი ეს ადამიანები საზღვრის მახლობლად მდებარე რაიონებიდან არიან და იარაღის ტარების ძირძველ ტრადიციას იცავენ. ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო სასაზღვრო პოლიციამ. ისინი დაჟინებით ამტკიცებენ, რომ აკავებენ იარაღის მქონე ყველა პირს, იმისდა მიუხედავად, რომელ თემს მიეკუთვნებიან ეს პირები და აქვთ თუ არა იარაღის ტარების კულტურა[236]. მესამე, სისტემის გაუმართავობის გამო რეგიონალურ სამსახურებსა და სასაზღვრო პოლიციის

235 კორესპონდენცია სასაზღვრო პოლიციასთან, 2006 წლის ივლისი.

236 ინტერვიუ, დავით ახვლედიანი.

შტაბს შორის ანგარიშგებისას ძნელდება ამოღებული იარაღის ერთეულებზე სტატისტიკის წარმოება[237]. ამას ისიც ერთვის, რომ არ შეფასებულა ტრეფიკინგის მეშვეობით საქართველოში შემოსული ან მისი გავლით გადაზიდული საქონელი. ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, ის ფაქტია, რომ საქართველოს საზღვრებზე ტრეფიკინგის ამჟამინდელი დონის შესახებ ინფორმაციის მოპოვება იზღუდება იმის გამო, რომ საქართველოს საბაჟო სამსახურებს ჯერ კიდევ არ მოუხდენიათ მსუბუქი შეიარაღების ტრეფიკინგის რისკის შეფასება.

საოჯახო კვლევის შედეგები იმაზეც მიუთითებს, რომ უკანონო მსუბუქი იარაღის ტრეფიკინგი შესაძლოა უფრო ხშირი იყოს, ვიდრე ამაზე იარაღის ამოღების მონაცემები მიუთითებენ. რესპონდენტთა 70% ფიქრობდა, რომ უკანონო იარაღის ტრეფიკინგი საქართველოში დღესდღეობით „დიდ“ ან „გარკვეულ“ შეშფოთებას იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები არ მიიჩნევდნენ, რომ ტრეფიკინგი საფრთხეს უქმნიდა მათ თემს, 51%-მა ამ კითხვას მაინც დადებითად უპასუხა. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ტრეფიკინგს, ასევე, საკმაოდ ხშირ მოვლენად თვლიდნენ და არ მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს საზღვრები საიმედოდ არის დაცული.

ახლა იარაღის ნაკადი დიდია, საზღვრებს კი არავინ აკონტროლებს. ჩვენი საზღვარი არ კონტროლდება ორ მონაკვეთში – აფხაზეთსა და ცხინვალში (სამხრეთ ოსეთი), მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დანარჩენი საზღვრებიც ისეთივე დაუცველია, როგორც ის ორი სასაზღვრო მონაკვეთი.

ფოკუს-ჯგუფი, თბილისი, მამაკაცი, 45 წლის.

ვინაიდან არ არსებობს მეთოდური მითითებანი, რომლებიც ტრეფიკინგის დღევანდელი დონის უფრო ზუსტი შეფასების საშუალებას მოგვცემდა, კვლევის ჯგუფი დაეყრდნო მოქალაქეთა ინფორმაციას რომელიც ნათლად ასახავს ადამიანების დამოკიდებულებას ტრეფიკინგის პრობლემისადმი, ასევე მსუბუქი შეიარაღების ტრეფიკინგის ისტორიასა და მათ (ადამიანის და იარაღის ტრეფიკინგის) ურთიერთდამოკიდებულებზე და უფრო მკაფიოდ ხატავს იმ საფრთხეთა სურათს, რომელსაც დღეს მსუბუქი შეიარაღების ტრეფიკინგი წარმოადგენს. საზღვრის მაკონტროლებელი სააგენტოების მწირი შესაძლებლობების გარდა, არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც ხელს უწყობდა მსუბუქი შეიარაღების ტრეფიკინგს წარსულში და რომლებმაც შეიძლება კიდევ უფრო გაადვილონ ის მომავალში. ასე რომ, ეს ფაქტორები აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მსუბუქი შეიარაღების ტრეფიკინგზე კონტროლის სტრატეგიის დასახვისას.

- მძიმე ლანდშაფტი ჩრდილოეთის საზღვარზე და ტრეფიკინგის გამოცდილების მქონე ადგილობრივი მცხოვრებლები;
- ორი სეპარატისტული კონფლიქტის გადაუჭრელობა.
- რუხი სუვერენიტეტის რეგიონები საქართველოოს სამხრეთის საერთაშორისო საზღვრის გასწვრივ და საზღვრის გადაკვეთის წერტილებში მოსახლე თემები.
- რეგიონალური ფაქტორები, როგორიცაა კონფლიქტურ რეგიონებთან სიახლოვე და კონფლიქტის შემდგომი მდგომარეობა რეგიონებში, საქართველოს უშუალო მეზობლებთან საზღვრის უუნარო მენეჯმენტი.

ჩრდილოეთის საზღვრები: თუშეთი, ხევსურეთი და პანკისის ხეობა

საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარს რუსეთის ფედერაციასთან, რომელიც ჩეჩნეთის რესპუბლიკას მოიცავს, რთული და ხშირად მიუდგომელი ლანდშაფტი გასდევს, ამიტომ მისი ეფექტური დაცვა მეტად ძნელია. 2005 წელს გაკეთებულ განცხადებაში გაეროს სამშვიდობო ძალების დანერგვის თაობაზე საქართველომ დაადასტურა, რომ მის ჩრდილოეთ საზღვარს კვეთს მთელი რიგი მიუვალი გზები და გასასვლელები რომლებიც ცუდად არის დაცული „სასაზღვრო/საბაჟო დაცვის პუნქტების სიმცირისა და ლანდშაფტის სირთულის გამო“[238].

ცეცხლსასროლი იარაღის ფარული გადატანა ჩეჩნეთთან გამავალ ჩრდილოეთის საზღვარზე წარსულში არაერთხელ იქცა შიდა თუ საერთაშორისო მასმედიის მსჯელობის საგნად. კონტრაბანდამ, როგორც ჩანს, პიკს მიაღწია 1999 წელს ჩეჩნეთში მეორე ომის დაწყებისას და ის, ძირითადად, თუშეთისა და ხევსურეთის მთიან რაიონებში ხორციელდებოდა, სადაც, ეჭვი აქვთ, რომ მთელი რიგი ორგანიზებული ჯგუფები იარაღის ტრეფიკინგს ეწეოდნენ. ამ რეგიონში საქართველოს მესაზღვრეების მიერ

237 EUSR border advisory team.

238 2005 წლის ანგარიში გაეროს განიარაღების საქმეთა დეპარტამენტში გაეროს პოა-ს დანერგვასთან დაკავშირებით.

ჩამორთმეული კონტრაბანდა მოიცავდა ყუმბარმტყორცნებს, ავტომატურ იარაღსა და საბრძოლო მასალებს[239].

მოხდა, ასევე, არაერთი ინციდენტი შეიარაღებული ჯგუფების მიერ საქართველოს საერთაშორისო საზღვრის გადაკვეთისას. ყველაზე მნიშვნელოვანი შემთხვევა მოხდა 1999-2000 წლებში პანკისის ხეობაში, 34 კილომეტრიან მთიან მონაკვეთზე, რომელიც ჩეჩნეთს ჩრდილოეთით ესაზღვრება. ეს ინციდენტი შედეგად მოჰყვა 1999 წელს 7.000 ჩეჩენი ლტოლვილის საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსვლას. ფიქრობენ, რომ მათ შორის 500 მეომარი იყო, რომელთაც ჩეჩენი საბრძოლო მეთაური რუსლან გილაევი ხელმძღვანელობდა[240]. ამას რუსეთის მხრიდან არაერთი მკაცრი პროტესტი მოჰყვა. რუსული მხარის თქმით, ჩეჩენმა ბოევიკებმა სათავისოდ გამოიყენეს პანკისის ხეობა და იქ უსაფრთხო სავანე ჰპოვეს, ამ ფაქტს კი შედეგად მოჰყვა 2000 წლის მარტში რუსი მედესანტეების მიერ სოფელ ფიჭვის აღება, 2001 წლის ნოემბერში კი რუსული თვითმფრინავებით პანკისის ხეობაში არსებული პოზიციების დაბომბვა[241]. ამ პერიოდში პანკისის ხეობაში, ფაქტიურად, გაგრძელდა ჩეჩნეთში დაწყებული საომარი მოქმედებები, შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების მიერ ამ ტერიტორიის კონტროლი მინიმალური იყო.

დაძაბულობა ჩრდილოეთის საზღვარზე ეუთოს სასაზღვრო მონიტორინგის მისიის შექმნას მოჰყვა, რომელიც 1999-2004 წლებში აქ ოპერატიულ საქმიანობას ახორციელებდა. ეუთოს სასაზღვრო მონიტორინგის მისიამ დაადასტურა, რომ ტრეფიკინგის საზღვარზე მოძრაობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. ოპერატიული საქმიანობის ბოლო, 2004 წელს ეუთოს სასაზღვრო მონიტორინგმა საზღვრის 800 უკანონო გადაკვეთა აღრიცხა, დამრღვევთა ათი პროცენტი კი შეიარაღებული პირი იყო[242]. ამ შემთხვევათა გარკვეული წილი ადგილობრივ მაცხოვრებლებზე მოდიოდა, მაგრამ საზღვრის გადაკვეთის ზოგიერთ მცდელობაში ჯგუფები იყო შემჩნეული, რომლებიც საქონლით დატვირთულ ცხენებთან ერთად მოძრაობდნენ[243].

პრობლემებმა, რომლებიც ჩეჩენთა მიერ საზღვარზე უკანონო გადაადგილებამ წარმოქმნა, უბიძგა აშშ-ს, ჩამოეყალიბებინა მნიშვნელოვანი ანტიტერორისტული პროგრამა საქართველოს სამხედროებისათვის, სახელწოდებით წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა“ (იხ. ნაწილი 1).

სეპარატისტული რეგიონები: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარტისტული რეგიონები საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრის 200 კმ-ს მოიცავს და ამ მხარეთა მიერ კონტროლდება. საქართველოს ოფიციალური პირები დავობენ იმის თაობაზე, რომ მათთვის შეუძლებელია ამ საზღვრების გასწვრივ არსებული სიტუაციის მონიტორინგი და მიაჩნიათ, რომ საზღვრის ეს მონაკვეთები ტრეფიკინგის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.[244]. თუ ეს სინამდვილეს შეესაბამება, ცხადია, საკმაოდ ადვილი იქნება იარაღის კონტრბანდა ოფიციალური თბილისის კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, რადგანაც, საბაჟო დეპარტამენტს არ გააჩნია შიდა საგუშაგოები ამ რეგიონების მახლობლად, თუმცა არსებობს იარაღის შესამოწმებელი საგუშაგოები სხვადასხვა ადგილებში. მაშინ, როდესაც არ არსებობს სეპარატისტული რეგიონებიდან იარაღის კონტრაბანდის გადმოტანის ფაქტების დამადასტურებელი ან უარმყოფი არავითარი მტკიცებულება, ეს უტყუარი ნიშანია იმისა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გავლით საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე საქონლის მნიშვნელოვანი მოცულობა უკანონოდ გადაიტანება. და მართლაც, სამხრეთ ოსეთიდან კონტრაბანდის მნიშვნელოვანი რაოდენობით შემოტანამ შექმნა იმის საჭიროება, რომ 2004 წლის ზაფხულში საქართველოს შინაგანი ჯარის ნაწილები სამხრეთ ოსეთის საზღვარზე განელაგებინათ, როგორც „კონტრაბანდასთან საბრძოლო ოპერაციის“ ნაწილი. მოვლენათა

239 საქართველოს მესაზღვრეები ახორციელებენ იარაღის ამოლებას ჩეჩენი აჯანყებულების გამო, ინტერფაქსი, 1999 წლის 27 სექტემბერი. მაგალითად, 24 სექტემბერს თუშეთში, სოფლებში დიკლო და ომალო, ამოიღეს 120 ყუმბარმტყორცნი, 100 ავტომატური იარაღი, სხვა იარაღი და ამუნიცია. ასევე, აცხადებდნენ, რომ ქართველმა სამხედროებმა მცირე შეიარაღების ათასზე მეტი ერთეული გადასცეს, რომელიც ჩეჩენი დაჯგუფებების მიერ 1999 წელს მოპარული იარაღი აღმოჩნდა. წყარო: „რუსეთი წინ აღუდგა საქართველოს ბრალდებას იარაღის კონტრაბანდაზე“, იტარ-ტასი, მოსკოვი, 11 იანვარი, 2000 წელი. რუსეთის მხარეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება იმ ბრალდებაზე, რომელიც მტკიცედ უარყვო ქართულმა წყაროებმა. წყარო: „რუსი სამხედროები უარყოფენ საქართველოში იარაღით ვაჭრობის ფაქტს“, ინტერფაქსი, მოსკოვი, 12 იანვარი, 2000 წელი.

240 დარჩიაშვილი დ., გვ., 73.

241 ალისონ რ., „გადაუჭრელი კონფლიქტები შავი ზღვის რეგიონში. საფრთხე, ზეგავლენა რეგიონალიზმსა და რეგიონალურ სტრატეგიებზე კონფლიქტის მოგვარებისას, გამოცემებში კლიმპუშ-ცინცაძე და პავლიუკ ო., შავი ზღვის რეგიონი: თანამშრომლობა და უსაფრთხოება, ნიუ-იორკი, აღმოსავლეთ-დასავლეთის ინსტიტუტი, 2004 წელი, გვ. 86-122.

242 ინტერვიუ, ტორსტენ დერიკი.

243 ეუთოს სასაზღვრო მისია.

244 ინტერვიუ, კახა ხანდოლიშვილი.

ამგვარმა განვითარებამ რეგიონში დაძაბულობა შექმნა, რომლის კულმინაციადაც ხანმოკლე საარტილერიო დუელი იქცა. ბუნებრივია, შეიარაღებულ დაპირისპირებას შედეგად ადამიანთა დაშავება მოჰყვა.

„რუხი სუვერენიტეტის რეგიონები“ და საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები თემები: ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სამხრეთის საზღვრები

საზღვრის კონტროლი პრობლემურია, აგრეთვე, გარკვეულ მონაკვეთებში, რომლებიც, მართალია, სახელმწიფო კონტროლქვეშ იმყოფებიან, მაგრამ გააჩნიათ სირთულეები სახელმწიფო მართვის მხრივ და, ამასთან ერთად, თანამედროვე სასაზღვრო აღჭურვილობის ნაკლებობას განიცდიან. ეს რეგიონები მოიცავს, ძირითადად, ეთნიკური სომხებით დასახლებულ სამცხე-ჯავახეთის რეგიონს (ახალქალაქისა და ახალციხის ჩათვლით) და ქვემო ქართლის გარკვეულ ნაწილს, სადაც ეთნიკურ აზერბაიჯანელთა დიდი თემი სახლობს. „საქართველოს საერთაშორისო საზღვრების გასწვრივ და კონფლიქტური ზონების გარშემო რუხი სუვერენიტეტის“ რეგიონების არსებობამ ალბათ, ასევე, გააადვილა მსუბუქი იარაღის ტრეფიკინგი. სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენელთა თქმით, ამ რეგიონებში გაცილებით უფრო მაღალია კორუფცია, ტრეფიკინგი და საზღვრის უკანონო გადაკვეთა, ვიდრე ჩრდილოეთით, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიასთან გამავალ საზღვართან[245].

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ქვემო ქართლის რეგიონი. უკანონო იარაღის მფლობელობის დონე აქ უფრო მაღლია, ვიდრე, ზოგადად, ქვეყანაში (იხ. მონკვეთი 3.5). 2004 წლის კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ცეცხლსასროლი იარაღი რეგიონში და მის მეზობელ სამცხე-ჯავახეთში, ძირითადად, შეძენილი იქნა საქართველოში მცხოვრები სომეხი და აზერბაიჯანელი მოქალაქეების მიერ 1992-1994 წლებში მთიანი ყარაბაღის შეიარაღებული კონფლიქტის დროს[246]. ამ რეგიონში კონტრაბანდის სახით დიდი რაოდენობის იარაღის შემოტანის ფაქტს საოჯახო კვლევისა და ფოკუს- ჯგუფების განხილვებიც ადასტურებს. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებსა და საოჯახო კვლევის რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ სამეგრელოს გარდა, ყველა სახის კონტრაბანდა უფრო ხშირად ქვემო ქართლში შემოდიოდა. ამ რეგიონში მიღებული პასუხები ადასტურებს ამ ტერიტორიაზე ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით მსუბუქი შეიარაღების ტრეფიკინგის მაღალ დონეს, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს წარსულში მაინც.

სურათი 22: რამდენად მიგაჩნიათ წუხილის მიზეზად უკანონო იარაღის გადატანა საქართველოს საზღვარზე / თქვენს ქალაქში / სოფელში / უბანში
(გამოკითხულთა რაოდენობა=1300)



ამ მონაცემებს კიდევ უფრო განამტკიცებს ის ფაქტი, რომ ეთნიკური აზერბაიჯანელი რესპონდენტები, რომლებიც, ძირითადად, ქვემო ქართლში სახლობენ, ასევე, ფიქრობენ, რომ ცეცხლსასროლი იარაღის ტრეფიკინგი მათს თემში უფრო სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა, ვიდრე ეთნიკური ქართველებით ან სომხებით დასახლებულ რაიონებში. ამასთან არც ერთ ეთნიკურ აზერბაიჯანელ რესპონდენტს არ უთქვამს, რომ ტრეფიკინგი საფრთხეს არ უქმნიდა მათ რეგიონს.

245 იგივე

246 მცირე შეიარაღების გავრცელება და მისი გავლენა სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე ქვემო ქართლში (CIPDD/GTZ, 2004).

სურათი 23: თქვენი ეთნიკური წარმომავლობა/რამდენად წარმოადგენს საზოგადოების წუხილს საზღვარზე უკანონო იარაღის გადაზიდვის პრობლემა საქართველოში / თქვენს ქალაქში / სოფელში/უბანში?
(გამოკითხულთა რაოდენობა = 1300)



რეგიონალური ფაქტორები

რეგიონში მთელი რიგი კონფლიქტების, გაყინული კონფლიქტებისა და კონფლიქტის შემდგომ ვითარებათა არსებობა გზას უხსნის ცეცხლსასროლი იარაღის პოტენციური ბაზრის შექმნას, იარაღის მოწოდებას და ხელს უწყობს გარკვეულ ჯგუფებს, უზრუნველყონ იარაღის მოწოდება გაზრდილი მოთხოვნილების შემთხვევაში. ცენტრალურ ხელისუფლებას დაუმორჩილებელი სასაზღვრო ადგილები, ცეცხლსასროლი იარაღის საჭიროება და, აგრეთვე, მისი მოწოდებისთვის მზადყოფნა იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ მსუბუქი შეიარაღების ტრეფიკინგი შესაძლოა მომავალში საქართველოს სერიოზულ პრობლემად ექცეს. ამასთან ერთად, საქართველოს ზოგიერთი საზღვრის სუსტი მენეჯმენტი კიდევ უფრო უკეთეს პირობებს ქმნის იარაღის ტრეფიკინგისათვის. რესპონდენტთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ საქართველოს მცდელობას თავისი საერთაშორისო საზღვრების კონტროლის გაუმჯობესების საქმეში მნიშვნელოვნად უშლის ხელს საზღვრის დაცვის სამსახურის სუსტი შესაძლებლობები და მეზობელი ქვეყნის სასაზღვრო სამსახურებში ფართოდ გავრცელებული კორუფცია. ერთ-ერთმა კრგად ინფორმირებულმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ ძალიან ადვილია იარაღის ტრეფიკინგი საქართველოს საერთაშორისო საზღვრებზე, თურქეთთან საზღვრის გარდა, რადგან ეს უკანასკნელი კარგად არის გაკონტროლებული[247]. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ სომხეთის საზღვრის სამსახური სათანადოდ არ ფუნქციონირებს.

247 ინტერვიუ, კახა კაციტაძე.

9

გამჭვირვალობა და კონტროლი

საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მსუბუქი შეიარაღების საკითხებში გამჭვირვალობის მისაღწევად და იმის უზრუველსაყოფად, რომ პარლამენტი და სამოქალაქო საზოგადოება მასზე კონტროლს განახორციელებენ. საპარლამენტო კომიტეტების უმრავლესობა ფორუმის სახით აწყობს დებატებს მსუბუქი შეიარაღების საკითხების მიმართ პოლიტიკის შესამუშავებლად და პრაქტიკული ნაბიჯების გადასადგმელად. ამასთან ერთად, ხელისუფლების სვადასხვა ფენებმა კარგად გაიაზრეს სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთქმედების უპირატესობა, ამიტომ ჩართეს სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული ჯგუფები მსუბუქ შეიარაღებასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ პოლიტიკის შემუშავების პროცესში. მაგალითად, შსს-ს პოლიციის აკადემიამ ცეცხლსასროლი იარაღისა და ძალის გმოყენების საკითხებზე მთელი რიგი საწვრთნელი მოდულები შეიმუშავა, რომლებიც ღია საზოგადოება საქართველოს მიერ იქნა ჩამოყალიბებული. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად შეიცვალა თავდაცვის სამინისტროს დამოკიდებულებაც, რომელმაც 2005 წელს სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად ჩაატარა სემინარების სერიები პოლიტიკურ საკითხებზე[248].

მიუხედავად ამ სფეროში არსებული პოზიტური ცვლილებებისა, პარლამენტარებისათვის ან კერძო პირებისათვის ყოველდღიურად ხელმისაწვდომი არ არის იარაღის გადაზიდვებთან, ამოღებასთან, ტრეფიკინგთან, განადგურებასთან, მფლობელობსთან და წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები. საზოგადოება და პარლამენტი ვერ ახორციელებენ სისტემატიურ კონტროლს, ზოგადად, უსაფრთხოებასთან, კერძოდ კი, მსუბუქ შეიარაღებასთან დაკავშირებულ საკითხებზეც, თუმცა უსაფრთხოების სტრუქტურებში გამჭვირვალობის შეზღუდულობა ჩვეულებრივი დამახასიათებელი ნიშანია იმ ქვეყნებისათვის, რომლებშიც კონფლიქტებია. ვინაიდან გამჭვირვალობა მეორეხარისხოვან საკითხად არის მიჩნეული სახელმწიფო საიდუმლოებასთან და უსაფრთხოების ეროვნულ ინტერესებთან შედარებით, ამ ფაქტმა შესაძლოა, ხელი შეუშალოს უსაფრთხოების სექტორის რეფორმას, დააბრკოლოს დებატები სამხედროების და პოლიციის როლის შესახებ და, შესაბამისად, საზოგადოებაში უნდობლობისა და დუცველობის შეგრძნება გამოიწვიოს.

გამჭვირვალობის თვალსაზრისით საუკეთესო ნიმუშს საქართველოში მსუბუქ შეირაღებასთან და უსფრთხოების გაძლიერების საკითხებთნ დაკავშირებით წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს. მასზე მუშაობისას უმრავლეს შემთხვევაში ძალზე პოზიტიური იყო თანამშრომლობა ხელისუფლების ოფიციალურ პირებთან, შეიძლება ითქვას, ბევრად უკეთესი, ვიდრე კავკასიის რეგიონის სხვა ქვეყნებში. და მაინც, საკმაოდ განსხვავებული იყო გამჭვირვალობის დონე სხვადასხვა უწყებაში. ქვემოთ მოტანილ ცხრილში შეჯამებულია მთავარი სამინისტროებისა და სააგენტოების გამჭვირვალობის დონეები, რაც დაფუძნებულია კვლევის მიმდინარეობისას ინფორმაციის მოპოვების პროცესში კვლევის ჯგუფის გამოცდილებაზე. ორი ძირითადი სფერო, რომელიც კვლევის ჯგუფმა მეტად რთულად ჩათვალა, იყო სახელმწიფო მსუბუქი შეარაღების არსენალი და მსუბუქი შეიარაღების საერთაშორისო სამხედრო გადაზიდვები.

248 ინფორმაცია ამ შეხვედრებზე ხელმისაწვდომია <http:// psgf.ge/ccds/meetings.html>, accessed 20 July, 2006.

ცხრილი 22: სამთავრობო გამჭვირვალობა მსუბუქი შეიარღებისა და უსაფრთხოების სკითხებში

მთავრობის სააგენტო	გამჭვირვალობის დონე
სასაზღვრო პოლიცია	მოწოდებულია მოთხოვნილი ინფორმაციის დიდი ნაწილი, კერძოდ, ცნობები რესტრუქტურიზაციასა და სასაზღვრო მენეჯმენტის ამჟამინდელ შესაძლებლობებზე. თანამშრომლობის უმაღლესი დონე. *ინფორმაციის სუსტი მხარე:* სასაზღვრო პოლიციის მსუბუქი შეიარაღების მარაგები.
საბაჟო დეპარტამენტი	მოწოდებულია მოთხოვნილი ინფორმაცია. თანამშრომლობის შესაბამისი დონე.
საგარეო საქმეთა სამინისტრო	მოწოდებულია მოთხოვნილი ინფორმაცია. თანამშრომლობის კარგი დონე.
შინაგან საქმეთა სამინისტრო	მოწოდებულია მოთხოვნილი ინფორმაციის დიდი ნაწილი, კერძოდ, დანაშაულის სტატისტიკისა და ძირითადი მიმართულებების, ასევე, შიდა პროცედურების დეტალებისა და საოპერაციო მოდელების შესახებ თანამშრომლობის კარგი დონე. *ინფორმაციის სუსტი მხარე:* რეგისტრირებული იარაღის რიცხვი, მონაცემთა ბაზის არარსებობის გამო. შსს იარაღის მარაგები. მოპარული/დაკარგული იარაღის მარაგები.
თავდაცვის სამინისტრო	მოწოდებულია მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი, კერძოდ, საცავების მენეჯმენტისა და იარაღის გაუვნებელყოფის შესახებ. თანამშომლობის გაუმჯობესებული დონე. *ინფორმაციის სუსტი მხარე:* სამხედრო-ტექნიკური კომისიის მიერ ნებადართული საერთაშორისო გადაზიდვების სრული დეტლები; გადაწყვეტილების მიღების პროცესზე დეტლური ინფორმაცია. სამხედრო საწყობების ძარცვის დეტალები. სამხედრო მსუბუქი შეიარაღების მარაგები.
იუსტიციის სამინისტრო	მიღებულია სრული ინფორმაცია, (რის მოწოდებაც ლეგალურად არის შესაძლებელი). თანამშრომლობის ძალიან კარგი დონე.
ეკონომიკის განვითარების სამინისტრო	მოწოდებულია მოთხოვნილი ინფორმაციის დიდი ნაწილი. თანამშრომლობის შესაბამისი დონე.
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	მოწოდებულია მოთხოვნილი ინფორმაციის დიდი ნაწილი. თანამშრომლობის კარგი დონე. მოწოდებული ინფორმაციის სუსტი მხარე: ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად დაშვების და სიკვდილიანობის შემთხვევების რიცხვი – სუსტი აღრიცხვის სისტემის გამო.
გენერალური პროკურატურა	მოწოდებულია სრული ინფორმაცია (რის მოწოდებაც ლეგლურდ არის შესაძლებელი). თანამშრომლობის ძალიან კარგი დონე.

9.1 სამოქალაქო საზოგადოების კონტროლი

ცივი ომის დასრულების შემდეგ საყოველთაოდ აღიარებულია ის ფაქტი, რომ სამოქალაქო საზოგადოებას უმთავრესი როლი განეკუთვნება უსაფრთხოების სექტორის ჯეროვნად მართვაში და რომ გამჭვირვალობა უსაფრთხოების საკითხებში ხელს უწყობს ნდობის ამაღლებას, როგორც საერთაშორისო დონეზე, ისე ქვეყნის შიგნით. იგივე შეიძლება ითქვას მსუბუქი შეირაღების კონტროლის სფეროზეც, თუმცა სა-

ქართველოს შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოების როლი ამ სფეროში უმნიშვნელოა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებობს ხელისუფლებისა დ სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობის კარგი მაგალითები, უსაფრთხოების სექტორის გარკვეულ ნაწილში კვლავ იცავენ ინფორმაციის გასაიდუმლოების ტრადიციას, რომლის აღმოფხვრასაც გარკვეული დრო სჭირდება.

მაგალითად, საქართველოს ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა IPAP საქართველოს მხარეს ავალდებულებდა, შეემუშავებინა „აქტიური და კოორდინირებული საჯარო ინფორმაციის სტრატეგია იმის უზრუნველსაყოფად, რომ უსაფრთხოებისა და თავდაცვის ტრანსფორმირება და მოდერნიზება, შეირაღებულ ძალებზე დემოკრატიული და სამოქალაქო კონტროლის ჩათვლით“, კარგად ყოფილიყო გაცნობიერებული და მხარდაჭერილი ქართველი ხალხის მიერ[249]. მიუხედავად ამისა, ქართულმა მხარემ მაინც მიიღო ამ პროგრამის გასაიდუმლოების გადაწყვეტილება. მოგვიანებით ეს შეუსაბამობა გასწორდა და ხელისუფლებამ მოცემული დოკუმენტი 2005 წლის ივნისში გამოაქვეყნა. ინფორმაციის საჯაროობისთვის უფრო მოწადინებული ჩანს შსს, ვინაიდან აცნობიერებს მუშაობის ეფექტურობისათვის საზოგადოებასთან ურთიერთობის მნიშვნელობას. გამჭვირვალობის თვალსაჩინო ნიმუშებს, ასევე, წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროსა[250] და შინაგან საქმეთა სამინისტროს[251] პროფესიონალურ დონეზე შესრულებული ვებსაიტები, რომლებიც ჩადენილი დანაშაულებიდან (ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილის ჩათვლით) რეგულარულ განახლებას ექვემდებარება.

უსაფრთხოების საკითხებში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის დონე დასავლური სტაანდარტებს არ შეესაბამება. ნაწილობრივ, ამის მიზეზად ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების არცთუ ძლიერი პოზიცია უნდა დავასახელოთ. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოება უფრო აქტიურია საქართველოში, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში (ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია დემოკრატიული იდეალების განსამტკიცებლად. გავიხსენოთ, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ვარდების რევოლუციის წარმატებით დაგვირგვინებაში), მისი გავლენა მაინც საკმაოდ სუსტია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2004 წლის დასაწყისში სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებმა ორგანიზაცია დატოვეს და სააკაშვილის ხელისუფლებას შეუერთდნენ. უფრო მეტიც, მაშინ, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, მის ჩართვას უშიშროების სექტორში მცირე ყურადღება დაეთმო. ამას კი შედეგად მოჰყვა ის, რომ ორგანიზაციების ძალზე მცირე ნაწილს აქვს ამ საკითხებზე მუშაობის გამოცდილება, თუკი სერთოდ ინტერესდებიან ამ პრობლემებით[252].

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება, ასევე, ნაკლებ ინტერესს იჩენს უსაფრთხოების, კერძოდ კი, მსუბუქი შეიარაღების გადაზიდვის საკითხებზე. გარკვეული რესპონდენტების პასუხებიდან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაციათა მეტად მცირე ნაწილი „ამბობს ან აკეთებს რაიმეს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით[253]. მართლაც, რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად შემცირდა სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობები უსაფრთხოების საკითხებზე კონტროლის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ზოგს მიაჩნია, რომ სახელმწიფო ახლა ნაკლებად დინტერესებულია არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ვიდრე ადრეულ ეტაპზე. იმასაც აღნიშნავენ, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ ვერ შეძლო მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა IPAP პროცესში[254].

მიუხედავად ამისა, თბილისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი მჭიდროდ თანამშრომლობს ხელისუფლებასთან, როგორც ოფიციალურ, ასევე პირად თუ პროექტების დონეზე. მაგალითად, თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე რამდენიმე ორგანიზაცია სამოქალაქო საბჭოს წევრი გახდა. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები რეგულარულად ხვდებოდნენ თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ პირებს (მინისტრის ჩათვლით) საერთო პრობლემების განსახილველად. ერთ დროს მსგავსი ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმები შსს-თანაც არსებობდა. მეორე მხრივ, ზოგი ჟურნლისტი საყვედურს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ თავდაცვის სამინისტრომ ისინი ოფიციალურად შეიყვანა შავ სიაში[255]. საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ასევე, აღნიშნეს, რომ უძნელდებათ სამინისტროების ოფიციალური პირებისგან ინფორმაციის მოპოვება[256]. ზემოთქმული იმაზე მიუთითებს, რომ სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობისას ჯერ კიდევ

249 საქართველო-NATO IPAP

250 www.mod.gov.ge, accessed 12 March, 2006

251 www.police.ge, accessed 14 March, 2006

252 ეს საკითხი უფრო დეტალურად არის განხილული დანკან ჰისკოკის ნაშრომში: „არასამთავრობო ორგანიზაციები, შიდა და საერთაშორისო და უსაფრთხოების სექტორის მართვა საქართველოში, შევარდნაძის შემდგომ საქართველოს უსაფრთხოების სექტორის მართვა ვარდების რევოლუციის შემდეგ (DCAF, 2005 წელი)

253 ინტერვიუ, კახა კაციტაძე, კობა ლიკლიკაძე

254 ანონიმური ინტერვიუ გ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი.

255 ინტერვიუ, კობა ლიკლიკძე.

256 ანონიმური ინტერვიუ, E. დასავლეთის დიპლომატიური პერსონალი, თბილისი.

სუსტია გამჭვირვალობა და თანამშრომლობა, და გარკვეული ოფიციალური პირებიც ეჭვით უმზერენ სამოქალაქო საზოგადოებას, თუმცა, ამავე დროს, შესანიშნავ დმოკიდებულებაში არიან მის ზოგიერთ წარმომადგენელთან.

როგორიც არ უნდა იყოს ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთობის დინამიკა, აშკარაა, რომ სამოქალაქო საზოგადოება სათანადოდ არ გამოხატავს ფართო საზოგადოების პოზიციას. მაგალითად, 2005 წლის დეკემბერში კვლევის ჯგუფის მიერ მოპოვებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ქართველთა უდიდესი ნაწილი წინაღმდეგია, რომ საქართველოს გაანახორციელოს იარაღის ექსპორტი კონფლიქტურ რეგიონებში, ღარიბ, ემბარგოს ქვეშ მყოფ და, ასევე, ნატოს წევრ ქვეყნებთან ან ისეთ სახელმწიფოებთან, რომლებსაც ტერორიზმის მხარდაამჭერი და რეპრესიული ხელისუფლება ჰყავთ[257]. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება არ უჭერს მხარს მსგავს ქვეყნებში იარაღის ექსპორტს, საზოგადოებას ამ ფაქტებს არ აცნობენ.

9.2 საპარლამენტო ზედამხედველობა

პარლამენტში ღია მოსმენების გარდა, მსუბუქი შეიარაღებისა და უსაფრთხოების საკითხებზე ზედამხედველობას შემდეგი საპარლამენტო კომიტეტები ახორციელებენ: თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი, ევროტლანტიკური კომიტეტი; იურიდიული კომიტეტი; საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი. ამასთან ერთად, საპარლამენტო ნდობის ჯგუფს უფლება აქვს, მოითხოვოს ინფორმაცია ან მტკიცებულება ნებისმიერ საკითხზე, რომლებიც მსუბუქ შეიარაღებას უკავშირდება. რადგანაც საპარლამენტო უმრავლესობის პარტია ზემოხსენებულ კომიტეტებში ყველაზე მეტი წევრით არის წარმოდგენილი, ხელისუფლება და უსაფრთხოების სამსახურები ანგარიშვალდებულნი სწორედ ამ კომიტეტების წინაშე არინ. თუმცა ზოგს მიაჩნია, რომ კომიტეტებსა თუ, საკუთრივ, პარლამენტში კვლავაც არ არსებობს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით დებატების კულტურა[258]. ასევე, ფიქრობენ, რომ საპარლამენტო ნდობის ჯგუფი სრულად ვერ იყენებს თავის პრივილეგიას უსაფრთხოებისა და მსუბუქი შეირაღების საკითხებში გარკვევისას. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ კანონი სპარლამენტო კონტროლზე ადეკვატურია, პარლამენტის მიერ მისი უფლებების განხორიცელების საშუალება ამ საკითხში საკმაოდ სუსტია.

მაშინ, როდესაც საკმაოდ ხშირია დებატები უშიშროების სექტორზე და სამხედრო რეფორმის საკითხებზე, ადამიანური უსაფრთხოების პრობლემა, რომელთანაც შეხება პარლამენტს აქვს, მხოლოდ ნარკოტიკებითა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლით შემოიფარგლება. მსუბუქი შეიარაღების საკითხები, განსაკუთრებით კონფლიქტის ზონასა და მის გარშემო, აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივად არის მიჩნეული და პარლამენტში საერთოდ არ განიხილება.

იარაღის გადაზიდვასთან დაკავშირებით დღესდღეობით არ არსებობს საკანონმდებლო მოთხოვნები, როლებიც უზრუნველყოფდა პარლამენტისადმი ყოველდღიურ ანგარიშგებას, ამიტომაც გადაზიდვებზე საპარლამენტო ზედამხედველობა შემთხვევით ხასიათს ატარებს. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი პასუხისმგებელი უნდა იყოს გადაზიდვებზე კონტროლის სისტემის საპარლმენტო მეთვალყურეობაზე. თუმცა გაუგებარია, როგორ ასრულებს კომიტეტი მისდმი დაკისრებულ ვადებულებებს. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტმა ჩაატარა მოსმენები აღმასრულებელ სააგენტოებთან უკრაინიდან სამხედრო პერსონალის გადასაყვანი მანქანების ჩამოტანასთან დაკავშირებით, კომიტეტმა საგამოძიებო ძალაუფლება ძალიან ცოტა შემთხვევებში გამოიყენა მსუბუქი შეიარაღების საკითხებთან დაკავშირებით. ერთ-ერთ შემთვევას წარმოადგენდა მოსმენები, რომლებიც პარლამენტში გაიმართა უსაფრთხოების სამსახურის მიერ სამხედრო საქონლის შესყიდვისას გაუმჭვირვალე ფონდების შესაძლო გამოყენების თაობაზე, ასევე, თავდაცვის მინისტრის ანგარიში საპარლმენტო ნდობის ჯგუფისადმი 2005 წლის სამხედრო დანახარჯებთან დაკავშირებით.

იმისათვის, რათა საზოგადოებამ, ამ შემთხვევაში კი პარლამენტმა სათანადოდ გააცნობიერონ მსუბუქ შეიარაღებასთან დაკავშირებული პრობლემები, საჭიროა ამ საკითხების სათანადო განხილვა და ანალიზი. ამასთან დაკავშირებით უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯია 2005 წლის 9-10 ივნისს მცირე და მსუბუქი შეიარაღების საკითხებზე რეგიონალური საპარლამენტო სემინარის ჩატარება. სემინარს სახელწოდებით

257 რესპოდენტთა მხოლოდ 3% მიიჩნევდა დადებითად იარაღის ექსპორტს რეპრესიული ხელისუფლების ქვეყნებში. 4% დადებითად აფასებდა ექსპორტს, 2% დადებითად აფასებდა ექსპორტს ტერორიზმის მხარდამჭერ ქვეყნებში, 5% დადებითად მიიჩნევდა ექსპორტს ღარიბ ქვეყნებში, 3% – ემბარგოს მოქმედების ქვეყნებში და მხოლოდ 11% უჭერდა მხარს ექპორტს ნატოს წევრ ქვეყნებში.

258 ინტერვიუ, ირაკლი მჭედლიშვილი.

„პარლამენტარები გლობალური ქმედებისათვის“ (PGA) რომელიც ორგანიზებული იყო ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომრის მოდგილის მიერ, საქართველოს პარლამენტიოს თავმჯდომარემ უმასპინძლა. სემინარის მიზანს წარმოადგენდა დსთ-ში მსუბუქი შეიარაღების კონტროლის შესახებ ცოდნის გავრცელება გაეროს სამოქმედო გეგმის ფარგლებში. აღნიშნულმა ღონისძიებამ შექმნა პრეცედენტი საქართველოს პარლამენტარების მონაწილეობისა მცირე შეიარაღებისა და ადამიანთა უსაფრთხოების საკითხების განხილვაში. სემინარს ესწრებოდნენ თავდაცვისა და უშიშროების, ადამიანთა უფლებების დაცვისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების წარმომადგენლები, ასევე, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი. კონფერენციის შედეგად მიიღეს ოფიციალური თბილისის სამოქმედო გეგმა ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში მსუბუქ შეიარაღებაზე უფრო მკაცრი კონტროლის განსახორციელებლად (იხ. დანართი 2).

10

კოორდინირება და პოლიტიკის ფორმულირება

მართალია, საქართველოს სახელმწიფო სააგენტოებს შეუძლიათ და თანამშრომლობენ კიდეც მცირე შეიარაღებისა და ადამიანთა უსაფრთხოების საკითხებში, მაგრამ ამ თანამშრომლობას ხშირად მკაფიო სტრატეგიული მიზნები არ გააჩნია. ამჟამად არ არსებობს უწყებათაშორისი ორგანიზაცია, რომლის მიზანიც მცირე შეიარაღებაზე კონტროლის ყოვლისმომცველი პოლიტიკის დანერგვა იქნებოდა. არადა ამგვარი ორგანიზაციის შექმნა მცირე შეიარაღების გავრცელების წინააღმდეგ უფრო ეფექტური ბრძოლის მნიშვნელოვან ფაქტორად იქცეოდა და უფრო მკაფიოდ გამოკვეთდა საქართველოს ხელისუფლების სერიოზულ მიდგომას ამ საკითხისადმი. ქვემოთ განხილულია საერთაშორისო გადაზიდვებისა და მსუბუქი შეიარაღების, ქვეყნის საშინაო საკითხებში უწყებათაშორის თანამშრომლობასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელსაც მოსდევს მცირე შეიარაღებისა და ადამიანთა უსაფრთხოების საკითხების გარშემო ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე შესამუშავებელი პოლიტიკის მიმოხილვა.

10.1 კონტროლი იარაღის გადაზიდვებზე

ლიცენზირების პროცესი

მსუბუქი შეიარაღების გადაზიდვების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღებასთან დაკავშირებული უწყებათაშორისი თანამშრომლობა არადამაკმაყოფილებელია მრავალი მიზეზის გამო. სამხედრო-ტექნიკური კომისიის გადაყვანა ეროვნული უშიშროების საბჭოდან თავდაცვის სამინისტროში და მსუბუქი შეიარაღების უწყებათაშორისი მონიტორინგის ჯგუფის დაშლა შეიძლება უკან გადადგმულ ნაბიჯად ჩაითვალოს, რადგანაც ეროვნული უშიშროების საბჭო ამჟამად თავდაცვის სამინისტროს პერსონალისგან შედგება. საჭიროა ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს რისკის დეტალურ შეფასებას ყოველ მოსალოდნელ გადაზიდვასთან დაკავშირებით[259]. თუმცა, კანონის თანახმად, თავდაცვის სამინისტრო არ არის ვალდებული, უწყებების ექსპერტთა ჯგუფის გარდა, რჩევისათვის ვინმეს მიმართოს. არც ის არის აუცილებელი, რომ სამხედრო- ტექნიკური კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება ჯგუფის რეკომენდაციებს ეთანხმებოდეს.

ამასთან ერთად, დღეს სამხედრო შეიარაღებისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის გადაზიდვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს თავდაცვის სამინისტროსთან არსებული სამხედრო-ტექნიკური კომისია იღებს, ხოლო სამოქალაქო დანიშნულების მცირე შეიარაღებაზე, სამხედრო შეიარაღებასა და ორმაგი დანიშნულების სა-

259 კორესპონდენცია მამუკა კიკალეიშვილთან, თავდაცვის სამინისტრო, 2006 წლის ივნისი. ექსპერტთა ჯგუფი შედგება საგარეო საქმეთა სამინისტროს, შსს და იუსტიციის სამინისტროს, გარემოს დაცვის, უსაფრთხოების და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ეკონომიკის განვითარების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროსა და სპეციალური სახელმწიფო დაცვის სამსახურის ექსპერტებისგან.

ქონლის უდიდეს ნაწილზე – იუსტიციისა და ეკონომიკის სამინისტროები. არავითარი მინიშნება არ არსებობს იმის თაობაზე, რომ იუსტიციისა და ეკონომიკის განვითარების სამინისტროები თანამშრომლობდნენ სხვა სამინისტროებთან იმ გადაზიდვებთან დაკავშირებით, რომელთა განხორციელება სამხედრო-ტექნიკური კომისიის ნებართვის გარეშეა შესაძლებელი. შეიარაღებასა და ორმაგი დანიშნულების საქონლის ტრანზიტსა და სატრანზიტო გადაზიდვებზე უფლებამოსილების გაცემა ამ სამინისტროების მიერ მეტად დამაფიქრებელია, რადგანაც ამით მგრძნობიარე ადგილებში ან ემბარგოს ქვეშ მყოფ ქვეყნებში ტვირთის მოხვედრის რისკი უფრო მაღლდება. სხვა სამინისტროებთან (მაგ. საგარეო საქმეთა სამინისტრო, შსს) მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე იუსტიციისა და ეკონომიკის განვითარების სამინისტროებისათვის ძნელია იარაღის გადაზიდვის ლიცენზირებასთან დაკავშირებით სწორ ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება.

საზღვრის მენეჯმენტის პროცესი

ყველა რესპონდენტი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ თანამშრომლობა საბაჟო დეპარტამენტსა და სასაზღვრო პოლიციას შორის მცირე შეირღების ტრეფიკინგთან ბრძოლაში ტრადიციულად არადამაკმაყოფილებელი იყო და ამჟამადაც ეფექტური არ არის. თანამშრომლობის დაბალი დონე სააგენტოებს შორის უწინ არსებული კონკურენციის შედეგი იყო. ამას ერთვოდა გაგების მემორანდუმის, ან სტანდარტული ოპერაციების ერთობლიობის არარსებობაც. უნდა ითქვას, რომ საკანონმდებლო ინიციატივებისა და საზღვარზე ერთობლივი ოპერაციების დანერგვის შედეგად თანამშრომლობა თანდათან უმჯობესდება. სასაზღვრო სტრატეგიის ერთ-ერთი კანონი, რომელიც ამჟამად EUSR-ს დახმარებით ინერგება, უთუოდ გააუმჯობესებს თანამშრომლობას საზღვრის მართვის სფეროში[260]. ასევე, მუშაობა მიმდინარეობს ორ უწყებას შორის თანამშრომლობის კანონზე, რომელიც ევროკავშირის საუკეთესო ტრადიციებზეა დაფუძნებული[261]. კანონმდებლობა უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია ერთობლივ საგუშაგოებზე სასაზღვრო დაცვისა და საბაჟოს ოფიციალური პირების ვალდებულებათა მკაფიოდ განსასაზღვრად. მაგალითად, აზერბაიჯანის საზღვარზე, წითელ ხიდზე, სასაზღვრო კონტროლი საბაჟო კონტროლთან ერთად ხორციელდება, რაც იმის ნიმუშია, თუ როგორ უნდა ვითარდებოდეს თანამშრომლობა სხვა საგუშაგოებზე. თუმცა, საბაჟო დეპარტამენტის განცხადებით, ამ ეტაპზე ამგვარი თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა მხოლოდ წითელი ხიდის საგუშაგოზეა შესაძლებელი, რადგანაც შესაბამისი ინფრასტრუქტურა სხვა ადგილებში არ არსებობს.

10.2 კონტროლი იარაღის სამოქალაქო მფლობელობასა და გამოყენებაზე

როგორც ჩანს, ამჟამად უწყებათაშორისი თანამშრომლობა ქვეყნის შიგნით არსებული მცირე შეიარაღების კონტროლზე მეტად შეზღუდულია. საპროცედურო ინსტრუქციების უქონლობის გამო, არ არსებობს საკონსულტაციო პრაქტიკა, ან შესაბამის უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა. მაგალითად, არც შსს-ს ინფორმაციის დეპარტამენტს და არც ცენტრალურ ნებართვათა დეპარტამენტს არა აქვთ ცნობები სანადირო და სპორტული თოფების რაოდენობის შესახებ, რომლებიც რეგიონებში საპატრულო პოლიციის მიერ არის რეგისტრირებული. ამავე დროს, მონაცემები რეგისტრირებულ თოფებზე ცენტრში ინახება, ასე რომ, რეგიონალური პოლიცია ვერ ფლობს სრულ ინფორმაციას რეგიონებში შენახული იარაღის მთლიანი რაოდენობის შესახებ. თუმცა ერთ-ერთმა რესპონდენტმა პოლიციელმა ახსენა, რომ იგეგმება შიდა მოხმარების კომპიუტერული ქსელის შექმნა, რომელიც ხელმისაწვდომს გახდიდა საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას იარაღის რეგისტრაციის ჩათვლით, მაგრამ არავინ იცის, ამგვარი ქსელი როდის შეიქმნება.

საჭიროა, უფრო დაიხვეწოს ინფორმაციის გაცვლის პროცედურა ნებართვათა დეპარტამენტსა და საბაჟო სამსახურს შორის. დღესდღეობით საბაჟო სამსახური არ უგზავნის შეტყობინებას ნებართვათა დეპარტამენტს იმ იარაღის რაოდენობის თაობაზე, რომელიც საქართველოში იმპორტის გზით შემოვიდა. ამ თვალსაზრისით ყველაზე პრობლემურია ის იარაღი (თოფები), რომელიც იმპორტირების შემდეგ გასაყიდად არის გამიზნული, რადგანაც ნებართვათა დეპარტამენტი ვერ ღებულობს ინფორმაციას ამ ტიპის იარაღის ქვეყანაში შემოსვლის შესახებ, ვიდრე მოქალაქე ლიცენზიის მისაღებად არ წარმოადგენს შეძენილ იარაღს. რაც შეეხება სპორტულ და სანადირო თოფებს, მათ შესახებ ნებართვათა დეპარტამენტს საერთოდ არ ეგზავნება შეტყობინება.

260 ინტერვიუ, მაიორი იან ბარანოვსკი.

261 ინტერვიუ, კახა ხანდოლიშვილი.

ამასთან ერთად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომელსაც ევალება აღრიცხოს ცეცხლსასროლი იარაღით დაზარალებულთა (დაჭრილთა) რაოდენობა, არ ფლობს ინფორმაციას ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი თვითმკვლელობების შესახებ, რადგან ამ ტიპის იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის ფაქტებს შსს-ს მიერ მოგვიანებით ეძლევა მკვლელობის ან თვითმკვლელობის კვალიფიკაცია. ამ ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა აშკარად აქვეითებს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაძლებლობებს ქვეყანაში ჯანდაცვის პრობლემების შეფასებისა და მასთან დაკავშირებული საჭიროებების დაგეგმვის დროს. ასევე გაუგებარია, რა სიხშირით თანამშრომლობს საავადმყოფოების პერსონალი პოლიციასთან, როდესაც საქმე ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებულ ჭრილობებს ეხება.

და ბოლოს, საქართველოს სამოქალაქო კონტროლის ოპერაციები დააბრკოლა იმ ფაქტმაც, რომ წარუმატებლად დასრულდა იარაღის სახელმწიფო რეესტრის შექმნის მცდელობა. რეესტრის შესაქმნელად აუცილებელია, რომ შესაბამისი სახელმწიფო საagენტოები იარაღის კატეგორიებად დაყოფის პრინციპზე შეთანხმდნენ, განსაკუთრებით ეს ეხება განსხვავებას სამოქალაქო და სამხედრო იარაღს შორის. აშკარაა, რომ მცირე შეიარაღების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი ჯგუფი ყველაზე შესაფერისი ფორუმი გახდება ამგვარი თანამშრომლობისათვის.

10.3 ხელისუფლების ამოცანები

წინამდებარე ანგარიშის წინასიტყვაობაში წარმოდგენილი იყო მთელი რიგი მიზეზები, რის გამოც საქართველოს ხელისუფლების ქმედება მცირე შეიარაღების პრობლემებზე შეუსაბამო იყო მთელი პოსტსაბჭოური პერიოდის განმავლობაში. 2006 წლის შუახანებისთვის, ანუ წინამდებარე ანგარიშის შექმნის დროისათვის, ეროვნული პოლიტიკა კვლავაც განუვითარებელია. მცირე შეიარაღებაზე კონტროლი ბრკოლდებოდა სახელმწიფოს სუსტი შესაძლებლობების, არაეფექტური სამართალდამცავი და სახელმწიფო საზღვრის კონტროლის სისტემის, ასევე ცენტრალურ დაქვემდებარებაში მყოფი უწყების (ეროვნული კომისია) არარსებობის გამო, არადა სწორედ ამ უწყებას უნდა შეექმნა და განეხორციელებინა პოლიტიკა მსუბუქი შეიარაღების კონტროლის საკითხზე. დღეისათვის საქართველოში არც ერთი საagენტო არ იღებს პასუხისმგებლობას შემდეგ საკითხებზე:

- მცირე შეიარაღების მაკონტროლებელი ეროვნული სტრატეგიის შექმნა და განხორციელება;
- უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და ინფორმაციის მიწოდების მაღალი დონის უზრუნველყოფა;
- გაეროს სამოქმედო გეგმის მსგავსი საერთაშორისო შეთანხმებების განხორციელების უზრუნველყოფა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თანამშრომლობა სხვადასხვა სახელმწიფო სამინისტროსა და სააგენტოს შორის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან, იმუშავონ მცირე შეიარაღებაზე კონტროლის პრობლემების მოსაგვარებლად, საქართველოში ტრადიციულად სუსტია როგორც პოლიტიკური, ისე ოპერატიული თვალსაზრისით. საქართველოს ხელისუფლებას კარგად ესმოდა ამ პრობლემის მნიშვნელობა ჯერ კიდევ 2005 წელს და სემინარზე, რომელიც უსაფრთხო მსოფლიოსა და კავკასიის ინსტიტუტის მიერ იყო ორგანიზებული (2005 წლის მარტი) განაცხადა, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა იმგვარი უწყებათაშორისი ჯგუფის ან ეროვნული კომისიის შექმნა, რომელიც გააერთიანებდა ყველა უმთავრეს სახელმწიფო სააგენტოს, რომლებიც მონაწილეობდნენ მცირე შეიარაღების კონტროლში. ეს გადაწყვეტილება საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა გაეროს განიარაღების საკითხთა დეპარტამენტში შეტანილ ანგარიშში 2005 წელს გაეროს სამოქმედო გეგმის განხორციელებისას. განაცხადის თანახმად, უწყებათაშორისი ჯგუფის შექმნა საჭირო იყო ისეთი ორგანოს ჩამოსაყალიბებლად, რომელიც საკუთარ თავზე აიღებდა მცირე შეიარაღების კონტროლს და გაუმჯობესებდა კოორდინირებას[262]. უწყებათაშორისი ჯგუფი უნდა შექმნილიყო ყველა მთავარი სამინისტროს წარმომადგენლებისაგან[263] და ეზრუნა შემდეგი საკითხების განხორციელებაზე[264]:

- მცირე შეიარაღების პრობლემების ყოვლისმომცველი ანალიზის საფუძველზე უნდა მოემზადებინა დამოუკიდებელი ანგარიში, რომელიც ხელს შეუწყობდა ეროვნული

262 <hptt://disarmament.un.org/cab/nationalreports/2005Georgia%Juli2005.pdf>, accessed 16 May, 2006.

263 ეროვნული უშიშროების საბჭოს პერსონალი, თავდაცვის, იუსტიციის, ეკონომიკის განვითარების, შინაგან საქმეთა სამინისტროები, გენერალური პროკურატურა, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, ეროვნული ინვესტიციების სამსახური, საწარმოთა მენეჯმენტის სააგენტო, ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია, ფინანსთა სამინისტრო, საბაჟო.

264 <hptt://disrmament.un.org/cab/nationalreports/2005/Georgia%20 Juli2005.pdf>, accessed 16 May, 2006.

სტრატეგიის ჩამოყალიბებას მცირე შეიარაღების გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად;

- შეექმნა შეიარაღების, საბრძოლო მასალებისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის ერთიანი მონაცემთა ბაზა (მცირე შეიარაღების ჩათვლით);
- წარედგინა რეკომენდაციები სამხედრო ტექნიკური კომისიისათვის;
- შესაბამის ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ჩაეტარებინა კვლევა მოსახლეობაში იარაღის მიმოქცევის მოცულობისა და მისი გავლენის დასადგენად;
- ჩაეტარებინა მრავალმხრივი ანალიზი, რომელიც განიხილავდა დანაშაულის დონეს, იარაღის გავრცელების შესახებ ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ აზრს და სხვადასხვა სახელმწიფო უწყების შესაძლებლობებს.

წინამდებარე კვლევა გამიზნული იყო უწყებათაშორისი ჯგუფის გამოსაყენებლად, რომელიც მიჩნეულია „მცირე შეიარაღების გავრცელებაზე კონტროლის ეროვნული სტრატეგიის შემუშავების მყარ საფუძვლად“[265].

მცირე შეიარაღებაზე კონტროლის მონიტორინგის უწყებათაშორისი ჯგუფი, რომელიც ფუნქციონირებს ეროვნული უშიშროების საბჭოს პერმანენტული სამხედრო-ტექნიკური კომისიის მეთვალყურეობის ქვეშ, 2005 წლის ივნისში დაარსდა და 2005 წლის ოქტომბრისათვის უკვე გაუქმდა. ჯგუფის მუშაობა შეწყდა მას შემდეგ, რაც სამხედრო-ტექნიკური კომისია ეროვნული უშიშროების საბჭოს მეთვალყურეობიდან თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებში გადავიდა. სააგენტოთაშორისო ჯგუფის დაშლის შემდეგ საქართველოს მთავრობაში აღარ არსებობს არავითარი სტრუქტურა, რომელიც მსუბუქი შეიარაღების შესახებ პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე იქნებოდა პასუხისმგებელი, უზრუნველყოფდა მის განხორციელებას და სხვადასხვა სამინისტროსთან და დეპარტამენტთან ერთად კოორდინირებას გაუწევდა მის მოქმედებას.

10.4 რეგიონალური დონის ამოცანები

დღესდღეობით კავკასიის რეგიონში არ არსებობს რეგიონალური მექანიზმები ან ინიციატივები უკანონო იარაღის ტრეფიკინგთან დაკავშირებით, მისი გავრცელებისა და უკანონო გამოყენების თავიდან ასაცილებლად. ვინაიდან ამ სფეროში არ არსებობს თანამშრომლობის ფარგლები, საქართველოს მთავრობას სერიოზულად ეშლება ხელი, კონტროლს დაუქვემდებაროს მცირე შეიარაღების გავრცელება და მისი არადანიშნულებისამებრ გამოყენება.

თბილისში ჩატარებული მრგვალი მაგიდის შემდეგ, რომელიც 2000 წლის აპრილში გაიმართა და სადაც განიხილეს იარაღის გადაზიდვების შეზღუდვა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების პრევენციის სტრატეგიის კონტექსტში, ცოტა რამ თუ შეიცვალა და გაუმჯობესდა[266]. მრგვალი მაგიდის შეხვედრაზე ხაზი გაუსვეს რეგიონალური თანამშრომლობის საჭიროებას, რომელიც სასურველია, განხორციელდეს ან არსებული რეგიონალური უსაფრთხოების პოლიტიკურ ჩარჩოში (როგორიცაა დსთ, გუამი და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა), ან კავკასიისათვის სტაბილურობის ახალი პაქტის შექმნით, რომლის მსგავსიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის უკვე შემუშავებულია. რეგიონალური ურთიერთობების განვითარება მცირე შეიარაღების გავრცელებისა და არადანიშნულებისამებრ გამოყენების შესაზღუდად უზრუნველყოფს ახალი რეგიონალური ინიციატივების დაგეგმვასა და განხორციელებას. ეს კი შემდეგ ღონისძიებებს მოიცავს[267]:

- მცირე შეიარაღების ტრეფიკინგის თავიდან ასაცილებლად და მის შესაზღუდად უნდა გაძლიერდეს ეროვნული შესაძლებლობები და რეგიონალური თანამშრომლობა ოპერატიულ დონეზე;
- მთელ კავკასიაში უნდა გაძლიერდეს იარაღის ტრანს-გადაზიდვებზე კონტროლი;
- გაუმჯობესდეს რეგიონში უკანონო იარაღის შემოდინების კონტროლის სისტემა;
- გაძლიერდეს კანონიერი იარაღის საკუთრებასა და გადაზიდვებზე კონტროლი;
- გაუმჯობესდეს იარაღის საწყობების მენეჯმენტი და უსაფრთხოება, წახალისდეს ჭარბი მარაგისა და ჩამორთმეული იარაღის განადგურება;
- კავკასიაში იარაღის შემოდინებასთან დაკავშირებით გაძლიერდეს გამჭვირვალობა, ინფორმაციის გაცვლა, კონსულტირება და დემოკრატიული ანგარიშგება;

265 იქვე.

266 ვან ჰოი ი. და დეივის ი. მცირე შეიარაღება-დიდი ოდენობა, იარაღის გადაზიდვების შეზღუდვა, როგორც კონფლიქტის პრევენციის სტრატეგია სამხრეთ კავკასიაში, აღმოსავლეთ-დასავლეთის ინსტიტუტისა და სეიფერ ვორლდის მრგვალი მაგიდის ანგარიში, რომელიც ჩატარდა თბილისში 2000 წლის 15-16 აპრილს.

267 იქვე.

- იარაღის კონტროლის ღონისძიებები შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი უსაფრთხოების სექტორის მიმდინარე რეფორმებთან.

სიძნელეები, რომლებიც დაკავშირებულია კავკასიის მასშტაბით მცირე შეიარაღებაზე კონტროლის ინიციატივებთან, სრულიად გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ როგორც შიდა, ასევე ქვეყანათაშორის ომებს, „გაყინულ კონფლიქტებს“ და მტრულ დამოკიდებულებას რეგიონის სახელმწიფოებს შორის.

და, მიუხედავად ამისა, ამასწინანდელმა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური ამერიკისა და აღმოსავლეთ-დასავლეთ აფრიკის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ რეგიონალური თანამშრომლობის მექანიზმებს შეუძლიათ დიდი გავლენა მოახდინონ სტაბილურობაზე და შეამცირონ იარაღის გავრცელება. და მართლაც, არა აქვს მნიშვნელობა, რა ძალისხმევას მიმართავს საქართველოს ხელისუფლება მცირე იარაღის ტრეფიკინგის შესამცირებლად მისი ტერიტორიიდან თუ მისი ტერიტორიის გავლით – ეს ზომები ვერასოდეს იქნება ბოლომდე წარმატებული, თუკი რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი, ასევე, არ ჩაერთვებიან ამ პროცესში. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა კიდევ ერთხელ დაადასტურებს, რომ „მრავალი პრობლემა, რომელიც უკავშირდება მსუბუქი იარაღის გავრცელებას – კონფლიქტი, დაუცველობა და დანაშაული – ზოგადად, რეგიონალური მასშტაბისაა“[268].

268 იქვე

11

რეკომენდაციები

ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველოს ხელისუფლებამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია მცირე შეირაღების კონტროლთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებში. ამ თვალსაზრისით მისასალმებელია მთავრობის ქმედებებანი და მისი აქტიური პოზიცია. მიუხედავად ამისა, გასაკეთებელი მაინც ბევრი რჩება, კერძოდ, საჭიროა მომავალში მცირე შეიარაღების გავრცელების პოტენციალის შეზღუდვა, ქვეყნის შიგნით მცირე შეირაღების ხელმისაწვდომობის შემცირება, გამჭვირვალობისა და ანგარიშგების გაუმჯობესება. ნაშრომის ამ ნაწილში წარმოდგენილია ღონისძიებების ნუსხა, რომელიც კვლევის ჯგუფის რეკომენდაციებია საქართველოს ხელისუფლებისადმი სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო საზოგადოების უმნიშვნელოვანესი გამოწვევების საპასუხოდ.

საქართველოს ხელისუფლებას

ადამიანთა უსაფრთხოების გაუმჯობესება და მსუბუქი იარაღის არადანიშნულებისამებრ გამოყენების ზემოქმედების შემცირება

მცირე შეიარაღებაზე კონტროლის ნებისმიერი პროგრამის ძირითადი ყურადღება მიმართული უნდა იყოს იმ ზემოქმედების შესამცირებლად, რომელიც მცირე შეირაღების არადანიშნულებისამებრ გამოყენებას აქვს საზოგადოებაზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროგრესი უკვე იქნა მიღწეული. საუბარია მთავრობის შესაძლებლობებზე სამართალდამცავი და დანაშულის პრევენციის მიმართულებით. თუმცა, საჭიროა დამატებითი ზომების მიღება ორ ურთიერთდაკავშირებულ სფეროში, როგორიცაა იარაღის შეგროვება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ეს საჭიროა უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობასა და მისი არადანიშნულებისამებრ გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად.

იარაღის შეგროვება და დარეგისტრირება

- მიმდინარე უვადო ამნისტიის ეფექტურობის განიხილვა და შეაფასება, დროში შეზღუდული ამნისტიის ვადების განხილვა, რომელსაც წინ უნდა უსწრებდეს სამართალდაცვითი ღონისძიებები;
- საინფორმაციო პროგრამების განხორციელება იმ მიზნით, რათა შეიცვალოს საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული პოზიტიური დამოკიდებულება იარაღის ფლობის მიმართ. ეს კამპანიები გამიზნული უნდა იყოს იმ საცხოვრებელი უბნებისა და სოციალური ჯგუფებისთვის, რომლებშიც იარაღის ფლობისადმი მოთხოვნილება განსაკუთრებით დიდია (კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი და ახალგაზრდობა);
- წარმატების შესაძლებლობათა გაზრდის მიზნით ჩატარდეს ყოვლისმომცველი შეფასება იარაღის მფლობელთა დამოკიდებულებისა თუ შეხედულებების გამოსავლენად საქართველოს სამიზნე რეგიონში იარაღის ამოღების ცალკეული კამპანიის მოსამზადებელი ეტაპის დროს;
- იარაღის უკანონო მფლობელობის მაღალი გავრცელების რეგიონებში კამპანიების ჩატარება რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით (სამეგრელო, სვნეთი, ქვემო ქართლი), ისევე როგორც უკანონო იარაღის გავრცელების დამახასიათებელი დინამიკის

მქონე რეგიონებში (მაგ. აჭარა). ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სასურველია მხედველობაში იყოს მიღებული საჭიროების ფაქტორი.

- კანონმდებლობის სრულყოფა საქართველოს რიონებში უკანონო იარაღის საკუთრების რეგულირების შესახებ. ამ შემთხვევაში საუბარია ჩრდილოეთის მთიან რეგიონებში საზღვრის მახლობლად მცხოვრებ თემებზე. საგანგებო კანონების მიღება იმისათვის, რათა ამგვარ თემებში მცხოვრებმა ადამიანებმა თბილისში გამგზავრების გარეშე შეძლონ თავიანთი იარაღის ლეგალიზაცია (მაგ. მობილური სარეგისტრაციო ერთეულების საშუალებით);
- ნებაყოფლობით იარაღის ჩაბარების პროცესის მიმდინარეობის უზრუნველყოფა საზოგადოებრივ კამპანიებთან ერთად, რომელთა მიზანს ადამიანების ინფორმირება და ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელობის მიმართ მათი დამოკიდებულების შეცვლა შეადგენს. სასურველია, რომ ამ პროცესში ამნისტიების მხარდასაჭერად ჩაერთონ არასახელმწიფო აქტიორები (მაგ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ცნობილი სახეები);
- მომავალში იარაღის ამოღების ნებისმიერი კამპანიის ჩატარებისას სასურველია მხედველობაში იყოს მიღებული ეროვნული მცირე შეიარღების კვლევის შედეგები საქართველოს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში ხალხის დამოკიდებულების, მისი აღქმის (თვითშეგნებას ხომ არ გულისხმობს?) და წარსული ქცევის საილუსტრაციოდ.

უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხელისუფლების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად

- წინამდებარე ანგარიშით მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით პოლიციის სტრატეგიის ჩამოყალიბება ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილ დანაშაულთან და იარაღის უკანონო მფლობელობასთან საბრძოლველად, რომელიც შესაძლოა, გაერთიანდეს მცირე შეიარაღებზე კონტროლის უფრო ფართო პროგრამაში (იხ. ქვემოთ);
- სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო მფლობელობისა და მისი არადანიშნულებისამებრ გამოყენების საკითხების გასაანალიზებლად;
- პოლიციის ქმედების მიზნობრივი გამოყენება ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშულის წინააღმდეგ იმ რეგიონებში, რომლებიც, ამ მხრივ ყველაზე მეტად ზარალდებიან. ესენია: თბილისი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, შიდა ქართლი და ქვემო ქართლი. სასურველია, ამგვარი ქმედებების კოორდინირება უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობით და ამოღების კამპანიებით;
- შიდა ძალადობის ფაქტების აღრიცხვა (ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ოჯახური ძალადობის ჩათვლით), როგორც დანაშაულის ცალკე ტიპისა და არა როგორც დანაშაულის მოტივისა;
- მკაცრი სასჯელის დაწესება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო მფლობელობისა და გამოყენებისათვის და ზრუნვა იმაზე, რომ ჯარიმა და პროცესუალური შეთანხმება სამართლიანი და დანაშაულის შესაბამისი იყოს და გარკვეული ჯგუფების სასარგებლოდ არ იქნას გადაწყვეტილი;
- სახელმწიფო სააგენტოების პოლიტიკის განხილვა და მათი ტრენინგი ძალის გამოყენების საკითხებზე იმის უზრუნველყოფად, რომ პოლიციელის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება შეესაბამებოდეს გაეროს სამართალდამცავი ოფიცრების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ძირითად პრინციპებს და საფრთხეს არ უქმნიდეს საზოგადოებას;
- საპატრულო პოლიციის საქმიანობის გაფართოების შესაძლებლობების განხილვა სოფლებსა და ქალაქების გარეუბნებში;
- იმ საშუალებათა განხილვა, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი გახდება საზოგადოებასა და პოლიციას შორის ურთიერთობათა გაუმჯობესება, განსაკუთრებით ეს ითქმის ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფების შესახებ. ასევე, ურთიერთობათა გაუმჯობესების პოტენციური მეთოდების განხილვა, რომლებიც მოიცავს საუბნო პრინციპებზე დამყარებული პოლიციის საქმიანობისა და უბნის უსაფრთხოების პროგრამების შემოღებას.

კანონიერი იარაღის კონტროლის გაუმჯობესება

კონტროლის გაძლიერება კანონიერი იარაღის მფლობელობასა და გამოყენებაზე წარმოადგენს მთავარ ფაქტორს იარაღის არადანიშნულებისამებრ გამოყენების პოტენციალის შესამცირებლად. ამ თვალსაზრისით მდგომარეობის გაუმჯობესება უნდა აი-

სახოს სამ ურთიერთდამოკიდებულ სფეროზე, როგორებიცაა: კანონმდებლობა, მთავრობის შესაძლებლობები და საზოგადოების ინფორმირება, ასევე, კერძო უსაფრთხოების ბიზნესის კონტროლი.

სამოქალაქო ცეცხლსასროლი იარაღის მესაკუთრეებისათვის კანონმდებლობის გაუმჯობესება

- შესწორებების შეტანა პირველად და მეორად კანონმდებლობაში იმის უზრუნველსაყოფად, რომ თავდაცვის იარაღზე ლიცენზიის აღების ყველა მსურველმა ლიცენზიის გაცემამდე გაიაროს სტანდარტული ტრენინგის კურსი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასა და შენახვაში;
- შესწორებების შეტანა კანონმდებლობში იმ დებულების დასამატებლად, რომელიც თავდაცვის იარაღის მსურველებს აიძულებს, დაამტკიცონ ამგვარი იარაღის საჭიროება;
- იარაღის სახელმწიფო რეესტრის გამოქვეყნება, რომელშიც დადგენილი იქნება იმ იარაღის ტიპები, რომელთა ფლობა ნებადართულია მოქალაქეებისათვის;
- შესწორების შეტანა კანონმდებლობაში იმ დებულების დასამატებლად, რომელიც პოლიციელს უფლებას მისცემს, მოახდინოს როგორც იარაღის, ისე სახლის პირობებში მისი შენახვის მდგომარეობის ინსპექტირება, ხოლო ნებართვათა დეპარტამენტს – შეამოწმოს იარაღით მოვაჭრე მაღაზიებისა და სხვა მოვაჭრეების ინვენტარი;
- ყველა იმპორტირებული იარაღის თაობაზე ნებართვათა დეპარტმენტისთვის ინფორმაციის მიწოდება ორივე უწყების – საბაჟო დეპარტამენტისა და იმპორტიორი კომპანიის მიერ.
- ჯარიმის გაზრდა იარაღის ხელახალი რეგისტრაციის დაგვიანებისათვის, რაც უბიძგებს იარაღის მფლობელებს, კუთვნილი იარაღის ხელახალი რეგისტრაციია დროულად გაიარონ.

სახელმწიფო შესაძლებლობებისა და საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა

- იარაღის რეგისტრაციის კარგად აღჭურვილი, პროფესიონალური სისტემის დანერგვისათვის მხარის დაჭერა;
  - საჭიროებათა შეფასების საფუძველზე შესაძლებლობათა გაზრდის გეგმის შემუშავება და სალიცენზიო სისტემის დაკავშირება იარაღის ამოღების სამომავლო კამპანიასთან;
  - აღრიცხვის სისტემისა და სალიცენზიო მონაცემთა ბაზის გასაუმჯობესებლად გარე დონორების დახმარების გამოყენება;
- სალიცენზიო სისტემაში კორუფციის პოტენციალის შემცირება, რის განხორციელებაც შესაძლებელია რეგიონალურ საპატრულო პოლიციასთან არსებული სალიცენზიო განყოფილების ინსპექტირებითა და აუდიტით;
- რეგისტრაციის ეროვნული კამპანიების ჩატარება, რომლის მიზანია მფლობელებისგან მოითხოვოს მათი კუთვნილი იარაღის ხელახალი რეგისტრაცია;
- სალიცენზიო სისტემის შესახებ არსებული საინფორმაციო მასალების ფართოდ გავრცელება. შესაბამისი კანონების აზერბაიჯანულ და სხვა ენებზე თარგმნა და ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის შემცველი პაკეტების ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში დარიგება.

კერძო უსაფრთხოების კომპანიებზე კონტროლის გაძლიერება

- კერძო უსაფრთხოების კომპანიებზე შსს-ს შიდა ინსტრუქციების საჯაროობა;
- საგანგებო კანონმდებლობის ჩამოყალიბება კერძო უსაფრთხოების კომპანიების რეგულირების, მათი საქმიანობისა და კერძო საგამომძიებლო სააგენტოების შესახებ. კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ამ კომპანიებისათვის დროში შეზღუდული ლიცენზირება, კონტროლი და კანონაღსრულება, ამ ინდუსტრიის რეგულირების მიზნით სახელმწიფო სააგენტოებისათვის პასუხისმგებლობათა განსაზღვრა (ცეცხლსასროლი იარაღისა და ძალის გამოყენება, წვრთნა და პროფესიონლიზმი, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება)
- ახალ კანონმდებლობში კონკრეტული მინიშნების გაკეთება შიდა უსაფრთხოების განყოფილებების რეგულირებისათვის;

სახელმწიფო იარაღის მფლობელობაზე მკაცრი კონტროლის უზრუნველყოფა

სახელმწიფო იარაღის მფლობელობაზე მისი არამიზნობრივი გამოყენების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მკაცრი კონტროლის სტანდარტების შემუშავება. სახელმწიფო პოლიტიკა ამ სფეროში აშკარა პროგრესს განიცდის. სიტუაციის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

სახელმწიფო სააგენტოების მიერ იარაღის შესაბამისი მფლობელობის უზრუნველყოფა

- იმ პროცედურებით ხელმძღვანელობა, რომლებიც ემყარება ძალოვან სტრუქტურებთან დაკავშირებულ ობიექტურობის კრიტერიუმებს ზედმეტი და ჭარბი მსუბუქი შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების მარაგის რეგულარული გამოვლენისა და მისი შემდგომი განადგურების მიზნით (იხ. ქვემოთ).
- იმაზე ზრუნვა, რომ სამხედრო დანიშნულების მცირე შეიარაღების იმპორტი სრულ შესაბამისობაში იყოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სტრუქტურებსა და საქართველოს საჭიროებებთან, როგორც ეს საფრთხის ყოვლისმომცველი ანალიზის შედეგად არის დადგენილი.

მცირე შეიარაღების განდგურების უზრუნველყოფა

- ჭარბი და მოძველებული მსუბუქი შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების განადგურება საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად (მაგ. ნატო/IPAP-ის, ეუთოს დოკუმენტები მცირე შეირაღებაზე, გაეროს სამოქმედო გეგმა); მოსახლეობის ინფორმირება ჭარბი და მოძველებული მსუბუქი შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების განადგურების თობაზე.
- ყოვლისმომცველი ინვენტარიზაციის ჩატარება იარაღის ჭარბი მარაგისა და საბრძოლო მასალების დასადგენად, რომელთა კალიბრი 23 მმ-ზე მეტია.
- იარაღის განადგურების პროცესის გამჭვირვალობის გაზრდა გასანადგურებელი იარაღის ტიპების, ოდენობის, თითოეული ერთეულის გასანადგურებლად საჭირო ღირებულების დეტალური საჯარო ანგარიშის მეშვეობით; განადგურების პროცესის დმოუკიდებელი ინსპექტირების უზრუნველყოფა;
- იარაღის ამოღების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის გაცნობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყოველი ამგვარი იარაღი განადგურებული იქნება და არა დარიგებული სახელმწიფო სააგენტოებში.

საწყობების მენეჯმენტის გაუმჯობესება

- უსაფრთხოების სისტემის საჭიროებათა შემფასებელი ღონისძიებების გატარება საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად და ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საჯაროობის უზრუნველყოფა;
- საწყობების უსაფრთხოების სისტემების გასაძლიერებელი რესურსების დადგენა და გამოყენება, საჭიროების შემთხვევაში საერთშორისო დონორების დახმარების გამოყენება.

იარაღის გადაზიდვების საერთაშორისო კონტროლის რეგულირების გაძლიერება

იარაღის საერთაშორისო გადაზიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა და მარეგულირებელი ჩარჩო პროგრესულად ვითარდება, შესაბამისად, სისტემა კანონის მიხედვით აკონტროლებს გადაზიდვების ტიპების უდიდეს ნაწილს. ამგვარი ვითარების მიუხედავად, რეკომენდირებულია მოქმედი კანონმდებლობის კიდევ უფრო გაუმჯობესება. ამასთან ერთად, უნდა დაიხვეწოს იარაღის გადაზიდვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. ამ მიზნის განხორციელების ერთერთ საშუალებას წარმოადგენს ექსპორტის კონტროლის ამჟამად არსებული სისტემის გაუმჯობესება, განსაკუთრებით კი სამხედრო-ტექნიკური კომისიის საქმიანობა. ამ საკითხების მოგვარების ალტერნატიულ გზად შესაძლოა იქცეს დამოუკიდებელი საექსპორტო კონტროლის სააგენტოს ან სხვა უწყებათაშორისი სამხედრო-ტექნიკური კომისიის შექმნა.

შესაბამისი კანონმდებლობის ცვლილება

- შესაბამის კანონმდებლობაში საბროკერო საქმიანობის სპეციფიკურად აღნიშვნა, როგორც ეს აღნიშნულია საერთაშორისო ინსტრუქციებსა და დოკუმენტებში, (ბროკერული საქმიანობის დეფინიცია კანონში, ევროკავშირის იარაღის ექსპორტის შესახებ ქცევის კოდექსში ბროკერობასა და გადამზიდ კომპანიებს შორის მოცემული განსხვავებების გათვალისწინებით)
- კანონმდებლობაში სპეციფიკური დებულებების ჩართვა იმის უზრუნველსაყოფად, რომ საქართველოს საბაჟოს ტერიტორიაზე შემოსვლისა თუ გასვლისას ჩატარდეს მცირე შეიარაღების ტრანსგადაზიდვების ინსპექტირება;
- შესაბამისი სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის განხორციელებულ გადაზიდვებზე საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატის მოთხოვნა; მცირე შეირაღებასთან და მსუბუქ იარაღთან დაკავშირებით ეუთოს საუკეთესო გამოცდილებათა ცნობარისა და იარაღის ექსპორტის შესახებ ქცევის კოდექსის სახელმძღვანელოთი სარგებლობა; უკვე მიწოდებული იარაღის ყველა კონტრაქტის კონტროლის უფლებების გამოყენება; საბოლოო მომხმარებლის მონიტორინგისა და გადამოწმებისათვის საიმედო მექანიზმების განხილვა, რაც იმის წინაპირობა იქნება, რომ გადაზიდული იარაღი დანიშნულების ადგილამდე მიაღწევს;
- ექსპორტის შესახებ კანონსა და მეორად კანონმდებლობაში შესწორებების შეტანა იმ მიზნით, რომ საქართველოდან იარაღის ხელახალი ექსპორტირება შესაძლებელი იყოს მხოლოდ მწარმოებელი ქვეყნის თანხმობით;
- შემოთავაზებული იარაღისა და ორმაგი მოხმარების საქონლის ტრანზიტების შემოწმების მოთხოვნა ლიცენზირებამდე სტკ-ს ან სააგენტთაშორისო ჯგუფის მიერ;
- სახელმწიფო სააგენტოებისა თუ კერძო პირების მიერ განხორციელებული ყველა გადაზიდვის ლიცენზირება იუსტიციის სამინისტროსა და ეკონომიკისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ;
- სანადირო თოფებისა და იარაღის, სამხედრო საქონლისა და აღჭურვილობის გადაზიდვებისას პარალელური კონტროლის ერთიან სისტემაში მოყვანის შესაძლებლობების შესწავლა;
- გადაზიდვებზე კონტროლის პოლიტიკასა და პრაქტიკაში პრეზიდენტის კაბინეტის როლის განხილვა ამ როლის შესამჩნევი შესუსტებისა ან გაუქმების მიზნით.

ვარიანტი ა: სამხედრო-ტექნიკური კომისიის მუშობის გაუმჯობესება

- საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს შესაბამისობაში მოყვანა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მთელ რიგ სახელმწიფო სააგენტოებს – საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, საბაჟო დეპარტამენტს, სასაზღვრო პოლიციას, ეკონომიკის განვითარების, იუსტიციისა და თავდაცვის სამინისტროებს მოეთხოვოთ შემოთავაზებული გადაზიდვების დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენა, როგორც ამას იარაღის გადაზიდვების წარმართვის შესახებ ევროკავშირის კოდექსი ითვალისწინებს;
- სამხედრო-ტექნიკური კომისიის მკაფიო და გამჭვირვალე სამოქმედო პროცედურების გამოქვეყნება, რომლებიც უზრუნველყოფს: შეხვედრის დროსა და ფორმატს; გადაწყვეტილების მიღების პროცედურებსა (საუკეთესო შემთხვევაში თითოეულ სააგენტოს ექნება ლიცენზიის გაცემაზე ვეტოს უფლება) და ინფორმაციის გაზიარებას;
- შეხვედრებზე გაცვლილი ინფორმაციის მოცულობის გავრცობა, რათა შესაძლებელი გახდეს ინფორმაციის რეგულარული გაცვლა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ლიცენზირებული კომპანიების მიერ საქართველოსა და საერთაშორისო კანონების დარღვევა, ლიცენზირებული გადაზიდვების გადამისამართება, ეჭვის აღმძვრელი იარაღის ექსპორტიორების, საბროკერო და გადამზიდი კომპანიების პრობლემა;
- ეროვნულ კანონმდებლობაში ლიცენზირების თაობაზე საერთო სახელმწიფო კრიტერიუმების შექმნა და საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან (მაგ. ევროკავშირის კოდექსი იარაღის ექსპორტის წარმოებაზე) მათ შესაბამისობაზე ზრუნვა;
- გადაზიდვებზე მკაცრი კონტროლის გატარების მიზნით სამხედრო-ტექნიკური კომისიის შესაძლებლობათა საჭიროებების შეფასება.

ვარიანტი ბ: იარაღით ვაჭრობაზე ეროვნული კონტროლის სააგენტოს შექმნა

იარაღითა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციით ვაჭრობის გასაკონტროლებლად შექმნილი ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელი უნდა იყოს შემდეგზე:

- განიხილოს იარაღის გადაზიდვასთან დაკავშირებით შემოსული თითოეული სალიცენზიო აპლიკაცია სააგენტოთაშორისო ჯგუფის დახმარებით, რომლის შემადგენლობაში შევლენ სახელმწიფო სამინისტროებისა და დეპარტამენტების წარმომადგენლები, რომლებიც დეტალურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეაფასებენ ყოველ გადაზიდვასთან დაკავშირებულ რისკს, რაც დაეხმარება მათ გადაწყვეტილებების მიღებაში;
- იყოლიოს ექსპერტთა საკუთარი პერსონალი;
- ანგარიშვალდებული იყოს პრემიერ-მინისტრის ან მისი მოდგილის წინაშე;
- შეამოწმოს ყოველ კონკრეტულ გადაზიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემამდე ჩაატაროს კვლევა, ადგილზე ინსპექტირების ჩათვლით;
- სხვადასხვა ეტაპზე გააკონტროლოს ტრანს-გადაზიდვები და დაუკავშირდეს საბოლოო მომხმარებელი ქვეყნის ოფიციალურ პირებს;
- კოორდინირება გაუწიოს სხვა დანარჩენი დაწესებულებების საქმიანობას იარაღსა და ორმაგი დანიშნულების საქონელთან დაკავშირებულ საკითხებში;
- იქონიოს მონაცემთა ბაზა, სადაც დაცული იქნება დეტალური ინფორმაცია ყოველ ტრანს-გადაზიდვაზე, მწარმოებელზე, ბროკერზე, პასუხისმგებელ სატრანსპორტო კომპანიაზე, საბოლოო მომხმარებელსა და იარაღის მწარმოებელზე;
- მოამზადოს მასალები და კანონაღმსრულებელი აგენტები ან სამოქალაქო მოსამსახურეები;
- აღრიცხოს და გააკონტროლოს მნიშვნელოვანი იარაღის, ორმაგი დანიშნულების საქონლისა და ტექნოლოგიების შიდა გადაზიდვები.

საზღვრის მენეჯმენტის პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესება

სასაზღვრო პოლიციის რეფორმა კარგი ტემპით მიმდინარეობს, თუმცა პროცესი ერთგვარად ფერხდება მკაფიო მიზნებისა და გარდამავალი გეგმის უქონლობის გამო. რეფორმების შემდგომი მხარდაჭერისათვის სახელმწიფომ შემდეგი ზომები უნდა მიიღოს:

- იზრუნოს სასაზღვრო რეფორმის გაგრძელებისათვის საჭირო მხარდაჭერის, დაფინანსებისა და საკანონმდებლო ცვლილებების უზრუნველსაყოფად, როგორიცაა, ვთქვათ, ახალი „საზღვრის კანონის“ მიღება;
- განიხილოს და შესაბამისობაში მოიყვანოს მონაცემთა სისტემა იმის დასადგენად, თუ რამდენად შესაძლებელი იქნება სხვადასხვა კატეგორიის სასაზღვრო ინციდენტების შესახებ გაბნეული ინფორმაციის შეკრება და შემდგომ მისი გადაცემა. ამგვარი განხილვები შესაძლებელს გახდიან სხვადასხვა რეგიონებში ტრეფიკინგის საფრთხის ანალიზსა და მიზნობრივი მიდგომების შემუშავებას და დახმარებას გაუწევენ დაზვერვის მიერ ჩატარებულ საქმიანობას;
- დასახოს მკაფიო სტრატეგიული მიზნები რისკის შეფასებისა და ეროვნული სასაზღვრო სტრატეგიის განვითარების მიმართულებით; ამ სტრატეგიაში ჩართოს სპეციფიკური მინიშნებები მცირე შეიარაღების კონტროლზე;
- დასახოს გარდამავალი გეგმა და დააწესოს სტრატეგიული მიზნების შესასრულებლად საჭირო ვადები, რომელიც მოიცავს:
  - სასაზღვრო დაცვის მოსამსახურეთა სხვადასხვა დონეებისათვის შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ამოცანების ანალიზისა და ოპერატიული პროცედურებისათვის სტანდარტების დაწესებას;
  - რესტრუქტურიზაციის მხარდასაჭერი დაფინანსების გაზრდას;
- ხელი შეუწყოს შსს/სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლობის გაღრმავებას ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით, ერთობლივი სტრატეგიული დაგეგმვით, ერთობლივი ანტიტრეფიკინგის ინიციატივებით, მცირე შეიარაღების გამოყენებით ჩადენილი დანაშულის ერთობლივი გამოძიებითა და გასამართლებით;
- პირველი შესაძლებლობისთანავე მიიღოს ურთიერთგაგების მემორანდუმი საბაჟო დეპარტამენტსა და სასაზღვრო პოლიციას შორის, საზღვრის მენეჯმენტის სტრატეგიის ინტეგრირების სახით. ჩართოს მემორანდუმში ოპერატიული საქმიანობის სტანდარტები, რომელთა გათვლისწინებითაც ჩატარდება: ერთობლივი სამსახურეობრივი ღონისძიებები, ინფორმაციის გაცვლის ერთობლივი ღონისძიებები, ყოველდღიური კომუნიკაციები, ერთობლივი წვრთნა ანტიტრეფიკინგისა და გამოძიების უნარის განსავითარებლად;
- გააძლიეროს ანტიკორუფციული ზომები ხელფასების გაზრდის, საგუშაგოებზე პერსონალის შეცვლისა და შიდა ინსპექციების მეშვეობით.

გამჭვირვალობისა და ხელისუფლების ანგარიშგების ზრდა

მცირე შეიარაღების გავრცელებაზე ან მის არამიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად უმთავრეს საკითხს წარმოადგენს ხელისუფლების გაუმჯობესებული ანგარიშგება. კერძოდ, ხელისუფლებამ უნდა წაახალისოს ამ სფეროში პარლამენტის მონაწილეობა და უფრო აქტიურად ჩართოს მასში სამოქალაქო საზოგადოება.

მცირე შეიარაღების საკითხებში ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობის ზრდა

- იარაღის გადაზიდვების შესახებ ყოველწლიური ანგარიშების გამოქვეყნება, რომლებიც შეიცავს დეტალებს საქონლის ექსპორტის ან ექსპორტირებული საქონლის ტიპების, ღირებულების, მისამართის და საქონლის საბოლოო მომხმარებლის შესახებ. ეს ანგარიში, ასევე, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გაცემულ ან არგაცემულ ლიცენზიებზე (უარის დასაბუთებით), იმისათვის, რათა შესაძლებელი გახდეს ლიცენზირებული გადაზიდვების გულდასმით შემოწმება ლიცენზირების დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით;
- სახელმწიფო მფლობელობაში არსებული მცირე შეიარაღების აღწერა და ყველა შესაბამისი საერთაშორისო პარტნიორისთვის ინფორმაციის გაცნობა;
- სახელმწიფო სააგენტოებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება, რათა მათ გამოაქვეყნონ ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიასა თუ მის ფარგლებს გარეთ განხორციელებულ გადაზიდვებზე კონტროლის სისტემის შესახებ;
- მცირე შეიარაღების საკითხებზე სრული და დროული ანგარიშით შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების უზრუნველყოფა, როგორებიცაა: გაეროს განიარაღების დეპარტამენტი, გაეროს რეესტრი ჩვეულებრივ შეიარაღებაზე და ეუთო.

საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერება

- კანონმდებლობის მიიღება, რომელიც უზრუნველყოფს პარლამენტისადმი სავალდებულო ანგარიშგებას იარაღის გადაზიდვის საკითხებზე, სამხედრო შესყიდვებზე, იარაღის ტრეფიკინგზე, სასაზღვრო მენეჯმენტზე და სამოქალაქო მცირე შეიარაღების კონტროლის პოლიტიკასა და პრაქტიკაზე;
- საპარლამენტო უსაფრთხოებისა და თავდაცვის კომიტეტისათვის შესაძლებლობის მიცემა, რათა მან გულდასმით შეისწავლოს იარაღის გადაზიდვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები როგორც გადაზიდვამდე, ისე მის შემდეგ. ეს კომიტეტი უფლებამოსილი უნდა იყოს, მტკიცებულების უზრუნველსაყოფად მოიწვიოს მინისტრები და სახელმწიფო საგენტოების ოფიციალური პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გადაწყვეტილებების მიღებაზე, და გამოაქვეყნოს წლიური მიმოხილვა იარაღის გადაზიდვების შესახებ არსებული კანონებისა და დადგენილებების შესრულებაზე.

სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობის გაღრმავება

- IPAP-ის მიერ გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, რომელიც აძლიერებს საზოგადოების მონაწილეობას უსაფრთხოების საკითხებში;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პარლამენტში მოწვევა მცირე შეიარაღების საკითხებთან დაკავშირებულ საჯარო მოსმენებზე;
- უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოებისა და ხელისუფლების სამუშო ჯგუფების ჩამოყალიბება:
- სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა მცირე შეიარაღებისა და ადამიანთა უსაფრთხოების საკითხების ეროვნულ კომისიაში;
- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა საქართველოს დელეგაციებში გაეროს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებულ ყველა შეხვედრაზე.

კოორდინირებისა და პოლიტიკის ფორმულირების გაუმჯობესება

სახელისუფლებო კოორდინაციის ნაკლებობა და პოლიტიკის ფორმულირება ალბათ ყველაზე სერიოზული შემფერხებელი ფაქტორია მცირე შეიარაღების გავრცელებისა და არასწორი გამოყენების წინააღმდეგ უფრო ძლიერი კონტროლის განსახორციელებლად. რეკომენდირებულია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- მცირე შეიარაღების კონტროლის საკითხებზე მომუშავე ეროვნული მაკოორდინირებელი სააგენტოს შექმნა პოლიტიკისა და პრაქტიკის შესაბამისობაში მოსაყვანად, რომლის შემადგენლობაში შევა ყველა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი, რომელსაც ევალება ჩვეულებრივი შეიარაღების საკითხებზე კონტროლის გაწევა; უწყებაში ეროვნული საკვანძო პირის დანიშვნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საერთაშორისო კავშირებზე;
- ყოვლისმომცველი ეროვნული მცირე შეიარაღების სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ნაწილობრივ კვლევის შედეგებზე იქნება დაფუძნებული, ეს კი დაეხმარება ხელისუფლებას მცირე შეიარაღების გაკონტროლებაში. სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს იარაღის რეგისტრაციას, შეგროვებას, განადგურებას, მარაგებს, წარმოებას, გადაზიდვებს, სამოქალაქო ლიცენზირებას და მფლობელობას არასახელმწიფო აქტიორების მიერ, მოსახლეობის ინფორმირებას, ანტიტრეფიკინგს და სამართალდაცვას. სტრატეგიის ჩამოყალიბებაში მონაწილეობას უნდა იღებდეს ყველა შესაბამისი სააგენტო, რაც შედეგად მოიტანს მათ სრულ მხარდაჭერას;
- რეგიონალური შეთანხმების მიღწევა მცირე შეიარაღებასთან და ანტიტრეფიკინგთან დაკავშირებულ საკითხებში თანამშრომლობაზე, შესაძლოა გუამის-ის ვირტუალური სამართალდამცავი ცენტრის, საბაჟოსა და სასაზღვრო პოლიციის მიერ ინფორმაციის ნებაყოფლობით გაცვლის მეშვეობით;
- ყველა შესაბამისი სააგენტოს მიერ საჭირო ინფორმაციის გაცემა და იმ ოფიციალური პირების მხარდაჭერა, რომლებიც ვალდებულნი არიან, საერთაშორისო და რეგიონლურ ორგანიზაციებს მიაწოდონ ინფორმაცია მცირე შეიარაღების კონტროლზე;
- მიმდინარე საერთაშორისო დებატებსა და შეხვედრებზე საქართველოს პოზიციის განმარტება იარაღის გადაზიდვების სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულების თაობაზე.

რეკომენდაციები საერთაშორისო საზოგადოებას

საერთაშორისო საზოგადოება ხელს უწყობდა საქართველოს მცირე შეიარაღებაზე კონტროლის შესაძლებლობების გაუმჯობესებაში. ეს ეხება სხვადასხვა სფეროს, როგორიცაა საზღვრის კონტროლი და პოლიციური საქმიანობა. ამგვარი საერთაშორისო მხარდაჭერა უნდა გაგრძელდეს იმისათვის, რათა ყველა დარწმუნდეს, რომ საქართველოს აქვს პოლიტიკური ნება, ინსტიტუციონალური ცოდნა და ადმინისტრაციული შესაძლებლობები რეფორმებისა და მცირე შეიარაღებაზე კონტროლის გასაძლიერებლად. საერთაშორისო საზოგადოებას ეძლევა რეკომენდაცია:

- უზრუნველყოს საქართველოს ხელისუფლებისათვის ტექნიკური დახმარება საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების, ასევე, ზემოთჩამოთვლილი ინსტრუქციებისა და ოპერატიული პირობების განსახორციელებლად;
- უზრუნველყოს, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, მცირე შეირაღებაზე კონტროლის მხარდაჭერის ინტეგრირება სხვა სახის იარაღის შესახებ არსებულ უფრო ფართო მნიშვნელობის პროგრამებში (მაგ. ეროვნულ სტრატეგიაში);
- მიაღწიოს იმას, რომ მცირე შეიარაღებაზე კონტროლის მხარდაჭერა უსაფრთხოების სექტორის უფრო ფართომასშტაბიანი რეფორმის პროგრამებში იყოს ინტეგრირებული. კერძოდ, რეკომენდირებულია, ევროკავშირმა შეიმუშავოს უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროგრამები, რომლებიც შეიცავს მცირე შეიარაღებაზე კონტროლის მხარდაჭერას და შეესაბამება 2005 და 2006 წლების ევროკავშირის უსაფრთხოების სექტორის რეფორმის კონცეფციებს;
- უზრუნველყოს, რომ საერთაშორისო დახმარება კოორდინირებული და მიზნობრივად იყოს მიმართული დონორთა რეგულარული შეკრებებისა და სემინარების მეშვეობით;
- უზრუნველყოს, რომ საქართველოსთან დადებული შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები, როგორიცაა ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმა, შეიცავდეს გარკვეულ პუნქტებს მცირე შეიარაღებაზე კონტროლის საკითხებთან დაკავშირებით;
- უზრუნველყოს ტექნიკური მხარდაჭერა იმისათვის, რომ საქართველომ შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები მცირე შეიარაღებასთან დაკავშირებით, მაგალითად, ეუთოს დოკუმენტი მცირე შეიარაღების თაობაზე, გაეროს სამოქმედო გეგმა და ევროკავშირის მცირე შეიარაღების სტრატეგია, რომლებიც სამომავლოდ საქართველოსგან ამგვარი ვალდებულებების შესრულებას მოელიან;
- გაუწიოს დახმარება არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიას მცირე შეიარლებისა და ადამიანური უსაფრთხოების საკითხების ანალიზისა და მონიტორინგისათვის ადგილობრივი შესაძლებლობების გასაძლიერებლად;
- ხელი შეუწყოს ინფორმაციის გაცვლას საქართველოს პარლამენტის წევრებსა და იმ ქვეყნის პარლამენტარებს შორის, რომლებიც ფლობენ დახვეწილ მექანიზმებს მცირე შეიარაღებაზე კონტროლის საკითხებზე;

- დაეხმაროს საქართველოს თანამდებობის პირებს საბოლოო მომხმარებლების და მოწოდებათა სერტიფიკატების შემოწმებაში დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით იმ საექსპორტო ქვეყნებში, სადაც არ არსებობს საქართველოს წარმომადგენლობა;
- გააგრძელოს საერთაშორისო დახმარება სასაზღვრო მენეჯმენტის რეფორმის სფეროში;
- გააგრძელოს მხარდაჭერა იარაღის საცავების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ასევე, იმ იარაღის გასანადგურებლად, რომელიც ემუქრება ქვეყნის უსაფრთხოებას;
- წაახალისოს უწყებათაშორისი ჯგუფის რეფორმირება მცირე შეიარაღების საკითხებთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საზოგადოებისათვის

საქართველოში მცირე შეიარაღებაზე კონტროლი დამოკიდებულია სამოქალაქო საზოგადოებაზე როგორც პოლიტიკური, ასევე, პრაქტიკული თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად მონაწილეობს მცირე შეიარაღების საკითხების გადაწყვეტაში, ის მთლიანად მაინც ვერ ერევა ამ პროცესებში. სამოქალაქო საზოგადოებას ეძლევა რეკომენდაცია:

- გააფართოვოს თავისი მონაწილეობის სფერო მცირე შეიარაღების საკითხებთან დაკავშირებით;
  - დაუთმოს ფონდები და რესურსები მცირე შეიარაღების საკითხების შესწავლასა და მხარდაჭერას, შესაძლებლობისდა მიხედვით მოითხოვოს დონორების დახმარება;
  - შექმნას მცირე შეიარაღების საკითხებით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი და უზრუნველყოს ამ სფეროში გამოცდილების მხარდაჭერა და არასამთავრობო ორგანიზაციების კოორდინირებული მუშაობა;
- მხარი დაუჭიროს სათემო დონეზე საზოგადოების ინფორმირებას მცირე შეიარაღების საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: ლიცენზირების სისტემა, მცირე შეიარაღებისა და მისი არასწორი გამოყენების ნეგატიური ზეგავლენა და იარაღის ამოღების სამთავრობო კამპანიები;
- დასახოს მცირე შეიარაღების არადანიშნულებისამებრ გამოყენების საფრთხის შემცირების ინიციატივები იმგვარი გზებით, როგორიცა სემინარები თემის უსაფრთხოების საკითხებზე;
- მხარი დაუჭიროს შეთანხმებებს კერძო უსაფრთხოების საწარმოებს შორის ნებაყოფლობითი ქცევის კოდექსის თაობაზე მათი საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
- ჩაატაროს ეროვნული პრაქტიკის მონიტორინგი იარაღის საერთაშორისო გადაზიდვებზე და ლიცენზირების გადაწყვეტილებების მიღებაზე. დარწმუნდეს, რომ ისინი შეასბამისობაშია საერთაშორისო პრაქტიკის საუკეთესო მაგალითებთან;
- ჩაატაროს მონიტორინგი სახელმწიფო სააგენტოების მიერ ძალისა და იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით. დარწმუნდეს, რომ ამ სფეროში პოლიტიკა და პრაქტიკა შეესაბამება გაეროს სამართალდამცავების მიერ შემუშავებულ ძირითად პრინციპებს ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ;
- უზრუნველყოს პარლამენტის ინფორმირებულობის გაზრდა მცირე შეიარაღების საკითხების თაობაზე და მისი მონაწილეობა ამ სფეროსთვის აუცილებელი პოლიტიკის შემუშავებაში შემდეგი საშუალებებით:
  - საპარლამენტო ტრენინგები;
  - ბრიფინგები ხელისუფლების პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტსა და პრაქტიკაზე მცირე შეირაღების კონტროლთან დაკავშირებით;
  - ინფორმაციის გაცვლა სამუშაო ჯგუფებისა და კომიტეტების მეშვეობით.

დამატება 1: ინტერვიუ ექსპერტებსა და ფოკუს ჯგუფებთან

სახელი	ორგანიზაცია	ადგილი	დღე
დავით ახვლედიანი	სასაზღვრო პოლიცია	თბილისი	12.06.06
ჟონი ბაკურაძე	ბათუმის საპატრულო პოლიციეს უფროსი	ბათუმი	18.01.06
ლევან ბარამიძე	საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	თბილისი	20.01.06
მაიორი იან ბარანოვსკი	EUSR , შსს მრჩეველი	თბილისი	20.01.06
მაიორი იაროსლავ ბედნარჩუკი	EUSR, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მრჩეველი	თბილისი	20.01.06
კახა ჩიქოვანი	მოადგილე, ეროვნული უშიშროების მდივნის მოადგილე	თბილისი	16.12.05
ირაკლი ჩიმაკაძე	ქუთაისის რეგიონული პოლიციეს განყოფილების უფროსი	ქუთაისი	17.01.06
დავით ჩხარტიშვილი	რედაქტორი, აჭარის გაზეთი	ბათუმი	18.01.06
გიგა ჩოგოვაძე	ქუთაისის მერი	ქუთაისი	17.01.06
დავით დარჩიაშვილი	ღია საზოგადოება – საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი	თბილისი	15.03.06
ზაზა დავითაძე	საკრებულოს მდივანი	ბათუმი	17.01.06
თორსტენ დერრიკი	EUSR, საზღვრის დაცვის ხელშემწყობი მისია	თბილისი	12.06.06
გიორგი დოლიძე	საგარეო საქმეთა სამინისტროს შეიარაღებაზე კონტროლისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	თბილისი	16.12.05
მურმან დუმბაძე	აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი	ბათუმი	18.01.06
ანდრეა დვალი	ეკონომიკის განვითარების სამინისტროს საერთაშროისო ურთიერ-თობებების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი	თბილისი	20.12.05
ვიცე პოლ. ძბიგნევ ფეჩი	ეუთოს მისია საქართველოში	თბილისი	01.12.05
მერაბ გერგაია	ზუგდიდის რეგიონული პოლიციეს უფროსი	ზუგდიდი	19.01.06
გიორგი გოგიბერიძე	იუსტიციის სამინისტროს ლიცენზირების დეპარტმანეტის უფროსი	თბილისი	20.12.05
მარკუს გოროლ	საერთაშორისო სამოქალაქო პოლიცია	ზუგდიდი	19.01.06
რაიან გრისტი	ეუთოს მისია საქართველოში	თბილისი	01.12.05
ნიაზი ჯალაღანია	პროკურორის მოადგილე	ზუგდიდი	19.01.06
გიორგი ჯოხაძე	გენერალური პროკურატურის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი	თბილისი	11.05.06
დავით კასრაძე	ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე	ბათუმი	18.01.06
კახა კაციტაძე	სამხედრო ექსპერტი	თბილისი	16.01.06
ზაზა ხაჩიძე	შსს ლიცენზირების დეპარტმანეტის უფროსი	თბილისი	19.12.05
ვიცე პოლ. ხვადაგიანი	თავდაცვის სამინისტროს ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი	თბილისი	15.03.06
კახა ხანდოლიშვილი	სასაზღვრო პოლიცია, საერთაშროისო და იურიდიულ საქმეთა დეპარტამენტის უფროსი	თბილისი	16.12.05
მამუკა კიკალეიშვილი	თავდაცვის სამინისტროს იურიდიულ საქმეთა დეპარტამენტის უფროსი	თბილისი	15.12.05
ვახტანგ ლაშქარაძე	საბაჟო დეპარტამენტის საინფორმაცის დეპარტამენტის უფროსი	თბილისი	20.12.05
რიჩარდ ლაქსი	ევროკომისიის დელეგაცია საქართველოში	თბილისი	09.03.06
კობა ლიკლიკაძე	სამხედრო ექსპერტი, რადიო თავისუფლება	თბილისი	14.01.06
გიორგი მანჯგალაძე	საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე	თბილისი	16.12.05
რორი მაკკორლეი	უეთოს მისია საქართველოში	თბილისი	08.05.06
ირაკლი მჭედლიშვილი	თავდაცვისა და უსაფრთხოების სამოქალაქო საბჭო, პროექტის დირექტორი	თბილისი	08.03.06
ლადო მგალობლიშვილი	ანტიკორუფციული საბჭო, არასამთავრობო ორგანიზაცია	ბათუმი	18.01.06
გიორგი მუჩაიძე	თავდაცვის სამინისტროს საერთაშროისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი	თბილისი	15.03.06
მამუკა მუჯირი	თავდაცვის მინისტრის მოადგილე	თბილისი	06.12.05
მარია ვან რუიტენი	ევროკომისიის დელეგაცია საქართველოში	თბილისი	09.03.06
ნათია სურგულაძე	ბათუმის ვიცე-მერი	ბათუმი	18.01.06
იროდი თორაძე	სასაზრვრო პოლიცია, წითელი ხიდის სასაზღვრო გამშვები პუნქტის უფროსი	წითელი ხიდი	21.01.06
შოთა უტიაშვილი	შსს, ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსი	თბილისი	16.12.05
გიორგი ვოლსკი	კონფლიქტების მოგვარების საქმეში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე	თბილისი	14.03.06
ანონიმური ინტერვიუ			
ანონიმური რესპოდენტი A	საჯარო მოხელე	თბილისი	08.03.06
ანონიმური რესპოდენტი B	საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი	თბილისი	12.05.06
ანონიმური რესპოდენტი C	სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი	თბილისი	15.03.06
ანონიმური რესპოდენტი D	საერთაშორისო სამხედრო მრჩეველი	თბილისი	13.03.06
ანონიმური რესპოდენტი E	დასავლეთ ქვეყვების დიპლომატიური კორპუსის თანამშრომელი	თბილისი	15.03.06
ინტერვიუები საავადმყოფოებში			
ასლან ასლანიშვილი	ქირურგი, ბოლნისის საავადმყოფო	ბოლნისი	23.03.06
ნუკრი ჯოხაძე	დირექტორი, გორის საავადმყოფო	გორი	03.04.06
ზურაბ შალამბერიძე	მისაღების უფროსი, რესპუბლიკური საავადმყოფო	თბილისი	31.03.06
ნიკოლოზ ლომინაძე, თამაზ გვენეტაძე, ოთარ ტატიშვილი, ზურაბ ჩხაიძე და გურამ უბილავა	ქირურგები, ღუდუშაურის კლინიკა	თბილისი	22.03.06
გულიკო შოშიაშვილი	ექთანი, თელავის კლინიკა	თელავი	27.03.06

სახელი	ორგანიზაცია	ადგილი	დღე
ინტერვიუები კერძო დაცვის კომპანიებში			
ანონიმური	მენეჯერი, შ.პ.ს. დარაკა	თბილისი	06.04.06
ანონიმური	მენეჯერი,. შ პ.ს. ალიგატორი	თბილისი	06.04.06
ზვიად აბესაძე	მფლობელი/ მენეჯერი შ.პ.ს. ადამიანის უსაფრთხოებისა და უძრავი ქონების დაცვა	თბილისი	07.04.06
ანონიმური	მფლოებელი, შ.პ.ს. ISG	თბილისი	08.04.06
ანონიმური	მენეჯერი, შ.პ.ს ვოლტრას	თბილისი	10.04.06
ინტერვიუები იარაღის მაღაზიებში			
ვადიმ მამუჩაშვილი	მენეჯერი, იარაღის მაღაზია A	თბილისი	03.04.06
ანონიმური	მენეჯერი, იარაღის მაღაზია B	თბილისი	03.04.06
ანონიმური	მენეჯერი, იარაღის მაღაზია C	თბილისი	03.04.06
ანონიმური	მენეჯერი, იარაღის მაღაზია D	თბილისი	04.04.06
ჯიმი ქურდაძე	მენეჯერი, იარაღის მაღაზია E	თბილისი	04.04.06
ანონიმური	მენეჯერი, იარაღის მაღაზია F	თბილისი	04.04.06
დისკუსიები ფოკუს ჯგუფებში			
ფოკუს ჯგუფი A (9 მონაწილე)	25-34 წლის ქალთა და მამაკაცთა შერეული ჯგუფი,	თბილისი	05.12.05
ფოკუს ჯგუფი B (9 მონაწილე)	35-65 წლის ქალთა და მამაკაცთა შერეული ჯგუფი,	თბილისი	05.12.05
ფოკუს ჯგუფი C (10 მონაწილე)	ყოფილი სამართალდამცავი პირები	თბილისი	06.12.05
ფოკუს ჯგუფი D (11 მონაწილე)	ყოფილი სამართალდამცავი პირები	თბილისი	14.12.06
ფოკუს ჯგუფი E (10 მონაწილე)	25-60 წლის ქალები	თბილისი	01.01.05
ფოკუს ჯგუფი F (9 მონაწილე)	25-34 წლის ქალთა და მამაკაცთა შერეული ჯგუფი,	ზუგდიდი	10.12.05
ფოკუს ჯგუფი G (9 მონაწილე)	35-65 წლის ქალთა და მამაკაცთა შერეული ჯგუფი,	ზუგდიდი	10.12.05
ფოკუს ჯგუფი H (14 მონაწილე)	იძულებით გადაადგილებული პირები	ზუგდიდი	09.12.05
ფოკუს ჯგუფი I (10 მონაწილე)	იძულებით გადაადგილებული პირები	ქუთაისი	07.12.05
ფოკუს ჯგუფი J (10 მონაწილე)	25-60 წლის ქალები	ქუთაისი	07.12.05
ფოკუს ჯგუფი K (10 მონაწილე)	25-34 წლის ქალთა და მამაკაცთა შერეული ჯგუფი, სომხები	ახალციხე	08.12.05
ფოკუს ჯგუფი L (8 მონაწილე)	35-65 წლის ქალთა და მამაკაცთა შერეული ჯგუფი, სომხები	ახალციხე	08.12.05
ფოკუს ჯგუფი M (8 მონაწილე)	25-34 წლის ქალთა და მამაკაცთა შერეული ჯგუფი, აზერბაიჯანელები	მარნეული	12.12.05
ფოკუს ჯგუფი N (10 მონაწილე)	35-65 წლის ქალთა და მამაკაცთა შერეული ჯგუფი, აზერბაიჯანელები	მარნეული	12.12.05

დამატება 2: პარლამენტარების გლობალური ქმედებისათვის – თბილისის სამოქმედო გეგმა, (თბილისი, 10 ივნისი, 2006)

Tbilisi Plan of Action (Tbilisi, 10 June 2006)

We Parliamentarians,

Meeting in Tbilisi from 9-10 June 2006, in the context of the Regional Parliamentary WorkSop on Small Arms, and Light Weapons;

Welcoming also the Eighth Central Asia and Caucasus Regional Forum on Export Controls held in Tbilisi, Georgia from 16-19 May, 2006;

Aware of the linkage between inadequate State oversight of small arms production and/or ineffectual or inadequate small arms and light weapons export regulation and the fuelling of conflicts in other States and Regions;

Aware also of the linkage between Small Arms and Light Weapons, Political instability, insecurity and the hindrance of development;

Confirming our attaCment to the principles and objectives contained in the United Nations Carter aimed at safeguarding future generations against the scourge of war and creating the necessary conditions for peace, security and stability in the world;

Hailing the adoption of important legal and political instruments including:

- the United Nations Action Programme aimed at Preventing, Combating and Eliminating illicit trade in small arms and light weapons in all its aspects;
- the Additional Protocol against Illicit Production and Trade in Firearms, Firearms parts, pieces and munitions, to the United Nations Convention against Organised Transnational Crime;
- The Wassenaar Arrangement Elements for Effective Legislation on Arms Brokering;
- The Organization of American States (OAS) Model Regulations on Brokering;
- The EU Common Position on the Control of Arms Brokering;
- The OSCE Principles on Controlling Brokering.

Notes with Appreciation the ongoing important engagement in the area of Small Arms and Light Weapons control in the region and in Neighbouring States by the UNDP and OSCE;

Recognizing the importance of Civil Society and Gender in the area of Small Arms generally and the need to engage on a regular basis with Civil Society in identifying more effective means of controlling Small Arms proliferation;

Convinced of the important role that Parliamentarians from the region and Neighbouring States have to play in the struggle to promote democratic principles and good political governance, respect for human rights and peace, security and justice;

Commending Parliamentarians for Global Action (PGA) and the Parliament of Georgia in taking the initiative of organizing this Regional Parliamentary WorkSop;

Expressing its Appreciation to Parliamentarians for Global Action, the Parliament of Georgia, the OSCE Mission to Georgia, UNDP, the Open Society Foundation Georgia, the US Embassy, Tbilisi and Saferworld in their provision of support for this Parliamentary WorkSop

Have agreed to implement the following Plan of Action:

I - AT THE NATIONAL LEVEL

1. Introduce and support legislation addressing arms trafficking originating within and across our respective States, including by establiSing and/or improving State approved arms and munitions broker lists, enhancing tighter export controls and introducing more serious penalties for infringements of applicable laws;
2. Conduct advocacy aimed at governments for the setting up of permanent and independent national commissions with sufficient human, material and financial resources to effectively combat the proliferation of small arms and light weapons;

3. Initiate, in close collaboration with government agencies and civil society organisations, information, awareness and education campaigns aimed at the general population on the issue of small arms and light weapons;
4. Form parliamentary networks on issues relating to democratic transition and the fight against the proliferation and illicit trade of small arms and light weapons and post-conflict justice;
5. Support the development of a legally-binding, global instrument regulating brokering of small arms & light weapons at the UN Review Conference in New York at the end of June 2006;
6. Support, and encourage our respective Governments to support, the drafting of minimum common standards on international arms transfers at the UN Review Conference in New York at the end of June 2006, and other related initiatives towards the subsequent development of an international Arms Trade Treaty;
7. Ensure that existing stocks of weapons and ammunition are secured, maintained and regularly inspected to the highest possible standards and seek the assistance of international partners to improve standards where they are in any way a threat to security or public health;
8. Support the destruction of national surpluses of Small Arms and Light Weapons and ammunition while maintaining the highest safety standards;
9. Work to revise and update national legislation on small arms and light weapons to ensure compliance and conformity with the UN Programme of Action;
10. Ensure that those States that have not already done so ratify and enforce the Ottawa Convention on antipersonnel mines;
11. Encourage and support voluntary surrender campaigns for small arms and light weapons;
12. Call for increased overall transparency with respect to national controls over small arms and light weapons, in particular through making provision for greater parliamentary oversight in this area;
13. Encourage governments to strengthen judiciary institutions and create the conditions for their independence;
14. Urge governments to take appropriate action to combat impunity, especially in post-conflict situations;

II - AT THE REGIONAL AND INTERNATIONAL LEVELS

15. Work towards aCieving greater cooperation and coordination among Parliamentarians and Governments from the Region and Neighbouring States in aCieving the objectives set out in Section I above;
16. Organize regular sub-regional and regional meetings to assess progress in the implementation of the Tbilisi Plan of Action;
17. For that purpose, create a support meCanism for the parliamentary networks.

ეს ანგარიში ქვეყნდება კავკასიაში მცირე შეიარაღებისა და ადამიანური უსაფრთხოების პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებენ მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (CIPDD) და უსაფრთხო მსოფლიო (Saferworld).

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (CIPDD) დამოუკიდებელი, საჯარო პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე კვლევითი ცენტრია, რომელიც 1992 წელს თბილისში შეიქმნა. ინსტიტუტი აქტიურად წარმართავს სტრატეგიულ კვლევებს, ტრენინგს და ინტერესთა დაცვას, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში დემოკრატიულ გარდაქმნებს, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობას, მდგრადი მშვიდობისა და უსაფრთხოების საფუძვლების შექმნას. სამოქალაქო საზოგადოებასთან, ეროვნულ მთავრობებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით კავკასიურმა ინსტიტუტმა განახორციელა პროექტები კავკასიის, შავი ზღვის და ბალკანეთის რეგიონებში.

„უსაფრთხო მსოფლიო“ ბრიტანული დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც მუშაობს შეიარაღებული ძალადობის თავიდან აცილების და უსაფრთხო საზოგადოების შექმნის საკითხებზე, სადაც ადამიანებს შეეძლებათ მშვიდობიანი და ღირსეული ცხოვრება.

სურათი ძდაზე: მდინარე ენგურის ხიდზე რუსი მშვიდობისდამცველთა საკონტროლო გამშვები პუნქტი.
© ვალერი მელნიკოვი/კომერსანტი

მშვიდობის, დემოკრატიისა და
განვითარების კავკასიური ინსტიტუტი
მერაბ ალექსიძის 1
0193, თბილისი
საქართველო

ტელ: +995 32 334081
ფაქსი: +995 32 334163
ელ-ფოსტა: cipdd@cipdd.org
ვებ-გვერდი: www.cipdd.org

Saferworld
The Grayston Centre
28 Charles Square
London N1 6HT
UK

ტელ: +44(0) 20 7324 4646
ფაქსი: +44(0) 20 7324 4647
ელ-ფოსტა: general@saferworld.org.uk
ვებ-გვერდი: www.saferworld.org.uk

ISBN 99928-37-29-2